სულიწმიდა

გაცნობა

ჯონ ბევირი
ედისონ ბევირთან ერთად

ძვირფასო მეგობარო,

თქვენ ღმერთის სიხარული ხართ, მისი გულის ხალისი. მისი დიდი სურვილია, რომ შეიცნოთ იგი. ასევე, იზრდებით რა მასთან ურთიერთობაში, ღმერთი გიხმობთ, რომ ითანამშრომლოთ მასთან, ამ დედამიწაზე მისი სასუფევლის გასავრცელებლად. როგორც მოციქულმა პავლემ თქვა: „ღმერთმა შეგვქმნა ახალ ქმნილებებად ქრისტე იესოში, რათა ვაკეთოთ კეთილი საქმეები, რომლებიც მან განიზრახა ჩვენთვის დიდი ხნის წინ“ (ეფეს.2:10; NLT).

ჩვენ, როგორც ღვთის შვილებს, ყველას გვსურს ვაამოთ ჩვენს მამას. მიუხედავად ამისა, ხშირად ძალიან იოლია გამოგვრჩეს ის, რაც ნათლად დაგვანახა თავად იესომ: ძალა ღმერთის ნების აღსასრულებლად სულიწმიდასთან მჭიდრო მეგობრობის შედეგად მოდის. ღმერთს არ სურს უბრალოდ მუშაობდეთ მისთვის: ის გიწვევთ, რომ ითანამშრომლოთ მასთან. ღმერთს სურს იყოს თქვენი საუკეთესო მეგობარი და გაიზიაროს თქვენი ცხოვრების ყოველი წუთი. მისი სურვილია გესაუბროთ, გაგამხნევოთ და გაგაძლიეროთ. არ არსებობს იმაზე დიდებული ურთიერთობა, რომელსაც ღმერთი გთავაზობთ მისი სულის მეშვეობით.

ღმერთმა აღძრა ჩემი გული ამ უწყების გასაზიარებლად თქვენთვის და თანამსახურთათვის მსოფლიოს მასშტაბით. გთხოვთ, მიიღოთ ის ჩემგან მთელი სიყვარულით. გაუზიარეთ ის ყველა ნაცნობს. მჯერა, ეს იქნება ღმერთთან უფრო სიღრმისეული ურთიერთობის საწყისი, როგორც თქვენთვის, ასევე ყველა იმ ადამიანისთვის, რომელთანაც თქვენ შრომობთ.

თუ ღმერთის შვილი ხართ, სულიწმიდა აღგითქვამთ, რომ ის არასოდეს დაგაგდებთ და მიგატოვებთ. მისი მეგობრობა უსასყიდლოა. ჭეშმარიტებამ, რომელიც ამ ფურცლებზეა მოთავსებული, სრულიად შეცვალა ჩემი ცხოვრება და ვლოცულობ, რომ თქვენც მიიღოთ ეს ძირეული გამოცხადება ღმერთის სიტყვაში მოგზაურობასთან ერთად. მსურს მოვისმინო, თუ როგორ იმოქმედა ამ უწყებამ თქვენზე და თქვენს მზრუნველობის ქვეშ მყოფებზე.

თქვენი ძმა ქრისტეში,

ჯონ ბევირი

ჯონ ბევირი
JohnBevere@ymail.com

Messenger International
MessengerInternational.org

სულიწმიდა

გაცნობა

ჯონ ბევირი
ედისონ ბევირთან ერთად

The Holy Spirit: An Introduction by John Bevere, Georgian
© 2014 Messenger International
www.MessengerInternational.org
Originally published in English as The Holy Spirit: An Introduction
Additional resources in Georgian by John & Lisa Bevere are available for free download at: www.CloudLibrary.org
To contact the author: JohnBevere@ymail.com

ჯონ ბევირი „სულიწმიდა, გაცნობა“
© 2014 Messenger International
www.MessengerInternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე სახელწოდებით
The Holy Spirit: An Introduction
ჯონ და ლიზა ბევირების დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე (უფასო გადმოტვირთვა) ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
www.CloudLibrary.org
ავტორის ელ-ფოსტის მისამართი: JohnBevere@ymail.com

შინაარსი

მოცემული ინტერაქტიული წიგნის შესახებ.....4

შესავალი.....5

1. ვინ არის სულიწმიდა?.....7

2. სულიწმიდის პიროვნება.....43

3. ურთიერთობის სამი დონე.....81

4. სულიწმიდის ძალით შემოსვა.....115

5. სულის ენა.....155

ბონუს თავი: კითხვა პასუხები.....195

დანართი: როგორ მივიღოთ ხსნა.....219

წიგნში გამოყენებული მასალა.....222

მოცემული ინტერაქტიული წიგნის შესახებ

თქვენ შეგიძლიათ ეს წიგნიც ისევე წაიკითხოთ ყდიდან ყდამდე, როგორც ნებისმიერი სხვა, მაგრამ იმისათვის, რომ პირადად აღიქვათ, მოგიწოდებთ გამოიკვლიოთ მასში მოცემული დამატებითი ინტერაქტიული ელემენტები.

წიგნის თითოეული თავი დაყოფილია ყოველდღიურად წასაკითხ ხუთ ნაწილად, ხოლო თავის ბოლოს წარმოდგენილია ყოველი დღის შესაბამისი მოზიარეობისთვის განკუთვნილი მასალა. თქვენ შეგიძლიათ ყოველდღე წაიკითხოთ თითო დანაყოფი შესაბამისი მოზიარეობით ან შეგიძლიათ თავად გადაწყვიტოთ ეს თქვენი შეხედულებისამებრ. ჩვენ გთავაზობთ, რომ თითოეულ თავს შესაბამის მოზიარეობასთან ერთად თითო კვირა დაუთმოთ ჯგუფში განსახილველად.

ისიამოვნეთ!

შესავალი

როდესაც მამამ პირველად მთხოვა დახმარება ამ წიგნის დაწერისას, ეს დაუჯერებლად მომეჩვენა. ვიფიქრე: „*ალბათ ჯერ არ ულოცია ამ საკითხზე*“. გულწრფელად გეტყვით, არ ვთვლიდი თავს შესაფერის, ღირს კანდიდატად. ამ თხოვნაზე ფიქრისგანაც კი მუცელი მითრთოდა.

მე მოკრძალებით ვთხოვე მამას შეერჩია რამდენიმე სხვა კანდიდატიც და სერიოზულად ელოცა ამ საკითხზე გარკვეული დროის განმავლობაში (დაახლოებით ერთი ან ორი წელი). მაგრამ ერთი დღის ლოცვის შემდეგ ის დარწმუნებული იყო, რომ ამ დავალებისთვის ნამდვილად მე ვიყავი საჭირო. მამასთვის მნიშვნელოვანია, რომ სულიწმიდა არ გახდეს უცხო ახალგაზრდა თაობისთვის. ამიტომ ის ჩემს ცოდნასა და შეხედულებებს ამ საკითხის მიმართ განიხილავს, როგორც ზოგადად ახალგაზრდა თაობის დამოკიდებულებას. მე და მამამ ორივემ ვიცით, რომ უამრავი ადამიანი, როგორც ახალგაზრდა, ისე ასაკიანი, თავს აარიდებს ამ თემას, თუ მას გაცნობიერებული არ აქვს ვინ არის სულიწმიდა და როგორ მოქმედებს იგი.

ამგვარად, ჩემი განცდებისა თუ შიშების მიუხედავად, მამას უარი ვერ ვუთხარი. იძულებული ვიყავი დავთანხმებოდი. იმას, რაც შემდეგ მოხდა, შეიძლება ეწოდოს ცხოვრების გარდამქმნელი მოგზაურობა. ღმერთმა თავისი სულის მრავალ საოცრებაზე ამიხილა თვალი და წმიდა წერილი სრულიად ახლებურად დამანახა. მალევე გავაცნობიერე ისიც, რომ სულიწმიდაა ის, ვინც ყველაზე არასწორად არის აღქმული ეკლესიებში. უამრავი ცრუ წარმოდგენები და სტერეოტიპები არსებობს მის შესახებ, მაგრამ მხოლოდ მცირე ჩვენგანმა თუ იცის, ვინ არის ის სინამდვილეში.

მოცემული წიგნის მიზანია წმიდა წერილის გაცხადებით გაგაცნოთ სულიწმიდის პიროვნება. ამ წიგნის ასპექტები შესაძლოა გამოწვევა იყოს თქვენთვის, მაგრამ გპირდებით, ეს მოგზაურობა ღირს თქვენი დროისა და ენერგიის დახარჯვად.

თითოეული გვერდის წიკითხვისას, სთხოვეთ სულიწმიდას შეგიძღვეთ ყოველ ჭეშმარიტებაში. ის მოგაშორებთ შეხედულებებს, რომელიც მის სიტყვას არ ემყარება. აღმოაჩენთ, რომ ის არ „ეკუთვნის“ რომელიმე დენომინაციას ან მოძრაობას; და არ

შეიძლება შეზღუდული იყოს რომელიმე თაობით ან საუკუნით. სულიწმიდა წარმოგზავნილია, რათა გააცხადოს იესო ქრისტე და ძალით შემოსოს ქრისტეს სხეული. მან ჩვენი გულები თავის სამკვიდროდ გარდაქმნა და დაგვპირდა, რომ ჩვენი ცხოვრებიდან ის შექმნის კარგს და მშვენიერს. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვევალება: მას გადავცეთ მართვის სადავენი.

შეუძლებელია ვიპოვოთ უკეთესი მეგობარი და კომპანიონი. სულიწმიდა ერთგულად გაგყვებათ ცხოვრების ყველა ბრძოლასა თუ სიხარულში. მან აღგითქვათ, რომ არასოდეს მიგატოვებთ, რადგან თქვენ ხართ მისი სიყვარული და სიხარული. მოემზადეთ მის შესაცნობად, ვინც განასახიერებს დიდებულებას!

ედისონ ბევირი,

Messenger International -ის აღმასრულებელი დირექტორი

„ახლა ყველა ჩვენგანს გვაქვს იმავე სულიწმიდით
მისადგომი მამასთან“ (ეფეს. 2:18; NLT)

1

ვინ არის სულიწმიდა

*„ხოლო ნუგეშისმცემელი კი (მრჩეველი, დამხმარე, შუამდგომელი, დამცველი, განმამტკიცებელი, ერთგული მომხრე), **სულიწმიდა**, რომელსაც ჩემი სახელით [ჩემს ნაცვლად, რომ წარმომადგინოს მე და იმოქმედოს ჩემი სახელით] მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ (შეგახსენებთ), რაც თქვენთვის მითქვამს“*

– იოან. 14:26; AMP

დღე 1

ახალი წლის საღამო იყო. ლოცვა-მარხვის ძლიერი სურვილი არ მტოვებდა. უფალს ვკითხე: „ბიბლიის რომელი წიგნი წავიკითხო?“, ჩემდა გასაოცრად, მან მიპასუხა: „საქმეების წიგნი“.

რატომ გამიკვირდა? იმიტომ, რომ ბოლო გაძლიერებული მარხვებისა და ლოცვების დროსაც იგივე მითითება მივიღე უფლისგან: „წაიკითხე საქმეების წიგნი“. მარხვის განმავლობაში, რაც ჩემთვის გამოიკვეთა საქმეების წიგნიდან, იყო განზრახვისა და მიმართულების დაპირისპირება მოციქულ პავლეს ცხოვრებაში და აქედან წარმოქმნილი შედეგები. ნება მომეცი აგიხსნა.

პავლე ღმერთმა აირჩია წარმართთათვის სახარების საქადაგებლად. მან თქვა: „დადგენილი ვარ წარმართთა მქადაგებლად, მოციქულად და მასწავლებლად“ (2 ტიმ. 1:11;). ეს არის კონკრეტული მითითება. მან ეს სიტყვები სიცოცხლის განმავლობაში რამდენჯერმე გაიმეორა. თავისი პირველი მისიონერული მოგზაურობისას, პავლე მოციქულმა იუდეველებს უთხრა: „ჩვენ მივდივართ წარმართებთან. ვინაიდან ასე გვიბრძანა უფალმა: ‘მე დაგაყენე წარმართთა ნათლად’“ (საქმე.13:46-47;). მეორე მოგზაურობისას მან გაბედულად განაცხადა: „ამიერიდან წარმართებთან მივდივარ“ (საქმე.18:6;). რომაელთა მიმართ წერილში პავლემ დაწერა: „წარმართთა მოციქული ვარ“ (11:13;). ამ სახის განცხადებები კვლავაც მეორდება მის წერილებში.

მიუხედავად ამისა, მისი სიყვარულიდან და ძლიერი სურვილიდან გამომდინარე, ენახა თავისი მოძმე იუდეველები გადარჩენილები, პავლე სინაგოგებს ეძებდა თითქმის ყველა ქალაქში, სადაც კი ჩადიოდა. წარმართებთან მსახურების დაწყებამდე, ობიქტური მიზეზებიდან გამომდინარე ის ცდილობდა მიწვდომოდა იუდეველებს; მაგრამ სწორედ იუდეველთა მხრიდან მისი სიტყვის უარყოფამ განაპირობა მისი წასვლა წარმართებთან. როგორც აღმოჩნდა, იუდეველები იყვნენ პავლეს უდიდესი დევნების და სირთულეების სათავე. მათ აღძრეს ხალხი და გააღვივეს შუღლი მოციქულსა და წარმართთა ხელმძღვანელებს შორის. უმეტეს წილად, იმ წინააღმდეგობების, დაპატიმრებების, ცემის და სასამართლოების უკან, რომელთაც ადგილი ჰქონდა პავლეს მსახურებაში, განხეთქილებების გამოსაწვევად მიმართული იუდეველთა გეგმები იდგა. მნიშვნელოვანი შენიშვნა: ღმერთი ძლიერ ზრუნავს იუდეველებზე. სწორედ ამ მიზეზის გამო იყვნენ იაკობი, პეტრე და იოანე წარგზავნილნი იუდეველებთან: „იაკობმა, პეტრემ და იოანემ, რომელნიც ეკლესიის სვეტებად ითვლებიან, გაგვამხნევეს მე და ბარნაბა, რომ კვლავაც გვექადაგა წარმართთათვის, ისინი კი განაგრძობდნენ თავიანთ შრომას იუდეველთა მიმართ“ (გალ. 2:9; NLT).

სიტყვა, რომელიც ბოლო მარხვის დროს გამიცხადდა სავსებით გასაგები იყო ჩემთვის: „შვილო, დარჩი იმ მადლის საზღვრებში, რომელშიც მოგიწოდე, რომ იარო. უფლებას ნუ მისცემ ბუნებრივ ფაქტორებს ან სიყვარულს გამოგაძევონ შენი ცხოვრებისთვის ღმერთის მიერ განსაზღვრული დანიშნულებიდან“. მახსოვდა რა, მიღებული გამოცხადება ასე მკაფიოდ, მოულოდნელი იყო, რომ ღმერთმა კვლავ საქმეების წიგნის წაკითხვა დამავალა. ბოლოსდაბოლოს, მის გარდა კიდევ სამოცდახუთი სხვა წიგნია ბიბლიაში, რომლის წაკითხვაც შეიძლებოდა!

მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ დავემორჩილე უფალს, ვინაიდან ამჯერად რაღაც სრულიად განსხვავებული დავინახე (და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ღმერთის სიტყვა ჭეშმარიტად ცოცხალია). ის, რაც ახლა ჩემთვის გამოიკვეთა საქმეების წიგნის ფურცლებიდან, იყო, თუ როგორ იხსენიებდნენ და ეძებდნენ სულიწმიდას, როგორ ურთიერთობდნენ და როგორი დამოკიდებულნი იყვნენ მასზე პირველი ეკლესიის წევრები და მსახურები. ის იყო უმნიშვნელოვანესი მათ ცხოვრებაში და ჩართული იყო ყველაფერში, რასაც აკეთებდნენ. სულიწმიდა წარმოჩენილია როგორც მათ სამახარებლო მსახურებებზე, ასევე რიგით შეკრებებზე თუ გადაწყვეტილებების მიღებისას. ის ყოველთვის თანამონაწილე იყო ყველა მათ საქმიანობაში. აქ

წარმოგიდგენთ მუხლებს, რომლებმაც განსაკუთრებულად მიიქციეს ჩემი ყურადღება:

- „რატომ აღავსო შენი გული სატანამ, რომ მოგეტყუებინა სულიწმიდა?“ (საქმე. 5:3;);
- „რატომ შეითქვით, რომ გამოგეცადათ უფლის სული?“ (საქმე. 5:9;);
- „ამის მოწმენი ვართ ჩვენ და სულიწმიდა“ (საქმე. 5:32;);
- „თქვენ ყოველთვის ეწინააღმდეგებით სულიწმიდას“ (საქმე.7:51;);
- „მითხრა სულმა, რომ უყოყმანოდ გავყოლოდი მათ“ (საქმე.11:12;);
- „წამოდგა ერთი მათგანი ... და გამოაცხადა სულით, რომ დიდი შიმშილობა ჩამოვარდებოდა...“ (საქმე.11:28;);
- „სულიწმიდის მიერ მივლინებულნი ...“ (საქმე.13:4;);
- „საჭიროდ მიიჩნია სულიწმიდამ და ჩვენც ...“ (საქმე.15:28;);
- „სულიწმიდისაგან აკრძალული ჰქონდათ სიტყვის ქადაგება აზიაში“ (საქმე.16:6;);
- „აპირებდნენ ბითვინიაში გამგზავრებას, მაგრამ იესოს სულმა არ გაუშვა ისინი“ (საქმე.16:7;);
- „აღიძრა პავლე სულის მიერ, რათა დაემოწმებინა...“ (საქმე.18:5;);
- „თუ მიიღეთ სულიწმიდა, როცა ირწმუნეთ?“ (საქმე.19:2;);
- „პავლეს სულისაგან ჩაედო მაკედონიის გავლით წასვლა“ (საქმე.19:21; NLT);
- „სულიწმიდა მიმოწმებს ქალაქიდან ქალაქში ...“ (საქმე.20:23;);
- „გაუფრთხილდით თქვენს თავსაც და თქვენს სამწყსოსაც, რომლის მეთვალყურედაც სულიწმიდამ დაგაყენათ“ (საქმე.20:28;).

მსგავსი სიტყვები მაშინვე ამოტივტივდა ფურცლებიდან. მტკივნეული იყო იმ რეალობის გაცნობიერება, რომ დღეს ჩვენ ვერ ვხედავთ ეკლესიებში იმავეს. ის, რაც ჩვეული იყო საქმეების წიგნის მორწმუნეთათვის, დღეს იშვიათობაა. აღნიშნულ ნაკლს მე მხოლოდ სხვებს არ მივაწერ, არამედ უპირველეს ყოვლისა, ამ ნაკლოვანებას საკუთარ ცხოვრებაში ვხედავდი. რაც უფრო მეტს ვკითხულობდი, ვაცნობიერებდი, რომ ნაკლებად განვიცდიდი სიხარულს და სიამოვნებას სულიწმიდასთან ურთიერთობით. ნაკლებად ვეძებდი მასთან მეგობრობას, თანამშ-

რომლობას, მის ნდობას. არ ვიყავი სრულად დამოკიდებული ღმერთის სულის მმართველობაზე, მის სიძლიერეზე. და როცა კი ეს ნათელი გახდა ჩემთვის, განა შემეძლო არ გამეზიარებინა სხვებისთვის?

წინასწარი განცხადებები

ნება მომეცით, გავაკეთო რამდენიმე წინასწარი განცხადება, რაც უფრო ნათელი გახდება ამ მნიშვნელოვანი საკითხის ღრმად შესწავლისას:

პირველი, ფაქტობრივად არანაირი ქრისტიანული ცხოვრება არ არსებობს სულიწმიდის გარეშე.

- სულიწმიდის გარეშე ქრისტიანობა არის მშრალი, მონოტონური და ხორციელი;
- სულიწმიდის გარეშე ჩვენი შრომა არის დამქანცველი და მოსაბეზრებელი;
- სულიწმიდის გარეშე არ არსებობს ღმერთთან ერთობა.

თუ სულიწმიდას ჩამოვაშორებთ ეკლესიას, აუცილებლად მოხდება ამ ორიდან ერთ-ერთი:

- ეკლესია გადაიქცევა მხოლოდ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად;
- ეკლესია გახდება რელიგიური ინსტიტუტი.

ჭეშმარიტება გახლავთ ის, რომ....

- არ არსებობს გამოცხადება სულიწმიდის გარეშე. ფაქტობრივად, მის გარეშე წმიდა წერილი ხდება მომაკვდინებელი; რადგან დაწერილია: „ასო კლავს, სული კი აცოცხლებს“ (2კორ.3:6;);
- არ არსებობს ხედვა სულიწმიდის გარეშე;
- არ არსებობს სიხარული სულიწმიდის გარეშე;
- არ არსებობს მშვიდობა სულიწმიდის გარეშე;
- არ არსებობს თავისუფლება სულიწმიდის გარეშე.

„უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“ (2კორ.3:17; NLT)

ჩაუკვირდით სიტყვებს: „სადაც უფლის სულია“. მოდი, განვიხილოთ. ღმერთის სული ყველგანმყოფელია – ის ყოველთვის ყველგან არის. დავითი ამბობს: „საით წავუვალ შენს სულს? და

შენს სახეს სად გავექცევი?“ (ფსალ.138:7;). პასუხი ერთმნიშვნელოვანია, *ვერსად*. დავითი განაგრძობს: „ზეცაში რომ ავიდე, შენ იქა ხარ! ქვესკნელში ჩავიდე – იქაც ხარ შენ! ფრთანი გამოვისხა განთიადისა და მივაშურო ზღვის კიდეებს, უმალ მომძებნი – შენ უკვე იქ მელოდები!“ (ფსალმ.138:8-10; The Message). სრულიად ნათელია, ის არის *ყველგან* ყოველთვის.

ამგვარად, ჩნდება მომდევნო კითხვა: „არის ყველგან *თავისუფლება*?“. კიდევ ერთხელ წავიკითხოთ პავლეს სიტყვები: „სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ის *ყველგანაა*; მაგრამ ვიმეორებ: „არის კი ყველგან *თავისუფლება*?“. პასუხია, არა. გასართობ სახლებში, ბარებში, ციხეებში, საავადმყოფოებში არ არის თავისუფლება. ვყოფილვარ ოჯახებში, სკოლებში, ეკლესიებშიც კი, სადაც თავისუფლება არ არის. მაშ, რას ამბობს წმიდა წერილი აქ? ვფიქრობ, უფრო ზუსტი თარგმანი იქნებოდა:

„სადაც სულია უფალი, იქ არის თავისუფლება“ (2კორ.3:17; ავტორისეული პარაფრაზირება).

ბერძნული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს უფალს, არის *kyrios*. მისი განსაზღვრებაა „უზენაესი ძალაუფლება“.[1] უმეტეს ბარებში, საპატიმროებში, საავადმყოფოებში, სახლებსა და თვით ეკლესიებშიც კი, სულიწმიდას უფლებას არ აძლევენ იყოს უფლებამოსილი მმართველი. ხოლო იქ, სადაც მას ღებულობენ უმაღლეს ხელისუფლად, თავისუფლება და სამართალია ყველასთვის.

წიგნის მიზანი

მოცემული წიგნის მიზანია გაგაცნოთ სულიწმიდის *პიროვნება*. ტომები დაიწერება სულიწმიდის შესახებ. დღეები, თვეები, წლებიც კი შეიძლება გავატაროთ მასზე საუბარში.

უკვე 30 წელია, რაც ლიზაზე ვიქორწინე. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცნობ ლიზას, მე ჯერ კიდევ ვპოულობ მის პიროვნებაში, ინტერესებში, სურვილებსა და მანერებში, ჩემთვის აქამდე უცნობ ასპექტებს. ცოტა ხნის წინ, ჩვენ ერთად გავატარეთ რამდენიმე დღე, ქორწინების ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. ამ დროის განმავლობაში, ლიზაში აღმოვაჩინე ისეთი ოცნებები, პრიორიტეტები და შესაძლებლობებიც კი, რომელთა არსებობაზე წარმოდგენაც არ მქონდა.

შესაძლებლობებთან დაკავშირებით გეტყვით, რომ თურმე ლიზა გოლფის თამაშის წარმოუდგენელ თანდაყოლილ უნარს ფლობდა, თუმცაღა მე ეს ჩვენი ქორწინებიდან მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ აღმოვაჩინე.

ყოველი ვახშმობისას, ლიზა მიზიარებდა ცოდნას, სიბრძნეს, ინტერესებსა და ოცნებებს, რომლებიც მანამდე არასდროს გაეგმხილა ჩემთვის. მოკლედ რომ ვთქვა, გაოგნებული ვიყავი რეალობით, თუ რამხელა სიღრმე ყოფილა იმ გასაოცარ ქალში, რომელსაც ჩემს მეუღლეს ვუწოდებ.

შეუძლებელი იქნებოდა ლიზაში არსებული მთელი ცოდნა წიგნის რამდენიმე თავში ჩამეტია. ეს ვერც ტომეულის დაწერისას მოხერხდებოდა. მაგრამ შემიძლია გითხრათ, თუ როგორ მოახერხებთ მასთან ურთიერთობის დამყარებას. შემიძლია გაგიზიაროთ რა უყვარს მას, რა აინტერესებს, როგორ უნდა ითანამშრომლოთ ან იმეგობროთ მასთან. გაგაცნობთ მის სუსტ და ძლიერ მხარეებს, რა უყვარს და რა არ აინტერესებს. ეს გაცნობითი ინფორმაცია მოგემსახურებათ, როგორც კატალიზატორი, მასთან შესანიშნავი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

თუ არ შემიძლია სრულყოფილად გიამბოთ ლიზაზეც კი, რომელიც მხოლოდ ათეულობით წლისაა, მითუმეტეს, რამდენად შეუძლებელია სრულად გადმოგცეთ ყველაფერი სულიწმიდის შესახებ, რომელიც მარადიულია? ეს წარმოუდგენელია! მაგრამ მე შემიძლია გაგაცნოთ ის. შემიძლია გითხრა მისი პიროვნების შესახებ, რა აინტერესებს და რა უყვარს მას. შემიძლია განვსაზღვრო ჩვენი მოზიარეობა და აღვწერო მასთან ურთიერთობის გზები. გეტყვით, რატომ არის ჩვენი თანაზიარება სულიწმიდასთან ასეთი მნიშვნელოვანი და როგორ გვაძლევს ის ძალას აღვასრულოთ ღმერთის ნება ჩვენი ცხოვრებისთვის. ამ ძირითად ინფორმაციას შეუძლია წინ წაგწიოთ სულიწმიდასთან უფრო ღრმა და უფრო აზრიან ურთიერთობაში.

დღე 2

მცდარი შეხედულება

შეცდომა, რომელსაც ბევრი უშვებს: ისინი ცდილობენ ჩასწვდნენ სულიწმიდის *საქმიანობას* და *ძალას* ნაცვლად იმისა, რომ თავდაპირველად გაიცნონ, როგორც *პიროვნება*.

ძალზედ მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ ჩვენს გულსა და გონებაში გვჯერა თუ არა, რომ სულიწმიდა არის ღვთიური პიროვნება – ის, რომელიც უსასრულოდ წმიდა, უსასრულოდ ბრძენი და უსასრულოდ ძლიერია და ამავდროულად გასაოცრად ფაქიზი, მგრძნობიარე და თანამგრძნობი. გვჯერა, რომ ის იმსახურებს ჩვენს პატივისცემას, აღფრთოვანებას, რწმენას, სიყვარულს, ერთგულებას და სრულ მორჩილებას? თუ ნაცვ-

ლად ამისა, გვგონია, რომ სულიწმიდა არის ღმერთისგან გამომავალი ერთგვარი მისტიური ძალა?

მსგავსი შეხედულება არის გაუთვითცნობიერებელი, ზერელე, უხეში და ოკულტურიც კი. თუ ამგვარად ვფიქრობთ, მაშინ ჩვენში იოლად შემოვა სულიერი ქედმაღლობა და სიამაყე, რომელიც გვაფიქრებინებს, თითქოს ჩვენ ვეკუთვნით რაღაც განსაკუთრებული რანგის ქრისტიანობას.

მაგრამ, თუ სულიწმიდას ვხედავთ, როგორც უსასრულოდ დიადს, დიდებულს, მშვენიერს, ბრძენს, წმიდას და გვჯერა, რომ მას, როგორც პიროვნებას, შეთანხმება აქვს მამასთან და ძესთან, რომ აიღოს ჩვენი ცხოვრება და შექმნას მისგან რაღაც კარგი და მშვენიერი, მაშინ მის წინაშე წმიდა შიშით დავემხობით.

ვინც სულიწმიდას უყურებს, როგორც უმაღლეს ძალას, საშუალებას სხვებზე ზეგავლენის მოსაპოვებლად, ის გამუდმებით იტყვის: „კიდევ უფრო მეტი სული მჭირდება“. ხოლო ვინც მას ხედავს, როგორც მშვენიერ, ძვირფას პიროვნებას, ის იკითხავს: „როგორ მივუძღვნა მას თავი უფრო მეტად?“.

ჩვენი შემეცნება მის შესახებ

ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ სჯერა ბევრს, რომ სულიწმიდა არის მხოლოდ ძალა და არა პიროვნება, არის სიტყვები, რომლითაც ხალხი ლაპარაკობს სულიწმიდაზე. ოდესმე მოგისმენიათ, როგორ მოიხსენიებენ მას ნაცვალსახელებით, თითქოს ის იყოს როგორც *რა* და არა *ვინ*? ოცდაათი წელია მსახურებაში ვარ და ყოველ ჯერზე, რომ თითო დოლარი მოეცათ, როცა კი მესმოდა, როგორ უწოდებდნენ სულიწმიდას „რა“-ს, უკვე ძალზედ მდიდარი ვიქნებოდი. საუბედუროდ, მრავალი ჩვენგანი ვერ განიცდის სულიწმიდის თანდასწრებას იმ მიზეზით, რომ ჩვენ უარს ვამბობთ პატივი მივაგოთ მას, როგორც პიროვნებას. უფლის სული არ იმოქმდებს იქ, სადაც მას პატივს არ სცემენ (იხ. მათ.13:54-58; ფსალ.88:7;).

მინდა აღვნიშნო, რომ ვიხსენიებ რა სულიწმიდას პიროვნებად, ამით მე არ ვუწოდებ მას ადამიანს. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ის ფლობს თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია პიროვნებისთვის (რომლითაც ჩვენ განვიხილავთ პიროვნების დამახასიათებლად). სულიწმიდა არის ღმერთი და არა ადამიანი, მაგრამ ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად იყო შექმნილი. ამგვარად ის კი არ არის ჩვენი მსგავსი, არამედ ჩვენ ვართ მისი მსგავსნი.

სულიწმიდას სწადია იყოს ჩვენი უახლოესი მეგობარი, მაგრამ ჩვენ შევზღუდეთ მისი ჩართულობა ჩვენს ცხოვრებაში. სამწუხარო რეალობაა ის, რომ ჩვენ გაუაზრებლად უარვყავით ყველაზე სრულყოფილი ურთიერთობა, რომელიც კი შეიძლებოდა გვქონოდა ამ დედამიწაზე.

მოდით, გადავხედოთ მუხლებს წმიდა წერილიდან, რომლებიც შესანიშნავად წარმოგვიდგენენ სულიწმიდის პიროვნულობას:

- მას გააჩნია გონება (იხ. რომ.8:27;);
- მას გააჩნია ნება (იხ. 1კორ.12:11;);
- მას გააჩნია ემოციები, როგორიც არის სიყვარული და სიხარული (იხ. რომ.15:30; გალ.5:22;);
- მას შეუძლია ნუგეშისცემა (იხ. საქმე.9:31;);
- ის ლაპარაკობს (იხ. ებრ.3:7;), ის გარკვევით ამბობს (იხ. 1 ტიმ.4:1;);
- ის ასწავლის (იხ. 1კორ.2:13;);
- ის შეიძლება დაანაღვლიანოს ვინმემ (იხ. ეფეს.4:30;);
- ის შეიძლება იყოს შეურაცხყოფილი (იხ. ებრ. 10:29;);
- მას შეიძლება შეეწინააღმდეგონ (იხ. საქმე.7:51;).

თუ ეს თვისებები ასეთი თვალსაჩინოა წმიდა წერილში, მაშინ უნდა დავინტერესდეთ, რატომ არის სულიწმიდა ასე არასწორად აღქმული?

მტრედი

მრავალი ადამიანი, ფიქრობს რა სულიწმიდაზე, მათ გონებაში ის მაშინვე ასოცირდება მტრედთან. რატომ არის ეს ხშირად პირველი, რაც გონებაში მოდის? გამოჩენილა კი ის ოდესმე მტრედის სახით? ოთხივე სახარებაში ვკითხულობთ, რომ სულიწმიდა იესოზე გადმოვიდა როგორც მტრედი (იხ. მათ.3:16; მარკ.1:10; ლუკ.3:22; იოან.1:32;). განა ხშირად არ ვაკეთებთ ამგვარ შედარებებს: „ქარივით მიქროდა“ ან „ხარივით ძლიერია“? თუ ვიტყვი, რომ ჩემი ვაჟი ხარივით ძლიერია, გადააქცევს ეს მას ოთხფეხა ცხოველად? რა თქმა უნდა, არა! ანალოგიურად, თქმა იმისა, რომ სულიწმიდა გარდმოვიდა მასზე მტრედის სახით, არ ნიშნავს, რომ ის არის მტრედი.

ვიღაცამ შესაძლოა თქვას: „დიახ ჯონ, მაგრამ ღმერთის ტახტის წინ სულიწმიდა წარმოდგენილია ცეცხლის სახით“ (იხ. გამოცხ.4:5;). დიახ ასეა, თუმცა ბიბლია ასევე ამბობს: „შევხედე

და, აჰა ... უხუცესთა შორის იდგა კრავი, როგორც დაკლული ...“ (გამოცხ.5:6;). ასე აღწერს იოანე იესოს. ჩვენ კი ვიცით, რომ იესო არ არის ოთხფეხა ცხოველი. იგივენაირად, არ არის სულიწმიდა ღმერთის ტახტის წინ მოგიზგიზე მისტიური ცეცხლი.

ამგვარად, ვინ არის სულიწმიდა?

ბიბლია გასაგებად განმარტავს, რომ სულიწმიდა არის სამების მესამე პიროვნება. დაბ.1:26; ამბობს: „და თქვა ღმერთმა: ‘*შევქმნათ* ადამიანი *ჩვენს* ხატად და *ჩვენს* მსგავსად’“. ყურადღება მიაქციეთ, რომ ღმერთს არ უთქვამს: „შევქმნი ადამიანს“. შესაქმეს დრამა მოითხოვდა სამ განსაზღვრულ მოქმედ პირს სამი განსაზღვრული საქმის შესასრულებლად; ღმერთი მიმართავდა საკუთარ თავს, როგორც მამა, ძე და სულიწმიდა. მოდით, მამას, ძესა და სულიწმიდას შორის განსხვავებების დასანახად, ვნახოთ საქმ. 10:38;

> „*ღმერთმა* სცხო *იესო* ნაზარეველს *სულიწმიდით* და ძალით. დადიოდა, ქველმოქმედებდა და კურნავდა ყველას ეშმაკისაგან შეპყრობილებს, ვინაიდან ღმერთი იყო მასთან“

ამ მუხლში, ჩვენ ვხედავთ მამას, რომელმაც სცხო იესოს სულიწმიდით — ერთი საერთო მიზნისთვის მოქმედი სამი კონკრეტული პიროვნება.

კიდევ ერთი მაგალითი განვიხილოთ:

> „ნათელღებული *იესო* მყისვე ამოვიდა წყლიდან და აჰა, გაიხსნენ ცანი და მან იხილა *ღვთის სული*, მტრედივით გარდმომავალი, მასზე რომ ეშვებოდა. აჰა, *ხმა* იყო ციდან, რომელიც ამბობდა: ‘ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე’“ (მათ.3:16-17;)

იესოს ნათლობის მომენტის აღწერისას, კვლავ ნათლად ჩანს, რომ სამების წევრები თავს ავლენენ, როგორც სამი სხვადასხვა პიროვნება. პირველი, *იესო* მონათლულ იქნა იოანეს მიერ, შემდეგ *ღვთის სული* მასზე გარდმომავალი, და ბოლოს, *მამა ღმერთი*, რომელიც ზეციდან ამბობდა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“. კვლავ ვხედავთ, ერთი მიზნისთვის მოქმედ სამივე წევრს.

მინდა შემოგთავაზოთ ამ ჭეშმარიტების ილუსტრაციისთვის საუკეთესო მაგალითი. წყალი (H_2O) შეიძლება ვიხილოთ სამი სხვადასხვა ფორმით. ტემპერატურა განსაზღვრავს მის ფორმას, იქნება ის მყარი სახით, თხევადი თუ აირად. წყლის შემცველობა – მისი მოლეკულური სტრუქტურა – იოტისოდენადაც კი არ იცვლება არასოდეს, მაგრამ მისი სახე გარემოპირობებიდან (ტემპერატურიდან) გამომდინარე ცვალებადობას ექვემდებარება. ანალოგიურად, ღმერთის არსი უცვლელია. როცა ვხედავთ ძეს, ვხედავთ მამას და სული წარმოგზავნილია, რათა გაგვიცხადოს ძე (იხ. იოან.17:21; ეფეს.1:17-18;). ღმერთი ერთია მიზნის მხრივ, მაგრამ მას აქვს სამი გამოხატულება (პიროვნება), რომლებიც ასრულებენ ინდივიდუალურ ფუნქციებს. თუმცა სამი პიროვნებაა, მაგრამ ღმერთი მხოლოდ ერთია. მეორე რჯულის 6:4 ამბობს: „ისმინე ისრაელ: უფალი, ჩვენი ღმერთი, ერთი უფალია!“. რომ. 3:30-ში წერია: „ერთია ღმერთი, რომელიც ამართლებს“. იაკ. 2:19-შიც ასევე ვკითხულობთ: „შენ გწამს, რომ ღმერთი ერთია, კარგს შვრები“. ეს ჭეშმარიტება ქვაკუთხედია ამ წიგნისთვის: არის სამი განსხვავებული ღვთაებრივი პიროვნება, მაგრამ მხოლოდ ერთი ღმერთი.

დღე 3

პირველი პიროვნება

ფაქტობრივად, სულიწმიდაა სამების პირველი პიროვნება, რომელიც ბიბლიაში ჩნდება. დაბადების პირველ თავში ვკითხულობთ: „დასაწყისში შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“ (მუხ. 1;). ახლა ვნახოთ მეორე მუხლი: „მიწა იყო უსახურ-უდაბური, და იყო ბნელი უფსკრულის პირზე. და სული ღვთისა იძვროდა წყლის პირზე“. სულიწმიდა პირველად გვხვდება აქ, დაბადების 1:2-ში; ის გახლავთ ღმერთის პირველი პიროვნება, რომელიც სახელით არის მოხსენიებული.

შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: „ჯონ, პირველ მუხლში დაწერილია, რომ „დასაწყისში შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“, როგორ ამბობ, რომ სულიწმიდაა ბიბლიაში ნახსენები, როგორც ღმერთის პირველი პიროვნება, თუ პირველ მუხლში მამა ღმერთის შესახებ წერია?“. კარგი შეკითხვაა. მაგრამ გახსოვდეთ, ღმერთი ამბობს: „შევქმნათ ადამიანი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსად“. პირველი მუხლი ლაპარაკობს თავად ღმერთზე და არა მის რომელიმე პიროვნებაზე. ამიტომ, პირველი პიროვნება, განსაზღვრული მოვალეობით, სულიწმიდაა. მეორე მუხლში ვკითხულობთ, რომ „სული ღვთისა [სულიწმიდა] იძვროდა წყლის პირზე“.

მოდით, კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს მთავარ კითხვას: ვინ

არის სულიწმიდა? შემიძლია დავამოწმო, რომ ის არის ყველაზე გასაოცარი, მშვენიერი, კეთილი, ფაქიზი, მგრძნობიარე, ძლევამოსილი პიროვნება დედამიწის ზურგზე. შესაძლოა შემეპასუხოთ: „ჯონ, დედამიწის ზურგზე?“. დიახ, დედამიწის ზურგზე. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ მამა ღმერთი არ იმყოფება აქ, დედამიწაზე; ის არის ზეცაში, თავის ტახტზე. მის მსგავსად, არც იესოა დედამიწაზე. მესმის ხალხი გამუდმებით იმეორებს: „იესო ჩემს გულშია“, მაგრამ წმინდა წერილი ნათლად გვიჩვენებს, რომ იესო ზის მამის მარჯვნივ (იხ. მარკ.16:19;). საქმე. 1:9-11-ში ვკითხულობთ:

> „სანამ ისინი [მოწაფეები] უყურებდნენ მას, ამაღლდა ის და ღრუბელმა მოაფარა მათ თვალს. როცა ისინი ხედავდნენ მის ცად ამაღლებას, აჰა, წარუდგა მათ ორი კაცი თეთრი სამოსით. უთხრეს: ‘გალილეველო კაცებო, რას დგახართ და შეჰყურებთ ზეცას? ეს იესო, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, კვლავ მოვა ისევე, როგრც ზეცად აღმავალი იხილეთ’“.

ორი მამაკაცი, რომლებიც ანგელოზები იყვნენ, გასაგებად ეუბნებიან მოწაფეებს, რომ იესო იგივენაირად დაბრუნდებოდა, როგორც იხილეს აღმავალი ზეცად. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, იესო არ დაბრუნდება დედამიწაზე მის მეორედ მოსვლამდე. უკვე იყო იესოს მეორედ მოსვლა? პასუხია, არა. ეს ნიშნავს, რომ ამჟამად, იესო იმყოფება ზეცაში, მამის მარჯვნივ.

გაიხსენეთ სტეფანეს ჩაქოლვის მომენტი. ჩვენ საქმე. 7:55-56-ში ვკითხულობთ: „ახედა მან [სტეფანემ] ცას, აღსავსემ სულიწმიდით, და დაინახა ღვთის დიდება და ღვთის მარჯვნივ მდგარი იესო, და თქვა: ‘აჰა, მე ვხედავ გახსნილ ცას და კაცის ძეს, ღვთის მარჯვნივ მდგარს!’“. შეეცადეთ წარმოიდგინოთ იესო, მთელი დიდებით შემოსილი, თავისი მოწამის პატივსაცემად ფეხზე მდგომი, მოლოდინში იმ წმინდა წუთებისა, რომელიც თაობებს გადაეცემოდა. აქ წარმოდგენილია საოცარი სურათი კვლავ გაერთიანებისა და ამავდროულად, უდავო ფაქტი იმისა, რომ იესო ახლა მამის გვერდით იმყოფება.

სიმართლე ის გახლავთ, რომ იესო, დაახლოებით 2000 წელია, ამ დიდების პოზიციაში იმყოფება. ის არ არის დედამიწაზე. ვიცი, ჩვენ გვიყვარს თქმა, რომ იესო ჩვენს გულებში ცხოვრობს, მაგრამ სინამდვილეში, სულიწმიდა, იესო ქრისტეს სულია; ის, ვისი მეშვეობითაც ხდება ჩვენი გულები მისი სამკვიდრო.

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ სულიწმიდა მოხსე-

ნიებულია, როგორც მამა ღმერთის სულად, ასევე იესო ქრისტეს სულად (ძე). მოდით, განვიხილოთ მაგალითები აღნიშნულის თვალსაჩინოებისთვის:

ფილ. 1:19-ში პავლე წერს: „ვინაიდან ვიცი, რომ ეს ჩემი ხსნა იქნება თქვენი ლოცვითა და *იესო ქრისტეს სულის* შეწევნით“. იესომ გასაგებად თქვა, რომ ის უნდა წასულიყო, რათა მის ნაცვლად სულიწმიდა მოსულიყო. ცხადია, რომ პავლე აქ მიმართავს სულიწმიდას (შემწე), და არა განკაცებულ იესოს, რადგან იესო უკვე აღარ იმყოფებოდა დედამიწაზე.

მათ. 10:20-ში იესო ამბობს: „ვინაიდან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ *თქვენი მამის სული* ილაპარაკებს თქვენში“. იესო საუბრობდა დროზე, როდესაც მისი მორწმუნენი დევნილნი იქნებოდნენ სახარების გამო. მამა ღმერთის სული (სულიწმიდა) წარუძღვებოდა მათ და მისცემდა საჭირო სიტყვებს.

ახლაც კი, როდესაც ამ წიგნს ვწერ, ეს არ გახლავთ ჩემი ინტელექტის ან გამოცდილების ნაყოფი. ჩემი მამის სული გასწავლით ჩემი მეშვეობით. მიცდია საკუთარი ძალებით მესწავლებინა სხვებისთვის, მაგრამ დამიჯერეთ, ეს მარცხით დასრულდა. მხოლოდ მისი მადლით და ძალით ვარ ის, რაც ვარ. კარგი კი ის არის, რომ უფალს არასდროს გაუცრუებია ჩემთვის იმედი. ის ყოველთვის ჩემთანაა. როდესაც თავმდაბლობით შევძახი მადლის სულს (ებრ. 10:29;), ის ერთგულია, რომ ჩემი სისუსტე სიძლიერედ გარდაქმნას.

როგორ მოქმედებს სამი

სიტყვები „სამი ერთში“ ძალზედ რთული გასაგები შეიძლება იყოს, რადგან ადამიანური გაგება ვერ სწვდება მას. I კორ.12:5-7; გვიქმნის წარმოდგენას, თუ როგორ მოქმედებს სამი, როგორც ერთი.

> „მსახურებანიც სხვადასხვანაირია, უფალი კი ერთია. მოქმედებანიც სხვადასხვანაირია, ხოლო ღმერთი ერთია, რომელიც ამოქმედებს ყველას ყველაში. მაგრამ თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ“ (1კორ.12:5-7;)

ვკითხულობთ რა ამ მონაკვეთს, ვხედავთ, რომ მამა, ძე და სულიწმიდა, თითოეული განსხვავებულ როლს ასრულებს. მამა მართავს ან ამოქმედებს (მუხ.6;), ძე ანხორციელებს ადმინისტრირებას (მუხ.5;), ხოლო სულიწმიდა გამოავლენს (მუხ.7;); თუმცა თითოეული მათგანი ერთად მოქმედებს, ერთი მიზნისთვის.

თუ ჩვენ გადავწყვიტავთ ავაშენოთ სახლი, რა იქნება ამისთვის საჭირო? რა თქმა უნდა, არქიტექტორის, საქმეთა მწარმოებლის და მუშების დაქირავება. ამ თვალსაჩინოების მიხედვით, მამა ღმერთი გვევლინება, როგორც არქიტექტორი, იესო - საქმეთა მწარმოებელი, ხოლო სულიწმიდა წარმოდგენილია იმ მუშათა სახით, რომლებიც ააშენებენ სახლს — ის არის, რომელიც „გამოავლენს“ [თვალსაჩინოს ხდის] შექმნილს. სამივე როლი აუცილებელია ნებისმიერი სახლის ასაშენებლად.

ღვერთის თითი

მოდით, განვიხილოთ ერთი და იგივე ამბის ორი სხვადასხვა მონათხრობი. იესომ განკურნა დემონებით შეპყრობილი კაცი. ხალხი გაოცებულია, მაგრამ ფარისევლებმა თქვეს, *ის ნამდვილად ეშმაკთა მთავრის, ბელზებულის ძალით დევნისო ეშმაკებს* (იხ. მათ. 12:23-24;). 28-ე მუხლში ვკითხულობთ იესოს პასუხს: „თუ მე ღვთის სულით ვდევნი ეშმაკებს, აბა, მოსულა თქვენთვის ღვთის სასუფეველი“.

ლუკაც წარმოგვიდგენს იესოს ამ სიტყვების ჩანაწერს, მაგრამ ოდნავ განსხვავებულად. ლუკ. 11:20-ში წერია: „და თუ მე *ღვთის თითით* ვდევნი ეშმაკებს, აბა, დაგდგომიათ ღვთის სასუფეველი“. მათეც და ლუკაც მიუთითებენ სულიწმიდაზე. როგორც ხშირად აკეთებენ ავტორები, ლუკა სულიწმიდის პიროვნების ნაცვლად მის ფუნქციას მოიხსენიებს. ამგვარად ვასკვნით, რომ სულიწმიდა შეიძლება დახასიათებულ იქნას, როგორც „ღვთის თითი“.

სულიწმიდის ფუნქცია ასევე აღწერილია, როგორც *ღვთის ხელი* და *ღვთის მკლავი*. წმიდა წერილში დაწერილია, რომ ღმერთი „ძლიერი ხელით და შემართული მკლავით“ იხსნის თავის ხალხს (ფსალ.135:12;). ფსალ. 8:4-ში წერია: „როცა შევხედავ შენს ცას, შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე...“. მორწმუნეთა უმრავლესობა ვერც კი აცნობიერებს, რომ სწორედ სულიწმიდაა ის, ვინც განათავსა ვარსკვლავები და პლანეტები ცაზე; ის არის, რომელმაც თვალნათელი გახადა მთელი ქმნილება. გახსოვდეთ, დაბ. 1:2-ში ვკითხულობთ: „...სული ღვთისა იძვროდა წყლის პირზე“. ის ელოდებოდა მამა ღმერთს, რომ ემოქმედა. ხოლო ძეს უნდა წარმოეთქვა სიტყვა: „იყოს ნათელი“, რადგან იესო არის ღვთის სიტყვა. როდესაც ითქვა: „იყოს ნათელი“, ამით ძემ ადმინისტრირება გაუწია მამის ნების შესრულებას, ხოლო სულიწმიდამ შექმნა ის, რაც ითქვა.

ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მუხლები არის ესაიას 40:12-15, სადაც ღვთის სულის დიდმნიშვნელოვნებაზე და სიდიადეზე ვკითხულობთ:

„ვინ მოითავსა მუჭში ოკეანეები? ვინ გადაზომა ცა მტკაველით? ვინ იცის დედამიწის წონა და ვინ აწონა სასწორით მთები და ბორცვები? ვის შეუძლია დამოძღვროს უფლის სული თავისი რჩევით? ვინ იცის საკმარისი, რომ ურჩიოს ან ასწავლოს მას? დასჭირვებია უფალს ოდესმე ვინმეს რჩევა ან დარიგებანი თუ რა არის კარგი? ასწავლა მას ვინმემ რა არის სწორი ან უჩვენა ვინმემ სამართლის გზა? არა, ვინაიდან ყველა ერი არის როგორც წვეთი კარდალიდან. ისინი ჩანან, როგორც მტვერი სასწორის პინაზე. მის ხელში მთელი სამყარო ქვიშის ნამცეცის მსგავსია“ (ეს.40:12-15; NLT)

მეთორმეტე მუხლში ვკითხულობთ: „ვინ გადაზომა ცა მტკაველით?“. აქ მისი ფუნქციით შეგიძლიათ სულიწმიდის იდენტიფიცირება. დაფიქრდით ამაზე. უფლის სულს ხელთ ეპყრა ოკეანე. ხედავთ, რამდენად ძლევამოსილია ის? და მაინც, მან იმდენად დაიმდაბლა თავი, რომ დათანხმდა მამას და ძეს მოსულიყო და ჩვენში დამკვიდრებულიყო. როგორი გასაოცარი და სულის შემძვრელი რეალობაა!

დღე 4

სულიწმიდა არის ღმერთი

მოდით, განვიხილოთ სულიწმიდის როლი ადამიანის შექმნის დროს. ვკითხულობთ: „და გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა, და იქმნა კაცი ცოცხალ არსებად“ (დაბ. 2:7;). სულიწმიდა იყო ის, ვინც რეალურად შექმნა ადამი და მის ნესტოებში სიცოცხლე შთაბერა. საიდან ვიცი, რომ ეს სიმართლეა? იობის 33:4-ში წერია: „ღვთის სულმა შემქმნა და ყოვლადძლიერის სუნთქვა მასულდგმულებს“. სულიწმიდამ არა მხოლოდ ადამი გამოსახა და შთაბერა სიცოცხლე მის ნესტოებს, მან ასევე გამოგვსახა მე და შენ და ჩვენში შთაბერა სიცოცხლე. ფსალმ. 138:13; ამბობს: „შენ დაბადე თირკმელნი ჩემნი და გამომძერწე დედაჩემის წიაღში“. ყველაფერი, რასაც ვხედავთ, ღმერთის სულმა გამოსახა, რადგან იგავ.26:10-ში (NIV) წერია: „დიადი ღმერთი, რომელმაც გამოსახა ყოველივე...“. ყველაფერი, რასაც

შექმნილს ვხედავთ, გამოვლინდა იმის გამო, რომ სულიწმიდამ განახორციელა მამის შემოქმედებითი ნება-სურვილი.

ვიმედოვნებ, ნათლად ხედავთ, რომ სულიწმიდა არის ღმერთი. მოდით, ვნახოთ კიდევ რა სახელებით არის მოხსენიებული სულიწმიდა წმიდა წერილში:

- სულიწმიდა (96-ჯერ);
- უფლის სული (28-ჯერ);
- ღვთის სული (26-ჯერ)
- საუკუნო სული (ებრ.9:14;);
- დამხმარე, შემწე (4-ჯერ იესოს მიერ იოანეს სახარებაში);
- ნუგეშისმცემელი;
- წმიდა (ფსალმ.77:41;);
- უფალი (2კორ.3:17;);
- ჭეშმარიტების სული (4-ჯერ);
- ქრისტეს სული (რომ.8:9; 1პეტრ.1:11;);
- იესო ქრისტეს სული (ფილიპ.1:19);
- სული რჩევისა (ეს.11:2;);
- სული ცოდნისა (ეს.11:2;);
- სული ძლიერებისა (ეს.11:2;);
- სული გონიერებისა (ეს.11:2;);
- სული სიბრძნისა (ეს.11:2;);
- სული უფლის მოშიშებისა (ეს.11:2;);
- თქვენი მამის სული (მათ.10:20;);
- სული დიდებისა (1პეტრ.4:14;);
- სული მადლისა (ზაქ.12:10; ებრ.10:29;);
- სამსჯავროს სული (ეს.4:4;);
- მწველი სული (ეს.4:4;);
- სიცოცხლის სული (რომ.8:2;);
- სიყვარულის სული (2ტიმ.1:7;);
- ძალის სული (2ტიმ.1:7;);
- თავშეკავების სული (2ტიმ.1:7;);
- წინასწარმეტყველობის სული (გამოცხ.19:10;);
- გამოცხადების სული (ეფეს.1:17;);
- სიწმინდის სული (რომ.1:4;);
- წმიდა ღმერთის სული (4-ჯერ დანიელში).

ის ღირსია, ის ძლევამოსილია, ის დიდებულია!

იესო სრულიად იყო დამოკიდებული სულიწმიდაზე

იესო სრულიად იყო დამოკიდებული სულიწმიდაზე. ის ჩაისახა სულიწმიდით, ის განისწავლებოდა სულიწმიდით, ის ძალით შეიმოსა სულიწმიდის მიერ მდინარე იორდანესთან და მას არცერთი სასწაული არ მოუხდენია, ვიდრე სულიწმიდით არ იქნა მონათლული (იხ. იესოს მიერ გალილეის კანაში მოხდენილი პირველი სასწაული: იოან.1:29-34; და 2:1-11;). ის სულიწმიდის მიერ იყო წარმართული და ლაპარაკობდა მხოლოდ იმას, რასაც სულისგან ისმენდა.

იოანე 14:10-ში იესო ამბობს: „სიტყვებს, რომელთაც გეუბნებით, ჩემით არ ვამბობ. *ჩემში მყოფი მამა* აკეთებს საქმეებს“. დააკვირდით, იესოს არ უთქვამს: „ზეცაში მყოფი მამა“ მან თქვა: „ჩემში მყოფი მამა“.

ჯონ, გინდა თქვა, რომ იესო სულიწმიდას მამად მოიხსენიებდა? დიახ, რატომაც არა? აი, რა უთხრა ანგელოზმა იოსებს: „ნუ შეგაშინებს შენი ცოლის, მარიამის მიღება, ვინაიდან ის, რომელიც მასშია ჩასახული, სულიწმიდისგან არის“ (მათ.1:20;). იესო სულიწმიდისგან იყო ჩასახული, ასე რომ შესაძლოა მას სულიწმიდა მოეხსენიებინა, როგორც „ჩემში მყოფი მამა“.

სიმართლე ის გახლავთ, რომ დედამიწაზე ყოფნის დროს, იესო ყოველთვის სულიწმიდასთან ერთად მოქმედებდა. იესომ პირდაპირ განაცხადა: „ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია“ (იოან.5:19;). თუ იესოს — თვით ღმერთის ძეს — მისი მისიის აღსასრულებლად ესაჭიროებოდა ამგვარი უწყვეტი თანამშრომლობა სულიწმიდასთან, ჩვენ რამდენად მეტად გვესაჭიროება დღეს სულიწმიდა ჩვენი მისიის აღსასრულებლად?

არავინ იცნობს სულიწმიდას იესოზე უკეთ. მაშ, მოდით ვნახოთ, თუ რას ამბობს იესო სულიწმიდის როლის, პიროვნების, ძალის, მახასიათებლების და სხვა შესაძლებლობების შესახებ ჩვენს ცხოვრებაში. იოანე 14:15-18-ში იესო ამბობს:

> „თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით. მე მამას შევევედრები და ის სხვა დამხმარეს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ – ჭეშმარიტების სულს, რომლის მიღებაც არ შეუძლია წუთისოფელს, რადგან ის ვერც ხედავს მას და არც იცნობს; თქვენ კი იცნობთ მას, რადგან თქვენთან რჩება და თქვენში იქნება. ობლად არ დაგტოვებთ; მოვალ თქვენთან“.

იმდენი კარგი რამ არის გადმოცემული წმიდა წერილის ამ მონაკვეთში. პირველი, შეამჩნევდით იესო ამბობს: „თუ გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით“. საინტერესოა, რომ იესო სულიწმიდაზე საუბარს იწყებს შეხსენებით, რომ ვცნოთ მისი

უზენაესი ავტორიტეტი, მისი უფლობა. ის განსაკუთრებულად ამახვილებს ჩვენს ყურადღებას მორჩილებაზე, რათა დავიცვათ მისი მცნებანი. პეტრე ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას: „მოწმენი ვართ ამ სიტყვებისა ჩვენ და სულიწმიდა, *რომელიც ღმერთმა მისცა თავის მორჩილთ*“ (საქმ.5:32;). ღმერთი სულიწმიდას აძლევს მათ, რომლებიც მას ემორჩილებიან.

ახლა დააკვირდით, იესო ამბობს იოანეს 14:16-ში: „მე მამას შევევედრები და ის სხვა დამხმარეს მოგივლენთ“. განვიხილოთ სიტყვა *სხვა* ბერძნულ ორიგინალში. ახალ აღთქმაში ორი სხვადასხვა ბერძნული სიტყვა გვხვდება, რომელიც ჩვენს ენაზე ნათარგმნია, როგორც *სხვა*. ეს ბერძნული სიტყვებია, *heteros* და *allos*. *Heteros* ნიშნავს „სხვა, განსხვავებული სახის“. *Allos* ნიშნავს „სხვა *იგივე* სახის“.[2] რომელი სიტყვა გამოიყენა აქ იესომ?

ვიდრე გიპასუხებდეთ, მინდა შემოგთავაზოთ მაგალითი ამ ორ ბერძნულ სიტყვას შორის განსხვავების ილუსტრირების მიზნით. წარმოიდგინეთ სცენა: მე გამოგიწოდეთ ხილი, მაგალითად ვაშლი. მას შემდეგ, რაც თქვენ ეს ვაშლი შეჭამეთ, მე გკითხეთ: „კიდევ გნებავთ სხვა ხილი?“.

თუ მიპასუხებთ: „დიახ“, და მე გამოგიწვდით ფორთოხალს, ეს ნიშნავს, რომ მე თქვენ მოგაწოდეთ „სხვა“; სხვა, თუმცა *განსხვავებული სახის*. ფორთოხალიც ხილია, მაგრამ განსხვავებული სახეობის, ვიდრე ვაშლი. ეს არის მაგალითი *heteros* ილუსტრირებისთვის.

მაგრამ, თუ მთხოვთ ისევ ხილს და მე მოგაწვდით მეორე ვაშლს, მაშინ იტყვით, რომ მე მოგეცით *სხვა იმავე სახის*. ეს არის მაგალითი *allos* თვალსაჩინოებისთვის.

ახლა დავუბრუნდეთ თავდაპირველ კითხვას. როდესაც იესომ თქვა, რომ მამა მოგვივლენდა „სხვა“ დამხმარეს, რომელი სიტყვა გამოიყენა მან? ეს იყო სიტყვა *allos*. ამგვარად, ის ამბობს: „მამა მოგივლენთ სხვა დამხმარეს, რომელიც ისეთივეა, როგრიც მე“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იესო ამბობს, რომ ის და სულიწმიდა არიან ერთი სახის.

დღე 5

ცხოვრების თანამგზავრი

მეორე სიტყვა, რომელსაც იესო ახსენებს იოანე 14:16-ში არის სიტყვა „*დამხმარე*“. ამ ადგილზე გამოყენებულია ბერძნული სიტყვა *parakletos*. იოანეს წერილში იესოც მოხსენიებულია სიტყვით *parakletos*: „შვილნო ჩემნო ... გვყავს შუამდგომელი [*parakletos*] მამის წინაშე, მართალი იესო ქრისტე“(1 იოან.2:1;).

როგორც იესო, ასე სულიწმიდა ასრულებს დამხმარის ანუ *parakletos*-ს როლს. რას ნიშნავს ეს ბერძნული სიტყვა? ძველად, მას უწოდებდნენ ვექილს, ადამიანს, რომელიც შუამდგომლობდა ვინმეს დასაცავად.[3] ის ასევე გამოიყენებოდა პირადი მრჩევლის, მასწავლებლის ან დამრიგებლის აღსანიშნად.

Parakletos ორი ბერძნული სიტყვისგან შედგება: *para* და *kaleo*. *para* ნიშნავს „ძალიან ახლო". პავლემ ამ სიტყვით აღწერა თავისი ურთიერთობა ტიმოთესთან. პავლეს არავინ ჰყოლია მოციქულ ტიმოთეზე ახლობელი (იხ. ფილიპ.2:20;). ჩემი მეუღლე ჩემთვის არის *para*. მთელს დედამიწის ზურგზე არავინ არის ჩემთვის ლიზაზე ახლობელი. ამ სიტყვით აღვწერდი ჩემს ურთიერთობას ლიზასთან.

მეორე ბერძნული სიტყვა *kaleo*, ნიშნავს „მოხმობა ან მოწოდება". ეს სიტყვა ხშირად გამოიყენება წერილებში, როდესაც მოციქულები აღწერენ თავიანთ მოწოდებას. მაგალითად, როდესაც პავლემ თქვა: „მოწოდებული ვარ წარმართთა მოციქულად", მან გამოიყენა ბერძნული სიტყვა *kaleo*. სიტყვა „მოწოდება" თავისი მნიშვნელობით, გულისხმობს ფიქრებს ხვედრის შესახებ და მოქმედებას.

ამ ორი ბერძნელი სიტყვის შეერთებით, გაცილებით უკეთესად გავიგებთ, თუ რა თქვა იესომ. არსებითად, ის ამბობს, რომ *სულიწმიდა მოწოდებულია გამუდმებულად იყოს ძალიან ახლოს თითოეულ ჩვენგანთან, რათა გვასწავლოს, მოგვცემს მიმართულება, მითითებები და რჩევები მთელი ცხოვრების მანძილზე.* ეს გახლავთ მისი მოწოდება, მისი ამოცანა. ის განუწყვეტლივ ჩვენთანაა, რათა დაგვეხმაროს და ის არასოდეს იღლება! იესომ თქვა, რომ სულიწმიდა სამუდამოდ დამკვიდრდებოდა ჩვენთან (იოან.14:16;). ის არასდროს მიგვატოვებს. როგორი ძვირფასი დაპირებაა! ფაქტობრივად, იესომ თქვა, რომ სულიწმიდა გააგრძელებდა მის საქმიანობას და მისიას ჩვენს ცხოვრებაში.

ხშირად მესმის ადამიანებისგან: „ნეტავ იესოს გვერდით ვყოფილიყავი, რამდენი რამ მინდა ვკითხო". რატომ არ უსვამთ ამ კითხვებს სულიწმიდას? ეს გახლავთ საკითხი, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენი შეხედულებანი, თუ როგორ აღვიქვამთ სულიწმიდას. თუ ვაცნობიერებთ, რომ ის არის პიროვნება, მაშინ არ ვიფიქრებდით, რომ მას არ გააჩნია უნარი გვასწავლოს და დაგვარიგოს. თუკი მართლაც გვწამს, რომ სულიწმიდა ისეთია, როგორც ღმერთის სიტყვა ამბობს, მაშინ პატივისცემით მივიღებდით მას და გვეცოდინებოდა, რომ ის არის ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე და მას გააჩნია როგორც სურვილი, ასევე შესაძლებლობა გვასწავლოს, დაგვეხმაროს და

დაგვარიგოს. მას სწადია ჩვენთან სიახლოვე და ჩვენთან საუბარი.

სამწუხაროდ, ალბათ, სწორედ სულიწმიდაა მის ეკლესიაში ყველაზე მეტად უგულვებელყოფილი პიროვნება. რამდენჯერ ვიკრიბებით ისე, რომ მას არ მივაგებთ პატივს და არც კი ვახსენებთ? რამდენჯერ ვატარებთ მთელ დღეს, დილას, შუადღეს, შემდეგ საღამოს ისე, რომ ერთ სიტყვასაც არ ვეუბნებით მას, ვინც მოწოდებულია მუდმივად იყოს ჩვენში და ჩვენთან ერთად?

განმაცვიფრებელი განცხადება

იოანე 16:7-ში იესომ გააკეთა განსაცვიფრებელი განცხადება: „ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ...“.

სანამ ამ მუხლს გავაგრძელებდეთ, მინდა დაგიხატოთ ასეთი სურათი: იესო ესაუბრება თავის მოწაფეებს. დაახლოებით სამი წელია უკვე, ის გამუდმებით მათთან ერთად არის. ყველაფერი ასრულდა, რაც კი მას უთქვამს. ეტყოდა ქარს, რომ ჩამდგარიყო და ასეც ხდებოდა. უთხრა, რომ ამა და ამ ადგილზე იპოვიდნენ სახედარს და ასეც მოხდა. იესომ იქამდე იცოდა, რომ მოწაფეებს შორის ერთ-ერთი მოღალატე იყო, ვიდრე ის რამით იქნებოდა გამოააშკარავებული. მან უბრძანა ლეღვის ხეს, რომ გამხმარიყო და გახმა. ყველაფერი, რასაც იესო ამბობდა სრულდებოდა. ამის მიუხედავად იესომ ეს განცხადება დაიწყო სიტყვებით: „ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ“. იესომ იცოდა, რომ მოწაფეებისთვის „შოკის მომგვრელი“ იქნებოდა მისი სიტყვები, ამიტომ უნდოდა დაერწმუნებინა მოწაფეები, რომ სიმართლეს ეუბნებოდა.

ამრიგად, რის თქმას აპირებდა იესო? „ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ: თქვენთვის უკეთესია, რომ წავიდე რადგან თუ არ წავედი, დამხმარე [*parakletos*] ვერ მოვა თქვენთან. თუ წავალ, მე მოგივლენთ“ (იოან.16:7;).

წარმოიდგინეთ თავი მოწაფეების ადგილზე. თქვენი ხელმძღვანელი, რომელიც იცით, რომ ღვთის ძეა, გეუბნებათ, რომ მან უნდა დაგტოვოთ, ის უნდა წავიდეს, მაგრამ ეს თქვენს სასიკეთოდ კეთდება. პირადად მე, ეს არანორმალურად მომეჩვენებოდა. თუ ის ღმერთია, განა ყველაზე სასიკეთო ჩემთვის მის გვერდით ყოფნა არ იქნებოდა? დარწმუნებული ვარ ამასვე იფიქრებდნენ მოწაფეებიც. ამის გამო გააკეთა იესომ შესავალი შემდეგი სიტყვებით: „ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ“.

მაშ, რატომ იყო უკეთესი მოწაფეებისთვის და მორწმუნეთა მომავალი თაობებისთვის, თქვენი და ჩემი ჩათვლით, რომ იესო წასულიყო? განვიხილოთ ეს. თუ იესო არ დატოვებდა დედამი-

წას, მაშინ სულიწმიდა არ მოვიდოდა ჩვენთან. თუ მე იესოსგან რაიმეს მიღება დამჭირდებოდა, მის სანახავად მრავალი კილომეტრი მექნებოდა გასავლელი. ალბათ, მომიწევდა თვითმფრინავით ჩაფრენა თელავივში (რომელიც იქნებოდა მსოფლიოში ყველაზე გადატვირთული აეროპორტი), შემდეგ დამჭირდებოდა მანქანის დაქირავება გალილეამდე, იქ ჩასული ალბათ, ღამის გასათევად გაჭირვებით მოვეწყობოდი სადმე (სასტუმროები ყველგან დაკავებული იქნებოდა). ამის შემდეგ დავიწყებდი იესოს ძებნას. ეს არ გამიჭირდებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მასთან დასალაპარაკებლად და სათხოვნელად მილიონი სხვა ადამიანიც იდგებოდა რიგში. ვიპოვიდი რა იესოს, მომიწევდა კაცობრიობისთვის ცნობილი რიგების ყველაზე რთული სისტემის გადალახვა.

ამ უსასრულო რიგის გამო, რა თქმა უნდა, დროშიც შეზღუდული ვიქნებოდი, სულ ალბათ, მაქსიმუმ 6 წამი მექნებოდა იესოსთან სასაუბროდ და ამიტომ ყველა კითხვა თუ სათხოვარი მომზადებული უნდა მქონოდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მეთქვა. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ იესოს დასჭირდებოდა დასვენება, დაძინება, ჭამა ანუ დღე-ღამეში ყველაზე ბევრი 14 საათი ექნებოდა მასთან შეხვედრის მსურველთა მისაღებად. აქედან გამომდინარე, დღეში მხოლოდ 840 კაცის ნახვას მოასწრებდა, თუ თითოეულს 60 წამს დაუთმობდა. ამიტომ იესოს მილიონი კაცის მისაღებად დასჭირდებოდა 1 190 დღე (3.26 წელი). მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ნაკადს გამუდმებით შეუერთდებოდნენ ახალი ადამიანები და რა მოხდებოდა, თუ ცალკე შესასვლელი დაეთმობოდათ იმ ადამიანებს, რომელთაც სასწრაფო საჭიროება ან სათხოვარი ექნებოდათ? ასეთები ყოველთვის ჩემზე წინ გავიდოდნენ. ვფიქრობ ვხვდებით, რომ იესოსთან მოხვედრა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა და ფაქტობრივად, ვერც მოვახერხებდით.

კარგი ამბავი კი ის არის, რომ სულიწმიდა *ყოველთვის* ჩვენთან და ჩვენთვის არის. მას არც დაძინება ესაჭიროება და არც ჭამა. მას შეუძლია ერთდროულად მილიარდობით დიალოგი აწარმოოს მილიარდობით სხვადასხვა ადამიანთან. როდესაც ღმერთის სიტყვას საშუალებას მივცემთ სრულიად შეცვალოს ჩვენი წარმოდგენა სულიწმიდის შესახებ, მაშინ დავიწყებთ იმის გაგებას, თუ რატომ უთხრა იესომ მოწაფეებს შემდეგი სიტყვები: „თქვენთვის უკეთესია, რომ წავიდე“.

გახსოვდეთ, სულიწმიდა ზუსტად ისეთივეა, როგორიც იესოა: ის ასწავლის, როგორც იესო ასწავლიდა, ის განავრცობს ღმერთის სასუფეველს იესოს მსგავსად და ის აქ არის, ჩვენთან!

ხედავთ, რამდენად გასაოცარია ის? ახლაც კი, როცა ამ წიგნს ვწერ, სულიწმიდა უფრო ფართოდ მიხელს თვალს იმ სფეროებზე, რომელშიც მანამდე მის ხმას და თანდასწრებას ვზღუდავდი. ვიმეორებ, ის არის ჩვენი მასწავლებელი, მრჩეველი, დამცველი და დამრიგებელი – ჩვენ გვჭირდება, რომ სულიწმიდა აქტიურად მონაწილეობდეს ჩვენს ცხოვრებაში!

მომდევნო თავში ჩავუღრმავდებით საკითხს, თუ რას ნიშნავს იყო ძალიან ახლოს ყოვლისშემძლე ღმერთთან.

სულიწმიდის გაცნობა

„მამას შეევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს (მრჩეველი, დამხმარე, შუამდგომელი, დამცველი, ძალით შემმოსველი, მტკიცე დასაყრდენი) მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ – ჭეშმარიტების სულს...

– იოან.14:16-17; AMP

სულიწმიდა ჭეშმარიტად გასაოცარია! გადარჩენასთან ერთად, რომელიც ქრესტემ გვიბოძა, სულიწმიდა არის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რომელიც კი ოდესმე მიგვიღია ან მივიღებთ. და ვინ არის მაინც სულიწმიდა? გამოცდილი ავტორი და მწყემსი **ა.უ. ტოზერი** გვიზიარებს...

> „სულიწმიდა – ენთუზიაზმი არ არის ...ის პიროვნებაა. დიდი ასოებით ჩაწერეთ, რომ სულიწმიდა არ არის არსება, რომელსაც უბრალოდ სიცოცხლის სხვა ფორმა გააჩნია, არამედ ის არის პიროვნება, ყველა პიროვნული მახასიათებლით და ძალით. როგორც ნებისმიერ პიროვნებას, სულიწმიდას გააჩნია ნება, ინტელექტი, გრძნობები და ცოდნა, უნარი უყვარდეს, ხედავდეს და ფიქრობდეს, ესმოდეს და მეტყველებდეს, მას გააჩნია სურვილები“.[1]

სანამ ამ წიგნის დახმარებით დაიწყებდით შესწავლას, როგორ გესმოდათ, ვინ იყო სულიწმიდა?

_____

_____

_____

ყურადღებით წაიკითხეთ და დაფიქრდით იმ სახელებზე, რომლითაც მოხსენიებულია სულიწმიდა წმიდა წერილში. ამ სახელების მეშვეობით, რას გებულობთ სულიწმიდის შესახებ?

_____

_____

ცოდნა იმისა, რომ სულიწმიდა არის პიროვნება, თანასწორი მამისა და ძისა, არსებითად მნიშვნელოვანია ღმერთთან ჯანსაღი ურთიერთობის განსავითარებლად. ტოზერი განაგრძობს...

> „...ყველაფერი, რაც არის ძე, არის სულიწმიდაც, და ყოველივე, როგორიც არის მამა, ასევე არის სულიწმიდა და სულიწმიდა იმყოფება მის ეკლესიაში. როგორია ის? ზუსტად ისეთივეა, როგორიც იესო. თუ წაგიკითხავთ ახალი აღთქმა და იცით როგორია იესო, სულიწმიდაც ასეთია, ვინაიდან იესოც ღმერთია და სულიწმიდაც არის ღმერთი; და მამაც ზუსტად ისეთია, როგორიც არის ძე; თუ იცი, როგორია მამა, იცი როგორია ძე, და თუ იცი როგორია ძე, იცი როგორია სულიწმიდა“.[2]

ხედავთ სულიწმიდას ახლებურად? მისი ხასიათის ახალი ასპექტების აღმოჩენამ რამდენად გაგამხნევათ და გიბიძგათ, რომ საშუალება მისცეთ სულიწმიდას უფრო აქტიურად ჩაერთოს თქვენს ცხოვრებაში?

საფუძვლიანი შესწავლისთვის...

იოან.12:44-45; 14:8-11; 2 კორ.4:4; კოლ.1:15-19; ებრ.1:3.

ის არის ღმერთი და არა არსება

„უფალი და სული ერთია...“

– 2 კორ. 3:17; CEV

გახდით რა ღვთის შვილი, თქვენ მოგეცათ მისგან დაპირებული, ძვირფასი საჩუქარი: მისი წმიდა სული (იხ. გალ.4:6;). ღვთის სული არ გახლავთ გაურკვეველი მისტიური ძალა, რომელიც გალაქტიკაში მოძრაობს. ის თავად არის ღმერთი სრული სისავსით, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

ენდრიუ მურაი, მეცხრამეტე საუკუნის მსახური და 200-ზე მეტი წიგნის ავტორი, წერს, რომ სულიწმიდა არის „ერთი მამასთან და ძესთან“ და მას მოაქვს დედამიწაზე ღმერთის დიდების „სრულყოფილი გამოცხადება“. ის განაგრძობს:

> „ყოველივე, რაც ძველი აღთქმით იყო აღთქმული ღმერთისგან ადამიანთათვის, ყოველივე, რაც გაცხადდა და მოტანილ იქნა ჩვენამდე ღვთაებრივი მადლის წყალობით ქრისტეში, ახლა **სულიწმიდის** მეშვეობით უნდა გახდეს ჩვენი პირადი საკუთრება. *მისი მეშვეობით ხორციელდება ღმერთის მიერ მოცემული ყოველი აღთქმა, ყოველგვარი მადლი და გადარჩენა ქრისტეში ხდება პიროვნული საკუთრება და განცდა*“.[3]

ხვდებით? სულიწმიდის მეშვეობით მოდის სისრულეში ღმერთისგან მოცემული ყოველი აღთქმა და ჩვენი პირადი საკუთრება და განცდა ხდება. ეს არ გახლავთ მხოლოდ ერთი კაცის მოსაზრება; ეს სახარებისეული ჭეშმარიტებაა. ყურადღებით წაიკითხეთ და იფიქრეთ ამ მუხლებზე:

> „დაე, კურთხევა (ქება, დიდება, ხოტბა) იყოს ღმერთისა და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მამისა, რომელმაც გვაკურთხა ქრისტეში *ყოველგვარი სულიერი* (სულიწმიდისაგან მოცემული) *კურთხევით* ზეცაში!“
>
> – ეფესელთა 1:3;

„ყოველივე, რაც ცხოვრებაში გვეძლევა ღვთის საამებლად, სასწაულებრივად მოგვენიჭა მისი შეცნობით (პირადად და ახლოს), ვინც მოგვიწოდა ღმერთთან [სულიწმიდა]. საუკეთესო მოწვევა, რომელიც კი ოდესმე მიგვიღია!

– 2პეტრე 1:3; The Message

მაგრამ, როგორც დაწერილია: „რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ის მოუმზადა ღმერთმა თავის მოყვარულებს“. მაგრამ ღმერთმა, *სულიწმიდის მეშვეობით*, გაგვიზიარა თავისი საიდუმლო. რადგან არაფერია დაფარული სულიწმიდისაგან, ღმერთის სიბრძნის სიღრმეებიც კი.

– 1კორინთელთა 2:9-10; J.B. Phillips

რას გიცხადებთ სულიწმიდა ამ მუხლებიდან?

_____

_____

_____

როგორ ფიქრობთ, ზღუდავთ სულიწმიდის გამოვლინებას და ძალას საკუთარ ცხოვრებაში, მისი პიროვნების მიმართ თქვენი წარმოდგენებით? შეჩერდით და ილოცეთ. სთხოვეთ მას დაგანახოთ, თუ სად გჭირდებათ, რომ შეცვალოს მან თქვენი შეხედულებები. დაწერეთ ის, რასაც გაგიცხადებთ.

_____

_____

_____

_____

საფუძვლიანი შესწავლისთვის...

განმარტებებისთვის, ინტერნეტში მოიძიეთ ფრაზები „სულიწმიდის მეშვეობით“, „სულიწმიდის მიერ“ და „სულიწმიდისაგან“ (www.biblia.com). ასევე განიხილეთ 1 კორ.12:4-11; გალ.5:5; 2 თეს. 2:13.

ის არის სიცოცხლის სული

„რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გაგათავისუფლათ თქვენ ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან“

– რომაელთა 8:2; NASB

სულიწმიდა არის სიცოცხლის სული! რა შესანიშნავი სახელია! დაფიქრდით. სიცოცხლე *ყველაფერია*. ის მოიცავს ჯანმრთელობის, ზრდის, სიჭაბუკის, სიმხნევის, ენერგიისა და ძალის ყველა ასპექტს. სიცოცხლის სულში არ არსებობს სიკვდილის აჩრდილის არანაირი მოქმედება — არანაირი ავადმყოფობა ან უძლურება, დაღლილობა ან დაქანცულობა, გამოფიტვა ან ლპობა — სიკვდილის არანაირი ფორმა, არანაირი გამოვლინება.

სიცოცხლის სული იყო სამყაროს შექმნისას, რომელმაც შთაბერა სიცოცხლე დედამიწის ყოველ სფეროს. საერთაშორისო მისიონერი და მახარობელი, **ლესტერ სამრალი,** შემდეგი სიტვებით ადასტურებს ამას:

> „წმიდა წერილში პირველად სულიწმიდის მოქმედებას დაბ.1:2-ში ვხედავთ. შესანიშნავია, რომ ბიბლიის პირველსავე გვერდის მეორე მუხლი სულიწმიდის საქმიანობას გვაჩვენებს. ...ეს გახლდათ, ქაოსისგან სამყაროს მთელი სიმშვენიერის შექმნა. მიწა იყო უსახო და უდაბური. ღმერთი დაკავებული იყო თავისი შედევრის შექმნით, სულიწმიდა კი ეხმარებოდა. ღვთის სული იძვროდა წყლის პირზე და ქაოსისგან სამყარო შეიქმნა“.[4]

თქვენი ცხოვრების რომელ სფეროში ხედავთ ქაოსს ან სიცარიელეს? სად გესაჭიროებათ წესრიგი და თავისუფლება, რომლის მოტანაც მხოლოდ სიცოცხლის სულს შეუძლია? ილოცეთ და სთხოვეთ მას დაგანახოთ ეს, შემდეგ კი ის ლოცვაში გადაეცით და დაუმორჩილეთ მას. სთხოვეთ მოვიდეს ამ სფეროებში და მოიტანოს წესრიგი ისევე, როგორც სამყაროს შექმნისას.

წაიკითხეთ: ფილ.4:6-8; 1 პეტ.5:7; ფსალმ. 36:4-6.

დაგქანცათ ყოველდღიურმა რუტინამ? სიცოცხლის სულს სურს თავისი ძალით გაგაძლიეროთ. თუ დროს დაუთმობთ და გაიცნობთ მას, ის განაახლებს თქვენს ძალებს. რამდენიმე წუთით დაფიქრდით ღმერთის ამ ძლიერ აღთქმაზე:

„განა არ იცი და არ გსმენია? მარადიული ღმერთი, უფალი, შემქმნელი ქვეყნის კიდეებისა, არ იღლება და არ იქანცება, გამოუკვლეველია მისი გონება. აძლევს ძალას დაღლილს, დაქანცულს და უძლურს სიმტკიცეს უმატებს [ამრავლებს მას, უხვად აძლევს]"

– ესაია 40:28-29;

„განა ასე არ არის, რომ თუ თქვენს ცხოვრებაში მოქმედებს ცოცხალი ღმერთი, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა იესო, მაშინ ის, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით, იმავეს მოიმოქმედებს თქვენშიც და გაგაცოცხლებთ თავისთვის? როდესაც ღმერთი ცხოვრობს და სუნთქავს თქვენში (და ეს ნამდვილად ასეა), თქვენ უკვე დახსნილნი ხართ თქვენი მკვდარი ცხოვრებისგან. თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრებული, თქვენი სხეულებიც ისეთივე ცოცხალი იქნება, როგორც ქრისტესი!"

– რომაელთა 8:11;The Message

„ყოველივე ძალმიძს ქრისტეში, ჩემს განმამტკიცებელში [მზად ვარ ყოველივესთვის და შემიძლია ყველაფერი მისი მეშვეობით, ვინც მავსებს შინაგანი ძალით...]"

– ფილიპელთა 4:13; AMP

რას გელაპარაკებათ სულიწმიდა ამ მუხლებიდან? **დაწერეთ** ლოცვა, რომელშიც სთხოვთ სიცოცხლის სულს აღგავსოთ შინაგანი ძალით და გაგხადოთ ისეთივე ცოცხლები, როგორიც იყო იესო ამ დედამიწაზე ყოფნისას.

საფუძვლიანი შესწავლისთვის...

დაბ. 1:2; ნეემ. 9:6; ესაია 40:12-15; ფსალმ; 7:3-9; 103:24-30; იობ. 33:4.

ჩვენ სრულად უნდა ვიყოთ დამოკიდებულნი მასზე

„არა ძალითა და ძლიერებით გექნებათ წარმატება, არამედ ჩემი სულითო, –ამბობს ცაბაოთ უფალი“

– ზაქარია 4:6;

ქრისტე იესო, ძე ღვთისა, სრულად იყო დამოკიდებული სულიწმიდაზე, მამის სულზე. ყოველივე მის ცხოვრებაში, ჩასახვიდან დაწყებული ამაღლებამდე, სულიწმიდის საქმიანობის შედეგს წარმოადგენდა. წმიდა წერილი ამბობს...

„ის ჩაისახა სულიწმიდისაგან“ – **მათ. 1:20; ლუკ. 1:31-35.**

„ის იყო წაყვანილი სულიწმიდის მიერ“ – **მათ. 4:1; ლუკ. 4:1.**

„ის სულიწმიდისაგან შეიმოსა ძალით“ – **ლუკ. 4:14, 18-19; იოან. 3:34.**

„ის განსწავლული იყო სულიწმიდისგან და ემორჩილებოდა მას“ **– იოან. 5:19-20, 30; 14:10.**

და უთხრა იესომ იუდეველებს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მხოლოდ ის შეუძლია აკეთოს, რასაც ხედავს, რომ მამა აკეთებს. ძე ზუსტად იმასვე აკეთებს, რასაც მამა. რადგან მამას უყვარს ძე და რასაც აკეთებს, ყველაფერს უჩვენებს მას... ჩემით არაფრის გაკეთება არ შემიძლია. როგორც ვისმენ ისე განვიკითხავ. ჩემი განკითხვანი სამართლიანია, რადგან მე არ ვცდილობ ვაკეთო რაც მსურს, არამედ ის, რაც ჩემს მომავლინებელს სურს“

– იოანე 5:19-20,30; GW

ყურადღებით წაიკითხეთ და გააანალიზეთ იესოს სიტყვები, რამდენად იყო ის დამოკიდებული სულიწმიდაზე. რას გიცხადებთ სულიწმიდა ურთიერთობაზე, რომელიც იესოსთან გააჩნდა? რისკენ გიბიძგებთ ეს?

წაიკითხეთ: საქმ.5:32; რომ.8:16; გალ.4:6; 1 იოან.3:24; და 4:13. რომელი ორი განმეორებადი ჭეშმარიტება შეგიძლიათ ამოიცნოთ სულიწმიდისა და მასთან ჩვენი ურთიერთობის შესახებ?

გალატიის ეკლესიის მორწმუნეების მსგავსად, ზოგჯერ ჩვენც გვავიწყდება, თუ რამდენად ძლიერად გვჭირდება სულიწმიდა. ყურადღებით წაიკითხეთ გალ.3:2-9; ლუკ.11:13-თან ერთად. იმისათვის, რომ სულიწმიდისგან გამუდმებულად ღებულობდეთ დახმარებას, რა შეგიძლიათ ისწავლოთ აქედან და გამოიყენოთ საკუთარ ცხოვრებაში?

ის თქვენი სამუდამო მეგობარია!

„მე მამას შევევედრები და ის სხვა მეგობარს მოგივლენთ, რათა ყოველთვის გვერდით გყავდეთ. ეს მეგობარი ჭეშმარიტების სულია“

– იოანე 14:16-17; The Message

სულიწმიდას სწადია იყოს თქვენი საუკეთესო მეგობარი! მას ყველგან თქვენს გვერდით ყოფნა სურს, მუდმივი დამხმარე, 24 საათი, კვირაში შვიდი დღე. წმიდა წერილი ამბობს: „სულიწმიდა, რომელიც მან წარმოგზავნა, რათა დაივანოს ჩვენში, ნაღვლობს ჩვენზე და იესოს შურით სწადია სულიწმიდის გამო [რათა სიხარულით იყოს მიღებული]“ (იაკ. 4:5; AMP).

სულიწმიდასთან ჭეშმარიტი მეგობრობა ფასდაუდებელია. მისი თანდასწრება და ძალა გვანიჭებს დაუსრულებელ კმაყოფილებას, რასაც ვერაფერი შეედრება. სულიწმიდაზე საუბრისას, იესომ თქვა: „ხოლო ვინც შესვამს წყლიდან, რომელსაც მე მივცემ, მას საუკუნოდ აღარ მოსწყურდება. რადგან წყალი, მე რომ მივცემ, მასში გადაიქცევა წყლის წყაროდ, რომელიც ასაზრდოვებს მას სიცოცხლის მიმნიჭებელი წყლით და მისცემს საუკუნო სიცოცხლეს“ (იოან.4:14; GNT). ამ მუხლის თაობაზე, მახარობელი და მასწავლებელი **რ. ა. ტორეი** წერდა:

> „წყალი აქ სულიწმიდას ნიშნავს. წუთისოფელს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს. ყოველ ქვეყნიურ გასართობზე უნდა ითქვას: ‘ვინც შესვამს ამ წყლიდან კვლავ მოსწყურდება’. მაგრამ *სულიწმიდას შესწევს უნარი დააკმაყოფილოს ადამიანის სამშვინველის ყოველგვარი წადილი.* სულიწმიდას და მხოლოდ მას ერთს შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანის გული.
>
> თუ საკუთარ თავს დაანებებთ სულიწმიდის ნაკადს, რომელიც თქვენშია, აღარასოდეს მოგწყურდებათ. როგორი გამოუთქმელი სიხარულით და აუღწერელი კმაყოფილებით ღვრის სულიწმიდა თავის ცოცხალ წყალს მრავალთა გულებში. გაგაჩნიათ თქვენს შიგნით ამ ცოცხალი წყლის წყარო? შეუფერხებლად მოედინება თქვენში მისი ნაკადი? გადაიქცევა ის თქვენში მარადიულ სიცოცხლედ?“[5]

იმსჯელეთ ტორეის მიერ წარმოდგენილ შეკითხვაზე: „მოჩქეფს ჩემს შიგნით ეს ცოცხალი წყარო? განვიცდი იმ ენით აღუწერელ კმაყოფილებას, რომელსაც სულიწმიდა იძლევა? თუ არა, რატომ?“. შემდეგ თხოვეთ სულიწმიდას გაჩვენოთ რისი გაკეთება შეგიძლიათ იმისათვის, რომ ყოველდღიურად და უფრო თავისუფლად ენდოთ მის მეგობრობას. დაწერეთ რას გაგიცხადებთ ის.

დამშვიდდით უფლის წინაშე (რომელიც სულიწმიდაა) და სთხოვეთ მას გახდეს თქვენთვის რეალური — უფრო მეტად რეალური, ვიდრე ოდესმე. შეევედრეთ უხვად გადმოღვაროს თქვენზე თავისი სიყვარული და მშვიდობა. ნუ ჩქარობთ. შეჩერდით და განიცადეთ, რომ ის ღმერთია. დაწერეთ ყველაფერი, რასაც სული გელაპარაკებათ.

იყავით სულიწმიდასთან თავისუფალი. მან ყველაფერი იცის თქვენს შესახებ. როდესაც გგონიათ, რომ თითქოს „ვერ პოულობთ“ საკუთარ თავს, მან ზუსტად იცის სად იმყოფებით. ის განუწყვეტლივ თქვენში მკვიდრობს, რათა გაგაძლიეროთ, გაგამხნევოთ და დაგარიგოთ. მიდით მასთან ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას. თქვენ ვერ მოქანცავთ მას. სულიწმიდა ყოველთვის სიამოვნებით დაგეხმარებათ. ის თქვენი საუკეთესო მეგობარია!

ლოცვა

სულიწმიდავ, გთხოვ სრულად გააფართოვე ჩემი შემეცნება, თუ ვინ ხარ. დამეხმარე, როგორც არასდროს ისე დავინახო შენი პიროვნება და როლი, როგორც ჩემი დამხმარისა. შემეწიე, რომ აღარასოდეს შევზღუდო შენი თანდასწრება, ძალა და ხმა ჩემს ცხოვრებაში. ამას ვლოცულობ როგორც საკუთარი თავისთვის და ოჯახისთვის, ასე მთლიანი ეკლესიისთვის. იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

სადისკუსიო საკითხები

1 სულიწმიდის *გარეშე* ქრისტიანული ცხოვრება ხდება მშრალი, მონოტონური და უძლური. მაშინ როგორი უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება სულიწმიდასთან *ერთად*? დაასახელეთ, რაც შეიძლება მეტი დადებითი გამოვლინებები და ასპექტები.

„ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“

– 2 კორინთელთა 3:17;

2 | სულიწმიდას არ დაესმის კითხვა „რა?“. ის არ არის მისტიური ძალა. ის გახლავთ სამების პიროვნება, რომელშიც არის *სისავსე* მამა ღმერთისა და ძისა. რა შეიძლება იყოს შედეგები იმისა, თუ სულიწმიდას ვუყურებთ მხოლოდ როგორც ძალას? რა დადებითი შედეგები მოაქვს, როცა ვხედავთ მას ისეთად, როგორიც ის არის: სრულყოფილი ღმერთი?

3| პირველი ქრისტიანებისთვის სულიწმიდასთან ახლო ურთიერთობა ცხოვრების ჩვეული წესი იყო, მაგრამ ეს იშვიათობაა დღევანდელ ქრისტიანთა შორის. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ ასე დავშორდით ღმერთის სულს, აღარ გვიხარია მასთან ურთიერთობა, აღარ ვეძებთ მას და აღარ ვართ დამოკიდებულნი მის ხელმძღვანელობასა და ძლიერებაზე?

4 | სად არის ახლა იესო ქრისტე? თუ მორწმუნე ხარ, ცხოვრობს ის შენს გულში? უფრო ზუსტად, როგორ შეგიძლიათ თქვენი ხსნის და იმ საოცარი მოვლენის აღწერა, თუ როგორ ხდება თქვენი გული უფლის სამკვიდრო?

ხელმძღვანელებს: ჯგუფის წევრებმა წაიკითხონ მარკ. 16:19; საქმ. 1:9-11; 7:55-56; რომ. 8:34; კოლ. 3:1; ებრ. 10:12-13; შეკითხვის პირველი ნაწილისთვის და რომ. 8:9-10; 1 კორ. 3;16; 6:19; 1 იოან. 3:24; შეხსენებისთვის.

„მიუგო იესომ და უთხრა მას: 'ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და ჩემი მამაც შეიყვარებს მას. მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს'"

– იოან. 14:23;

5 | უფალი ჩვენი ღმერთი ერთი ღმერთია, მაგრამ მას აქვს სამი სხვადასხვა გამოვლინება — მამა, ძე და სულიწმიდა. აღწერეთ სამების თითოეული პირის მთავარი ფუნქციები და როგორ მოქმედებენ ისინი ერთად ღვთის ნების აღსასრულებლად.

ხელმძღვანელებს: ჯგუფმა წაიკითხოს 1 კორ. 12:5-7; ასევე დაბ. 1 თავი და იესოს სიტყვები იოანეს სახარებიდან 5:17; 19-20.

მამა ღმერთის სული = ქრისტეს სულს = სულიწმიდას

6 | იესომ თქვა, რომ სულიწმიდა ჩვენი დამხმარეა — ჩვენი *parakletos*. ეს ნიშნავს, რომ ის მუდმივად მოწოდებულია იყოს ჩვენს გვერდით, რათა დაგვარიგოს და გვასწავლოს ყოველდღიურად ღმერთთან ერთად სიარული. როგორ გეხმარებათ ეს ცოდნა თქვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში ღმერთთან?

7 | სულიწმიდის პიროვნების რომელი ახალი მახასიათებლები დაინახეთ, რომელსაც მანამდე ვერ ამჩნევდით? როგორ აგიხილათ თვალ ი ამ აღმოჩენამ და როგორ გაამდიდრა თქვენი ცოდნა იმის თაობაზე, თუ ვინ არის სულიწმიდა თქვენს ცხოვრებაში?

შენიშვნები

პირველი თავის შეჯამება:

- **სულიწმიდა** არის სამების ერთ-ერთი პირი, რომელიც თავისში მოიცავს მამა ღმერთის და ძის სისავსეს;

- მას არ დაესმის კითხვა „რა?“ და ის არ არის მისტიური ძალა. სულიწმიდა არის ღმერთი;

- ის არ არის შეზღუდული დროით ან სივრცით. მას შეუძლია განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანს ესაუბროს და დაეხმაროს ერთდროულად;

- სულიწმიდა უშუალოდ, აქტიურად მონაწილეობდა ადრეული მორწმუნეების ცხოვრებაში და მას დღესაც შურით სწადია იყოს ჩართული ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში;

- ფაქტობრივად, არანაირი ქრისტიანული ცხოვრება არ არსებობს მის გარეშე, მაგრამ მათთვის, ვინც გახსნილია სულიწმიდასთან ამ დიდებული ურთიერთობისთვის, გამზადებულია უხვი სიცოცხლე;

- გაიცანით სულიწმიდა პირადად!

2

სულიწმიდის პიროვნება

*„გასაოცარი მადლი უფლისა იესო ქრისტესი, უზომო სიყვარული ღვთისა, და **ახლო მეგობრობა** სულიწმიდისა იყოს ყველასთან თქვენთან.*

– 2 კორინთელთა 13:14; The Message

დღე 1

ამისათვის, რომ სხვა პიროვნებასთან დავამყაროთ ახლო ურთიერთობა, პირველ რიგში უნდა შევეცადოთ გავარკვიოთ, რა აინტერესებს ამ ადამიანს. რაც უფრო მეტი ვიცით პიროვნების შესახებ, თუ რა უყვარს ან არ უყვარს, რა მიზნები ან რა ამბიციები გააჩნია, მით უფრო მჭიდრო მეგობრობას განვავითარებთ მასთან. ანალოგიურად, თუ ჩვენ ვაპირებთ სულიწმიდასთან ახლო ურთიერთობას, ჯერ უნდა შევეცადოთ გამოვიკვლიოთ მისი პიროვნება.

როგორც განვლილ თავში აღმოვაჩინეთ, იესომ განსაცვიფრებელი რამ უთხრა თავის მოწაფეებს: „თქვენთვის უკეთესია, რომ წავიდე; რადგან თუ არ წავედი ნუგეშისმცემელი ვერ მოვა თქვენთან; თუ წავალ, მე მოგივლენთ“ (იოან.16:7;). ეს იგივე იესოა, რომელმაც ერთხელ თქვა: „იგავებით გავხსნი ჩემს პირს; ვიტყვი, რაც დასაბამიდან დაფარულია“ (მათ.13:35;). იესო, უდიდესი მასწავლებელი, რომელსაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე, ის, რომელმაც გააცხადა საიდუმლოებანი, დაფარული სამყაროს შექმნიდან, ცდილობს დაარწმუნოს თავისი უახლოესი მიმდევრები, მოწაფეები, რომ ღვთის სული — არა თავად იესო ფიზიკური სხეულით — იქნებოდა მათთვის და მათ შემდგომ მომავალ მორწმუნეთა თაობებისთვის, საუკეთესო მეგობარი. გასაოცარია! არ ვიცი თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე, მაგრამ მე მინდა უფრო მეტი გავიგო სულიწმიდის შესახებ.

მოდით, დავიწყოთ პავლეს სიტყვებით 2 კორ. 13:14-დან:

„მადლი უფლისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღვთისა და თანაზიარება სულიწმიდისა იყოს ყველასთან თქვენთან“.

პავლე ხაზს უსვამს, თუ რა არის გამოკვეთილი ღმერთის თითოეული პიროვნების მხრიდან. ის იწყებს „მადლი უფლისა იესო ქრისტესი...“. როგორც მორწმუნეებს, ჩვენ არასდროს უნდა დაგვავიწყდეს, რომ უფლება, ღმერთის წინაშე დგომის, — რომელიც არის ქვაკუთხედი სულიწმიდასთან ამ გასაოცარი ურთიერთობისა — არასდროს იქნებოდა შესაძლებელი, რომ არ არა მადლი ჩვენი უფლის და მხსნელის, იესო ქრისტესი. შეუძლებელია მადლი დავიმსახუროთ ან გამოვიმუშავოთ; ეს არის მისგან მიღებული სიცოცხლის უდიდესი საჩუქარი, რომელიც თავისში მოიცავს პატიებას, გამოსყიდვას და ძალით შემოსვას.

პავლე განაგრძობს: „და სიყვარული ღვთისა...“. როდესაც ვფიქრობ, თუ რამდენად ძლიერად მიყვარს ჩემი ოთხი ვაჟი, ვერ წარმომიდგენია სიცოცხლე, მხოლოდ ერთ რომელიმე მათგანთან ერთად. მაგრამ მაინც თუ დავუშვებ, რომ ჩემს ძეთაგან მხოლოდ ერთი მყავს და ის ერთიც მტრისთვის უნდა გავიღო მსხვერპლად— ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. ჯერ კიდევ ღმერთის მტრები ვიყავით, როცა მან უყოყმანოდ გაიღო თავისი ერთადერთი ძე ჩვენთვის (იხ. რომ.5:10;). რა გასაოცარი სიყვარულია! გახარებთ, რომ მამას ასე უყვარხართ? მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მისი მტრები იყავით, ახლა შვილები ხართ; ამიტომ ახლა რამდენად მეტად გადმოღვრის თქვენზე თავის სიყვარულს! თქვენ მას უპირობოდ და სრულყოფილად უყვარხართ.

მე უზომოდ მიყვარს ჩემი შვილები, მაგრამ ჩემი სიყვარულის უნარი ახლოსაც არ დგას ჩვენდამი ღმერთის სიყვარულთან. მისი სიტყვა ამბობს: „ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზნი და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მყოფადი, ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისაგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში“ (რომ.8:38-39;). როგორი არაჩვეულებრივი აღთქმაა! მადლიერნი არ ხართ, რომ არაფერს შეუძლია ჩამოგაშოროთ მამის სიყვარულს?

ახლა განვიხილოთ 2 კორ. 13:14-ის მეორე ნაწილი და თან გვახსოვდეს, რომ ეს არის პავლეს ბოლო წერილი კორინთელთა მიმართ დაწერილი. ეს წიგნი (თვდაპირველად ის იყო წერილი) განსაკუთრებულად არის დატვირთული გასაოცარი სიბრძნითა და გამოცხადებებით. სულიწმიდის ხელმძღვანელობით, პავლე

ამ სიღრმისეული სწავლებით სავსე წერილს მნიშვნელოვანი მოწოდებით ასრულებს: „თანაზიარება სულიწმიდისა იყოს ყველასთან“. დააკვირდით, რომ პავლე სიტყვა *თანაზიარებას* სულიწმიდასთან მიმართებაში იყენებს. მე, როგორც კათოლიკურ ეკლესიაში აღზრდილ პიროვნებას, როდესაც მესმოდა სიტყვა *თანაზიარება*, ვფიქრობდი ღვინოზე და პურზე. მაგრამ ცხადია, პავლე აქ ამაზე არ საუბრობს. მაშ, რას ნიშნავს „თანაზიარება სულიწმიდისა“? თუ ორიგინალის (ბერძნულ) ენას დავუბრუნდებით, აღმოვაჩენთ, რომ მოცემულ მუხლში გამოყენებული ბერძნული სიტყვა *თანაზიარებისთვის,* არის *koinonia*. აქ მოცემულია ის განმარტებები, რომელიც ვიპოვე აღნიშნული ბერძნული სიტყვისთვის: *მეგობრობა, კომპანიონობა, ურთიერთობა, სიახლოვე, ერთად გაზიარება, სოციალური კავშირი, თანამშრომლობა, ერთობლივი მონაწილეობა* და *ურთიერთზიარი,ახლო კავშირი*. ეს გრძელი და ძლიერი ჩამონათვალია! ნება მომეცით, ის სამ ძირითად კატეგორიად დავყო:

- მეგობრობა;
- თანამშრომლობა;
- სიახლოვე.

თანაზიარება ნიშნავს მეგობრობას

ჩემი ლექსიკონი, სიტყვა „მეგობრობას“ შემდეგნაირად განმარტავს: მეგობრებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობა, ერთად გაზიარება, კომპანია. ახლო მეგობრების ან ამხანაგების ერთმანეთთან ურთიერთობა გამოიხატება სიტყვით „მეგობრობა“. ისინი ერთად ატარებენ დროს, ესაუბრებიან ერთმანეთს და იციან, რა ხდება ერთმანეთის ცხოვრებაში.

როგორც უკვე ვახსენე, ძალიან მომწონს გოლფის თამაში. სათამაშოდ უმეტესწილად ახლო მეგობრებთან ერთად მივდივარ. თამაშის განმავლობაში განუწყვეტლივ ვსაუბრობთ ერთმანეთთან. კოლეჯში ყოფნის პერიოდში ტენისის თამაში მიყვარდა და კარგ დროსაც ვატარებდი, მაგრამ ტენისის თამაშის დროს პრობლემა გახლავთ ის, რომ მოთამაშეს ვერ ესაუბრები. გოლფის თამაში კი ურთიერთობისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გარემოებაა და ამიტომაც, მთავარი მიზეზი, რის გამოც მიყვარს გოლფი, არის ის, რომ ვთამაშობ და ამავდროულად თავისუფლად ვესაუბრები მეტოქეს. გოლფის თამაშის დროს შევძელი ბევრად უფრო ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბება,

ვიდრე თითქმის ნებიემიერ სხვა ადგილას. აქ ხდება ჩემთვის „მეგობრობა“. ახლა, ალბათ, უფრო გამიგებთ, სინამდვილეში რატომ მსურს, რომ ჩემმა მეუღლემ ითამაშოს გოლფი ჩემთან ერთად, რადგან არავინაა მთელს დედამიწაზე სხვა, ვისთან ერთად ყოფნასაც ვამჯობინებდი მის კომპანიას!

ასევე, ზოგიერთი ჩემი მეგობარი გახლავთ Messenger International-ის გუნდის წევრი. ჩვენ რეგულარულად განვიხილავთ ჩვენს მიმართულებებს, გამოწვევებს და მიზნებს. მე დიდად დამოკიდებული ვარ მათ გამოცდილებასა და მეგობრობაზე. არ ვიცი, სად ვიქნებოდი დღეს ამ არაჩვეულებრივი ადამიანების გარეშე. ჩვენ გამუდმებით გვაქვს ერთმანეთთან ურთიერთობა და ამ მჭიდრო მეგობრობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა Messenger International-ის მისიის შესრულება: ასწავლოს, მისწვდეს და დაიხსნას.

წმიდა წერილიდან ნათლად ჩანს, რომ მოციქულები მთლიანად დამოკიდებულნი იყვენენ სულიწმიდასთან მეგობრობაზე. საქმეების წიგნში ვკითხულობთ: „და აჰა, ახლა სულიწმიდის მიერ შეკრული მივდივარ იერუსალიმში და რა შემემთხვევა არ ვიცი. მხოლოდ სულიწმიდა მიმოწმებს ქალაქიდან ქალაქში და მეუბნება, რომ ბორკილები და გასაჭირი მელის“(საქმ.20:22-23;). პავლე სულიწმიდასთან საუბრობდა იმის თაობაზე, თუ რა ელოდებოდა მას. შეამჩნიეთ, სულიწმიდას არ უთქვამს მისთვის, რომ ბორკილები და გასაჭირი მას მხოლოდ *ერთ* ქალაქში ელოდა. სულიწმიდასთან ამ გამუდმებული ურთიერთობიდან გამომდინარე, პავლემ იცოდა, რომ მას გასაჭირი ელოდა *ქალაქიდან ქალაქში*.

თქვენს შესახებ არ ვიცი, მაგრამ მე თუ ჩემი პარტნიორი — ის, ვისთანაც ახლო მეგობრობა მაკავშირებს — მაფრთხილებს, რომ გასაჭირი მელოდება ყველგან, სადაც წავალ, ვფიქრობ მრავალი კითხვა გამიჩნდებოდა მის მიმართ. სავარაუდოდ, ჩემი კითხვები ამდაგვარი იქნებოდა: „აზრს ხომ არ შეიცვლიდი“, „იქნებ მხოლოდ მცირედით მაინც“, ან „იქნებ გასაჭირი მცირე უსიამოვნებებით ჩაგენაცვლებინა?“. სულიწმიდას არ უხაროდა პავლეს ტანჯვები, მაგრამ ის ამზადებდა მას იმისთვის, რაც წინ ელოდა და სულიწმიდას შეეძლო ამის გაკეთება იმ ძლიერი მეგობრული ურთიერთობის წყალობით, რომელიც პავლეს მასთან გააჩნდა.

იყო დრო, როცა სულიწმიდა რაღაცას მეუბნებოდა, მე კი ამის მოსმენა არ მსურდა. ვაგრძელებდი ამ საკითხებზე მასთან მსჯელობას (იმედით, რომ განსხავებულ პასუხს მივიღებდი), მაგრამ მისგან ერთსა და იმავე სიტყვას ვღებულობდი.

როდესაც ამგვარად ვიქცევით, სულიწმიდა, საბოლოო ჯამში, ჩუმდება და ამით თითქოს ამბობს: „მე ეს საკითხი უკვე მრავალგზის გაგიცხადე. ახლა თავად უნდა გადაწყვიტო გაჰყვები თუ არა ჩემგან განსაზღვრულ მიმართულებას“. სულიწმიდასთან მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობაში ყოფნა ნიშნავს, რომ ზოგჯერ იქნება დრო, როცა ის გეტყვით ისეთ რამეს, რისი მოსმენაც არ გენდომებათ.

მოციქულთა საქმეების მე-10 თავში ვხედავთ, რომ პეტრემ მიიღო ამგვარი მიმართულება სულიწმიდისგან. ღმერთმა პეტრეს აჩვენა ხილვა, სადაც გაუცხადა თავისი ნება-სურვილი, რომ გადარჩენა უნდა მისწვდომოდა წარმართებსაც. მე-19 მუხლში ვკითხულობთ: „როდესაც პეტრე ჩვენებაზე ფიქრობდა, სულმა უთხრა მას: ‘აგერ სამი კაცი გეძებს შენ’“. ეს კაცები მოვიდნენ, რათა პეტრე წაეყვანათ წარმართი ასისთავის კორნელიოსის სახლში — ადგილზე, სადაც პეტრე, როგორც მართალი იუდეველი კაცი, ჩვეულებრივ, არასდროს წავიდოდა. ამიტომ სულმა გარკვევით უთხრა მას: „ადექი და ჩადი ამ კაცებთან, მსურს, რომ მათ გაჰყვე. მე ამ დავალებისთვის მჭირდები“. სულიწმიდამ იცოდა, რომ პეტრე არ აღფრთოვანდებოდა ხსენებული დავალებით, მაგრამ მან ეს მითითება მისცა მას ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე.

წინა თავებში ვხედავთ სულიწმიდისადმი ნდობის სხვა მაგალითს. „უფლის ანგელოზმა უთხრა ფილიპეს: ‘ადექი და წადი სამხრეთისაკენ, იმ გზაზე, რომელიც იერუსალიმიდან ღაზაში ჩადის. უკაცრიელია იგი“ (საქმე.8:26;). აქ ვხედავთ, რომ უფლის ანგელოზი ფილიპეს აძლევს დავალებას. არ წერია, რომ უფლის ანგელოზი *გამოეცხადა* ფილიპეს, არამედ წერია, რომ „უფლის ანგელოზმა უთხრა ფილიპეს“. ამას ადასტურებს სრულიად ყველა თარგმანი. რატომ არის ეს მომენტი მნიშვნელოვანი? ამ ამონარიდიდან ვასკვნით, რომ ფილიპეს შეეძლო გაერჩია უფლის ანგელოზისა და სულიწმიდის ხმები, რადგან მოგვიანებით ამავე თავში ვკითხულობთ:„უთხრა სულმა ფილიპეს: ‘მიდი და ახლოს დაუდექი მაგ ეტლს’“ (საქმე.8:29;). ფილიპესთვის ნაცნობი იყო სულიწმიდის ხმა და თან იმდენად, რომ მას შეეძლო განესხვავებინა ის ანგელოზის ხმისგან!

მე იმდენად კარგად მაქვს შესწავლილი ჩემი მეუღლის ხმა, რომ ნებისმიერ ვითარებაში შემიძლია მისი ამოცნობა. თუნდ სხვა ოთახში იმყოფებოდეს ის მრავალ სხვა ადამიანთან ერთად, შეუცდომლად შევძლებ გავარჩიო მისი ხმა უამრავ სხვა ხმებს შორის. ასევე კარგად ცნობდნენ პირველი მორწმუნეები სულიწმიდის ხმას. წარმომიდგენია, როგორ უყვებოდა ფილიპე

ლუკას ამ ამბავს, როდესაც ის საქმეების წიგნს წერდა. ალბათ, ფილიპემ თქვა: „არა ლუკა, ეს არ იყო სულიწმიდა, რომელიც დამელაპარაკა ქალაქში. ის ანგელოზი იყო. ხოლო ეტლთან მისვლა კი სულიწმიდამ მითხრა“. ვიცნობთ ჩვენ მის ხმას ასევე კარგად? თუ ჯერაც არ შევსულვართ სულიწმიდასთან ასეთ ახლო ურთიერთობაში?

როცა ფილიპე უდაბნოში იმყოფებოდა, სულიწმიდამ უთხრა მას მისულიყო ერთ-ერთ ეტლთან. რატომ იყო ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი? აღნიშნულ ეტლში მყოფი მამაკაცი თანამდებობით მესამე კაცი იყო მთელს ეთიოპიაში. ამ ეთიოპიელი კაცის გადარჩენა, მისი ძალაუფლებისა და გავლენის წყალობით, სახარების გავრცელების დასაწყისი გახდა მთელს მის ერში. ფილიპე, რომ არ ყოფილიყო მგრძნობიარე სულიწმიდის მართველობის მიმართ, ის ხელიდან გაუშვებდა ამ უდიდეს შესაძლებლობას.

რამდენიმე თავის შემდეგ, ჩვენ ვხვდებით კიდევ ერთ ჩანაწერს, რომელშიც მონაწილეობდნენ ტიმოთე, პავლე და სილა:

> „გაიარეს მათ [ტიმოთემ, პავლემ და სილამ] ფრიგია და გალატელთა ქვეყანა და სულიწმიდისაგან აკრძალული ჰქონდათ სიტყვის ქადაგება აზიაში. მივიდნენ მისიამდე და აპირებდნენ ბითვინიაში გამგზავრებას, მაგრამ იესოს სულმა არ გაუშვა ისინი“ (საქმე.16:6-7;)

დააკვირდით, წერია, რომ სულიწმიდისაგან „აკრძალული ჰქონდათ“ და რომ „სულმა არ გაუშვა ისინი“.

ახლა ხედავთ, რამდენად ახლო და ძლიერი ურთიერთობა ჩამოყალიბდა პირველ მორწმუნეებსა და სულიწმიდას შორის? განა დღეს ეს ურთიერთობა განსხვავებულად უნდა მიმდინარეობდეს? სულიწმიდისგან დამოუკიდებლად უკეთესად შეგვიძლია ვემსახუროთ ღმერთს? პირველი ეკლესიის ხელმძღვანელები უფრო დაუხვეწავები იყვნენ თავიანთ მეთოდებში იმის გამო, რომ მათ არ გააჩნდათ თანამედროვე ტექნოლოგიები? რა თქმა უნდა, არა. არანაირ ტექნოლოგიებს და მეთოდებს არ ძალუძს სულიწმიდის ხმის ჩანაცვლება, არასოდეს. ეს ადამიანები ელოდებოდნენ სულიწმიდას, რათა ის ახლოს ყოფილიყო მათთან. ისინი პატივს მიაგებდნენ მას და მოუხმობდნენ მის თანდასწრებას თავიანთ ცხოვრებაში. არაფერი შეცვლილა. სულიწმიდას სურს, რომ ასეთივე ახლო ურთიერთობა ჰქონდეს დღეს ჩვენთანაც.

წარმოგიდგენიათ მე და ლიზა მთელი დღე ერთად ვიმყოფე-

ბოდეთ სახლში და სიტყვაც არ ვუთხრათ ერთმანეთს? ეს უაზრობა იქნებოდა. ვის უნატრია ოდესმე ამგვარი ქორწინება? მე მიყვარს ჩემი მეუღლე და მსურს ახლოს ვიყო მასთან. მიყვარს როდესაც მას ვუსმენ; მისი ხმა ჩემს ყურებს მელოდიად ესმის. ოცდაათი წელია დაქორწინებულები ვართ, მაგრამ ლიზა ისევ გასათხოვარი რომ იყოს (მადლობა ღმერთს, რომ გათხოვილია), მე ისევ ისე ვიმოქმედებდი და მისვენებას არ მივცემდი. მთელს პლანეტაზე არსებულ ყველა ადამიანთაგან, ყოველგვარი ეჭვის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ის არის ერთადერთი, ვის გვერდით ყოფნაც ყველაზე მეტად მსურს. იგივენაირად სურს სულიწმიდას თქვენთან ურთიერთობა.

24 წელია უკვე, რაც სასტუმროებში მიწევს დარჩენა და არასოდეს მომიწყენია. როგორ შეიძლება მოვიწყინო, როცა ყოველ წამს ღმერთთან ერთობაში ვარ? ის ჩემთან ერთად არის ოთახში. ამ მიზეზით ვუფრთხილდები დროს, რომელიც სასტუმროში ყოფნისას მაქვს. ზოგჯერ ვამბობ: „არ მინდა დრო გავატარო ჩემს გუნდთან ერთად, რადგან სულიწმიდასთან განცალკევებით ყოფნა მსურს“. მიყვარს, როდესაც სულიწმიდა მელაპარაკება. არასწორად ნუ გამიგებთ, მე მიყვარს ადამიანებთან ერთად ყოფნა; ეს ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ მე ნამდვილად ვაფასებ და ვუფრთხილდები დროს სულიწმიდასთან ურთიერთობისთვის.

დღე 2

თანაზიარება ნიშნავს თანამშრომლობას

მომდევნო სიტყვა, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ სიტყვის *koinonia*-ს ასაღწერად, არის „*თანამშრომლობა*“. თანამშრომლობის ნიმუშებს ვხედავთ ლუკას სახარებაში: „ასეც მოიქცნენ. იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს ამხანაგებს (*თანამშრომლებს*) მეორე ნავში, რომ მოსულიყვნენ მოსაშველებლად. მოვიდნენ და ისე აავსეს ორივე ნავი, რომ ლამის იძირებოდნენ“ (ლუკ.5:6-7;). აქ გამოყენებულია ბერძნული სიტყვა *metochos* (რომელიც არის *koinonia*-ს სინონიმი) და განისაზღვრება, როგორც „თანამშრომელი, პარტნიორი“.[1] ეს კაცები იყვნენ საქმიანი პარტნიორები. ამ ურთიერთქმედებიდან ვგებულობთ, რომ კარგი თანამშრომლობა მოითხოვს როგორც ურთიერთობას, ასევე მოქმედებას. მათ ჯერ ნიშანი მისცეს თავიანთ პარტნიორებს და შემდეგ პარტნიორები მოვიდნენ და დაეხმარნენ.

ახლა ვნახოთ მთელს ახალ აღთქმაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე შთამაგონებელი და აღმაფრთოვანებელი ადგილი. პავლე წერს: „ვინაიდან ჩვენ ღვთის თანამშრომელნი ვართ“ (1 კორ.3:9;). განა გასაოცარი არ არის? მომწონს, როგორც წერია ეს Weymouth—ის თარგმანში: „[ჩვენ ვართ] თანამშრომელნი ღმერთისა ღმერთის საქმისთვის“. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა ვიშრომოთ ცისა და მიწის შემოქმედთან *ერთად* და *მისთვის*. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ჩვენ ვშრომობთ ღმერთთან თანამშრომლობით. რა შესანიშნავი მოწვევაა!

ეფექტური პარტნიორობა გულისხმობს ერთმანეთთან გაცვლა-გამოცლითი ურთიერთობის განვითარებას. მე გავიზარდე მიჩიგანის ტბასთან ახლოს და ნაოსნობას ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა. ძალიან მომწონდა ჩვენი ოჯახის იალქნიანი ნავი, დავამთავრე ნაოსნობის ორწლიანი სკოლა და შეჯიბრებებში მონაწილეობისას საკმაოდ კარგი შედეგები მქონდა. პირველ შეჯიბრზე, მითხრეს მემუშავა ერთ ძლიერ კაპიტანთან, რომლის გუნდიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მათ გაუხარდათ, როცა მათ გუნდს შევუერთდი. მაგრამ პირველი შეჯიბრის დროს, თავი ზედმეტად ვიგრძენი. კაპიტანი გასცემდა ბრძანებებს და გუნდს ის მაშინვე მოქმედებაში მოჰყავდა. თითოეულმა ზუსტად იცოდა რა უნდა ეკეთებინა და ყველას თავისი პოზიცია ეკავა ნავზე. ამავე დროს, თითქოს ძალიან მოუქნელიც ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ყველაფერი ნათქვამი ჰქონდათ რაც უნდა გამეკეთებინა, მე ვერ მოვერგე ჩემს როლს. გუნდის სხვა წევრებს უკვე გამომუშავებული ჰქონდათ ურთიერთმოქმედების რიტმი, რომელიც მე ჯერ კიდევ უნდა მესწავლა.

სულიწმიდასთან პარტნიორობა ამ გუნდის წევრობის მსგავსია. მასთან ერთად უნდა იმოქმედო. პირველად, როცა სახალხოდ ვიქადაგე, ჩემს მეუღლეს და მის საუკეთესო მეგობარს ჩაეძინათ. მე არ ვმოქმედებდი სულიწმიდასთან შეთანხმებულად. გარკვეული დრო დამჭირდა მივმხვდარიყავი, თუ როგორ მეთანამშრომლა მასთან ქადაგების დროს. იგივე მოხდა წიგნის წერისას. მთელი ერთი დამღლელი წელი დამჭირდა პირველი წიგნის დასაწერად, სანამ ვისწავლიდი მასთან თანამშრომლობით მუშაობას. საბოლოოდ კი, წიგნებს ახლა ბევრად სწრაფად და მარტივად ვწერ. ვისწავლე, რომ ამ ორივე საქმეში მას თავისი როლი აქვს, მე კი ჩემი, და ეს მან ასე ინება!

სქმეების მე-15 თავში პარტნიორობის ელემენტს მოქმედებაში ვხედავთ. მოციქულები ერთად ადგენდნენ წარმართ მორწმუნეებთან გასაგზავნ წერილს. მასში წერდნენ: „საჭიროდ

მიიჩნია სულიწმიდამ და ჩვენც“ (საქმ.15:28;). აქ ვხედავთ თანამშრომლობას საქმეში. მოციქულებმა კონკრეტული სიტუაციის მიმართ ნათლად გამოხატეს როგორც სულიწმიდის შეხედულება, ასე საკუთარი. ამ გადაწყვეტილებაში ორივე მხარე მონაწილეობდა. ორივე მხარეს ჰქონდა თავისი როლი. ისინი იყვნენ თანამშრომლები სასუფევლის საქმეში.

თანამშრომლობის იგივე იდეას ვხედავთ ძველ აღთქმაშიც. გახსოვთ, როდესაც ღმერთი მივიდა აბრაამთან მამრეს მუხასთან და გაუმხილა თავისი გეგმა სოდომისა და გომორის განადგურების თაობაზე (იხ.დაბ.18;). აშკარად ჩანს, რომ ღმერთი აბრაამს უყურებს, როგორც თავის პარტნიორს. უფალი და აბრაამი ერთად მიდიან და ამ დროს უფალი ეუბნება, „ამ ორი ქალაქის განადგურებას ვაპირებ, შენ რას ფიქრობ ამაზე აბრაამ?“ (ავტორისეული პარაფრაზირება). აბრაამი შეშფოთდა, რადგან ერთ-ერთში მისი ძმისწული, ლოტი ცხოვრობდა. მნიშვნელოვანი ბჭობის შემდეგ აბრაამმა დაითანხმა ღმერთი არ გაენადგურებინა ეს ქალაქები თუკი მათში ათი მართალი მაინც მოიძებნებოდა.

აშკარაა ღმერთი აფასებდა აბრაამს. დაბ. 18:17-ში ის ფაქტობრივად ამბობს: „დავუფარო აბრაამს, რასაც ვაპირებ?“. ნათელია, რომ ღმერთს სურდა, აბრაამისთვის ცნობილი ყოფილიყო მისი გეგმები. რატომ? იმიტომ რომ აბრაამი ახლო ურთიერთობაში იყო ღმერთთან, ანუ ის თანამშრომლობდა მასთან.

ანალოგიურ მაგალითს ვხედავთ მოსეს ცხოვრებაშიც. ღმერთმა უთხრა მოსეს: „ახლა მიმიშვი, რათა აღეგზნოს ჩემი რისხვა მათზე [ისრაელიანებზე] და მოვსპო ისინი, შემდეგ კი გაქცევ შენ დიდ ხალხად“ (გამოს.32:10;). მოისმინა რა მოსემ ეს სიტყვები, შეეცადა დაერწმუნებინა ღმერთი, რომ უარი ეთქვა რისხვაზე და შეეცვალა მათ მიმართ თავისი განზრახვა. დღეს ჩვენთვის წასაკითხად იოლია და ვაუბრალოვებთ იმას, რაც იქ მოხდა, მაგრამ შეჩერდით და დაფიქრდით ამაზე: მოსემ შეძლო შეეხსენებინა ღმერთისთვის, თუ რა იყო უკეთესი როგორც თავად უზენაესისთვის, ასევე მისი ხალხისთვის და ეს მას შემდეგ, რაც ღმერთმა თქვა: „მხოლოდ მე ერთი!“. ეს მოხდა იმის წყალობით, რომ მოსე შრომობდა ღმერთისთვის და ის მჭიდროდ თანამშრომლობდა მასთან.

ამ საკითხთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა და ყოველთვის იმსახურებს ჩვენგან მოწიწებას და პატივისცემას. მხოლოდ მისი მადლისა და ძალის მეშვეობით არის, რომ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ მასთან. მან გადაწყვიტა მოეცა ჩვენთვის უფლება

ვიყოთ მისი დიადი გეგმის მონაწილენი. როგორი დიდი პრივილეგიაა, რომელიც მან ამ გადაწყვეტილებით მოგვანიჭა!

ეს გახლავთ ორი დიდებული მაგალითი ძველი აღთქმიდან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ აბრაამს და მოსეს არ გააჩნდათ ის, რაც ჩვენ გაგვაჩნია დღეს. მხოლოდ განსაკუთრებული მომენტები იყო, როცა რწმენის ამ გიგანტებს შეეძლოთ ეთანამშრომლათ ღმართთან ამ გზით. მაგრამ სულიწმიდა განუწყვეტლივ ჩვენში მკვიდრობს, კვირაში შვიდი დღე, 24 საათის განმავლობაში. დღეს საჭირო აღარ არის, რომ მუხის ხესთან დაველოდოთ მის სტუმრობას ან ფიზიკურად ავიდეთ სინაის მთაზე მასთან ურთიერთობისთვის. ჩვენ ნებისმიერ დროს გვაქვს მისადგომი სულიწმიდასთან. და რაც ყველაზე კარგია, მას სურს ჩვენთან თანამშრომლობა — სურს, რომ წარმართოს ჩვენი ნაბიჯები და მოისმინოს ჩვენი ფიქრები.

სულიწმიდა განუწყვეტლივ ჩვენთანაა და ამავდროულად, ის არასდროს იძინებს. ახლახანს, დილის 2:20 საათი იყო, მე კი ჯერაც ვერ ვიძინებდი, რადგან ძალიან გახარებული ვიყავი მსახურების დღესთან დაკავშირებით. ამგვარად საწოლიდან ავდექი და დავიწყე ჩემს პარტნიორთან საუბარი. გამოიცანით! მას ეღვიძა. ეს საოცარი იყო! მას არ უთქვამს ჩემთვის: „ჯონ რატომ გამაღვიძე?“. ჩემი ცოლი კი მეტყოდა: „ჯონ, რატომ მაღვიძებ ასე ადრიანად?“. თუ ვუპასუხებ: „მე უბრალოდ შენთან საუბარი მსურს, ძვირფასო“. ის, ალბათ, ბალიშს ჩამარტყავდა თავში. მას უყვარს ძილი, ასე რომ ვიცი, ის ადრე არ უნდა გავაღვიძო. მაგრამ სულიწმიდა სიამოვნებით მღებულობს ნებისმიერ საათს. ის სიამოვნებით მესაუბრება მომავალი დღის შესახებ, და ზოგჯერ მინიშნებასაც კი მაძლევს იმის თაობაზე, რაც უნდა მოხდეს. ამიტომ მიყვარს ყოველი დღის მასთან ერთად დაწყება, მის თანდასწრებაში. ის ჩემი პარტნიორია და ჩვენი თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია დღის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ ამ თანამშრომლობაში სულიწმიდა უფროსი პარტნიორია. პავლემ უთხრა ეფესოს ეკლესიის ხელმძღვანელებს: „გაუფრთხილდით თქვენს თავსაც და თქვენს სამწყსოსაც, რომლის მეთვალყურედაც სულიწმიდამ დაგაყენათ, რათა მწყემსავდეთ ღვთის ეკლესიას, რომელიც მან საკუთარი სისხლით შეიძინა“ (საქმ. 20:28;). პავლე არ წერს: „სამწყსო, რომლის მეთვალყურედაც იესომ დაგაყენათ“. ეს მუხლი სავსებით თავალსაჩინოს ხდის იესოს თანამშრომლობას სულიწმიდასთან. იესომ თავისი საკუთარი სისხლით გამოისყიდა ეკლესია. სულიწმიდა კი, როგორც სამების მესამე პირი, რომელიც ამჟამად იმყოფება დედამიწაზე, ნიშნავს ეკლე-

სიის ზედამხედველებს და მართავს მის საქმეებს. ის არის პასუხისმგებელი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფროსი ის არის. პავლემ კარგად იცოდა ფაქტი, რომ სულიწმიდაა ის, ვინც მკვიდრობს ჩვენთან და ჩვენში.

ამის კიდევ ერთი მაგალითი გვხვდება საქმეების მე-13 თავში: „როცა ისინი უფალს ემსახურებოდნენ და მარხულობდნენ, თქვა *სულიწმიდამ:* 'გამომიყავით ბარნაბა და სავლე იმ საქმეზე, რაზეც მათ მოვუწოდე'. ...ამრიგად, *სულიწმიდის* მიერ მივლინებულნი, ჩავიდნენ ისინი სელევკიაში" (საქმ..2; და 4;). კვლავ, ამ შემთხვევაშიც, სულიწმიდა ნათლადაა წარმოჩენილი, როგორც ის, ვინც თანამშრომლობდა მოციქულებთან (თანამოზიარეობაში). გახსოვდეთ, იესო ზეცაშია მამასთან ერთად. დედამიწაზე ჩვენთან სათანამშრომლოდ სულიწმიდაა წარმოგზავნილი.

დღე 3

მჭიდრო ურთიერთკავშირი

მოდით, კიდევ ერთხელ ვნახოთ 2 კორ. 13:14: „მადლი უფლისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღვთისა და თანაზიარება სულიწმიდისა თქვენ ყოველთაგანს". ახლა, როცა უკვე განვსაზღვრეთ *„თანაზიარება",* როგორც „მეგობრობა" და „პარტნიორობა", მოცემული მუხლი ამ ორი ტერმინის ახლებური შემეცნებით წაიკითხეთ. აცნობიერებთ პავლეს სიტყვების მნიშვნელობას? მაგრამ ეს ამით არ მთავრდება. სიტყვა *koinonia* ასევე გულისხმობს „მჭიდრო ურთიერთკავშირს".

ახლა ამ კომენტარით მართალია ჩემს წარსულში დავბრუნდები, მაგრამ გეტყვით, როცა ვფიქრობ *„მჭიდრო ურთიერთკავშირზე",* მახსენდება *ბითლზები.* ვიყავი რა ახალგაზრდა ბიჭი (დიდი ხნის წინ, სანამ ბითლზები დაიშლებოდა), როცა ვინმე ახსენებდა პოლ მაკარტნის, მაშინვე ბითლზის დანარჩენი წევრები წარმომიდგებოდა თვალწინ. იმ დროს, მე ვერც კი ვფიქრობდი ბითლზის წევრებზე, როგორც ცალ-ცალკე ინდივიდებზე; ისინი იყვნენ უბრალოდ *ბითლზები.*

როცა ვფიქრობ ადამიანებზე, რომლებიც სულიწმიდასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან, პირველი, ვინც გონებაში მომდის, არის დოქტორი დევიდ იონგი ჩო. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ეკლესიის მწყემსია. არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი შეხვედრა მასთან 1980 წელს. ეს იყო მისი პირველი სტუმრობა ჩვენს ეკლესიაში და ჩემმა მოვალეობამ, რომელსაც მაშინ ვასრულებდი, როგორც ეკლესიის გუნ-

დის წევრი, საშუალება მომცა დავხვედროდი და მემასპინძლა მისთვის. მე ჩამოსული სტუმრების აეროპორტში დახვედრა და სტუმრობის მანძილზე მათი გამასპინძლება მევალებოდა. დოქტორ ჩოსთან პირველ შეხვედრამდე ამ მოვალეობას უკვე წლების განმავლობაში ვასრულებდი, ასე რომ, იმ დროისთვის, ალბათ, ათასობით მსახური მყავდა უკვე მიღებული. მაგრამ შეხვედრა დოქტორ ჩოსთან სრულიად გამორჩეული იყო. როცა მანქანაში ჩავჯდა, მასთან ერთად უფლის თანდასწრება მოვიდა. უმალ ტირილი ამივარდა; ცრემლები ნიაღვრად მოედინებოდა სახეზე. ვცდილობდი სიჩუმე არ დამერღვია, რადგან არ მინდოდა მსახურებამდე დარჩენილი დროის განმავლობაში მისი შეწუხება, მაგრამ ბოლოს ვეღარ შევიკავე თავი და ჩუმი ხმით ვუთხარი: „დოქტორ ჩო, ღმერთი აქ არის ჩვენს მანქანაში“. მან გაიღიმა და თავი დამიქნია: „ვიცი“. ეს შეხვედრა უფრო აზრიანი ხდება ჩემთვის, როცა ვფიქრობ რამდენი აქვს დოქტორ ჩოს დაწერილი და ნაქადაგარი სულიწმიდასთან თავის ურთიერთობაზე. მისგან მოსმენილი მაქვს, რომ ის ყოველდღიურად ორიდან ოთხ საათამდე ლოცულობს და უმეტესწილად სულიწმიდით. დოქტორ ჩოს პრიორიტეტად აქვს დასახული სულიწმიდასთან ხარისხიანი დროის გატარება. ამ მიზეზით, ღმერთის თანდასწრება მის ცხოვრებაში ძალზედ ძლიერია.

რამდენიმე წლის წინ, ერთ დიდ ეკლესიაში კვირა დღის დილის მსახურებაზე ვიქადაგე სულიწმიდის შესახებ. იმავე დღეს, როცა საღამოს მსახურებისთვის დავბრუნდი, განდიდების დაწყებიდან დაახლოებით 45 წუთში უნდა დამეწყო ქადაგება, მაგრამ ამის ნაცვლად, სულიწმიდამ დაიწყო მოქმედება. ხალხი ღებულობდა განკურნებას, გადარჩენას. ორი საათი იყო გასული, როცა მიკროფონი ავიღე ხელში. ვიდრე ქადაგებას დავიწყებდი, ამ ეკლესიის მწყემსი (რომელიც ნამდვილად არ გახლდათ სუსტი და გულჩვილი კაცი) მოვიდა ჩემთან და თვალცრემლიანმა მითხრა: „ჯონ, რვა წლის განმავლობაში, რაც ამ ეკლესიის მწყემსი ვარ, არასოდეს მიგვრძნია ღმერთის თანდასწრება ასე ძლიერად!“. სწრაფად ვუპასუხე: „ამას მიზეზი აქვს. დილის მსახურებაზე ჩვენ ვისაუბრეთ სულიწმიდაზე და როცა მასზე ვლაპარაკობთ, ის ვლინდება (იწყებს მოქმედებას)“. ეს შესანიშნავად ააშკარავებს იმ ჭეშმარიტებას, თუ რა ხდება, როცა ჩვენ, როგორც „რიგითი“ მორწმუნეები, სულიწმიდასთან მჭირდო ურთიერთკავშირში ვიმყოფებით.

თანაზიარება ნიშნავს სიახლოვეს

სიტყვის *koinonia*-ის საბოლოო მნიშვნელობაა „სიახლოვე“. ფაქტობრივად, ეს სიტყვა აღწერს ყველაზე უკეთესად იმ აზრს, რა მნიშვნელობითაც გამოიყენა პავლემ სიტყვა *koinonia* 2 კორ. 13:14-ში. სიახლოვე შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ მეგობრობის ან ურთიერთობის დროს, მაგრამ ის კიდევ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ამ ორი სიტყვის განმარტება მოიცავს. სიახლოვე სიღრმეში მიდის, ის სწვდება ფიქრებს, გულის საიდუმლოებებსა და ოცნებებს.

ბიბლიის ერთ-ერთ თარგმანში (*The message*) ვკითხულობთ: „ინტიმური მეგობრობა სულიწმიდისა იყოს ყველასთან თქვენთან“ (2კორ.13:14;). მე სიტყვა სიახლოვეს (ინტიმურობას) აღვიქვავ, როგორც მეგობრობის ყველაზე სიღრმისეულ დონეს. ნურასდროს დაგავიწყდებათ, რომ სულიწმიდის სურვილია იყოს თქვენი მეგობარი. მას შურით სწადია თქვენთან ურთიერთობა, სწყურია თქვენი დრო და ყურადღება. იაკობი 4:5-ში წერს: „შურით სწადია ჩვენში დავანებულ სულს“. უბრალოდ დაფიქრდით: სულიწმიდა არის ღმერთი და არაფერია მისგან დაფარული. მისი ცოდნა, სიბრძნე და გაგება საზღვრებს გარეშეა — და მას სწყურია, რომ საკუთარი თავი გაგიცხადოთ. როდესაც ვიცი ან ვგებულობ რაღაც მნიშვნელოვანს და ფასეულს, სასწრაფოდ მინდა გავუზიარო ეს ჩემს ახლობლებს. ალბათ, თქვენც ასე ხართ, და არც სულიწმიდაა განსხვავებული ამ მხრივ.

ძალზედ ხშირად, მორწმუნეები ცდილობენ იესოსთან დაახლოვებას სულიწმიდასთან ურთიერთობის გარეშე. ეს იმ შეცდომის მსგავსია, რომელსაც ფარისევლები უშვებდნენ. ისინი ეუბნებოდნენ იესოს: „’ჩვენ სიძვით შობილნი როდი ვართ, ჩვენ ერთი მამა გვყავს — ღმერთი’. უთხრა მათ იესომ: ‘ღმერთი რომ მამა იყოს თქვენი, მაშინ მე გეყვარებოდით, რადგან მე გამოვედი და მოვედი ღვთისაგან, ვინაიდან მე ჩემით კი არ მოვსულვარ, არამედ მან მომავლინა’“ (იოან.8:41-42;). ფარისევლებს იესოს გარეშე უნდოდათ მამასთან ურთიერთობა. მათ არ სურდათ იმის გაცნობიერება, რომ ღმერთს განსხვავებული აზრი ან გეგმა გააჩნდა. იესომ ფარისევლებს განუმარტა, რომ ის და მამა ერთნი იყვნენ. მოგვიანებთ იესო ეუბნება: „თუ ნამდვილად მიცნობთ მე, მაშინ მამასაც იცნობთ“ (იოან.14:7; NIV). მაგრამ ფარისევლები უარს ამბობდნენ მოსმენაზე. და ვინაიდან მათ არ სურდათ ძის მეშვეობით მისულიყვნენ მამასთან, ისინი საერთოდაც ვერ შეძლებდნენ მამასთან ჭეშმარიტად ახლოს ყოფნას.

ანალოგიურად, იესომ ნათელი გახადა, რომ ის აღარ არის დედამიწაზე და მამამ წარმოგზავნა სულიწმიდა (რომელიც იგივენაირია, როგორც თავად ჩვენი მხსნელი), რათა იყოს ჩვენი შემწე (იოან.16:7;). სულიწმიდა წარმოგზავნილია იმისათვის, რომ გააცხადოს იესო, ისევე, როგორც იესო იყო წარმოგზავნილი, რათა გაეცხადებინა მამა. უნდა გვახსოვდეს, რომ სულიწმიდას უყვარს იესოს განდიდება. ასე რომ, თუ ნამდვილად გსურთ უფრო მეტი იცოდეთ იესოს შესახებ, გაატარეთ დრო სულიწმიდასთან ერთად. იგი ნათლად გაგიცხადებთ იესოს. მაგრამ სულიწმიდა მხოლოდ იქ გამოვლინდება, სადაც მას აფასებენ და პატივს მიაგებენ. თუ პატივს ვცემთ სულს, ის გაგვიცხადებს საკუთარ თავს და ჩვენ დავტკბებით როგორც სულის თანდასწრებით, ასევე მისი შეცნობით, ვისაც ის წარმოაჩენს.

მსახურების ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, არაცერთხელ მინახავს გამონაკლისი ამ ჭეშმარიტების მოქმედებაში: ადამიანები, რომლებიც ყველაზე კარგად იცნობენ იესოს, არიან ისინი, რომელნიც ყველაზე ახლოს არიან სულიწმიდასთან. ეს ასეა, რადგან სულიწმიდაა ის, ვინც გვიცხადებს იესოს.

სულიწმიდის პიროვნულობის გააზრება

იმისათვის, რომ ვინმესთან ახლოს ვიყოთ, ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ შევისწავლოთ მისი პიროვნება. ეს ცოდნა გააღრმავებს ჩვენს ურთიერთობას და უფრო მეტად დაგვაახლოვებს.

დიდი ხნის განმავლობაში, ჩემს ოთხივე ვაჟს ერთნაირად ვეპყრობოდი. ამან ბუნებრივია გამოიწვია გარკვეული პრობლემები. რატომ იყო ეს ფორმა არაეფექტური? იმიტომ, რომ თითოეულ მათგანს განსხვავებული ხასიათი გააჩნია. ჩემი მეუღლე მგრძნობიარე გახლავთ ამ საკითხის მიმართ, ამიტომ ის მასწავლიდა მათ შორის არსებული განსხვავებების შესაბამისად მოქმედებას. მცდელობამ, გამეგო თითოეული ჩემი შვილის განსხვავებული ხასიათი, დიდად გააღრმა ჩემი ურთიერთობა მათთან.

იმის გამო, რომ ძალიან ახლოს ვარ ჩემს ცოლთან, ვიცი როგორ გამოხატავს ის საკუთარ თავს. ჩვენს შორის არის სიახლოვე, ვინაიდან ჩვენ ოცდაათი წელია ცოლ-ქმარი ვართ. სიახლოვე კი ერთმანეთთან გატარებული ხარისხიანი დროის ნაყოფია. ლიზას ერთ შემოხედვაზე შემიძლია მრავალი გვერდი დავწერო, თუ რას ფიქრობდა ის იმ მომენტში. შემიძლია უსიტყვოდ გამოვიცნო რა სურს მას. ამ სახის სიახლოვე ერთ

ღამეში არ იბადება. ის წლების განმავლობაში ხარისხიანი ურთიერთობის შედეგად გამომუშავდება. არავინ იცის ჩემზე უკეთ, რა მოწონს ჩემს მეუღლეს და რა არ მოწონს, ისევე, როგორც არავინ იცის ჩემს მეუღლეზე უკეთესად, რა მომწონს მე და რა არა. იგივენაირად ვიზრდებით ჩვენ სულიწმიდის შემეცნებაში, როცა გადაწყვეტილებას ვღებულობთ ერთგულად და სისტემატურად გვქონდეს ურთიერთობა მასთან და გავატაროთ დრო მის თანდასწრებაში.

დღე 4

მისი ხასიათის ცოდნა

იოანეს სახარების მე-14 თავიდან მე-16 თავამდე, იესო სულიწმიდასთან მიმართებაში ცხრამეტჯერ იყენებს ნაცვალსახელებს *ის, მას, ის თვითონ*, რომელთაც დაესმით კითხვა „ვინ?“. აშკარაა, რომ სულიწმიდა არის პიროვნება. ვიმეორებ, სულიწმიდა არის პიროვნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ადამიანია. გახსოვდეთ, ადამიანები შექმნილნი არიან ღმერთის ხატად და მსგავსად. ეს ნიშნავს, რომ ის თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია „პიროვნებისთვის“, ასახავს იმას, რაც თავდაპირველად ღმერთში არსებობს, მაგრამ ღმერთი არ გახლავთ ზუსტად ჩვენი მსგავსი. ამიტომაც, არსებობს მისი პიროვნების ისეთი მხარეები, რომელიც ვერასოდეს მოთავსდება ჩვენს ხორციელ „სკივრებში“.

არის ერთი აღმოჩენა, რომელიც მე გავაკეთე, რაც საკმაოდ მეხმარება სულიწმიდასთან ურთიერთობაში. როდესაც სულიწმიდასთან მიმართებაში ბერძნულ ორიგინალში გამოყენებულ ნაცვალსახელს ვსწავლობდი, შევამჩნიე, რომ ბერძნული ნაცვალსახელი, რომელიც ხშირად აღნიშნავს სულიწმიდას, არის სქესთ-ნეიტრალური ნაცვალსახელი (გარკვევით არ წარმოაჩენს მდედრობითი სქესია თუ მამრობითი). ანუ მხოლოდ ერთი პიროვნების აღწერისას, ეს ნაცვალსახელი შესაძლებელია აღნიშნავდეს მდედრობით სქესსაც და მამრობითსაც.

ინგლისურ ენაში ამ სახის ნაცვალსახელი არ გაგვაჩნია. ჩვენს ენაში ცალ-ცალკეა მამრობითის, მდედრობითის და უსულო საგნის ან ცხოველის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები. არ არსებობს მდედრობითი და მამრობითი სქესების ასაღწერად მხოლობითი რიცხვის სქესთ-ნეიტრალური ნაცვალსახელი, მაგრამ ბერძნულ ენაში ამგვარი ნაცვალსახელი არსებობს და ახალ აღთქმაში ის ხშირადაა გამოყენებული სულიწმიდასთან მიმართებაში. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ნაცვალსახელს დაესმის კითხვა „ვინ?“ და არა - „რა?“.

ძველ აღთქმაშიც შეხვდებით მსგავსს. ორიგინალის (ებრაულ) ენაზე მრავალი ადგილია, სადაც მოქმედება, რომელიც მიეკუთნება სულიწმიდას, მდედრობითი სქესისაა ფუნქციით (მდედრობითი არა ფორმით). ებრაელები ხშირად წერენ მოქმედებიდან გამომდინარე (იმის მიხედვით, თუ რა გააკეთა ვიღაცამ ან რაღაცამ, ნაცვლად იმისა, თუ რა ან ვინ იყო ის). არასდროს, არსად წმიდა წერილში არ არის აღწერილი სულიწმიდა, როგორც მდედრობითი სქესის, მაგრამ ზოგიერთ მის ქმედებას ქალურობის დამახასიათებელი თვისებები მიეწერება.

ეს დიდი თემაა და ამ წიგნში არ მაქვს საშუალება განვმარტო იგი, მაგრამ მაინც მინდა ერთი რამ მკაფიოდ განვაცხადო: მე არ ვფიქრობ, რომ სულიწმიდა არის ქალი. მოდით, კიდევ ერთხელ დავწერ უფრო გასაგებად: სულიწმიდა არ არის ქალი. ზოგიერთი ასწავლის ამ დოქტრინას, მაგრამ გამოკვლევის შედეგად ვადასტურებ, რომ ეს დოქტრინა უსაფუძვლოა. გთხოვთ მოიშოროთ გონებიდან ამგვარი მოსაზრება. სულიწმიდა არ არის ქალღმერთი.

აი, რას ვამბობ. უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი არ შექმნილა ჩვენს მსგავსად, ჩვენ ვიყავით შექმნილნი მის მსგავსად. ვიცი, ეს ელემენტარულია, მაგრამ მოცემული ჭეშმარიტება უმნიშვნელოვანესია ამ სწავლების გასაგრძელებლად. დაბ.1:27-ში ვკითხულობთ: „და შექმნა ღმერთმა *ადამიანი* თავის ხატად. ღვთის ხატად შექმნა ისინი; მამაკაცად და დედაკაცად“ (NLT). სხვა თარგმანი ამბობს: „შექმნა ღმერთმა კაცი“ ან „კაცობრიობა“. პირადად მე ვთვლი, რომ „ზოგადად ადამიანი“ ან „კაცობრიობა“ საუკეთესო თარგმანია. ამგვარად, დაბადების წიგნიდან ვგებულობთ, რომ ღმერთმა მამაკაცი და დედაკაცი თავის ხატად შექმნა. ისმის კითხვა, თუ ღმერთმა ორივე, ქალიც და კაციც თავის ხატად შექმნა, განა არ ნიშნავს ეს, რომ თვისებები, რომელიც ჩვენთვის არის „ქალურობის“ დამახასიათებელი, საწყისს იღებენ ღმერთში? შესაძლებელია, რომ სულიწმიდის არსი ცვლიდეს ან სცილდებოდეს ჩვენს წარმოდგენას ქალსა და მამაკაცზე? ვფიქრობ ასეა, რადგან ორივე, ქალიც და მამაკაციც მის ხატად იყვნენ შექმნილნი.

დარწმუნებული ვარ შეამჩნევდით, რომ ყველგან, მთელს წიგნში სულიწმიდას მოვიხსენიებ მამრობითი სქესის ნაცვალსახელით (ინგლისურ ტექსტში) და ასეც განვაგრძობ. მოსაზრება, რომ სულიწმიდას გააჩნია თვისებები, რომელთაც ჩვენ მივაკუთვნებთ მდედრობითი სქესის კატეგორიას, შესაძლოა რთული და დამაბნეველი აღმოჩნდეს ინგლისურენოვანი მკითხველისთვის. რატომ ვწერ ყოველივე ამას? აღნიშნულ თემას არ

განვიხილავდი, რომ არ მიმაჩნდეს, რომ მას შეუძლია გააღრმავოს სულიწმიდის მიმართ თქვენი წარმოდგენა და ურთიერთობა.

ის არის ფაქიზი და მგრძნობიარე

მოდით, სანამ გავარძელებდე, ცოტაოდენს მოგითხრობთ ჩემი წარმომავლობის შესახებ. მამაჩემი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია. ის ოთხმოცდაცხრამეტი წლისაა და მე ის მიყვარს. მან მრავალი რამ მასწავლა, რამაც ცხოვრებაში სიკეთე მომიტანა. თუმცა იყო რაღაც, რისთვისაც მამაჩემმა არ მომამზადა, როგორ მომეყვანა ცოლი. ერთხელ პეტრემ თქვა: „გაგებით მოეპყარით თქვენს ცოლებს“ (1 პეტრ. 3:7; NLT). როდესაც ლიზაზე დავქორწინდი, მე მას „გაგებით“ არ ვეპყრობოდი. ლიზა ჩემი ცხოვრების პირველი სიყვარული იყო. მანამდე ახლო ურთიერთობა არცერთ ქალთან არ მქონია. ასე რომ, მას ისე ვექცეოდი, როგორც ბიჭ ამხანაგს. როგორც უკვე მიხვდით, ამგვარი მიდგომა წარმატებული არ აღმოჩნდა. მე მასთან უნდა მქონოდა ურთიერთობა, *როგორც ქალთან.*

ერთ-ერთი, რაც უნდა მესწავლა, ლიზასთან ალერსიანი საუბარი იყო. სამწუხაროდ, იყო დრო, როდესაც ჩემი ოჯახის წევრების მიმართ ურთიერთობაში, უხეში ვიყავი. მადლობა სულიწმიდას, რომ ის მამხელს და ამით საშუალება მეძლევა ბოდიში მოვიხადო და გამოვასწორო. ერთხელ, მართლა ზედმეტი მომივიდა ჩემს ერთ-ერთ ვაჟთან და მე მომიწია მასთან მივსულიყავი და ბოდიში მომეხადა. მან მაშინვე მაპატია და ჩვენს შორის ურთიერთობა მოგვარდა. მაგრამ ლიზასთან ყველაფერი სხვაგვარად გახლდათ. ის რამდენიმე დღის განმავლობაში გაბრაზებული იყო ჩემზე იმის გამო, რომ შვილს უხეშად ველაპარაკე. ეს იყო მისი ბუნებრივი უკურეაქცია გამომდინარე იქიდან, რომ ურთიერთობებში ის ძალიან მგრძნობიარეა. მე და ჩემი შვილი თითქმის მაშინვე შევრიგდით, მაგრამ ჩემს ცოლთან ურთიერთობის აღსადგენად გარკვეული შრომა დამჭირდა. ამ ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ მან მითხრა: „ჯერ ისევ თავბრუ მეხვევა იმისგან, თუ როგორ დაელაპარაკე ჩვენს შვილს“. მივხვდი, რომ ეს არის ნიჭი ლიზას ცხოვრებაში. მრავალი ქალის მსგავსად, ის მთელი არსებით იცავს მათ, ვისთანაც ახლოს არის და უკიდურესად თანამგრძნობი პიროვნებაა.

შესაძლებელია, რომ სულიწმიდაც ფლობდეს ურთიერთობის ამ თვისებებს, რომელთაც ჩვენ ჩვეულებისამებრ მანდილოსანთა მახასიათებლად მივიჩნევთ? ბიბლია ამბობს: „ნუ დაანაღვლიანებთ ღვთის სულიწმიდას“ (ეფეს.4:30;). როგორც

რიკ რენერი აღნიშნავს თავის ნაშრომში „*Sparkling Gems from the Greek*“, სიტყვა ნათარგმნი როგორც „*დანაღვლიანება*“, გამოხატავს „ღრმა მწუხარებას და დარდს“. ის მომდინარეობს იმ სახის ტკივილის ამსახველი სიტყვიდან, რომელიც შესაძლებელია განცდილი იყოს მხოლოდ ორ ადამიანს შორის, რომელთაც ძლიერ უყვართ ერთმანეთი. ანუ ის, რასაც არსებითად ამბობს პავლე, არის: „ნუ დაანაღვლიანებთ ღრმა მწუხარებით მას, ვისაც ძლიერ უყვარხართ“. ახლა კონტექსტში წავიკითხოთ ეს ადგილი:

> „არავითარი უშვერი სიტყვა არ დაგცდეთ პირიდან. არამედ ყოველივე, რასაც იტყვით, იყოს კეთილი და სასარგებლო, რათა თქვენი სიტყვები გამხნევებად იქცეს მსმენელთათვის. თქვენი ცხოვრების წესით *ნუ მოუტანთ მწუხარებას* [ნაღველს] ღვთის სულიწმიდას. გახსოვდეთ, მან გცნოთ თავისად, და უზრუნველყოფს თქვენს გადარჩენას გამოსყიდვის დღისთვის. მოიშორეთ ყოველგვარი სიმწარე, მძვინვარება, ბრაზი, რისხვა, ყვირილი, უხეში სიტყვა, ცილისწამება და გმობა, ყველა ბოროტ ქცევასთან ერთად. ნაცვლად ამისა, იყავით კეთილნი და თანამგრძნობნი ერთი მეორის მიმართ და მიუტევეთ ერთმანეთს, როგორც ქრისტე იესოში მოგიტევათ თქვენ ღმერთმა“ (ეფეს.4:29-32; NLT)

ხედავთ სულიწმიდის სიფაქიზეს?

სიფაქიზე და თანაგრძნობა ჭეშმარიტად წარმოადგენს ძალას მომხიბვლელობისთვის. პავლე გვავალდებულებს, რომ გვქონდეს თანამგრძნობი გული. თუ მე მსურს დავტკბე ჩემს მეუღლესთან ბრწყინვალე, ჯანსაღი ურთიერთობით, მაშინ უმჯობესია ჩემი ვაჟების მიმართ ვიყო ლმობიერი და საუბრისას — თავშეკავებული. ანალოგიურად, თუ გვსურს, რომ დავტკბეთ სულიწმიდასთან ბრწყინვალე, ჯანსაღი ურთიერთობით, ჩვენ მგრძნობიარენი უნდა ვიყოთ იმ საკითხებში, რაც მას დაანაღვლიანებს. საინტერესოა, რომ პავლე სულიწმიდის დანაღვლიანებას შემდეგი სახის ქცევებთან აიგივებს: უწმინდური ან მლანძღველი ენა, მძვინვარება, ბრაზი, უხეში სიტყვა-პასუხი, ჭორაობა, ცილისწამება. იმის მსგავსად, თუ როგორ დაანაღვლიანა ჩემმა არასწორმა მოქცევამ ჩემი მეუღლე. კვლავ, ეს გახლავთ მოწმობა, რომ სულიწმიდა ფლობს ურთიერთობის ამ თვისებებს, რომელიც ჩვენი მოსაზრებით მანდილოსნებისთვის არის დამახასიათებელი.

ყურადღება მიაქციეთ, რომ პავლე არ ამბობს: „ნუ დაანაღვლიანებთ იესოს“ ან „ნუ დაანაღვლიანებთ მამას“. ის განსაკუთრებულად ამბობს: „ნუ დაანაღვლიანებთ სულიწმიდას“. სულიწმიდა მოვიდა და დამკვიდრდა ჩვენს გულებში. სადაც ჩვენ წავალთ, ისიც ჩვენთან არის; ეს ძალზედ მჭიდრო ურთიერთობაა. ამიტომ ყველაფერი, რასაც ჩვენს ცხოვრებაში ვუშვებთ, ძლიერ გავლენას ახდენს სულიწმიდაზე.

განვიხილოთ ეს სხვა კუთხით. თუ ვინმე გამლანძღავს მე, დიდი არაფერი. მაგრამ თუ ვინმე გალანძღავს ჩემს ცოლს, მას პრობლემები შეექმნება. მსგავსი რამ განაცხადა იესომ: „ვინც სიტყვას იტყვის კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება მას. მაგრამ თუ ვინმე იტყვის სულიწმიდის წინააღმდეგ, არ მიეტევება მას არც ამ სოფლად და არც მომავალში“ (მათ.12:32;). განა საინტერესო არ არის, რომ მამა ღმერთი (მამა გააცხადა ძემ, რომელიც მხოლოდ მამის ნებას ლაპარაკობდა) თავის მფარველობას აცხადებს სულიწმიდაზე? მამას არ გამოუცხადებია ამგვარი დაცვა იესოზე, თუ როგორ მოვიხსენიებთ მას ან თვითონ მამას, მაგრამ მან ეს გააკეთა სულიწმიდასთან მიმართებაში.

ურთიერთობა მამას, ძესა და სულიწმიდას შორის არის საიდუმლო, რომელიც შესაძლოა ვერც ვერასოდეს გავიგოთ სრულად. მაგრამ, საინტერესოა ამ სხვაობის აღმოჩენა სულიწმიდასთან მოზიარეობისას. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ ჩვენი ურთიერთობა სულიწმიდასთან. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ჩვენ შეიძლება დავანაღვლიანოთ ის და ზოგჯერ ღრმად დავამწუხროთ კიდეც. რატომ არის აღნიშნული საკითხი ასეთი მნიშვნელოვანი ამ ურთიერთობაში? იმიტომ რომ, თქვენს ცხოვრებაში მისი თანდასწრების გამოვლინება არ მოხდება, თუ არ გეცოდინებათ როგორი ურთიერთობა უნდა გქონდეთ მასთან.

დღე 5

ის მგრძნობიარეა, მაგრამ ძლიერი

სულიწმიდას ეწოდება ნუგეშისმცემელი, ხომ ასეა? პირველ რიგში, ვისთან მირბიან შვილები, როცა რაღაცას იტკენენ? ისინი დედას მიაშურებენ. ამ თვალსაზრისით, რამდენიმე შტატმა შექმნა პოლიცია, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქალ ოფიცერთა როლს არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაში. ჰავაის შტატში არის პოლიცია, რომელიც მოუწოდებს ქალ ოფიცრებს, პირველები შევიდნენ ურთიერთობაში ახლად დაკავებულ არასრულწლოვანებთან. მათ ისწავლეს, რომ ახალ-

გაზრდები ქალი ოფიცრების მიმართ უკეთეს განწყობას გამოხატავენ. მანდილოსნები ბუნებრივად ავლენენ თანდაყოლილ უნარს ანუგეშონ და დაამშვიდონ. ისევ ვიმეორებ, ამით მე არ ვაცხადებ, რომ სულიწმიდა არის ქალი.

მეფე დავითს რაღაცით სულიწმიდას ვამსგავსებ. შეგიმჩნევიათ ოდესმე, როგორი ფაქიზი და მგრძნობიარე გახლდათ დავითი? როგორი თანამგრძნობი და სათუთი იყო ის? როდესაც აბესალომი მოკვდა, ის გოდებდა, თუმცა ეს მან უბრძანა ჯარს ბოლო მოეღოთ აბესალომის მიერ წამოწყებული აჯანყებისთვის (იხ. 2მეფ.19;). უამრავ სხავადასხვა ვითარებაში ვხედავთ, რომ დავითი ტიროდა, წერდა სიმღერებს. მისი ურთიერთობა იონათანთან ახლო მეგობრობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია წმიდა წერილში. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ დავითი იყო მებრძოლი, ის, რომელმაც გაბედულად დაამარცხა გოლიათი და რომელსაც ათასობით კაცი ყავდა მოკლული. ის იყო უძლიერეს ვაჟკაცთა მეთაური — სავსებით შესაძლოა, რომ ეს მებრძოლთა ყველაზე ძლიერი დანაყოფი იყო ისრაელის ისტორიაში (იხ. 2 მეფ. 23;). ერთხელ დავითი იმასაც კი იზრახავდა, რომ სიკვდილით დაესაჯა კაცი, რომელმაც უარი თქვა მიეცა წყალი და საკვები მისი ხალხისთვის (1 მეფ. 25;). დავითი არ იყო მხდალი; ის იყო მებრძოლი, მაგრამ ამავდროულად, გახლდათ ფაქიზი და მგრძნობიარე სულის პიროვნება.

ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ სულიწმიდას ასევე ეწოდება სული ძლიერებისა (იხ. ესაია. 11:2;). ის ყოვლადძლიერია და არასგზით არ გახლავთ სუსტი ან უმწეო. მაგრამ ამავე დროს, ის არის გულმოწყალე და ღრმად მგრძნობიარე. ის შეიძლება დამწუხრდეს ჩვენი სიტყვებით ან ქმედებებით. როგორი გასაოცარი ღმერთია!

ნუ შეშფოთდებით, თუ გიჭირთ მისი ბუნების სრულად გაგება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მისი პიროვნება ჩვენი ადამიანური გაგებით არ შემოიფარგლება. მაგრამ, მან აღგვითქვა, რომ გაგვიცხადებს თავს თუ მასთან ახლოს მივალთ. შესანიშნავი მოწვევაა!

როგორც უკვე ვახსენე, შეუძლებელია სრულად აღვწერო სულიწმიდის საიდუმლოება და დიდებულება (იხ. 1კორ. 2:6-16;). ჩემი მიზანია გაგაცნოთ იგი, რათა დაიწყოთ მისი სიდიადის აღმოჩენა და ისიამოვნოთ მისი თანდასწრებით საკუთარ ცხოვრებაში.

სულიწმიდის პიროვნება 63
იფრთხილეთ, რომ არ დაანაღვლიანოთ

არც თუ დიდი ხნის წინ, უარი ვთქვი ტელევიზორის ყურებაზე გარკვეული დროის განმავლობაში. როცა თავი მივუძღვენი ლოცვას და სიტყვას, ჩემი ურთიერთობა ღმერთთან გახდა შესანიშნავი, ძლიერი. ერთხელ იმ დღეებში, შევედი ოთახში, სადაც ჩემი ბიჭები მხატვრულ ფილმს უყურებდნენ. ის არ იყო ცუდი ფილმი, მაგრამ ზუსტად იმ სცენას შევესწარი, როდესაც ერთი კაცი მოკლეს. მყისვე უკან გამოვბრუნდი, ვინაიდან, სულიწმიდის მიმართ იმდენად მგრძნობიარე გავხდი ამ მოზიარეობის განმავლობაში, რომ ვიგრძენი მისი მწუხარება ეკრანზე ასახული სანახაობის გამო.

არასდროს უნდა დაგვავიწყდეს, რომ სულიწმიდამ ბინა დაიდო ჩვენში და ის მუდმივად ჩვენთან მკვიდრობს. როცა კინოთეატრში მიდიხართ, თქვენ, სამყაროს ღმერთი, რომელიც არის წმიდა და განუზომელი ძლიერების, თქვენთან ერთად მიგყავთ კინოში. იგი განუწყვეტლივ თქვენთან არის, ვინაიდან დაგპირდათ, რომ არასდროს დაგაგდებთ ან მიგატოვებთ. მაგრამ აღმოაჩენთ, რომ როდესაც გარემოიცავთ მას სიტუაციით, რომელიც ამწუხრებს, იგი უეცრად ჩუმდება.

რა უნდა გავაკეთოთ, თუ დავანაღვლიანეთ სულიწმიდა? დაუყოვნებლივ პატიება უნდა ვითხოვოთ, მაგრამ ეს უნდა იყოს გულის სიღრმიდან წამოსული, წრფელი ბოდიში. როცა ჩემს მეუღლეს ვაწყენინებ, სწრაფი „მოდი დავივიწყოთ“ ბოდიში არასდროს მოქმედებს. ლიზა მაშინვე ამჩნევს რა დგას ამ ბოდიშის უკან. მან იცის, მე უბრალოდ მსურს გავაგრძელო ცხოვრება, თუ წრფელად მინდა მოვაგვარო საკითხი, რამაც უსიამოვნება (რღვევა) გამოიწვია ჩვენს ურთიერთობაში. ლიზას სურვილი არ გახლავთ ჩემი დადანაშაულება, მაგრამ მას სურს დარწმუნებული იყოს, რომ არაფერია ყალბი და ხელოვნური ჩვენს ურთიერთობაში. იგივენაირად, ღვთის სული მოშურნეა ჩვენს მიმართ. მას არ სურს ზერელე ურთიერთობა, არამედ წრფელი სიახლოვე.

ამ თავში მე ვახსენე შემთხვევა, როდესაც უხეშად დაველაპარაკე ჩემს ერთ-ერთ ვაჟს. ამ ინციდენტიდან ორი დღის განმავლობაში, ლოცვის დროს სულიწმიდა განაგრძობდა ჩემი ყურადღების გამახვილებას მომხდარზე. ეს არ გახლდათ მსჯავრდადება. აქცენტი ურთიერთობაზე იყო. მე ვერ ვაცნობიერებდი, რამდენად დავანაღვლიანე სულიწმიდა, ამიტომ თავიდან რამდენჯერმე ვთხოვე პატიება, მაგრამ ეს არ იყო ჭეშმარიტი ღვთისმოსაობით გამოწვეული წუხილი. მე იმით

უფრო ვიყავი დაინტერესებული, რომ მასთან ურთიერთობა გამეგრძელებინა. ის განაგრძობდა და შედეგად, ფაქიზი ბიძგებით მიმიყვანა ჭეშმარიტ, ღრმა, ღვთის სათნო მწუხარებასთან, რომელმაც ერთიმეორეს მიყოლებით გაასუფთავა ჩემი სამშვინველი – გონება, ნება და ემოციები.

პავლე მსგავსი ქმედებისკენ მოუწოდებდა კორინთოს ეკლესიას მას შემდეგ, რაც თავიანთი ურჩობით ბზარი გააჩინეს ღმერთთან ურთიერთობაში. მან დაწერა (და მისი სიტყვების წაკითხვისას, გააცნობიერეთ, რომ ისინი სულიწმიდისგან არის):

> „ღვთის გულისათვის, რომ დამწუხრდით, შეხედეთ, რამდენი რამ წარმოშვა თქვენში: როგორი სიბეჯითე, როგორი ზრუნვა, რომ გაგეწმიდათ თავები, როგორი გულისწყრომა, როგორი შიში, როგორი სურვილი, რომ გენახეთ“ (2 კორ. 7:11; NLT)

მადლობა უფალს, რომ ნაპატიები და გაწმედილნი ვართ კრავის სისხლით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნეები იესო ქრისტეს მადლით სწორად ვდგავართ ღვთის წინაშე, მაინც გვჭირდება ხელახლა დავამყაროთ კავშირი სულიწმიდასთან, როდესაც მას ვანაღვლიანებთ. ისევე, როგორც მოციქული პავლე შეაგონებდა კორინთელებს, ვიდრე ჭეშმარიტად არ მოინანიებდნენ, ასე სულიწმიდა განაგრძობს ჩვენს მხილებას, ვინაიდან ის მოშურნეა ჩვენთან ნამდვილი, წრფელი ურთიერთობისა. ღვთის გულისათვის დამწუხრებამ, რომელიც განვიცადე, ყოველივეს მოწესრიგების წრფელი სიბეჯითე და ურთიერთობის აღდგენის ძლიერი სურვილი წარმოქმნა. მადლობა ღმერთს, რომ სულიწმიდა არ აყოვნებს პატიებას!

არასდროს დაგავიწყდეთ: სულიწმიდა არის სათუთი, თანამგრძნობი და ნუგეშისმცემელი (თვისებები, რომელთაც ჩვენ ქალს მივაკუთვნებთ); მაგრამ ის ასევე გახლავთ ძლიერი და ძლევამოსილი, მებრძოლის მსგავსად (თვისებები, რომელთაც მამაკაცს მივაკუთვნებთ). განუწყვეტლივ, უფრო და უფრო მეტს უნდა ვსწავლობდეთ მისი პიროვნების შესახებ, თუ გვსურს განვიცადოთ მასთან სიახლოვე. ჩვენ მისი პირობებით უნდა შევიდეთ მასთან ურთიერთობაში. რაც მეტად შევიმეცნებთ, თუ ვინ არის სულიწმიდა, მით მეტად შევძლებთ გავაღრმავოთ ურთიერთობა ყოვლისშემძლესთან.

ზოგჯერ, როცა ვცდილობ ჩემს ცოლს გოლფზე ვესაუბრო, მაგალითად ასეთ რამეს ვეუბნები: „ძვირფასო, დღეს 68 დარტყმა განვახორციელე!“. ჩემი ვაჟები აღფრთოვანდებიან და

მეტყვიან: „მამა, ჩვენ შენთან ვართ ყოველი დარტყმისას!“. მაგრამ, ჩემს მეუღლეს ბურთის დარტყმებზე მეტად აინტერესებს, თუ რაზე ვსაუბრობდი თანამოთამაშეებთან. ეს არის, რაც მას მართლა აღელვებს — ურთიერთობები. თუ მსურს ლიზასთან კავშირის დამყარება მის დონეზე, უნდა ვესაუბრო მისთვის საინტერესო საკითხებზე. ანალოგიურად, უნდა გავარკვიოთ რა აინტერესებს და აამებს სულიწმიდას. როდესაც წმიდა წერილის კითხვით და მასთან ხარისხიანი დროის გატარებით ვცდილობთ ჩავწვდეთ მის დიდებულებას, იგი ერთგულად გაგვიცხადებს საკუთარ თავს.

თქვენ შეგიძლიათ გესმოდეთ ღმერთის ხმა!

„ვინც ღმერთს ეკუთვნის, მას ესმის რას ამბობს ღმერთი...“

– იოანე 8:47; NIV

დიახ, თქვენ შეგიძლიათ გესმოდეთ ღმერთის ხმა! ის დღესაც ელაპარაკება თავის ხალხს და გვესაუბრება თავისი ძვირფასი სულიწმიდით! ძლიერი სურვილით, რომ დაეკავშირებინათ ქრისტიანები ღმერთთან უფრო ღრმა, პირადი ურთიერთობით, ავტორები **ჰენრი ბლექები** და **კლოდ კინგი**, გვიზიარებენ:

> „ღმერთი გარკვევით ელაპარაკებოდა თავის ხალხს საქმეების წიგნში. ის გარკვევით გველაპარაკება დღესაც. საქმეების წიგნის ხანიდან დღემდე, ღმერთი *სულიწმიდის მეშვეობით* ელაპარაკება თავის ხალხს. ...ვინაიდან ის ყოველთვის მკვიდრობს მორწმუნე ადამიანში, მას შეუძლია გასაგებად ესაუბროს მას ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ფორმით, რომელსაც თვითონ აირჩევს“.[1]

იესომ განაცხადა, რომ ის არის მწყემსი კეთილი, ჩვენ კი - მისი ცხვარი, რომელიც ისმენს და იცნობს მის ხმას. იფიქრეთ მისი სიტყვებზე: იოან.10:3-5,11,14,27. რას გიცხადებთ სულიწმიდა?

_____

_____

_____

სულიწმიდის ერთ-ერთი სახელი *ჭეშმარიტების სულია*. რატომ? ბლექები აგრძელებს:

> „მე და თქვენ არ შეგვიძლია ჭეშმარიტების შეცნობა თუ სულიწმიდა არ გაგვიცხადებს მას. ის ჩვენი მასწავლებელია. როდესაც ის ღვთის სიტყვას გასწავლის, დაჯექი და დაელაპარაკე მას. როცა ლოცულობ, შეხედე, როგორ იყენებს ის ღმერთის სიტყვას, შენს გულში ღმერთის-

> გან მოსული სიტყვის დასადასტურებლად. დააკვირდი რას აკეთებს ის შენს გარშემო სიტუაციებით. ღმერთი, რომელიც გელაპარაკება ლოცვისას და ღმერთი, რომელიც გელაპარაკება წმიდა წერილიდან, არის ღმერთი, რომელიც შრომობს შენს ირგვლივ. უფალი სულიწმიდის მიერ ლაპარაკობს ბიბლიის, ლოცვის, გარემოებებისა და ეკლესიის მეშვეობით, რათა გაგვიხცადოს საკუთარი თავი, მიზნები და გზები“.[2]

შეგიძლიათ დაასახელოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი, რასაც ელოდებით სულიწმიდისგან, რომ გაგიცხადოთ? ყურადღებით წაიკითხეთ იესოს სიტყვები შემდეგი მუხლებიდან: იოან. 14:26; 15:26; და 16:12-15; და აღმოაჩინე ხუთი რამ, რასაც სული ასწავლის.

როგორ ვიცნოთ უფლის ხმას? ბლექები და კინგი განაგრძობენ:

> „... ღმერთის ხმის ამოსაცნობ გასაღებს არ წარმოადგენს რაიმე ფორმულა. ეს არ არის არც რამე მეთოდი, რომელსაც შეგიძლია მიმართო. ღმერთის ხმის ცოდნა მასთან სიყვარულით სავსე ახლო ურთიერთობის შედეგია. ...როცა ღმერთი ლაპარაკობს და შენ პასუხობ, მიხვალ მდგომარეობამდე, როცა სულ უფრო და უფრო აშკარა გახდება შენთვის მისი ხმა“.[3]

ურთიერთობა არის მთავარი იმისათვის, რომ ვცნობდეთ და გვესმოდეს ღმერთის ხმა. ენოქი, ნოე, აბრაამი და მრავალნი განიცდიდნენ ამ სიახლოვეს და ეს თქვენთვისაც შესაძლებელია. ამოსი 3:7; დან. 2:22; და ფსალმ. 24:14-დან, რომელი პრინციპია ასახული იოან.15:15; 1 კორ. 2:9-10; და ეფეს.1:9-ში? როგორ გამხნევებთ ეს თქვენ, როგორც „ბოლო დღეების“ მორწმუნეს?

ნიმუშისთვის, **გადახედეთ** ენოქის (დაბ.5:21-24;), ნოეს (დაბ.6:9-18;), აბრაამის (დაბ.18:16-22;) და პეტრეს (საქმ.10:9-23;) ცხოვრებას.

მისი თანდასწრება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა თქვენთვის

„შენ თქვი, მოძებნეთ ჩემი სახე [ეძიეთ და ითხოვეთ ჩემი თანდასწრება, როგორც სასიცოცხლო საჭიროება თქვენთვის]. ჩემი გული გეუბნება, შენს სახეს (შენს თანდასწრებას) მოვძებნი უფალო...“

– ფსალმუნი. 26:8; AMP

დავითი არ გახლდათ ჩვეულებრივი კაცი. მას გააჩნდა რაღაც, რაც მის გულში გიზგიზებდა — ერთი ვედრება, რის გარეშეც მისი შინაგანი იფიტებოდა. მას სწყუროდა ღმერთის თანდასწრება. „ერთს ვთხოვდი უფალს“ - ამბობს ის. „რასაც ყველაზე მეტად ვეძებ — რომ დავემკვიდრო უფლის სახლში ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ვუმზერდე უფლის სიმშვენიერეს და მის ტაძარში ვიმყოფებოდე“ (ფსალმ. 26:4; NLT).

არაფერი — სრულიად არაფერია იმაზე მეტად ფასეული, ვიდრე უფლის თანდასწრებაში ცხოვრება და მის თანამშრომლად ყოფნა. ვინაიდან მამა და ძე ზეცაში იმყოფებიან, სულიწმიდა წარმოიგზავნა დედამიწაზე ღმერთის თანდასწრების გამოსავლენად თითოეულ მორწმუნეში და თითოეული მორწმუნის მხრიდან. ნიკოლას ჰერმანმა, რომელიც **ძმა ლორენსის** სახელით არის ცნობილი, ისწავლა „ღმერთის თანდასწრებაში ყოფნა“ და ცხოვრების მისიად გაიხადა დახმარებოდა სხვებსაც განეცადათ იგივე. მეჩვიდმეტე საუკუნის მონასტრის მსახურის სიტყვების თანახმად:

> „ჩვენი სულიერი ცხოვრების ყველაზე წმიდა და აუცილებელი მოღვაწეობა, ღმერთის თანდასწრებაში ყოფნაა. ეს ნიშნავს მის გვერდით პოულობდე მუდმივ სიამოვნებას, ყოველთვის, ყველა ვითარებაში თავმდაბლობით და სიყვარულით ესაუბრებოდე და არასგზით ზღუდავდე ამ საუბარს“.[4]

შეჩერდით და დაფიქრდით, რამდენად მნიშვნელოვანია უფლის თანდასწრება თქვენს ცხოვრებაში? როგორი იქნებოდა მის გარეშე ცხოვრება? წარმოიდგინეთ ხვალინდელი დღე მისი თანდასწრების გარეშე. ხელახლა გადახედეთ მის სახელთა ჩამონათვალს და მის როლს თქვენს ცხოვრებაში. განახლებული პერსპექტივით დაწერეთ, რამდენად სასიცოცხლოა თქვენთვის მისი თანდასწრება.

სად და როდის უნდა განვიცდიდეთ სულიწმიდის თანდასწრებას? ძმა ლორენსი განაგრძობს:

> „ტაძარში დარჩენა არ არის საჭირო იმისთვის, რომ ღმერთის თანდასწრებაში დავრჩეთ. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი გულები ვაქციოთ პირად სამლოცველოდ, სადაც ნებისმიერ დროს შევალთ ღმერთთან განცალკევებით სასაუბროდ. საუბარი კი, შეიძლება იყოს ძალიან სათუთი და სიყვარულით სავსე და ეს ნებისმიერს შეუძლია ჰქონდეს. განა არსებობს რამე მიზეზი, რომ ეს არ დავიწყოთ?”.[5]

უდაოდ საჭიროებთ ხარისხიან დროს სულიწმიდის თანდასწრებაში ყოფნისთვის — დროს, როდესაც მთელ თქვენს ყურადღებას მხოლოდ მას მიაპყრობთ. ეს მოიცავს საათებს, როცა კითხულობთ ბიბლიას, ესაუბრებით და უსმენთ მას, მადლობას უძღვნით და უმღერით, მაშინაც კი თუ უბრალოდ ჩუმად ზიხართ. შეჩერდით და ილოცეთ: „სულიწმიდავ, ჩემი ცხოვრების მოცემულ ეტაპზე, როგორი უნდა იყოს ჩემთვის შენთან მოზიარეობის დრო?“. დაწერეთ რასაც გაგიცხადებთ.

როგორ უნდა შევიდეთ უფლის თანდასწრებაში? ძმა ლორენსი ამბობდა: „მხოლოდ წარუდგინეთ საკუთარი თავი ღმერთს ... და გადაიტანეთ მთელი ყურადღება მის თანდასწრებაზე. თუ დროდადრო გონება სადღაც გაგექცევათ, ნუ გაგაღიზიანებთ

ეს, რადგან გაღიზიანება კიდევ უფრო მეტად შეგიშლით ხელს. საშუალება მიეცით ნებას ფაქიზად მოიხმოს თქვენი გონება ღმერთთან. ...გამოიმუშავეთ მის შესახებ ხშირად ფიქრის წმიდა ჩვევა“.[6]

შეჩერდით და ილოცეთ: „სულიწმიდავ, რა გავაკეთო, რომ უფრო მეტად შევძლო საკუთარი ყურადღების შენკენ მომართვა და შენზე ფოკუსირება?“. მოუსმინეთ მის პასუხს და გამოიყენეთ ცხოვრებაში.

საფუძვლიანი შესწავლისთვის...

წაიკითხეთ: 1 ნეშტ.16:9-11; ფსალმ.21:26; 104:3-4; იგავ.8:17-18; ესაია.55:1-3,6; იერ.29:11-13; მათ.6:33; ებრ.12:1-2.

მას თქვენთან ახლოს ყოფნა სურს

„აჰა, ვდგავარ კართან და ვრეკ განუწყვეტლივ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას, რომ ვეძახი და გამიღებს კარს, შევალ მასთან, ვიმეგობრებ და ვიქნები მასთან“

– გამოცხადება 3:20; TLB

ღმერთს, სულიწმიდის პიროვნების მეშვეობით, სურს თქვენთან ყველაზე ახლოს ყოფნა, ვიდრე ნებისმიერ ადამიანს ამ დედამიწის ზურგზე. მას სწადია სიახლოვე — ურთიერთობის ყველაზე ღრმა დონე, რომელიც კი შეგიძლიათ განიცადოთ.

ნათქვამია, რომ ღმერთთან სიახლოვე (ინგ.intimacy) იგივეა, რაც ვთქვათ, ის, რომ ღმერთს შეუძლია „ჩაიხედოს ჩემში“ (in-to-me-see). და ეს ჭეშმარიტებაა. სულიწმიდას შეუძლია ჩაიხედოს თქვენი პიროვნების ისეთ სიღრმეებში, სადაც არცერთ ადამიანს არ შეუძლია შეღწევა — ჩვენი სამშვინველისა და სულის შიგნით. ის არ არის შეზღუდული დროით ან სივრცით. სული არა მხოლოდ იკვლელვს და იცნობს ჩვენს გულებს, არამედ ის ასევე იკვლევს და იცნობს ღვთის გულს. გვიცხადებს მის ყველაზე მიუწვდომელ ფიქრებს, საიდუმლოებებს და სურვილებს — ისე, რომ ჩვენც შეგვეძლოს „ჩავიხედოთ მასში” (in-to-Him-see).

„საიდუმლო [ტკბილი, ამავსებელი ურთიერთობისა] უფლისა აქვთ მათ, ვინც მისი მოშიშია (ვინც ეთაყვანება და პატივს მიაგებს) და თავის აღთქმას აუწყებს მათ და გაუცხადებს მის [სიღრმისეულ, დაფარულ] მნიშვნელობას“

– ფსალმუნი 24:14; AMP

ვიმეორებ, სულიწმიდა არის „ჭეშმარიტების სული“, რომელიც შეგვიძღვება ყოველგვარ ჭეშმარიტებაში. არის რაიმე, რისი გაგებაც გსურთ მამის ან იესოს ან წმიდა წერილიდან რომელიმე ადგილის შესახებ? ილოცეთ და თხოვეთ სულიწმიდას დაგანახოთ მისი ჭეშმარიტი, სიღრმისეული მნიშვნელობა და

როგორ უნდა აისახოს ის თქვენს ცხოვრებაში. დაწერეთ, რას გაგიცხადებთ.

„და დაიწყო იესომ მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ ყოველ წერილში მასზე ნათქვამს“

– ლუკა 24:27; GNT

სული არა მხოლოდ წმიდა წერილის შესახებ გვიცხადებს ჭეშმარიტებას, არამედ ჩვენი ცხოვრების შესახებაც.

არის სფერო თქვენს ცხოვრებაში, რომელსაც ვერ იგებთ? ცხადი მიზეზის არ არსებობის გარეშე, გეუფლებათ ბრაზი ან ძლიერი შიში გარკვეულ სიტუაციებში? სულიწმიდამ იცის რატომ. შეჩერდით და ილოცეთ: „სულიწმიდავ, რა არის ჩემი ამგვარი ქმედების ნამდვილი მიზეზი? შენი თვალები მომეცი, რომ დავინახო. ამის დასაძლევად რა უნდა შეიცვალოს ჩემში?“. დაწერეთ რას გაგიცხადებთ.

არსებობს გარემოება, წარსულის ან აწმყოსი, რომელსაც ვერ იგებთ? სულიწმიდამ იცის. შეჩერდით და ილოცეთ: „სულიწმიდავ, რაში მდგომარეობს ჭეშმარიტება ამ სიტუაციასთან დაკავშირებით? შენ როგორ ხედავ მას? რის შეცვლას ცდილობ ჩემში და როგორ უნდა ვითანამშრომლო შენთან, რომ ვიხილო სასიკეთო შედეგი?“. დაწერეთ რას გაგიცხადებთ.

საფუძვლიანი შესწავლისთვის ...

იესო განიცდიდა მამასთან სიახლოვეს: მათ. 14:22-23; 17:1-5; მარკ. 1:35; 6:31; 46:47; ლუკ. 5:16; 6:12;
ღვთის სული ახლოსაა, როცა ჩვენ ახლოს მივდივართ მასთან: ფსალმ. 15:8; 33:18; 72:28; 144:18; ებრ. 10:22; იაკ. 4:8;

იყავით ფრთხილად, არ დაანაღვლიანოთ ის

„ნუ დაანაღვლიანებთ ღვთის სულიწმიდას თქვენი ცხოვრებით. გახსოვდეთ, მან გცნოთ თქვენ თავისებად....“

– ეფესელთა 4:30; NLT

სულიწმიდასთან ერთობა ფასდაუდებელია! მისი თანდასწრების გამოვლინება სიცოცხლის მომტანია ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. **კეტრინ კულმანისთვის,** ეს ცხოვრების წესი იყო. მილიონობით ადამიანი უსმენდა მის სიტყვას ღმერთის სიყვარულზე და სულიწმიდის ძალაზე, მრავალმა მიიღო სასწაულებრივი განკურნება. თავის წიგნში „*The Greatest Power in the World* “ კულმანი განმარტავს, თუ როგორ შეიძლება დანაღვლიანდეს სულიწმიდა:

> „...თუმცა სულიწმიდა სამების უძლიერესი ძალაა, ის მგრძნობიარეა და იოლად ნაღვლიანდება. ეჭვგარეშეა, რომ ეს მშვენიერი პიროვნება შეიძლება დაანაღვლიანოს სიმწარემ, მრისხანებამ, ბრაზმა, ბოროტად საუბარმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის შეიძლება დანაღვლიანდეს პიროვნების ცხოვრებაში არსებული ნებისმიერი რამით, რაც სიმშვიდის, თავმდაბლობის, მრავლის მოთმინების, ერთმანეთის მიმართ სულგრძელობით სიყვარულის და მშვიდობის საკვრელით ღვთის სულის ერთობის შენარჩუნების მთელი ძალ-ღონით მონდომების საწინააღმდეგოა“.[7]

ძალზედ მნიშვნელოვანია გაიგოთ რა ანაღვლიანებს სულიწმიდას და რა აიძულებს მას უკან დაიხიოს და აღარ გამოავლინოს თავისი თანდასწრება ჩვენს ცხოვრებაში. ყურადღებით წაიკითხეთ ეფესელათა მიმართ წერილის მე-4 თავი, რომელიც კონტექსტში წარმოგვიდგენს, თუ რას ნიშნავს სულიწმიდის დანაღვლიანება (ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ მუხლებზე: 1-6; და 17-32;).

ეფეს.4:17-24-ში, რა სახის დამოკიდებულებანი, აზროვნება და ქმედებაა ჩამოთვლილი, რომელიც ანაღვლიანებს სულიწმიდას?

ეფეს. 4:17-24; ნათლად წარმოაჩენს ცხოვრების წესსა და აზროვნებას, რომელიც ამწუხრებს სულიწმიდას და გვაშორებს მის თანდასწრებას და გამოვლინებას.

ხელახლა გაიმეორეთ 25-31 მუხლებში აღწერილი ყველა მოქმედება, რომელიც ანაღვლიანებს სულიწმიდას. ჩაწერეთ ის, რაც ამ ნაწყვეტის გაცნობის შედეგად გაგიცხადდათ.

ეფეს. 4:25-31; საუბრობს კონკრეტულ მიდგომებზე, რომელთაც ვიჩენთ სხვების მიმართ და რასაც მოაქვს მწუხარება სულისთვის და მას გვაშორებს.

დიახ, ჩვენ ვანაღვლიანებთ სულს, მაგრამ კარგი ამბავი ისაა, რომ ჩვენ მისი გახარებაც შეგვიძლია! ყურადღებით წაიკითხეთ შემდეგი მუხლები: 1-7; 14-15; 25; 29; 32; და დაასახელეთ ის ქმედებები, რომელიც სულიწმიდას ახარებს.

პასუხის ჩამოსაყალიბებლად გამოიყენეთ იმ მოქმედებათა ანტონიმები, რომლებიც ანაღვლიანებს მას.

იმისათვის, რომ არ დავანაღვლიანოთ სული, მთავარია დავიცვათ სიწმიდისა და ერთობის სული. მაშინ როცა სიამაყე და უწმიდურება სულიწმიდის მოქმედების პარალიზებას ახდენს, თავმდაბლობა ათავისუფლებს მას. დამშვიდდით უფლის წინაშე და ჰკითხეთ მას: „ვაკეთებ რამეს, რითიც შენ განაღვლიანებ?“. მოინანიეთ ყველაფერი, რასაც გაგიცხადებთ. თხოვეთ მადლი, რომ სუფთა გზებით იაროთ, რაც აამებს მას და მოიპატიჟეთ, რათა თქვენს ცხოვრებაში იმოქმედოს.

თქვენ ხართ სულიწმიდის სამკვიდრო

„ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში?“

– 1 კორინთელთა 3:16;

ყოვლისშემძლე ღმერთმა — ყოვლისმცოდნე, ყოვლადძლიერმა, შემოქმედმა ყოველივესი – მიკროსკოპული მოლეკულებით დაწყებული უზარმაზარი გალაქტიკებით დასრულებული — გადაწყვიტა შენს გულში დაედო ბინა! დიახ, როგორც მორწმუნეში, თქვენშიც ცხოვრობს იგივე სული, რომელმაც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით!

მწყემსი, მწერალი და ბერძნული ენის მკვლევარი, **რიკ რენერი** გვიზიარებს, თუ რას ნიშნავს იყო სამკვიდრო ღვთის სულისთვის:

> „სულიწმიდა შემოვიდა, დასახლდა და მუდმივად დაიდო ბინა თქვენს გულში — *თავის ახალ სახლში*!
> როცა გადარჩენა მიიღეთ, თქვენში გადამწყვეტი მნიშვნელობის სასწაული მოხდა. სულიწმიდამ აიღო თქვენი სული, რომელიც მკვდარი იყო დანაშაულებებითა და ცოდვებით და აღადგინა ის ახალი სიცოცხლისთვის. მისი შრომა თქვენს შიგნით იმდენად დიდებული გახლდათ, რომ როცა ყოველივე დასრულდა, მან თქვენ თავის საკუთარ შემოქმედებად გამოგაცხადათ (ეფეს.2:10;). იმ მომენტიდან, თქვენი სული გადაიქცა *ღვთის გასაოცარ ტაძრად*!“.[8]

ყველგან, სადაც წახვალთ, თქვენ თან მიგყავთ სულიწმიდა. თქვენგან გამოსული ყოველი სიტყვა და საუბარი, ყველაფერი რასაც აკეთებთ, ნებისმიერი საქმიანობა, რომელშიც მონაწილეობთ, თქვენ მოქმედებთ ღვთის სულთან ერთად. შეჩერდით და დაფიქრდით ამაზე.

როგორ გამხნევებთ, შთაგაგონებთ და გაძლიერებთ ეს ჭეშ-

მარიტება? როგორ ცვლის ეს თქვენს ლოცვებს?

განიხილეთ ღმერთის აღთქმები მოცემული შემდეგ მუხლებში: ეფეს.3:14-20; ლუკ.12:11-12; იოან.14:12-17; კოლ. 1:27; 2 ტიმ. 1:13-14; და რომ. 8:1-17;

რისკენ მოგიწოდებთ და რომელ სფეროებში გამხილებთ ეს ჭეშ-მარიტება? თქვენი პასუხები აგღძრავთ სალოცავად?

განიხილეთ, როგორია თქვენი გადაწყვეტილებანი, როდესაც ირჩევთ რას უყ-ურეთ ან რას მოუსმინოთ გასართობად, თუ როგორ ადამიანებთან გქონდეთ ურთიერთობა და რა სახის საქმიანობით დაკავდეთ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, როგორ შეაფასებდით სული-წმიდასთან თქვენი ამჟამინდელი ურთიერთობის დონეს? გეს-მით მისი ხმა და განიცდით მისი რეალური გამოვლინებით თან-მხლებ თანდასწრებას თქვენს ცხოვრებაში? თუ დროა შეუდგეთ საგულდაგულო დასუფთავებას, რათა სულიწმიდამ უფრო მოს-ვენებულად იგრძნოს თქვენში თავი, როგორც მართლაც სახლ-ში? ილოცეთ და თხოვეთ მას გაგიცხადოთ თქვენი გულის ნამდ-ვილი მდგომარეობა. რას გეუბნებათ? რა ნაბიჯების გადადგმას გთხოვთ?

„ამრიგად,ძვირფასო ძმანო და დანო, შეგაგონებთ, რომ იმ ყველაფრის გამო, რაც ღმერთმა თქვენთვის გააკეთა შეს-წიროთ თქვენი სხეულები წმიდა, ცოცხალ, ღვთისთვის სასურველ მსხვერპლად. ეს არის ჭეშმარიტი გზა მის თაყ-ვანსაცემად. ნუ მიბაძავთ ამ წუთისოფლის ქცევებსა და ჩვევებს, მაგრამ საშუალება მიეცით უფალს თქვენი აზროვნების განახლებით გარდაგქმნათ თქვენ ახალ პიროვნებებად...“

– რომ.12:1-2;

სადისკუსიო საკითხები

ჩვენ გვაქვს **თანაზიარება** სულიწმიდასთან.

„თანაზიარება“ არის თარგმანი ბერძნული სიტყვისა *koinonia*, რაც ნიშნავს „მეგობრობა, კომპანიონობა, ურთიერთობა, სიახლოვე, ერთად ყოფნა, სოციალური კავშირი, თანამშრომლობა, ერთობლივი მონაწილეობა, ურთიერზიარი მჭიდრო კავშირი“. თანაზიარების ეს სახეობები სამ ძირითად კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ: მეგობრობა, თანამშრომლობა და სიახლოვე.

1 | სულიწმიდას სურს ჰქონდეს უწყვეტი თანაზიარება (koinonia) ჩვენთან, როგორც ღვთის ძეებთან და ასულებთან. თანაზიარება გულისხმობს მეგობრულ ურთიერთობას ცხოვრების ერთმანეთისთვის გაზიარებით. რატომ არის მნიშვნელოვანი სიხარულით მივიღოთ და ნათლად გავაცნობიეროთ სულიწმიდასთან მეგობრობა?

2 | მეგობრობასთან ერთად, სულიწმიდას სურს ჩვენთან თანამშრომლობა. რა პრაქტიკული ქმედებებით ეხმარებიან პარტნიორები ერთმანეთს მიზნის მიღწევაში? რაში მდგომარეობს დღეს ღვთის სულთან ჩვენი თანამშრომლობის უნიკალურობა, ძველ აღთქმიესულ ღვთის მიმდევართა მიერ განცდილ თანამშრომლობასთან შედარებით, აბრაამისა და მოსეს ჩათვლით? როგორ გამხნევებთ ეს?

3 | სულიწმიდასთან თანაზიარება კიდევ უფრო სიღრმისეულია, ვიდრე მეგობრობა და თანამშრომლობაა. ეს ასევე გულისხმობს სიახლოვეს — ახლო ურთიერთზიარ კავშირს. როგორც მორწმუნეებმა, როგორ უნდა განვავითაროთ ამგვარი სიახლოვე სულიწმიდასთან?

პატივის მიგება

პატივისცემის ან დიდად დაფასების ნებისმიერი გამოხატულება სიტყვებით თუ ქმედებით. არსებითად, პატივის მიგება ნიშნავს დაფასებას, პატივისცემას, მოწიწებისა და კეთილგანწყობის გამოხატვას, მოკრძალებას.

– აღებულია ინგლისური ენის ამერიკული ლექსიკონიდან, **Noah Webster 1828**

4 | სულიწმიდის უპირველესი ფუნქციაა გაგვიცხადოს ვინ არის იესო და მოუტანოს მას პატივი და დიდება. ის იქ გააცხადებს ქრისტეს და იქ გამოავლენს საკუთარ თავს, სადაც მას სათანადო პატივს მიაგებენ. ყურადღებით წაიკითხეთ *პატივის მიგების* განსაზღვრება. დაასახელეთ კონკრეტული გზები, თუ როგორ შეგვიძლია მივაგოთ პატივი სულიწმიდას როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად, როგორც ეკლესიამ.

5 | მიუხედავად იმისა, რომ სულიწმიდა (ღვთის სული) წმიდა წერილში არცერთხელ და არსად არ არის აღწერილი, როგორც მდედრობითი სქესის, მისი ქცევის ნიმუში ფუნქციურად ზოგჯერ მდედრობით სქესს მიეკუთვნება. ყურადღებით წაიკითხეთ დაბ. 1:27; და განმარტეთ, რას გვამცნობს ეს ღმერთის ხასიათის შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს სულიწმიდის ხასიათს. ამ ჭეშმარიტების ცოდნა როგორ ზეგავლენას ახდენს ღმერთთან თქვენს ურთიერთობაზე?

6 | სულიწმიდა თავისი ბუნებით გახლავთ უკიდურესად სათუთი, ფაქიზი, და მანუგეშებელი. თუ არ ვიქნებით ფრთხილად, ჩვენ შეიძლება დავანაღვლიანოთ ის ან ჩავაქროთ სული — ჩვენ შეგვიძლია ძლიერ დავამწუხროთ და ვაიძულოთ ის, შეაჩეროს თავისი საქმიანობა ჩვენს ცხოვრებაში. საფუძვლიანად განიხილეთ ეფეს.4:29-32; და გამოყავით ქმედებები, რომელიც ანაღვლიანებს ღვთის სულს. 1თეს.5:19-22-ის მიხედვით, რითი განსხვავდება სულის ჩაქრობა დანაღვლიანებისგან? როგორ დავიცვათ თავი მსგავსი ქმედებებისგან?

7 | ადამიანებისთვის ცნობილია, რომ ყველა ცოდვა მიეტევება კაცს ღმერთისგან, ერთის გარდა: ესაა *სულიწმიდის გმობა*. წაიკითხეთ იესოს გაფრთხილება მათ.12:22-32-ში (ასევე, მარკ.3:22-30; და ლუკ.12:10;). ამ მუხლების ფონზე, აღწერეთ რას ნიშნავს სულიწმიდის გმობა. თქვენი აზრით, რატომ ისაუბრა იესომ ამ საკითხზე ასე მკაცრად?

შენიშვნები

მეორე თავის შეჯამება:

- სულიწმიდას სწადია უწყვეტი *თანაზიარება* ჩვენთან;
- თანაზიარება მოიცავს მეგობრობას, თანამშრომლობას და სიახლოვეს;
- მეგობრობა არის გამუდმებით კავშირში ყოფნა, ურთიერთობის და ცხოვრების ერთმანეთთან გაზიარების გზით;
- თანამშრომლობა გულისხმობს ერთად შრომას; ეს ჩვენს ურთიერთობას მოქმედებას შემატებს;
- სიახლოვე წარმოადგენს მეგობრობის ყველაზე ღრმა დონეს, როდესაც ჩვენს ყველაზე პირადულ ფიქრებს, სურვილებსა და საიდუმლოებებს ვუზიარებთ სულიწმიდას და ისიც გვიზიარებს თავისას;
- სულიწმიდამ, რომელიც არის სრულყოფილი ღმერთი, ინება ჩვენს გულებში (სულებში) დაედო მუდმივი ბინა;
- უკიდურესად უნდა გავფრთხილდეთ, რომ არ დავანაღვლიანოთ სულიწმიდა, ვინაიდან ის გახლავთ სათუთი და მგრძნობიარე და ჩვენი ქმედებებით შესაძლოა ღრმად დავამწუხროთ.

3

ურთიერთობის სამი დონე

„თქვენი ტრადიციების (წინაპართაგან გადმოცემული წეს-ჩვეულებებით), თქვენ გვერდზე გადადეთ ღვთის სიტყვა [დაუ-კარგეთ მას ძალა და ავტორიტეტი და გახადეთ უმოქმედო]. თვალთმაქცნო, ჭეშმარიტად და კარგად წინასწარმეტყველებ-და ესაია თქვენზე, როცა ამბობდა: ეს ხალხი ახლოსაა ჩემთან პირით და ბაგეებით მცემს პატივს, მაგრამ მათი გული ახლოს არ მიშვებს და შორსაა ჩემგან. ამაოდ მცემენ თაყვანს, რაკი ადამიანთა მცნებებს მოძღვრებასავით ასწავლიან“

– იესო (მათ. 15:6-9; AMP)

დღე 1

იესომ ამგვარი გამოსაფხიზლებელი სიტყვებით მიმარ-თა ფარისევლებს, რადგან მათ უფლება მისცეს თავს ტრადიციები ღმერთის სიტყვაზე მაღლა დაეყენებინათ. ჩემი ლექსიკონი სიტყვა „ტრადიციას“ შემდეგნაირად განმარ-ტავს: „აზროვნების, მოქმედების ან ქცევის მემკვიდრეობით მიღებული, დამკვიდრებული ან ჩვეული ფორმა“. გულახდილად რომ ვთქვათ, ტრადიცია თავისთავად არ გახლავთ მაინცდა-მაინც რაღაც ცუდი. უამრავი მშვენიერი ტრადიციაა, რომელთ-აც მეც აღვნიშნავ ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. მაგრამ ფარისევლებმა ტრადიციები (ფიქრის ჩვეული ფორმა) ღმერთის სიტყვაზე მეტად აამაღლეს, რამაც მათ ცხოვრებაში ღმერთის სიტყვა უმოქმედო გახადა. ეს ჭეშმარიტება დღესაც ასეთივე მნიშვნელოვანია. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჭეშმარიტების გაგება, განისაზღვრება ღვთის სიტყვით და არა დროებითი განცდებით, ტრადიციებით ან ადამიანთა ფილოსოფიით.

იესო განმარტავდა, რომ ფარისეველთა ამგვარმა საქციელ-მა უფსკრული გააჩინა შემოქმედთან ურთიერთობაში. ფაქტო-ბრივად, მან განაცხადა, რომ ღვთის თაყვანისცემაც კი ამაო იყო მათი მხრიდან, ვინაიდან ადამიანთა მცნებები (სწავლება და შეხედულებები) უფრო მეტად სწამდათ. ღმერთთან ჭეშმარი-

ტი სიახლოვე არასდროს ყოფილა ფარისეველთათვის განხილვის საგანიც კი, ვინაიდან მაშინ ისინი მოინანიებდნენ თავიანთ სიბრმავეს და ჭეშმარიტებას ჩაეჭიდებოდნენ. ანალოგიურად ჩვენც, იმისათვის რომ დავტკბეთ სულიწმიდასთან ახლო ურთიერთობით, გვერდზე უნდა გადავდოთ ადამიანური მოსაზრებები თუ ტრადიციები და მის შესახებ იმ ჭეშმარიტებას უნდა ჩავეჭიდოთ, რომელიც ნათლად ჩანს მისსავე სიტყვაში. სხვაგვარად, ფარისევლების მსგავსად, ღმერთთან დაახლოვების ყველა მცდელობა ჩვენთვისაც უშედეგო აღმოჩნდება.

მთავარი მასწავლებელი

სანამ სულიწმიდას დავუახლოვდებოდი, ვკითხულობდი ბიბლიას და ვფიქრობდი, მთელი გულით მიყვარს ღმერთი, მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა არ იყოს მშრალია. რეალობა ის გახლდათ, რომ მე არ ვთხოვდი სულიწმიდას გამხდარიყო ჩემი ლოცვის და სიტყვის კითხვის მონაწილე. აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ სულიწმიდა აცოცხლებდა წმიდა წერილს ჩემს გულში. მისი წინამძღოლობით ბიბლია ხდება ბევრად მეტი, ვიდრე მხოლოდ სიტყვები —ის ხდება ცხოვრების არსი და საფუძველი. 2 კორ. 3:6-ში ვკითხულობთ:

> „მან შეგვაძლებინა ვყოფილიყავით მსახურნი ახალი აღთქმისა. ეს არის აღთქმა არა დაწერილი კანონებისა, არამედ ღვთის სულისა. ძველად დაწერილი რჯულის ბოლო სიკვდილია; მაგრამ ახალი აღთქმის ქვეშ, სული იძლევა სიცოცხლეს“ (NLT)

„ახალი აღთქმა“, რომელიც გამოხატულია ღმერთის სიტყვაში — წარმოადგენს არა მხოლოდ კანონებისა და წესების ჩამონათვალს, არამედ ის თავად არის სიცოცხლე და სიცოცხლეს შთაბერავს მათ, ვინც მის მართველობას ექვემდებარება. მხოლოდ სულიწმიდის მეშვეობით შეგვიძლია ვისიამოვნოთ ახალი აღთქმის სისრულით, ვინაიდან სულიწმიდაა ის, ვინც გვიცხადებს იმ დიდებულ საიდუმლოს, თუ ვინ ვართ ქრისტეში (რაც წარმოადგენს ახალი აღთქმის უწყებას). ეს გახლავთ მიზეზი, თუ რატომ უნდა მოვიწვიოთ სწავლის დროს ჩვენი მთავარი მასწავლებელი, სულიწმიდა.

გქონიათ ოდესმე შეხება მასწავლებელთან, რომელიც არ ყოფილა აღფრთოვანებული თავისი საგნით? ისინი ყველაზე ცუდ გაკვეთილებს ატარებენ. სასწავლო პროგრამის გავლა, მათთ-

ვის კბილის ტკივილით გამოწვეული ტანჯვის მსგავსია. ასევე შეგხვედრიათ ოდესმე მასწავლებელი, რომელსაც უბრალოდ არ უყვარს თავისი მოსწავლეები? როგორი ცუდი განცდაა! სასიხარულო ამბავი კი ის არის, რომ სულიწმიდა სიხარულით გვიცხადებს ღვთის სიტყვის საიდუმლოებებს და მას ძალიან უყვარხართ! მისი სურვილია, რომ თქვენ ყველამ მიიღოთ ის საჩუქარი, რომელიც ქრისტემ ხელმისაწვდომი გახადა თქვენთვის სრულიად უსასყიდლოდ. თუ ვთხოვთ და ვეძებთ, ის ერთგულად გაგვიცხადებს ჩვენთვის არსებული სიცოცხლის საიდუმლოებებს.

ატმოსფერო და თანდასწრება

სამწუხაროდ, ხშირად ვცდილობთ გავიაროთ ეს გასაოცარი ქრისტიანული ცხოვრება ჩვენი მრჩევლისა და დამრიგებლის თანდასწრების გარეშე. ფაქტობრივად, ჩვენს ეკლესიებში დღეს სულიწმიდა არის როგორც უცხო. მისი თანდასწრება ჩვენ გაუცნობიერებლად ჩავანაცვლეთ სასიამოვნო ატმოსფეროთი. ეს თითქმის იგივეა, რომ ღვთის სულის გამოვლინებას ხელი შევუშალოთ იმის გამო, რომ რამდენიმე პიროვნება რაღაც „უცნაური“ რეაქციით გამოეპასუხა მის თანდასწრებას, ზოგიერთი კი უცნაური გზით შეეცადა გამოეწვია მისი თანდასწრება.

არასწორად ნუ გამიგებთ; მჯერა, რომ ჩვენ გვჭირდება შესანიშნავი გარემო ჩვენს მსახურებებზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მრავალი აუცილებელი კულტურული ცვლილება განხორციელდა ეკლესიაში. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ატმოსფეროს გაუმჯობესება. მრავალი თვალსაზრისით, ეკლესია უფრო მიმზიდველი გახდა ქვეყნიერებისთვის. მჯერა ეს აამებს ღმერთს. როგორც პავლემ განაცხადა: „მეც ვაამებ ყველას ყველაფერში და სარგებლობას ვეძებ არა ჩემთვის, არამედ ვაკეთებ იმას, რაც უკეთესია სხვებისთვის, რათა მრავალი გადარჩეს“ (1კორ.10:33; NLT). ჩვენ დიდი საქმე გავაკეთეთ, როცა ინდივიდუალური შემოქმედებითი ნიჭი და ტექნიკური პროგრესი გადავაქციეთ კაპიტალად; ადგილი, სადაც ყველაზე მეტ შემოქმედებით სიახლეს ნახავთ, ეკლესიებია.

ქრისტეს სხეულში უნდა იყვნენ ნოვატორები, პიროვნებები, რომლებიც განუწყვეტლივ ავითარებენ შემოქმედებით უნარს და ახალ საფეხურებზე აჰყავთ ის. მაგრამ ეკლესია სრულად ვერასოდეს დაიკავებს ძალის, სიყვარულისა და ძალაუფლების კუთვნილ პოზიციას ამ დედამიწაზე, თუ ის არ მოიწვევს სულიწმიდას თავის ყველა საქმიანობაში. გახსოვდეთ, რომ თანამშრომლობაში ის გახლავთ უფროსი პარტნიორი.

კარგი ის არის, რომ ჩვენ ორივე შეგვიძლია გაგვაჩნდეს, შესანიშნავი ატმოსფეროც და მისი ხილული თანდასწრებაც. ყოველთვის ვღელავ, როცა საშუალება მეძლევა ვეწვიო ეკლესიას, რომელსაც ამ ორივე სფეროში აქვს წარმატება. უფლებას ნუ მისცემთ საკუთარ თავს გახდეთ იმ მოსაზრების მსხვერპლი, რომ თითქოს სულიწმიდის თანდასწრების გამოვლინება ხალხს დააბრკოლებს სასუფეველში შესვლისგან. უნდა გვახსოვდეს, რომ დაღუპულებს მოციქულებისგან კი არ უკუაგდებდა, არამედ იზიდავდა სულიწმიდასთან მათი თანამშრომლობა. ნებისმიერი წარმატება, რომელსაც ჩვენ, ეკლესია, სულიწმიდის მონაწილეობის გარეშე მივაღწევთ, არარაობად გადაიქცევა.

თვით იესომაც, ღვთის ძემ, არაფერი მოიმოქმედა მანამ, სანამ სულიწმიდისგან არ მიიღო ძალა (იხ. ლუკ. 4:1-15;). ლუკ. 4:14-15-ში ვკითხულობთ: „დაბრუნდა იესო *სულის ძალით* გალილეაში და მისი ამბავი მოედო მთელ არემარეს. ასწავლიდა მათ სინაგოგებში და განდიდებული იყო ყველას მიერ“. ყურადღება მიაქციეთ, წმიდა წერილი ამბობს, რომ ის „დაბრუნდა სულის ძალით“. ამ ამონარიდში აღწერილია მოვლენები, რომელიც უდაბნოდან დაბრუნების შემდეგ მოხდა, სადაც იესო ორმოცი დღის მანძილზე იცდებოდა ბოროტისგან. მას შემდეგ, რაც იესომ სულის ძალით დატოვა უდაბნო, ის დაბრუნდა ნაზარეთში და განაცხადა:

> „*უფლის სულია ჩემზე*, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების და ბრმათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად“ (ლუკ.4:18-19;).

იესო მოქმედებდა ღვთის სულის ძალით და ამის გამო შეეძლო მას აღესრულებინა მამის ნება დედამიწაზე. ანალოგიურია ეკლესიისთვის, იმავე ძალით უნდა ექადაგოს სახარება სულით ღატაკთ, გულშემუსვრილთ – განკურნება, ტყვეებს – თავისუფლება, ბრმათ უნდა ეუწყოთ თვალის ახელა, ჩაგრულთ — გათავისუფლება და უნდა მოხდეს დემონსტრირება იმ ჭეშმარიტებისა, რომ ღვთის ხელი არ დამოკლებულა, რომ ხსნა არ შეეძლოს. მაგრამ ჩვენ ვერასოდეს აღვასრულებთ ამ ზეციურ საქმეს, თუ არ ვიქნებით *დამოკიდებულნი სულიწმიდის ძალაზე*. იესო საჭიროებდა სულიწმიდის ძალას — ჩვენ რითი ვართ მეტნი?

დღე 2

„მეტი იესო“

გული შემტკივა მათთვის, ვინც ცდილობს ხშირად მოვიდეს ეკლესიაში, რათა განიცადოს იესოს აშკარა თანდასწრება. მესმის როგორ იმეორებს ხალხი გამუდმებით: „ჩვენ უფრო მეტი იესო გვჭირდება ჩვენს ეკლესიებში“ და მე სრულიად ვეთანხმები ამ განწყობას, მაგრამ ვინ გვიცხადებს იესო ქრისტეს? სულიწმიდა. როგორც უკვე განვიხილეთ, სულიწმიდა არ არის მოხმარების რაიმე საგანი, რომ მხოლოდ ვინატროთ; არამედ ის გახლავთ პიროვნება, რომელიც უნდა მოვიპატიჟოთ და პატივი მივაგოთ. რატომ არ უნდა გვსურდეს, რომ ჭეშმარიტების სული მონაწილეობდეს ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ? როგორც იესომ უთხრა ერთხელ თავის მოწაფეებს:

> „კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ველარ იტვირთავთ. როცა მოვა იგი, *სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ სრულ ჭეშმარიტებაში.* თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს, და მომავალს გაუწყებთ თქვენ. იგი [სულიწმიდა] განმადიდებს მე [იესოს], რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ. ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია. ამიტომ გითხარით, ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ მეთქი“ (იოან.16:12-15;)

სულიწმიდა განადიდებს იესოს. სულიწმიდის მეშვეობით არის იესო გაცხადებული ჩვენთვის. ჩვენ ვერ შევცვლით იმას, რაც ღმერთმა დაადგინა. თუ გვინდა მეტი იესო ჩვენს ცხოვრებაში, სულიწმიდასთან უფრო ახლო თანაზიარებაში გვმართებს სიარული. ამის გამოა, რომ სულიწმიდას ეწოდება ქრისტეს სული (იხ. 1პეტრ.1:11; რომ.8:9;). როცა სულიწმიდა გველაპარაკება, ის იესოს წარმოადგენს. სულიწმიდა არ გახლავთ ქრისტეში ცხოვრების რაღაც „მშვენიერი დანამატი“, არამედ ის არის ქრისტეს სული ამ დედამიწაზე. მისი თანდასწრების გამოვლინებას ვერ ნახავთ იქ, სადაც მას პატივს არ მიაგებენ. ამიტომ, თუ უარს ვამბობთ პატივი მივაგოთ სულიწმიდას, მაშინ ქრისტეს თანდასწრება და ძალა არ იქნება ჩვენს ცხოვრებაში. შესაძლოა, ეს იყოს მიზეზი, თუ რატომ აღიქვამს ხშირად ქვეყნიერება (რაც არის ქრისტეს გარდამქმნელი ძალის მიზანი) ეკლესიას, როგორც უსიცოცხლოს და ძალის არმქონეს?

მჭიდრო მეგობრობა ღმერთთან

თანაზიარების საბოლოო მიზანი პირადი, ღრმა მეგობრობაა. ღვთის სულს სწადია იყოს თქვენი მეგობარი. ფაქტობრივად, მას სწყურია თქვენთან ახლო მეგობრობა. იაკობმა თქვა: „შურით სწადია ჩვენში დავანებულ სულს“ (იაკ.4:5;). რა სწადია? მას თქვენთან და ჩემთან სიახლოვე სწადია. განა ჩვენც ეს არ გვსურს ახლობლებთან მიმართებაში? ყურადღება გაამახვილეთ, რომ მას *შურით* სწადია. ეს ნიშნავს, რომ ის არ აპირებს აიტანოს ჩვენი გართობა ტრფობის სხვა საგნებით და ობიექტებით. დაახლოებით ისევე, როგორც ჩემი მეუღლე არასდროს გამიზიარებს თვისი გულის საიდუმლოებებს, თუ მე სხვა ქალისკენ ვილტვი.

ღმერთს ჩვენგან სრული ერთგულება სურს. იაკობის წერილში ვკითხულობთ: „წუთისოფელთან მეგობრობა ღვთის მტრობაა“ (იაკ.4:4;). ლექსიკონი სიტყვა „*მტრობას*“, შემდეგნაირად განმარტავს: „მტრობის განცდა ან მდგომარეობა; შუღლი; სიძულვილი არაკეთილმოსურნეობა“. ძლიერი სიტყვებია. ჩნდება კითხვა, რატომ წარმოადგენს წუთისოფელთან მეგობრობა ღმერთთან მტრობას?

ქვეყნიერებასთან მეგობრობა ხორცის გულისთქმაა. ეს გახლავთ ეგოისტური სწრაფვა, რომ მიიღო გარკვეული სარგებელი, სტატუსი ან პოზიცია. ეს ჩვენი ხორციელი „მე“-ს მიმართ სისუსტის გამოჩენაა. სულიწმიდამ იცის, რომ ამ მიზნებისკენ სწრაფვა მხოლოდ ამაოება და სიცარიელეა. ღმერთს, მისი მზრუნველი სიყვარულით, სძულს როცა ვეტრფით იმას, რასაც სულის დაღუპვისკენ მივყავართ. არასდროს დაგავიწყდეთ, რომ ღმერთი შესანიშნავი მამაა; ყველა საუცხოო მამის მსგავსად, მას გულს სტკენს, როცა ხედავს, რომ მისი შვილები თანახმანი არიან უფრო ნაკლებზე, ვიდრე საუკეთესოა. ეს გახლავთ მიზეზი, თუ რატომ არ მოითმენს ღმერთი ჩვენს მეგობრობას წუთისოფელთან. იესოს სურს, რომ უხვად გქონდეთ სიცოცხლე (იხ. იოან.10:10;), სულიწმიდა კი ძის სურვილებს ამჟღავნებს. გახსოვდეთ, რომ სამებას ერთი მიზანი გააჩნია. ღმერთს მგზნებარედ სწყურია თავის შვილებთან ახლო ურთიერთობა. როდესაც ქვეყნიერებას ვეტრფით, საკუთარ თავს ვართმევთ ღმერთთან ღრმა სიახლოვის განცდას. როგორი ტრაგიკული დანაკარგია — და როგორ ძლიერ ვტკენთ ამით გულს მამას!

გადარჩენაზე ბევრად მეტი

დავიწყე იმის გაცნობიერება, რომ ღმერთის განზრახვანი ჩვენს მიმართ, გადარჩენაზე ბევრად შორს მიდის. ჩვენთვის „საკმარისად კარგი“ არ არის გავჩერდეთ „გადარჩენის მიღებაზე“. დიახ, ჩვენი გადარჩენის რეალობა იმდენად განსაცვიფრებელია, რომ ის ჩვენი გაგების უნარს სცილდება; მაგრამ ადგილი ზეცაში მხოლოდ დასაწყისია იმ ყველაფრისა, რისი მოცემაც უფალს ჩვენთვის სურს. ღმერთმა თავისი ძე წარმოგზავნა, რათა ამ დედამიწაზეც შეგვეძლოს გავიხაროთ გასაოცარი ცხოვრებით. რატომ? იმიტომ, რომ ნამდვილად რთულია ეფექტურად განვავრცოთ მისი სასუფეველი, როცა ამ წუთისოფლისგან მომდინარე შიშებით თუ სურვილებით ვართ დაკავებულნი.

პავლემ ერთხელ თქვა: „ღვთისმოსაობა ყველაფერში გამოსადეგია, რადგან *აღგვითქვამს სიცოცხლეს აწმყოშიც* და მომავალშიც“ (1 ტიმ.4:8;). ყურადღება გაამახვილეთ სიტყვა *„ღვთისმოსაობაზე“*. მხოლოდ მას, ვინც იცნობს ღმერთს, შეუძლია ფლობდეს ღვთისმოსაობას, *რადგან ღვთისმოსაობა ნიშნავს იყო ღმერთის მსგავსი*. აღმოვაჩინე, რომ მეტად რთულია დაემსგავსო ვინმეს, ვის გვერდითაც იშვიათად ხარ. როცა ადამიანებთან ბევრ დროს ვატარებთ, ისინი თითქოს ასახვას პოულობენ ჩვენში. ამიტომაც აგრძელებს იაკობი ქვეყნიერებასთან მეგობრობაზე საუბარს სიტყვებით: „მიუახლოვდით ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ თქვენ“ (იაკ.4:8;). ღმერთს სურს, რომ მასთან ატარებდეთ დროს, რათა შეძლოთ და დაემსგავსოთ მას. ღვთისმოსავი შეგვიძლია გავხდეთ მაშინ, როცა ახლოს ვიცნობთ ღმერთს და ახლო ურთიერთობა გვაქვს მასთან, ეს კი მხოლოდ და მხოლოდ მისი სულის მეშვეობით არის შესაძლებელი (იხ. 1 კორ.2;).

ხშირად, როცა მორწმუნეები წმინდა წერილში კითხულობენ, რომ „წუთისოფელთან მეგობრობა ღვთის მტრობაა“, ისინი მაშინვე ცდილობენ საკუთარი თავების სრული იზოლირება მოახდინონ ქვეყნიერებისგან. ამის გაკეთებას, რა თქმა უნდა, არანაირი აზრი არ აქვს. როგორ შეძლებს ეკლესია ოდესმე მოიპოვოს მსოფლიო, თუ ის გამოეყოფა კაცობრიობას? როგორც ეკლესიამ, ჩვენ ნიმუშისთვის იესოს უნდა შევხედოთ. დაღუპულები მოედინებოდნენ იესოსკენ. ის დროს ატარებდა მეეაჟეებთან და მეძავებთან, ადამიანებთან, რომელთაც რელიგიური ლიდერები ზემოდან უყურებდნენ. ესწრებოდა მათ სუფრებს. მაგრამ იყო რაღაც განსხვავებული მასში. იესო სრულყოფილი მაგალითია იმისა, თუ რას ნიშნავს იყო ქვეყნიერება-

ზე, მაგრამ არ იყო მისგან. მისი გული წუხდა მათთვის, ვისგანაც რელიგიური ფანატიკოსები შორს იჭერდნენ თავს. რატომ იყო ის ასეთი მიძღვნილი იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც შორს იყვნენ „ღვთისმოსაობისგან?“. ვინაიდან იესომ იცოდა, რომ მათ სწყუროდათ უკეთესი. ის მათ წვეულებებზე არ დადიოდა იმ მიზნით, რომ მათი ცხოვრების წესის მოზიარე გამხდარიყო; ის იქ იმყოფებოდა, რათა ახალი და უკეთესი გზა ეჩვენებინა.

ჩვენც, მოწოდებულნი ვართ მივწვდეთ მორალურად გარყვნილთ და გატეხილთ. თუ ეკლესია არ იქნება ქრისტეს ხელები და ფეხები, მაშინ ვინ იქნება? ჩვენ — და მხოლოდ ჩვენ — წარმოვადგენთ მის სხეულს. მადლის გარდამქმნელი ძალის მეშვეობით, ჩვენ ახლა *ქრისტეში* ვართ. ჩვენ ვმსახურობთ, როგორც მისი ელჩები (ვავრცელებთ და წარმოვაჩენთ იმას, თუ ვინ არის იგი) დედამიწაზე. თუ ჩვენ არ მივუტანთ ღმერთის ჭეშმარიტებას და ნათელს ამ წუთისოფელს, სხვა ამას არავინ გააკეთებს.

ჩუმი ჯენტლმენი

მას შემდეგ, რაც სულიწმიდასთან ერთად დავდივარ, აღმოვაჩინე, რომ ის ჯენტლმენია. ის თავის ნებას არასდროს მოგვახვევს თავს. თუ ჩვენ არ მოვისურვებთ მასთან ერთობაში ყოფნას, ის ჩუმად იქნება.

დაახლოებით ოცდახუთი წელია, რაც ვმოგზაურობ და ვმსახურობ. ამ წლების განმავლობაში ერთი რაღაც შევამჩნიე მძღოლებს, რომლებიც აეროპორტში მხვდებიან. ისინი ყოველთვის ძალიან თავაზიანები არიან, განმსჭვალულნი დახმარების სურვილით. დაწვრილებით მაცნობენ ჩემი იქ ყოფნისა და მსახურების ირგვლივ ყოველ დეტალს და ინსტრუქციას. მაგრამ ამის გარდა, ისინი არასდროს იწყებენ ჩემთან საუბარს, თუ მე თავად არ წამოვიწყე მათთან დიალოგი. მიზეზი გახლავთ ის, რომ მათ თავიანთი მწყემსისგან აქვთ ამგვარი მითითება, ვინაიდან მანქანით მგზავრობის დროს შესაძლოა მე მჭირდებოდეს მუშაობა ან მსახურებისთვის მომზადება. მრავალი შესანიშნავი, მსახურის გულის მქონე მძღოლი შემხვედრია ამ წლების მანძილზე და მე მათი დიდად მადლობელი ვარ. ამიტომ, აუცილებლად მივიჩნევ თავად ვკითხო ჩემს მძღოლებს მათი ოჯახების და ეკლესიასთან ურთიერთობის შესახებ. თუ მე არ გამოვიჩენ ინიციატივას, შესაძლოა მთელი გზა გავიაროთ ისე, რომ არანაირი მნიშვნელოვანი დიალოგი არ შედგეს ჩვენს შორის.

მჯერა, რომ იგივე თვისება გააჩნია სულიწმიდას. არასოდეს მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას, თუ თავად არ დავიკავეთ მისი ხმის მოსასმენად საჭირო პოზიცია. თუ ჩვენ არ ჩავებით მასთან საუბარში, ის ჩუმად იქნება. გახსოვდეთ, იაკობმა თქვა, ღმერთი მოგვიახლოვდება, როცა ჩვენ მივუახლოვდებით. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები პირველი ნაბიჯის გადადგმაზე. ჩვენ გამიზნულად უნდა შევაბიჯოთ ღმერთთან ამ დიდებულ ურთიერთობაში. უბრალოდ წარმოიდგინეთ, თქვენ მიიღეთ ყველა დროის უდიდესი მოწვევა და ახლა თქვენზეა დამოკიდებული რას მოიმოქმედებთ.

ეს ჭეშმარიტება მრავალი მორწმუნისათვის უცნობია. ამ მიზეზის გამო, ხშირად მესმის ისეთი კომენტარები, როგორიცაა: „რატომ არ მელაპარაკება ღმერთი?“ ან „წლებია უფალი არ დამლაპარაკებია“. მაგრამ, ცდილობენ კი ეს ადამიანები ღმერთთან თანაზიარებაში ყოფნას, მაშინ როცა ბიბლია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენ ამას უნდა ვაკეთებდეთ? თუ გვსურს ახლოს ვიყოთ ღმერთთან, უნდა მივილტვოდეთ მის შესაცნობად — და ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა დავუმეგობრდეთ სულიწმიდას.

შეგაგონებთ, რომ აქტიურად ეძებოთ სულიწმიდასთან თანაზიარება. თქვენ გაოცდებით მისი რეაქციით. ჩემი მძღოლების მსგავსად, ის მაინც დარჩება თქვენს კამპანიაში მიუხედავად იმისა, დაელაპარაკებით თუ არა მას, რადგან მან აღგითქვათ, რომ არასოდეს მიგატოვებთ (იხ. ებრ.13:5;). მაგრამ თუ ჩვენ არ წამოვიწყებთ მასთან საუბარს, ის უმეტეს წილად გაჩუმებული იქნება, და თქვენ ვერასოდეს განიცდით მისი თანდასწრების სრულ გამოვლინებას ან მასთან თანაზიარების სიკეთეებს თქვენს ცხოვრებაში.

ღვთის სიღრმეები

მოდით, კიდევ ერთხელ წავიკითხოთ:

„კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ველარ იტვირთავთ. როცა მოვა იგი, *სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ სრულ ჭეშმარიტებაში.* თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს, და მომავალს გაუწყებთ თქვენ. იგი [სულიწმიდა] განმადიდებს მე [იესოს], რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ. ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია. ამიტომ გითხარით, ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ-მეთქი“ (იოან.16:12-15;)

იესომ ეს სიტყვები წარმოთქვა თავის მოწაფეებთან ყოფნის ბოლო საათებში; ცოტა მოგვიანებით კი იმ საღამოსვე, იესო შეიპყრეს და წაიყვანეს, რათა ბრალი დაედოთ მისთვის. აშკარაა, ეს იყო ფასეული სიტყვების თქმის მომენტი.

ყურადღება გაამახვილეთ, იესო ამბობს: „კიდევ იმდენი რამის თქმა მსურს თქვენთვის“ (მუხ. 12; NLT). იესო ამ მამაკაცებისთვის ყველაფერი იყო. ისინი წლების მანძილზე მასთან იყვნენ. თითოეულმა დატოვა თავისი ოჯახი, მეგობრები, საქმიანობა, რათა გაჰყოლოდა მას. მოწაფეები, ალბათ, ფიქრობდნენ, კიდევ რა უნდა გავაკეთოთ, რომ სრული სურათი დავინახოთ? მაგრამ შემდეგ იესო უჩვეულო დაპირებას აძლევს მათ: „როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ *სრულ ჭეშმარიტებაში*“ (მუხ. 13;). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იესო ეუბნება მათ: „მიუხედავად იმისა, რომ მე თქვენთან ვარ (ხორცში), თქვენ არ ხართ შესაბამის მდგომარეობაში, რომ ყველაფერი მიიღოთ, რის მოცემასაც ვაპირებ. მაგრამ მე გიგზავნით თქვენ სულიწმიდას და ის ილაპარაკებს ჩემს სიტყვებს, გაგიცხადებთ ჩემს ნებას და მოგამზადებთ მომავლისთვის“. ჩინებული აღთქმაა! წავიკითხოთ იმავე საღამოს, მანამდე ნათქვამი სიტყვები:

> „ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ: თქვენთვის უკეთესია, რომ წავიდე, რადგან თუ არ წავედი, შემწე ვერ მოვა თქვენთან; მაგრამ თუ წავალ, მე მოგივლენთ“ (იოან.16:7;)

იმედია, ახლა უკეთ გესმით ეს სიტყვები. ღმერთი ძნელად მოსაპოვებლის როლს არ თამაშობს — პირიქით. ყველას გვსურს, რომ ჩვენთვის საყვარელი ადამიანები სიღრმისეულად გვიცნობდნენ. იგივენაირად არის ღმერთიც. როცა იესო დადიოდა დედამიწაზე, ის ზუსტად გამოხატავდა მამას ყველაფერში და ამით მისაწვდომი გახადა ის კაცთათვის (იხ. ებრ.1:1-3; კოლ.1:15-19;). მაგრამ, როგორც ვიცით, იესო ამჟამად მამის მარჯვნივ იმყოფება ზეცაში. სულიწმიდაა სამების ის პიროვნება, რომელიც მკვიდრობს ღმერთის შვილებთან და ღმერთის შვილებში დედამიწაზე. ამიტომ იმისათვის, რომ ვიცოდეთ ღვთის სიღრმეები, უნდა ვიცნობდეთ მის სულს — ჭეშმარიტების სულს.

ურწმუნო თომა

ერთხელ, მას შემდეგ, რაც იესო მკვდრეთით აღსდგა, მისი ათი მოწაფე იმყოფებოდა ოთახში, სადაც კარები ჩაკეტილი

ჰქონდათ. მოულოდნელად მათ შორის იესო ჩადგა; მოწაფეები სრულიად გაოგნებულნი და შეძრწუნებულნი უყურებდნენ მას. იესოს მოუწია დაერწმუნებინა ისინი, რომ ის მოჩვენება არ იყო. იქ მყოფმა ათმა მოწაფემ გაიხარა მისი აღდგომის სასწაულით და მოგვიანებით თომასაც გაუზიარეს მომხდარის შესახებ, ვიანიდან იესოს გამოჩენის დროს ის მათთან ერთად არ იმყოფებოდა. მოისმინა რა სიახლე, თომამ უსირცხვილოდ უპასუხა: „თუ მის ხელებზე ნალურსმევს არ ვიხილავ და ნალურსმევში საკუთარ თითს არ ჩავყოფ და მის ფერდში — საკუთარ ხელს, არ ვიწამებ!“ (იოან.20:25;).

რამდენიმე დღის შემდეგ, თერთმეტივე მოწაფე ერთად იმყოფებოდა, როცა მოულოდნელად კვლავ ჩადგა იესო მათ შორის. ვიდრე რამე სხვას იტყოდა ან გააკეთებდა, ის მიუბრუნდა თომას, თითქოს ამ აზრით „კარგი თომა, მოდი მოვაგვაროთ შენი ურწმუნოების პრობლემა“, უთხრა: „მოიტანე აქ შენი თითი და გასინჯე ჩემი ხელები. მოიტანე შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდში. ურწმუნო კი ნუ იქნები, მორწმუნე იყავი“ (იოან.20:27;). თომა პასუხობს: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“. იესო კი ამ სიტყვებით აგრძელებს:

> „შენ მირწმუნე იმიტომ, რომ მიხილე. *ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და მირწმუნეს*“ (იოან.20:29;)

არსებითად, იესო ამას ამბობდა: „თომა, არსებობს ადამიანთა კურთხეული ჯგუფი, რომლებიც უნახავად მიწამებენ“. ვფიქრობდი ხოლმე, იესო ეს ცოტა მკაცრი საქციელი იყო. კაცი პირქვე დაემხო იატაკზე. აშკარაა, ის საშინლად გრძნობდა თავს. ინანიებდა! შენ კი მაინც ასეთი სიტყვები უთხარი: „ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და მირწმუნეს“. არ მესმოდა, რატომ იყო იესო ასეთი მკაცრი თომას მიმართ. შემდეგ, ერთ დღეს უფალი დამელაპარაკა და მითხრა: „მე საყვედურით არ მითქვამს ეს თომასთვის; მე მხოლოდ ფაქტი დავამოწმე. სიახლოვის ხარისხი, ხელმისაწვდომი მათთვის, რომლებიც მიცნობენ ჩემი სულის მეშვეობით, გაცილებით მაღალია, ვიდრე მათთვის, რომლებიც ფიზიკურად მცნობენ“.

დღე 4

ურთიერთობის სამი დონე

ამგვარად, ზუსტად რას გულისხმობდა იესო, როდესაც თო-

მას ეს სიტყვები უთხრა? პასუხის გასაცემად უფლება მომეცით განვმარტო, თუ რატომ მიიღწევა რწმენის მეშვეობით უფრო მეტად სიღრმისეული სიახლოვე, ვიდრე ხილვით.

არსებობს ურთიერთობის სამი დონე: ფიზიკური, მშვინვიერი და სულიერი. ყველაზე დაბალი (ყველაზე ზედაპირული) დონე *ბუნებრივი* ანუ *ფიზიკური* გახლავთ. მრავალი რომანტიული ურთიერთობა იწყება აქ, მსგავსი ფიქრებით: *„ლამაზი ქალია“ ან „სიმპათიური მამაკაცია, იქნებ ერთად ვყოფილიყავით“*. სამწუხაროდ, დაქორწინებისას მრავალი წყვილი ურთიერთობის სწორედ ამ დონეზე იმყოფება. ისინი ფიქრობენ, *რადგან მე ის მომწონს, ამიტომ შემიძლია იმ ფაქტის იგნორირება, რომ ჩვენ კარგად ვერ ვეწყობით ერთმანეთს; ფაქტობრივად, არც კი ვსაუბრობთ ერთმანეთთან და არ გაგვაჩნია საერთო ინტერესები*. ასეთ შემთხვევაში, მშვინვიერი დონე განუვითარებელია. ჩამოკრავენ საქორწინო ზარები, თაფლობისთვე სრულდება და შემდეგ იწყება ცხოვრება. ამ წყვილმა უნდა გააცნობიეროს, რომ მათ სჭირდებათ ერთმანეთთან უფრო ღრმა დონის ურთიერთობის დამყარება ან მოუწევთ უბედური ქორწინებით დატანჯვა. თუ არ შეეცდებიან კავშირის გაღრმავებას, ქალი დაიწყებს თავისი სურვილების და ინტერესების გაზიარებას მის მეგობრებთან და კაცი — თავის მეგობრებთან. მათი ქორწინება გადაიზრდება მხოლოდ თანაარსებობაში. ეს არასდროს ყოფილა ღმერთის განზრახვა ქორწინებისთვის.

ურთიერთობის შემდეგ დონეს წარმოადგენს *მშვინვიერი* ანუ *პიროვნული*. ამგვარი ურთიერთობა იყო დავითსა და იონათანს შორის: „...შეეკრა იონათანის სული დავითის სულს და შეიყვარა იგი იონათანმა, როგორც საკუთარი სული“ (1მეფ.18:1;). როცა იონათანი მოკლეს, დავითი დასტიროდა: „ვწუხვარ შენზე, ძმაო იონათან! დიდად ძვირფასი იყავი ჩემთვის. შენი სიყვარული ჩემდამი, უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე ქალის სიყვარული“ (2 მეფ.1:26;). დავითი არ საუბრობდა გარეგნულ, ფიზიკურ ურთიერთობაზე. მათ ურთიერთობას არანაირი ფიზიკური მიმზიდველობა არ ამყარებდა. მათი კავშირი იყო მშვინვისმიერი და სრულიად თავისუფალი ყოველგვარი არანორმალური ფიზიკური ასპექტებისგან. მაგრამ, მათ შეძლეს გაცილებით უფრო ძლიერი კავშირის დამყარება, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური ურთიერთობისას ხდება (რაც იგულისხმა დავითმა, როცა „ქალის სიყვარულს“ შეადარა).

ქორწინება უნდა იწყებოდეს მშვინვიერი დონით. არასწორად ნუ გამიგებთ, ურთიერთობის ფიზიკური ასპექტი ძალზედ მნიშვნელოვანია. მე უზომოდ მოხიბლული ვარ ჩემი მეუღლით;

ჩემთვის ის მსოფლიოში ულამაზესი ქალია. მაგრამ არსებობს ურთიერთობის გაცილებით ღრმა დონეები, რომელიც შესაძლებელია და უნდა იქნას კიდეც მიღწეული ცოლ-ქმარს შორის. სინამდვილე ის არის, რომ ლიზას პიროვნება უფრო მომხიბვლელია ჩემთვის ვიდრე მისი სილამაზე.

სამწუხაროდ, უამრავი ისტორიები მაქვს მოსმენილი კაცებზე და ქალებზე, რომლებიც თავიანთ მეუღლეებს ტოვებენ უცხო პიროვნების გამო, რომელიც ინტერნეტით გაიცნეს. რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ ეკლესიაში ვქადაგებდი, სადაც მსახურების შემდეგ უცნობი მამაკაცი მოვიდა ჩემთან ექვსი ბავშვით. ორი ხელში ჰყავდა აყვანილი, ორი მის ფეხებს ეჭიდებოდა, ორიც კი იქვე დარბოდა. იმის გამო, რომ ამ მამაკაცს ასეთი დატანჯული გამომეტყველება ჰქონდა, ვკითხე: „ბატონო, კარგად ხართ?“. მან მიპასუხა: „არა. დღეს ჩემმა მეუღლემ მე და ჩვენი ექვსი შვილი მიგვატოვა კაცის გამო, რომელიც ინტერნეტით გაიცნო“. ამ ქალის „მშვინვისმიერი“ ურთიერთობა ისეთ დონემდე განვითარდა სხვა მამაკაცთან, რომ მან ინება საკუთარი მეუღლის მიტოვება მრავალწლიანი ცოლქმრობის შემდეგ. მშვინვიერი კავშირი იმდენად ძლიერიც კი აღმოჩნდა, რომ დედას უარი ათქმევინა მის ბუნებრივ მისწრაფებაზე, ეზრუნა და ყოფილიყო საკუთარი შვილების გვერდით.

ურთიერთობის მშვინვიერ დონისთვის ხშირად მცირედი ფიზიკური კავშირიც საკმარისია ან საერთოდაც არ მოითხოვს ფიზიკურ მონაწილეობას. ამ მიზეზით არის, რომ ფიზიკურად დიდი მანძილით დაშორებულ პიროვნებებს შორის დაწყებული ურთიერთობა, ხშირად საუკეთესო ქორწინებებით სრულდება. ფიზიკური მიმზიდველობით გამოწვეული პოტენციური ყურადღების გამფანტავი ფაქტორების გარეშე, წყვილს საშუალება ეძლევა ყურადღება გადაიტანონ მშვინვისმიერი კავშირის განვითარებაზე.

ურთიერთობის უმაღლესი დონე

ურთიერთობის უმაღლესი, ანუ ყველაზე ღრმა დონე, არის სულიერი დონე. ეს გახლავთ დონე, რომელზეც იესო მიუთითებდა თომასთან საუბრის დროს. ერთხელ პავლემ თქვა: „ვინაიდან, რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია?“ (1კორ.2:11;). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არავის შეუძლია იცოდეს ადამიანის ნამდვილი ფიქრები და მოტივები, თუ მის სულთან არ აქვს ურთიერთობა.

როგორც უკვე ვახსენე, მე და ლიზამ ახლახანს ჩვენი ქორ-

წინების ოცდაათი წლის იუბილე აღვნიშნეთ. იმ დღეებიდან ყველაზე კარგი მოსაგონარი ჩემთვის არის მომენტი, როცა ორივენი აუზთან ვისხედით და უფლის შესახებ ვლაპარაკობდით. ჩვენ ამ წიგნის ირგვლივაც ძალიან ბევრი ვისაუბრეთ. როცა ვუზიარებდი თუ რას დებდა ღმერთი ჩემს გულში, სიტყვები, რომლებიც მან მითხრა პასუხად, სავსე იყო სიბრძნით და გამოცხადებით, რამაც უფრო მეტი ნათელი მოჰფინა უფლის მიერ ჩემთვის გაცხადებულ ჭეშმარიტებას. ვინაიდან ჩვენ ორივეს გვაქვს სულიწმიდასთან მჭიდრო ურთიერთობა, ჩვენ ერთმანეთთან ღრმა, სულიერ დონეზე შეგვიძლია კავშირის დამყარება.

ეს გახლავთ აგრეთვე ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვლოცულობთ მე და ლიზა ერთად. ეს ჩვენ სულიერად გვაკავშირებს, ვინაიდან სულიერ საკითხებზე გვაქვს ერთმანეთთან მოზიარეობა. მსგავსი მიზეზის გამო, ხმათა უმრავლესობით გადავწყვიტეთ, რომ Messenger International-ის გუნდმა ყოველი სამუშაო დღის პირველი თხუთმეტი წუთი ერთობლივ ლოცვაში გაატაროს. ამას ვაკეთებთ, რადგან გვსურს, რომ ჩვენი გუნდი სულიერად შეკავშირებული იყოს. გასაოცარია ის, რაც ლოცვის ამ წუთებმა ჩვენს თანამშრომელთა შორის ურთიერთობებში მოახდინა. იგივე ჭეშმარიტებაა ნებისმიერი ურთიერთობის მიმართ: მოზიარეობა ღვთის სიტყვის ირგვლივ და ლოცვა პიროვნებებს შორის განავითარებს სიახლოვის ყველაზე ღრმა დონეს, ვინაიდან ეს სულიერი კავშირია.

განსხვავებაა სულიერ საკითხებზე ინტელექტუალურ დისკუსიებსა და სულიერ მოზიარეობას შორის. ზოგჯერ ადამიანები იწყებენ ჩემთან ბიბლიაზე საუბარს და მე ვხვდები, რომ ისინი უბრალოდ ინფორმაციას ალაგებენ ჩემს წინაშე. საიდან ვხვდები? რასაც ისინი ამბობენ ძალიან დამღლელია. ისინი თავიანთი გონებიდან ლაპარაკობენ და არა სულისგან. მაგრამ არიან სხვები, რომლებიც სულიერ საკითხებზე მესაუბრებიან თავიანთი სულიდან. ასეთ ადამიანებს შემიძლია საათობით ვესაუბრო ყოველგვარი დაღლის გარეშე, რადგან ჩვენ ამ დროს სულიერ დონეზე გვაქვს კავშირი.

დღე 5

იცნობდე უფალს მისი სულით

მოდით, ახლა სრულად განვიხილოთ 1 კორინთელთა 2:11:

„ვინაიდან, რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანის *ფიქრები,* გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთის *ფიქრებისა* არავინ არაფერი იცის, გარდა ღვთის სულისა“ (NASB)

ამ მუხლში ფიქრებად ნათარგმნი ბერძნული სიტყვის საუკეთესო განსაზღვრებაა „არსებობის მდგომარეობა ან შემადგენლობა“. არსებითად, პავლე ამბობს, რომ არავის შეუძლია იცოდეს ღმერთის ჭეშმარიტი „შემადგენლობა“ (ანუ ის, რაც მისი გულის სიღრმეებშია), თუ არ გაიცნობს მის სულს. სიტყვა „ცოდნაში“ ვგულისხმობ გაგების ქონას, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ზედაპირული ცოდნა, რომლის შეძენას მცირედი ძალისხევა თუ სჭირდება მხოლოდ. ფაქტობრივად, ამერიკაში ყველამ იცის ვინ არის ამჟამად ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, მაგრამ უმრავლესობას არ აქვს მასთან არანაირი პირადი ურთიერთობა. ჩვენ არ ვიცით მისი ყველაზე ღრმა სურვილები, რა ამოძრავებს მას ან რა სჯერა სინამდვილეში. ანალოგიურად, ჩვენც მხოლოდ ასეთი „ზოგადი ცოდნა“ გვექნება ღმერთის შესახებ, თუ სულიწმიდის მეშვეობით არ გამოვიკვლევთ მას.

პავლე განაგრძობს: „ხოლო ჩვენ მივიღეთ არა სოფლის სული, არამედ სული ღვთისაგან, რათა შეგვეძლოს გავიგოთ ღვთისაგან ჩვენთვის უსასყიდლოდ მონიჭებული” (1 კორ.2:12; ESV). როგორი გასაოცარი სიტყვებია. არავინ იცის ღმერთის ფიქრები გარდა მისი სულისა (მუხ. 11;), და მან მისი სული მოგვცა ჩვენ! ღვთის სულთან მოზიარეობის მეშვეობით, ჩვენ ახლა შეგვიძლია განვიცადოთ შემოქმედთან სიახლოვე *სულიერ დონეზე — ურთიერთობის უმაღლეს საფეხურზე.*

პავლე ამ საფეხურამდე სულიწმიდის მეშვეობით ავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ფიზიკურად არ დადიოდა იესოს გვერდით, იგი ამბობს: „გაუწყებთ თქვენ, ძმებო, რომ სახარება, რომელსაც ვქადაგებდი, არ არის კაცთმიერი. ვინაიდან მეც არ მიმიღია და არ მისწავლია იგი კაცისაგან, არამედ *იესო ქრისტეს გამოცხადებით*“ (გალ.1:11-12;). როგორ გამოუცხადა იესომ? პავლე გარკვევით ამბობს, რომ ეს გამოცხადება არ მიუღია რომელიმე კაცისგან. თუ არც ადამიანთაგან მიუღია და არც იესოს გვერდით ყოფილა მისი ხორცში ყოფნის განმავლობაში, მაშინ მას ეს გამოცხადება უნდა მიეღო *ქრისტეს სულისგან* (სულიწმიდისგან).

დასაშვებია, რომ ქრისტესთან ურთიერთობაში პავლეს შესძლებოდა უფრო დიდ სიღრმეებში შესვლა იმის გამო, რომ მას ფიზიკურად არ ჰქონდა შეხება მხსნელთან? პეტრემ, რო-

მელიც ფიზიკურად იცნობდა იესოს და ჰქონდა მასთან ურთიერთობა, თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში დაწერა წერილი, რომელშიც ამბობდა: „...როგორც ჩვენმა საყვარელმა ძმამ პავლემაც მოგწერათ ღვთისაგან მისთვის მინიჭებული სიბრძნით, როგორც ლაპარაკობს იგი ამის შესახებ წერილშიც, რომლებშიც *ზოგი მისი კომენტარი ძნელად გასაგებია...*“ (2 პეტრ.3:15-16; NLT). პეტრე წლების განმავლობაში ყოველდღე პირისპირ საუბრობდა იესოსთან. ის ესწრებოდა, როცა იესომ ფერი იცვალა ფერისცვალების მთაზე. ის მოწმე გახლდათ ჯვარცმის და აღდგომის შემდეგ კვლავ ხედავდა და ურთიერთობა ჰქონდა იესოსთან. მაგრამ ეს მოწაფე — რომელმაც წლები გაატარა ხორცში მყოფ იესოს გვერდით — ამბობს, რომ სულიწმიდის მიერ პავლესთვის მიცემული გამოცხადებები ძნელად გასაგები იყო. ამის საფუძველზე პირადად მე მჯერა, რომ პავლეს ურთიერთობა იესოსთან გაცილებით დიდ სიღრმეებს მოიცავდა, ვიდრე პეტრესი.

ახალი აღთქმის წიგნთა უმეტესობა პავლეს მიერ არის დაწერილი, სულიწმიდის შთაგონებით, თუმცა მას არასდროს უვლია იესოს გვერდით. როგორ? მან ეს შეძლო, ვინაიდან სულიწმიდაა ის, ვინც სრულად გვიცხადებს იესოს. გახსოვდეთ იესოს სიტყვები: „კიდევ იმდენი რამის თქმა მსურს თქვენთვის, მაგრამ ვეღარ იტვირთავთ. როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ სრულ ჭეშმარიტებაში [მოგცემთ თქვენ სრულ გამოცხადებას]” (იოან.16:12-13; NLT). პავლეს რწმენა არ ეფუძნებოდა იესოსთან ფიზიკურ ურთიერთობას წარსულში, რადგან მას ეს არ განუცდია. მას უნდა ერწმუნა და მიეღო უხილავად. არსებითად, ამან განაშორა მას ნებისმიერი სახის ფიზიკური ასპექტი, რაც სულიწმიდის მიერ მიცემული გამოცხადებების აღქმაში, შესაძლოა დაბრკოლებად ქცეულიყო მისთვის. სწორედ ამასვე გულისხმობდა იესოც თომასთან საუბრისას. ის ფაქტი, რომ პავლეს არ გააჩნდა იესოსთან ფიზიკური ურთიერთობის გამოცდილება, ნიშნავდა იმას, რომ ის სრულად უნდა დაყრდნობოდა სულიერ ურთიერთობას.

პავლეს მსგავსად, ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა გავყვეთ იესოს წარსულში არსებული ურთიერთობების თუ გამოცდილებების გათვალისწინებით წარმოქმნილი გაუგებრობების ან აზრთა კონფლიქტების გარეშე. დიდებული ჭეშმარიტება გახლავთ ის, რომ უხილავად უფრო მეტად შეგვიძლია იესოსთან დაახლოება, ვიდრე მისი ხილვის მეშვეობით შევძლებდით. ფიზიკურად იესოს გვერდით სიარულის შესაძლებლობის გარეშე, ჩვენ მას ქრისტეს სულის მეშვეობით უნდა დავუახლოვდეთ,

რომელიც მკვიდრობს ჩვენში — და ამგვარად განვავითაროთ ღრმა, სულიერი ურთიერთობა ღმერთთან. რა საოცარია!

განიცადეთ ის ყველაზე ღრმა დონეზე

ღმერთმა იცის, რომ ჩვენი სხეული (ამჟამად) ჯერ ისევ გამოსასყიდია. ჩვენი სული გამოსყიდულია; ის ქრისტეს ზუსტი ხატი და მსგავსია (იხ. იაკ.1:21;). მაგრამ ჩვენს ფიზიკურ სხეულს ჯერ არ განუცდია ხსნა.

შეგიმჩნევიათ ოდესმე, როგორ იოლად გვბეზრდება ყველაფერი? კაცი შეიძენს მანქანას და ერთი კვირის შემდეგ მისთვის ეს უკვე აღარაფერს ნიშნავს. ეს გახლავთ გამოუსყიდავი ხორცის ბუნება. ყოველივე ფიზიკურს მხოლოდ მცირე სიღრმე აქვს; ის ხანმოკლეა და მალე გადაივლის. ამიტომ, ღმერთი თავისი სიკეთით ამბობს: „მე ფიზიკურად არ გავუცხადებ თავს ჩემს ერს, არამედ გავხსნი მათთვის გზას, რომ ჩემი სულის მეშვეობით შემოვიდნენ ჩემთან ურთიერთობაში, რათა შეძლონ ჩემი ჭეშმარიტად გაცნობა“. თითქოს ის ამბობს, როგორც შორეულ მანძილზე დაწყებული ურთიერთობისას ხდება, „მათ, ვინც მიყვარს, მივცემ საშუალებას ფიზიკური კონტაქტის გარეშე დამიახლოვდნენ, რათა შეეძლოთ ჭეშმარიტად შეიცნონ ჩემი გული“.

როგორც ეკლესია, ჩვენ წარმოვადგენთ ქრისტეს საპატარძლოს. ღმერთი გვამზადებს მასთან ბრწყინვალე ქორწილისთვის. ის საშუალებას გვაძლევს გავიცნოთ იგი ყველაზე ღრმა, სულიერ დონეზე მანამ, სანამ მას ფიზიკურ დონეზე გავიცნობდეთ. ამის გამო დაწერა პავლემ მოგვიანებით: „ამიერიდან აღარავის ვიცნობთ ხორციელად. თუ ხორციელად ვიცნობდით კიდეც ქრისტეს, ახლა აღარ ვიცნობთ“ (2 კორ.5:16;). ჩვენ მას ვიცნობთ სულით — ცოცხალი ღვთის სულით. იყო დრო, როცა იესო გამოჩნდა ხორციელად. მაგრამ ახლა, ვინაიდან ის აღარ იმყოფება დედამიწაზე ფიზიკურად, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მისი სულის მეშვეობით ვიცნობდეთ მას. თუ ჩვენ უარს ვამბობთ სულიწმიდასთან ურთიერთობაზე, ჩვენ ვკარგავთ შესაძლებლობას გავიცნოთ ჩვენი უფალი. სულიწმიდა იკვლევს ყოველივეს ღმერთის გულსა და გონებაში, რომ გაგვიცხადოს ჩვენ. თუ ღმერთთან სიღრმისეული ურთიერთობა გსურთ, თქვენ უნდა გასცდეთ ზედაპირულ ცოდნას მის შესახებ და შეუდგეთ მოგზაურობას იმის შესაცნობად, თუ ვინ არის ის ჭეშმარიტად. ხოლო ეს მოგზაურობა მხოლოდ სულიწმიდასთან თანაზიარების მეშვეობით არის შესაძლებელი. ამიტომ, ჩვენ უფლება არ გვაქვს სულიწმიდასთან მიმართებაში ჩავეჭიდოთ

და ვიხელმძღვანელოთ იმ ტრადიციებით (ჩვეული მოსაზრებებით), რომელიც არ ეფუძნება მარადიულ ღვთის სიტყვას. როცა საშუალებას ვაძლევთ არასწორ წარმოდგენებს, პიროვნულ გადახრებს ან ნეგატიურ გამოცდილებებს დაამახინჯოს ჩვენი ცოდნა სულიწმიდის შესახებ, ჩვენ სრულად ვერ დავტკბებით ღმერთის დიდებული თანდასწრების აღთქმით. მისი სულისაგან დამოუკიდებლად ჩვენ ვერ შევძლებთ გავიცნოთ ღმერთი.

მჯერა შეძლებთ იქონიოთ სულიწმიდასთან ისეთი ურთიერთობა, როცა თქვენც ის გენდომებათ, რაც მას სურს და იგრძნობთ იმას, რასაც ის გრძნობს. თქვენთვის ხელმისაწვდომია ურთიერთობის ყველაზე ღრმა — სულიერი დონე. ამ საფეხურზე, თქვენ შემოქმედთან ისეთ სიახლოვეს აღმოაჩენთ, როგორიც არასოდეს გქონიათ. მაგრამ იმისათვის, რომ შეაბიჯოთ მასთან სიღრმისეულ ურთიერთობაში, თქვენ უნდა შეიცნოთ ვინ არის სულიწმიდა. როგორ შეძლებთ ამას? მისი სიტყვის კითხვისა და მის თანდასწრებაში დროის გატარებით. ღმერთს სურს თქვენთან მოახლოვება; ერთადერთი, რაც თქვენ უნდა გააკეთოთ, ეს არის, გადადგათ პირველი ნაბიჯი.

შეაჩერეთ თქვენი ყურადღება ქვემოთ მოცემულ მუხლებზე და ნება მიეცით სულიწმიდას იშრომოს თქვენს გულში. როცა უფლისკენ მიიქცევით, თხოვეთ მოგაშოროთ ნებისმიერი აზროვნება (რიდე), რაც მისი თანდასწრების განცდას გაშორებთ. როგორც კი ეს რიდეები აიხდება, თქვენ შეძლებთ დაინახოთ ის ისე, როგორც არასდროს. როცა მის სახეს უმზერთ, ის გარდაგსახავთ თავის მსგავსებაში.

გტოვებთ პავლე მოციქულის სიტყვებთან:

> „ხოლო როცა უფლისკენ მიიქცევიან, რიდე ეხდებათ. ვინაიდან, უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა. რათა ყველას, რომელთაც მოგვშორდა რიდე, შეგვეძლოს დავინახოთ და ავისახოთ უფლის დიდებულება. და უფალი — რომელიც არის სული — გაგვხდის ჩვენ უფრო მეტად მის მსგავსებს, გარდავისახებით რა მის დიდებულ სახედ“ (2 კორ.3:16-18; NLT)

სიხარულით მიიღეთ ის, როგორც თქვენი მასწავლებელი

„თქვენ მიიღეთ სულიწმიდა და ის თქვენში მკვიდრობს, ამგვარად არავისგან სწავლა არ დაგჭირდებათ. რადგან სულიწმიდა გასწავლით ყველაფერს, რაც საჭიროა, რომ იცოდეთ, ის არის ჭეშმარიტი და უტყუარი, რასაც ის გასწავლით. აბა, როგორც გასწავლათ მან, დარჩით ქრისტესთან მოზიარეობაში“

– 1 იოანე 2:27; NLT

სულიწმიდას მრავალი როლი აქვს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ვფიქრობ, მათგან ძირითადი, მასწავლებლის როლია. ის გამუდმებით გვასწავლის რაღაცას. სულიწმიდა გახლავთ სრულყოფილი მშობელი, რომელიც მუდმივად ჩვენში ცხოვრობს, რომ მოგვცეს მიმართულება და შესწორებანი მისთვის ჩვეული სიფაქიზითა და სიყვარულით.

წმიდა წერილი სულის მარადიული სახელმძღვანელოა. ღვთის სიტყვა წარმოადგენს ღვთის აზრების ჩანაწერს. იმისათვის, რომ მის მსგავსად ვიფიქროთ, ვისაუბროთ, ვიმოქმედოთ, ჩვენ ვსაჭიროებთ მის სიტყვას და ამ სიტყვის შემეცნებას. ეს კი ჩვენი მასწავლებლის საქმეა: წაგვიყვანოს და შეგვიძღვეს ყოველგვარ ჭეშმარიტებაში, განგვიმარტოს საჭირო მუხლების მნიშვნელობა საჭირო მომენტისთვის. მწერალი და მწყემსი, **ფრენსის ფრანჯიპანი**, მჭერმეტყველურად გადმოგვცემს:

> „ღვთის სიტყვა სულიწმიდასთან შერწყმული, არის გადასაადგილებელი მექანიზმი ქრისტეს მსგავსებაში ჩვენს გადასაყვანად. ...სიტყვა არის ღმერთი. წმიდა წერილი არ არის ღმერთი, მაგრამ სულიწმიდა, რომელიც შთაბერავს წმიდა წერილის სიტყვებს, არის ღმერთი. და სულიწმიდას პატივი უნდა მივაგოთ, როგორც ღმერთს. ამიტომ, თუ ეძებთ უფალს...ილოცეთ, რომ წმიდა წერილი მხოლოდ ინტელექტუალურად არ წაიკითხოთ. არამედ, თხოვეთ სულიწმიდას დაელაპარაკოს თქვენს გულს თავისი სიტყვის

> მეშვეობით. ...როდესაც თავმდაბლობით მოიყრით მუხლს მის წინაშე, მისი სიტყვა თქვენს შინაგანში ჩაინერგება და ფაქტობრივად, ის თქვენი არსის და ხასიათის ნაწილი გახდება (იაკ.1:21)".[1]

შეჩერდი და ჰკითხე საკუთარ თავს: „როგორ ვკითხულობ წმიდა წერილს? მოვუხმობ ჩემს მასწავლებელს, რათა მასწავლოს? ვკითხულობ წმიდა წერილს ანდა ვღებულობ მას?". ახლა კი, სულიწმიდას ჰკითხე: „რა უნდა შევცვალო, რომ სიტყვა გაცოცხლდეს ჩემთვის და გახდეს ჩემი პიროვნების ნაწილი?". ჩაწერეთ, რას გაგიცხადებთ და პრაქტიკაში განახორციელეთ.

მოზიარეობის დრო ის ერთადერთი დროა, როცა სულიწმიდა გასწავლით? არა. ის *ყოველთვის* გასწავლით და თუ მასთან ჰარმონიაში იმყოფებით, ყოველი გაკვეთილის შემდეგ მას კვლავ მომდევნო გაკვეთილი ექნება თქვენთვის სასწავლებლად. ფრანჯიპანი გვთავაზობს:

> „...ყოველთვის თან იქონიეთ კალამი და ფურცელი. ...ჩვენ მოწოდებულნი ვართ დავრჩეთ მასში, და არა მხოლოდ დროდადრო ვესტუმროთ. ...იმდენად უნდა განავითაროთ თქვენი სმენა, რომ სულიწმიდას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ თემაზე შეეძლოს თქვენთან საუბარი. პატივი მიაგეთ მას და ის პატივს მოგაგებთ თქვენ".[2]

ეს შესაძლოა სხვადასხვაგვარად იყოს თითოეული პიროვნებისთვის. შეარჩიეთ ის, რაც საუკეთესოდ მუშაობს თქვენთვის. მთავარი ის გახლავთ, რომ მოისმინოთ და დაიმახსოვროთ, რასაც სული გეუბნებათ.

ღრმად გაიაზრეთ შემდეგი მუხლები. რას გიცხადებთ სულიწმიდა ღმერთის სიტყვის შესახებ?

2 ტიმ. 3:16-17; 2 პეტ. 1:12-21;

რჯ. 6:6; 11:18; ფსალმ. 118:9-11; კოლ. 3:16;

ფსალმ. 18:8; 118:105, 130; იგავ. 4:20-23; 6:20-23;

ებრ. 4:12; იაკ. 1:21; იერ. 23:28-29;

„მომიხმე და გიპასუხებ. გაუწყებ დიდსა და
მიუწვდომელს, რომელთაც
ვერასდროს მიხვდებოდი შენით“

– იერემია 33:3; The Message

ალუთქვით მას თქვენი ერთგულება, როგორც უფალს

„მიუგო იესომ: 'ყველაზე მნიშვნელოვანი მცნება ეს არის: '... უფალი, ღმერთი ჩვენი, ერთი უფალია. და უნდა გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი გონებით, და მთელი შენი ძალით"

-მარკოზი 12:29-30; NLT

უფალს, რომელიც არის სული, მხურვალედ ვუყვარვართ და ჩვენგანაც სრულ სიყვარულს ელოდება. მას არ სურს, რომ ჩვენი სიყვარული და ყურადღება მიბმული იყოს წუთისოფელზე ან რაიმეზე წუთისოფელში. ის ამბობს:

„ნუ შეიყვარებთ წუთისოფლის ცხოვრების წესს. ნუ მიეწებებით წუთისოფლის ბაგაჟს. სოფლის სიყვარული გამოდევნის თქვენგან მამის სიყვარულს. პრაქტიკულად, ყოველივეს, რაც წუთისოფელში ხდება — საკუთარი გზით სიარულის სურვილი, ყველაფრის საკუთარი თავისთვის ნდომა, თავის წარმოჩენის სურვილი — არაფერი აქვს საერთო მამასთან. ეს მხოლოდ გაშორებთ მამას. ქვეყნიერება და მისი გულისთქმანი, ნდომა, ნდომა და ნდომა, მალე გადაივლის — მაგრამ, ვინც იმას აკეთებს, რაც მამას სურს, უკუნისამდე დარჩება"

– 1 იოანე 2:15-17; The Message

წაიკითხეთ მსგავსი მუხლები: მათ.16:24-26; ტიტ.2:12-14; იაკ.4:4-6; იოან.15:18-21; რომ.12:2.

რას ეძღვნება თქვენი ერთგულება? წრფელად გამოიკვლიეთ. ჩაუღრმავდით საკუთარ თავს:

ვის ან რას ეთმობა ჩემი დროისა და ყურადღების უმეტესი ნაწილი? რას ვაკეთებ თავისუფალ დროს?

ვინ ან რა აღმაფრთოვანებს? ტექნოლოგიებსა და მოდის ტენდენციებს მართებული ადგილი უკავიათ ჩემს ცხოვრებაში?

რაში ვხარჯავ ფულს?

ყველაზე ხშირად რა ფიქრები მიტრიალებს გონებაში? რაზე ვსაუბროობ ხშირად? რა საკითხები აღწევს ჩემს ლოცვებში?

ჩვენი სიტყვები ააშკარავებს ჩვენს ერთგულებას. იესომ თქვა, რითიც არის სავსე ჩვენი გული, ის იღვრება ჩვენი ბაგეებიდან (იხ. ლუკ.6:45;).

გადახედეთ თქვენს პასუხებს. ჰკითხე სულიწმიდას: „ვსაჭიროებ მე, რომ შენ განსაზღვრო ჩემი პრიორიტეტები?“, „არის რამე კერპად ქცეული ჩემს ცხოვრებაში?“, „არის რამე, რასაც უფრო მეტად ველტვი, ვიდრე შენ?“, რას გპასუხობთ ის?, რა ნაბიჯების გადასადგმელად გიბიძგებთ სული, რათა კვლავ მისდამი ერთგულებას დაუბრუნდეთ?

იმსჯელეთ მათ. 6:19-21; და კოლ. 3:1-17-ში წარმოდგენილ ღვთის სიტყვებზე. მათი გამოყენებით დაწერეთ მიძღვნის ლოცვა და თხოვეთ სულიწმიდას დაგეხმაროთ იყოთ უფლის, თქვენი ღმერთის ერთგული.

თანდათანობითი ზრდა მისი მადლით

„ჩვენ კი ყველანი გარდავისახებით ჩვენი მესიის ხატებაში. ჩვენი ცხოვრება თანდათან უფრო კაშკაშა და მშვენიერი ხდება, როცა უფალი შემოდის ჩვენს ცხოვრებაში და მას ვემსგავსებით“

– 2 კორინითელთა 3:18; The Message

ზუსტად ჯვარცმის წინ, იესომ უმნიშვნელოვანესი განცხადება გააკეთა სულიწმიდის შესახებ: „კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, *მაგრამ ახლა ვერ იტვირთავთ.* მაგრამ როცა მეგობარი მოვა, სული ჭეშმარიტებისა, ის ხელს ჩაგჭიდებთ და შეგიძღვებათ ყოველგვარ ჭეშმარიტებაში...“ (იოან.16:12-13; The Message).

როგორც ყოვლისმცოდნეს, იესოს უამრავი ჭეშმარიტების გაზიარება შეეძლო თავისი მოწაფეთათვის, მაგრამ მან იცოდა, რომ ისინი ჯერ ვერ შეძლებდნენ ამის გაგებას. მათ გასაზრდელად დრო ესაჭიროებოდათ. როცა ის მოკვდა, აღსდგა და ამაღლდა ზეცად, მამამ თავისი სული წარმოგზავნა, რათა მისი დახმარებით თანდათან გავზრდილიყავით მადლის მეშვეობით.

კარგი მშობელი თავის ახალშობილი შვილისგან განა მოითხოვს გამრავლების ტაბულის ცოდნას? არა. ანალოგიურად, სულიწმიდაც ელოდება, როდის გავხდებით საკმარისად მოწიფულნი, რათა ვიტვირთოთ ის ჭეშმარიტებანი, რომელიც მან უნდა გვითხრას. ის არა მხოლოდ წმიდა წერილის ირგვლივ შეგვიძღვება ყოველ ჭეშმარიტებაში, არამედ ყველა საკითხის გარშემო, რაც გვეხება პირადად ჩვენ, ჩვენს შვილებს, ჯანმრთელობას, გარემოებებს თუ სხვა საკითხებს.

ღვთის სიტყვის თანახმად, ჩვენ ვიზრდებით (ვხდებით იესოს მსგავსნი), გადავდივართ რწმენისა და დიდების ერთი დონიდან მეორეში.[3] ამ პროცესში ჩვენც ვმონაწილეობთ და სულიწმიდაც. ყურადღებით განიხილეთ ფილ. 1:6; 2:12-13; 1 თეს. 5:23-24 და

ებრ. 13:20-21. რას გასწავლით ეს მუხლები ქრისტეში ზრდასთან დაკავშირებით? ხედავთ მათში განმეორებად თემას?

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ცნობილმა ინგლისელმა მქადაგებელმა, **ჩარლს სპერჯენმა**, მრავალი ნაშრომი დატოვა სხვადასხვა თემაზე, სულიწმიდასთან ურთიერთობისა და სულიერი ზრდის ჩათვლით. იგი ამბობს:

> „ჩვენ ვენდობით იესოს იმაზე, რისი გაკეთებაც თავად არ შეგვიძლია. ამის ძალა თუ ჩვენვე შეგვწევს, რისთვისღა უნდა მივმართოთ მას? ჩვენ ვერწმუნებით, უფალი [სულიწმიდა] კი განგვაახლებს. ის ჩვენს ნაცვლად არ ირწმუნებს; და ვერც ჩვენ ვაწარმოებთ განმაახლებელ სამუშაოებს მის ნაცვლად. ჩვენთვის საკმარისია *დავემორჩილოთ* კეთილ მცნებას. ხოლო ახალი სიცოცხლის შექმნა ჩვენში, უფლისგანაა“.

ნუ მიეცემით ფიქრებს: *„ალბათ, აქამდე სულიერად უფრო მეტად მოწიფული უნდა ვიყო“*. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ამით საკუთარ თავზე მხოლოდ მსჯავრდადებას იგრძნობთ, რაც სულიერად დაგაუძლურებთ. შეჩერდით და ილოცეთ: „სულიწმიდა, როგორ მხედავ, სად ვარ ახლა მე? (სულიერი მოწიფულობის რა დონეზე)?“. რას გპასუხობთ სული?

თქვენც ისევე უნდა ხედავდეთ საკუთარ თავს, როგორც სულიწმიდა გხედავთ. სთხოვეთ მას გააცნობიეროთ რომელ საფეხურზე იმყოფებით ახლა, რათა განაგრძოთ ზრდა-განვითარება.

გიცდიათ საკუთარი თავის შეცვლა მთელი ძალით? თუ დიახ, როგორ? რას ხედავთ ახლა განსხვავებულად?

დააფასეთ ღვთიური კავშირები, რომელსაც ის ქმნის

„გიყვარდეთ გულის სიღრმიდან; ნუ მოახდენთ სიყვარულის ფალსიფიცირებას. ...იყავით კარგი მეგობრები, ვისაც გულწრფელად უყვარს; ისწავლეთ, რომ სხვებზე წინ არ დააყენოთ საკუთარი *თავი.*

– რომაელთა 12:9-10; The Message

ჩვენ ურთიერთობისთვის ვიყავით შექმნილნი — ურთიერთობისთვის მამასთან და სხვებთან. დაფიქრდით ამაზე. როგორი იქნებოდა თქვენი ცხოვრება ურთიერთობების გარეშე? თუ ყველა სასიცოცხლო კავშირს მოიშორებდით, რა დაგრჩებოდათ? ეული, ცარიელი ცხოვრება.

მადლობა ღმერთს ურთიერთობებისთვის! ღვთისმოსავი მეგობრები ფასდაუდებელია. კარგი მეგობარი გვლესავს ჩვენ გონებრივად, ემოციურად და სულიერად, როგორც რკინა — რკინას. კარგი მეგობარი სიყვარულით მიგითითებს შეცდომაზე და გამოგასწორებინებს, როცა საჭიროა. ის ზეიმობს შენს წარმატებას, და გამხნევებს, რომ თავი გაართვა ცხოვრებისეულ სიძნელეებს.

„ჯობია მეგობარი გყავდეს მარტოდ ყოფნას, რადგან მაშინ უფრო მეტ სიამოვნებას მიიღებ იქიდან, რასაც გამოიმუშავებ. თუ დაეცემი, მეგობარი მოგეხმარება წამოდგომაში, მაგრამ თუ დაეცემი და მეგობარი არ გყავს გვერდით, მაშინ მართლა გასაჭირში ჩავარდნილხარ“

– ეკლესიასტე 4:9-10; CEV

ჩვენ უკვე ვისწავლეთ, რომ არსებობს ურთიერთობის სამი დონე — ფიზიკური, მშვინვიერი და სულიერი. რითი დაგეხმარათ ეს ცოდნა, რომ შეგეფასებინათ თქვენი ახლანდელი ურთიერთობები? ვისთან მიმართებაში გამოგადგათ ეს ყველაზე მეტად? და რატომ?

ყველაზე ღრმა, ყველაზე სასარგებლო კავშირები, რომელიც შეიძლება გვქონდეს, სულიერ დონეზე მიიღწევა. აღწერეთ როგორია ამგვარი ურთიერთობა. ჩამოთვალეთ, რა სარგებელი აქვს სულიერ დონეზე ურთიერთობას, მხოლოდ ფიზიკურ ან მშვინვიერ დონეზე ურთიერთობასთან შედარებით?

არსებობენ ადამიანები, რომლებთანაც ისურვებდით უფრო ღრმა სახის ურთიერთობას? შეჩერდით და ილოცეთ: „სულიწმიდა, რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ უფრო ღრმა, სულიერი ურთიერთობები განვავითარო ადამიანებთან, რომლებიც შენ განმისაზღვრე?“. გაჩუმდით. დაწერეთ, რასაც ის გეტყვით.

ლოცვა ღვთიური კავშირებისთვის:

სულიწმიდა, მაჩუქე ღვთიური კავშირები. როგორც იონათანი იყო დავითთან, როგორც რუთი იყო ნაყომთან, როგორც იოანე იყო იესოსთან ასე დამაკავშირე იმ ადამიანებთან, ვისთანაც გსურს, რომ მქონდეს ურთიერთობა. მომანიჭე მადლი, განვავითარო ჯანსაღი მეგობრობა სულიერ დონეზე ურთიერთობის ჩათვლით. იესოს სახელით, ამინ!

საფუძვლიანი შესწავლისთვის...

იგავ.13:20; 17:9, 17; 27:6, 10, 17; იოან.15:13; 1 იოან.1:7; 1 მეფ.18:1-4;

განიცადეთ უფალი ყველაზე ღრმა დონეზე

„ისწავლე, რომ პირადად ცნობდე მამაშენის ღმერთს. თაყვანი ეცი და ემსახურე მთელი შენი გულით და მონდომებული გონებით“

– 1 ნეშტთა 28:9; NLT

ღმერთის ყველაზე დიდი სწრაფვაა გვიცნობდეს ჩვენ პირადად და ჩვენც მოგვიწოდებს, რომ მასთან ერთად ვიაროთ ამ ცხოვრებაში. განა შეიძლება არსებობდეს ამაზე დიდი რამ? პავლემ თქვა: „ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ცოდნის უპირატესობისთვის. მის გამო უარი ვთქვი ყოველივეზე და ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო“ (ფილ.3:8; NLT).
იესო ქრისტეს სიღრმეების შეცნობა და განცდა **ჟან გიონის** უმთავრესი სურვილი იყო ცხოვრებაში. მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი გახლდათ ეს მისია, რომ მან წიგნიც დაწერა ამავე სათაურით. მეჩვიდმეტე საუკუნის ეს ფრანგი ქალბატონი შთაგონებდა ისეთ მორწმუნეებს, როგორებიც იყვნენ ჯონ ვესლი, ჰადსონ ტეილორი და ვოჩმან ნი. სიახლოვესთან დაკავშირებით, ის ამბობდა:

> „ნება მომეცით გკითხოთ...გსურთ მართლა ახლოს იცნობდეთ უფალს? ღმერთმა ამგვარი განცდა და ურთიერთობა ხელმისაწვდომი გახადა თქვენთვის. ეს მან იმ მადლის მეშვეობით უზრუნველყო, რომელიც ყველა თავის გამოსყიდულ შვილს მიანიჭა. მან ეს სულიწმიდის მეშვეობით აღასრულა. როგორ უნდა მიეახლო უფალს, რომ ასე ღრმად შეიცნო ის? გასაღები არის ლოცვა“.[5]

ამგვარად, როგორ აღწერდით ლოცვას უფლის ახლოს შეცნობასთან მიმართებაში? ყურადღებით წაიკითხეთ იესოს ლოცვა მათ. 6:5-15-ში. რა შეგიძლით ისწავლოთ აქედან და გამოიყენოთ თქვენს ცხოვრებაში?

როგორც აღვნიშნეთ, ხელახლა შობის დროს სულიწმიდა ჩვენს სულში დასამკვიდრებლად შემოდის. ამგვარად, როცა სულიწმიდა გველაპარაკება, ის ჩვენს *სულში* გველაპარაკება. ჟან გიონი განაგრძობს:

> „უფალი მხოლოდ თქვენი სულის შიგნით არის, თქვენი არსების სიღრმეში, წმიდათა წმიდაში; იქ მკვიდრობს ის. უფალმა ერთხელ აღგვითქვა, რომ მოვიდოდა და ჩვენში დაიდებდა სავანეს (იოან.14:23;). იესო დაგვპირდა, რომ იქ შეხვდება მათ, ვინც თაყვანს ცემენ მას და მის ნებას ასრულებენ. უფალი შეგხვდებათ თქვენს სულში...თუ თქვენი გული მთლიანად მოტრიალდება მისკენ, თქვენზე მისი თანდასწრება აღიბეჭდება“.[6]

ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ ვიცნობდეთ უფალს პირადად და სიღრმისეულად, არის მისი სულის მეშვეობით — მისი სულიწმიდით, რომელიც მოგვცა ჩვენ (იხ. 1 კორ.2:9-12;). შეჩერდით და ილოცეთ: „სულიწმიდა, არსებობს ჩემში ისეთი არასწორი წარმოდგენები, ცუდი გამოცდილებანი ან პიროვნული გადახრები შენთან მიმართებაში, რომლებიც ამახინჯებენ შენს მიმართ ჩემს ცოდნას?“. ჩუმად იყავით და მოუსმინეთ. თხოვეთ მოგაშოროთ ყველგვარი აზროვნება, რომელიც აბრკოლებს თქვენში მისი თანდასწრების განცდას. დაწერეთ რასაც გაგიცხადებთ.

იფიქრეთ ამ ჭეშმარიტებაზე და თხოვეთ სულიწმიდას გააცხადოს თქვენს გულში მისი მნიშვნელობა.

„როცა უფლისაკენ მიიქცევა პიროვნება, რიდე ეხდება. ვინაიდან უფალი სულია, და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა. რათა ყველას, რომელთაც მოგვშორდა რიდე, შეგვეძლოს დავინახოთ და ავისახოთ უფლის დიდებულება. და უფალი — რომელიც არის სული — გაგვხდის ჩვენ უფრო და უფრო მეტად მის მსგავსს, რამეთუ მის დიდებულ სახედ ვართ გარდაქმნილნი.

– 2 კორინთელთა 3:16-18; NLT

სადისკუსიო საკითხები

1 | იესომ თქვა, რომ ფარისევლებმა უფლება მისცეს ადამიანურ ტრადიციებს გადაეფარა ღვთის სიტყვის ავტორიტეტი. რა არის ადამიანური ტრადიციები და რატომ ამახინჯებენ ისინი ჩვენს ურთიერთობას შემოქმედთან? დაასახელეთ თანამედროვე დღეების მინიმუმ ერთი ადამიანური ტრადიცია, რომელიც ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებას გადაფარავს;

2 | სულიწმიდას სწადია იყოს ჩვენი საუკეთესო მეგობარი და ის მოშურნეა ჩვენთან ახლო ურთიერთობისა. თქვენი აზრით, ქვეყნიერებიდან რა იპარავს სულიწმიდის მიმართ ეკლესიის (მორწმუნეთა) ყურადღებას და სიყვარულს? რა მოხდება, თუ ჩვენ ვეტრფით წუთისოფელს და ამქვეყნიურ სიამოვნებებს, მდგომარეობებს და სტატუსებს უფრო მეტად ვეძებთ, ვიდრე სულიწმიდასთან თანაზიარებას?

3 | კონკრეტულად რისი თქმა სურდა იესოს მოციქულ თომასთვის იოან. 20:29-ში? აღნიშნული ჭეშმარიტება რა სახის კავშირშია 2 კორ. 5:16-ში პავლე მოციქულის მეშვეობით გადმოცემულ უფლის სიტყვებთან და რა მხრივ აუმჯობესებს უფალთან ჩვენს ურთიერთობას?

4 | დაასახელეთ და აღწერეთ სხვებთან ურთიერთობის სამი შესაძლო დონე. რომელია ყველაზე ღრმა დონე და რატომ? როგორ უნდა დავამყაროთ ადამიანებთან ამ დონეზე ურთიერთობა?

5 | სულიწმიდაში ჩვენ მოგვეცა უზარმაზარი საჩუქარი: შესაძლებლობა, ვიცნობდეთ უფალს ახლოს. ყურადღებით წაიკითხეთ 1 კორ.2:11-16. წერილის ამ მონაკვეთში, რას ლაპარაკობს სულიწმიდა ღმერთის ჭეშმარიტად შეცნობის შესახებ?

6 | პეტრეს და სხვა მოწაფეებს გააჩნდათ შესაძლებლობა, რომელიც სხვას არავის ჰქონია - ისინი პირისპირ იცნობდნენ იესოს. პავლეს მსგავსი რამ არ გამოუცდია, მა-

გრამ მიუხედავად ამისა, მას ძლიერად იყენებდა ღმერთი. რისი წყალობით იყო ეს შესაძლებელი?

იხილეთ: იოან. 20:29; 2 კორ. 5:16 და 2 პეტ. 3:15-16

7 | რა დაემართება ღმერთთან ჩვენს ურთიერთობას, თუ უგულებელვყოფთ მივდიოთ სულიწმიდასთან თანაზიარებას? თუ სურვილი გაგაჩნიათ, გაუზიარეთ თქვენს ჯგუფს პრაქტიკული ნაბიჯები და გზები, რომელთა მეშვეობითაც შეძელით თქვენ სულიწმიდასთან დაახლოება და მასთან გასაოცარი მეგობრობის განცდა.

შენიშვნები

მესამე თავის შეჯამება:

- თუ გვსურს ღმერთთან ღრმა, ახლო ურთიერთბა, ჩვენ ის სულიწმიდის მეშვეობით უნდა გავიცნოთ;
- მხოლოდ სულიწმიდას შეუძლია გაგვიცხადოს ღმერთის გულის ფიქრები, გრძნობები და მიზნები;
- ჩვენ მოგვეცა სული ღვთისაგან; ის არის ყველაზე დიდი მასწავლებელი, რომელიც შეგვიძღვება ყოველგვარ ჭეშმარიტებაში;
- წუთისოფლის მეგობრად დარჩენა — ეგოისტური სწრაფვა მდგომარეობებისა და სიამოვნებებისკენ — ნიშნავს იყო ღვთის მტერი;
- სულიწმიდა გახლავთ ჯენტლმენი; ის თავს არ მოგვახვევს თავის ნებას ან მასთან მეგობრობას;
- ურთიერთობის სამი დონე გახლავთ: ფიზიკური (ყველაზე დაბალი საფეხური და ყველაზე ზედაპირული), მშვინვიერი (ანუ პიროვნული) და სულიერი (ყველაზე სიღრმისეული და ყველაზე ახლო);
- ღმერთის შეცნობა და მასთან ურთიერთობა სულიწმიდის დახმარებით არის უფრო ღრმა და უფრო ინტიმური, ვიდრე იესო ქრისტესთან, როგორც ფიზიკურ პირთან ურთიერთობით.

4

სულიწმიდის ძალით შემოსვა

დღე 1

წუთით წარმოიდგინეთ შუა საუკუნეების მეფე. შეეცადეთ დაინახოთ სამყარო მის ირგვლივ: სასახლე და კოშკები, რაინდები და მათ მოლოდინში მყოფი ქალბატონები, ბრძოლები, მისი სამეფო მთელი თავისი დიდებულებით. იმ დროს მიიჩნეოდა, რომ მეფის ტიტული და მართველობა ღმერთისგან იყო. ამიტომ მეფეებს მათი ქვეშევრდომები უხვ პატივს მიაგებდნენ. ისინი ფუფუნებასა და დიდ სიმდიდრეში ცხოვრობდნენ. მეფის სიტყვა კანონი იყო და მისი განაჩენი საბოლოო გახლდათ. კარგ მეფეს ესმოდა, რომ მისი პასუხისმგებლობა თავის სამეფოს საზღვრებში მცხოვრები ხალხის დაცვაში მდგომარეობდა; მას ასევე ევალებოდა სამეფოს ინტერესების დაცვა და მისი საზღვრების გაფართოება.

ამ წოდებას თან ახლდა უდიდესი ვალდებულებები, ამიტომ მეფეს ენიჭებოდა განსაკუთრებული ძალაუფლება — ზოგჯერ კი სრულიც. გახსოვდეთ, რომ მე არ ვსაუბრობ ნომინალურ უფროსზე (დამახასიათებელს ჩვენი დროისთვის, როცა დემოკრატიული ან რესპუბლიკური პარტიები წარმოადგენენ მმართველობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას). მე აღვწერ აბსოლუტურ მონარქიას. ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ასეთი მეფე უარს ამბობდეს ან მას საერთოდაც წარმოდგენა არ ჰქონდეს იმ ძალაუფლებაზე, რომელიც მიენიჭა მას ამ პოზიციასთან ერთად. რა ბედი ეწეოდა მის სამეფოს? მას მალე დაიპყრობდნენ, იქ მცხოვრებნი ტყვეებად გადაიქცეოდნენ, ხოლო მისი რესურსები დამპყრობლის მიერ იქნებოდა მითვისებული. საკმარისი არ არის მეფისთვის უბრალოდ ეკავოს „მეფის“ პოზიცია (ვგულისხმობ, რომ ის მხოლოდ ნებივრობდეს თავის სასახლეში და ერთობოდეს ამ ტიტულის თანმხლები დიდებული ცხოვრების სტილით). მან უნდა შეასრულოს *მეფის მოვალეობები*, რაც მხოლოდ იმ ძალაუფლებით არის შესაძლებელი, რომელიც მის პოზიციას ახლავს თან. უდიდესი ძალაუფლებით მოსილ ამ ტიტულს არანაირი ეფექტი არ ექნება, თუ მეფე არ გამოიყენებს ამ ძალაუფლებას.

როგორც ღმერთის შვილები, ჩვენ ქრისტეს თანამემკვიდრენი გავხდით. რომაელთა მიმართ წერილში ვკითხულობთ: „ხოლო თუ მისი შვილები ვართ, მაშინ — მემკვიდრენიც. ქრისტესთან ერთად ჩვენ ვართ ღვთის დიდების მემკვიდრეები“ (რომ.8:17; NLT). ეს პოზიცია ნათლად არის გამოკვეთილი ეფეს. 2:6-ში: „[ღმერთმა] თანააღგვადგინა და ცათა შინა თანადაგვსხა *ქრისტე იესოში*“. ქრისტეში და ქრისტეს მეშვეობით, ჩვენ ახალი პოზიცია მოგვენიჭა. მეტად აღარ ვართ ამ წუთისოფლის შვილნი, არამედ ჩვენ გავხდით სამეფო ოჯახის წევრები (მემკვიდრენი) ზეცის სამეფოში. როგორც ამ სამეფოს მემკვიდრეებს, ჩვენ დაგვეკისრა ჩვენი უფლის მისიის გაგრძელების პასუხისმგებლობა. ღმერთის სამეფო ჩვენი საკუთრებაც გახდა, რადგან ჩვენ მის ჩამომავლობად ვიქენით ნაშვილები. როგორი განმაცვიფრებელი ჭეშმარიტებაა! მაგრამ ჩემს მიერ ილუსტრირებული მიწიური მეფის მსგავსად, იმისათვის რომ ვიყოთ ეფექტურნი ქრისტეში ჩვენთვის მონიჭებულ პოზიციაზე, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ და გამოვიყენოთ ძალაუფლება, რომელიც ხსენებულ პოზიციას მოჰყვება. მოცემულ თავში საფუძვლიანად შევისწავლით, თუ როგორ ვართ აღჭურვილნი ძალით ღვთის სასუფევლის გავრცელებისთვის ჩვენი როლის აღსასრულებლად. პეტრემ განაცხადა:

> „თქვენ ხართ სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, ღვთის საკუთრება. შედეგად, თქვენ შეგიძლიათ აჩვენოთ სხვებს ღვთის სათნოება, რადგან მან თქვენ სიბნელიდან თავისი საკვირველი სინათლისაკენ გამოგიხმოთ“ (1 პეტრ.2:9; NLT)

სანამ განვაგრძობდეთ, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ: პოზიცია წინ უძღვის ძალაუფლებას. ვიდრე შევძლებთ მისი სამეფოსთვის საერთოდ რამის გაკეთებას, ჩვენ ჯერ ქრისტეში უნდა დავმკვიდრდეთ.

ძალა, რომელიც გვჭირდება

> „და შეკრიბა ისინი და *უბრძანა*: არ გასცილებოდნენ იერუსალიმს, არამედ დალოდებდნენ მამის აღთქმულს, რაზეც უთხრა: „ჩემგან მოისმინეთ; ვინაიდან იოანე ნათლავდა წყლით, თქვენ კი, არც თუ მრავალი დღის შემდეგ, მოინათლებით სულიწმიდით“ (საქმე.1:4-5;)

იესომ მოწაფეებს არ *შესთავაზა*, რომ დალოდებოდნენ აღთქმულს, არც *რჩევის სახით* მიუცია მათთვის ეს მითითება. არამედ მან „*უბრძანა* მათ არ გასცილებოდნენ იერუსალიმს“, სანამ აღთქმული არ მოვიდოდა. იესო იძულებული იყო ამგვარი ძლიერი აქცენტი გაეკეთებინა ხსენებულ მითითებაზე, რადგან სულიწმიდისაგან ძალით შემოსვა უმთავრესია სასუფევლის ყოველი საქმისთვის. მან იცოდა, რომ მის მოწაფეებს ერთი სული ჰქონდათ ეუწყებინათ ყველასთვის მისი აღდგომის სასიხარულო მოვლენა და შესაძლოა, მოსვენებაც დაჰკარგოდათ აღთქმული სულიწმიდის ლოდინში. საქმ. 1:3-დან ვგებულობთ, რომ მათ გარკვეული დღეები იესოსთან ერთად გაატარეს და უსმენდნენ მის სწავლებას ღვთის სასუფეველზე. ბიბლია ამოწმებს, რომ მოციქულებმა მისი აღდგომის „უტყუარი მტკიცებულება“ მიიღეს. მათ არ სჭირდებოდათ დარწმუნება იმაში, რომ ეს ჭეშმარიტება იყო, რადგან ისინი თავად იყვნენ სიკვდილზე ქრისტეს გამარჯვების უშუალო მოწმენი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოციქულები მზად იყვნენ შედგომოდნენ საქმეს!

მაგრამ იესომ შეხედა მათ და უთხრა: „არ დაიწყოთ თქვენი მსახურება, არ მოჰყვეთ სახარების ქადაგებას მთელს ქვეყნიერებაზე და არ ჩამოაყალიბოთ არანაირი ეკლესიები, სანამ არ შეიმოსებით სულიწმიდის ძალით“ (ლუკ. 24:49; ავტორისეული პარაფრაზირება). მჯერა, იესომ ეს მითითება დაახლოებით 500 კაცს გამოუცხადა (იხ. 1 კორ.15:6;). მაგრამ საქმე. 1:15-ში ვხედავთ, რომ ზედა ოთახში მყოფ ადამიანთა რიცხვი 120-მდე იყო შემცირებული. რა დაემართა დანარჩენ 380 კაცს? პირადად ვფიქრობ, რომ თითოეულ დღესთან ერთად, რომელიც გადიოდა, უფრო და უფრო მეტი ადამიანი აკლდებოდა იმ საწყის 500 კაცს, სანამ მხოლოდ 120 არ დარჩა. შესაძლოა, ის 380, რომელიც წავიდა, ფიქრობდა, *მოდით დავბრუნდეთ ისევ სინაგოგებში, დავიწყოთ ეკლესიები და გავუზიაროთ ხალხს იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესანიშნავი ამბავი. რაც არ უნდა იყოს, არასწორია თუნდ ერთი დღე დავკარგოთ ტყუილად და არ გავუზიაროთ ეს კეთილი უწყება სხვებს.* მხოლოდ 120 აღმოჩნდა თანახმა, რომ მოქცეულიყვნენ მოძღვრის ბრძანებისამებრ.

ახლა, შესაძლოა, ფიქრობთ, *დიახ ჯონ, რა თქმა უნდა, მოწაფეებს სჭირდებოდათ, რომ დალოდებოდნენ სულიწმიდას. მათ ხომ ჯერ არ მიეღოთ ის. ჩვენთვის კი სხვაგვარად არის, რადგან სულიწმიდა გადარჩენის დროს მივიღეთ.*

წავიკითხოთ იოან. 20:21-22:

„მშვიდობა თქვენდა! როგორც მე [იესო] მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ“ ეს რომ თქვა, სული შეუბერა და ეუბნება: ‘მიიღეთ სულიწმიდა’“.

იესომ სული შეუბერა მოწაფეებს და უთხრა: „მიიღეთ სულიწმიდა“. აქ გამოყენებული ბერძნული სიტყვა, ნათარგმნი, როგორც *მიიღეთ*, ნიშნავს „უმალ ან ახლავე მიღებას“.[1] ეს წინასწარი სახე არ გახლდათ იმისა, რაც უნდა მომხდარიყო. მოწაფეებმა ნამდვილად *მიიღეს* სულიწმიდა, სანამ იესო ამაღლდებოდა ზეცად. მაგრამ ისინი არ იყვნენ შემოსილნი ძალით, სანამ სულიწმიდით არ *აღივსნენ* ორმოცდამეათე დღეს.

ორმოცდამეათე დღე

„ორმოცდამეათე დღე, რომ სრულდებოდა, ყველანი ერთად იყვნენ იმავე ადგილას. და იქმნა მოულოდნელად ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ. და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი, და *სათითაოდ* მოეფინა ყოველ მათგანს. *ყველა* აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ. (საქმე.2:1-4;)

დამემოწმებით მრავალ ჩვენგანს გვინახავს საკვირაო სკოლის გაკვეთილებზე ამ ამბის მხატვრული ვერსია. ერთად შეკრებილი მორწმუნეები გამოსახულნი თავზე პატარპატარა ცეცხლის ენებით. ვფიქრობ ეს მომხდარის არც თუ ისე კარგი წარმოდგენაა. ძველ აღთქმაში, ცეცხლი ხშირად სიმბოლირებდა ღმერთის თანდასწრებას. ის, რაც საქმეების წიგნის ავტორმა აღწერა, როგორც „გაყოფილი ენები, *თითქოს ცეცხლისანი“,* გახლდათ ღმერთის თანდასწრების გამოვლინება. იესოს მიმდევრები, მამაკაცებიც და დედაკაცებიც, ჩაეფლნენ ანუ მოინათლნენ ღმერთის თანდასწრებაში. ეს აშკარა თანდასწრება ასევე ჩანს სიტყვებში: „თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო“. თუმცა როგორც უკვე გავარკვიეთ პირველ თავში, სულიწმიდა არ გახლავთ „ძლიერი ქარი“. ის არის პიროვნება. მაგრამ მისი მოსვლა იმ ადგილას ძლიერი ქარის ფორმით გამოვლინდა.

საქმ. 2:4-ში გამოყენებული ბერძნული სიტყვა – „აღივსნენ“, პირდაპირ ნიშნავს „*გამძღარს“*. ლექსიკონის თანახმად, „*გამძღარის“* მნიშვნელობაა „გადაჭარბებულად შევსება“. ისინი,

ვინც ზედა თვალში იმყოფებოდნენ *გადაჭარბებამდე* აღივსნენ სულიწმიდით. თითოეულ მათგანმა ღმერთის თანდასწრების უდიდესი გამოვლინება განიცადა. ქარისა და ცეცხლის გამოჩენის გარდა, სულიწმიდით აღვსების კიდევ ერთი ნიშანი გახლდათ ფაქტი, რომ მორწმუნეებმა სხვა ენებზე იწყეს ლაპარაკი.

დღე 2

რატომ ენები?

ენა აქ ნახსენებია არა როგორც ჩვენი სხეულის ასოთაგანი, არამედ ენები, რომელზეც მეტყველებენ მსოფლიოს ხალხები. ესპანეთში, რომ ჩავიდე და იქ შემხვდეს ვინმე, ვინც არც თუ ისე კარგად საუბრობს ესპანურად, მე ვკითხავდი: „რომელია თქვენი მშობლიური ენა?“ და პირიქით, თუ ვიღაც ლაპარაკობს ინგლისურად, არ მჭირდება ვკითხო მას, რომელია მისი მშობლიური ენა, რადგან როგორც ინგლისურენოვანი ადამიანი, ვცნობ ჩემს საკუთარ ენას. ამგვარად, ჩემთვის ინგლისური არის „ნაცნობი“ ენა, მაშინ როცა სხვა ენა შესაძლოა, ჩემთვის „უცნობ“ ენად მივიჩნიო. უფრო მეტს ამის შესახებ მოგვიანებით გაუწყებთ.

ორმოცდამეათე დღეს, იუდეველები მრავალი ერიდან შეკრებილნი იყვნენ იერუსალიმში რელიგიური დღესასწაულის აღსანიშნავად. როგორც სხვა ერისა და რეგიონის მკვიდრთ, ამ იუდეველებს გააჩნდათ სხვადასხვა „მშობლიური ენები“:

> „ხოლო იერუსალიმში ცხოვრობდნენ იუდეველნი, ღვთის მოშიში კაცები, ყველა ხალხთაგან, რომელნიც კი ცისქვეშეთში არიან. როცა ეს ხმაური მოხდა, ბევრმა მოიყარა თავი და შეშფოთდა, ვინაიდან თითოეული ისმენდა, როგორ მეტყველებდნენ მის საკუთარ ენაზე. ყველანი გაოგნებულნი იყვნენ და უკვირდათ, ამბობდნენ: „განა ყველა ესენი, ვინც ლაპარაკობენ, გალილეველები არ არიან? როგორ გვესმის თითოეულ ჩვენგანს საკუთარ ენაზე, რომელშიც ვიშვით?“ (საქმე.2:5-8;)

ყურადღება მიაქციეთ, ბიბლია ამბობს, რომ „როცა ეს ხმაური მოხდა, ბევრმა მოიყარა თავი“. ამ ხმაურმა მრავალი მოიყვანა მათთან, რომლებიც ენებზე ლაპარაკობდნენ. ხალხისთვის განსაცვიფრებელი იყო, რომ გალილეველები (რომელთაც უმეტეს წილად გაუნათლებელ ან უსწავლელ ადამიანებად მიიჩნევდნენ) მრავალ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ღვთის სულის ამგვარი გამოვლინება ნიშანი გახლდათ მათთვის, ვინც

ჯერ არ იყო ქრსიტეს მიმდევარი:

„ვუსმენთ მათ, ჩვენ-ჩვენი ენებით, რომ ლაპარაკობენ ღვთის დიად საქმეებზე“. გაოგნდა ყველა და საგონებელში ჩაცვივდნენ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ‘ნეტავ ეს რას უნდა ნიშნავდეს?’“ (საქმე.2:11-12;)

სულიწმიდის გადმოღვრამ შესაძლებლობა მისცა პეტრეს ექადაგა ბიბლიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქადაგება, რომელშიც ის ამბობს: „ეს იესო აღადგინა ღმერთმა, რისი მოწმენიც ჩვენ ყველანი ვართ. ამგვარად ღვთის მარჯვნივ ამაღლებულმა, მამისაგან მიიღო სულიწმიდის აღთქმა და მოჰფინა ის, რასაც თქვენ ხედავთ და ისმენთ“ (საქმ.2:11-12;). ყურადღება გაამახვილეთ, რომ თითოეული *ხედავდა* და *ისმენდა* სულიწმიდის ძალის მოწმობას.

რამდენიმე მუხლის შემდეგ, ხალხი პასუხობს:

„ეს რომ მოისმინეს, გულზე მოხვდათ და უთხრეს პეტრესა და დანარჩენ მოციქულებს: ‘როგორ მოვიქცეთ, კაცნო ძმანო?’“ (საქმ.2:37;)

პეტრე მათ ეუბნება:

„მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და *მიიღებთ* სულიწმიდის ნიჭს. ვინაიდან თქვენ გეკუთვნით აღთქმა [სულიწმიდა], და თქვენს შვილებს და ყველა შორეულს, ვისაც კი მოუხმობს უფალი, ღმერთი ჩვენი“ (საქმ.2:38-39;)

აუწყა რა პეტრემ ხალხს ხსნის კეთილი უწყება, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ყველასთვის, ვინც მოუხმობს უფლის სახელს (იხ. რომ.10:13;), მან ასევე სავსებით ნათლად განაცხადა, რომ სულიწმიდა ყველასთვის არის, ვისაც სწამს. რაოდენ გასაოცარია! ეს აღთქმა მოცემულია იესოს ყველა მორწმუნისთვის — წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

ოთხი მონათხრობი

საქმეების წიგნში, ორმოცდამეათე დღის შემდეგ სულიწმიდით აღვსების გარდა, ოთხი სხვადასხვა შემთხვევაა მოცემული. როცა ამ ოთხ შემთხვევას განვიხილავთ, მინდა ორ რამეზე

გაამახვილოთ განსაკუთრებული ყურადღება. პირველი, ერთის გარდა ყველა სხვა შემთხვევაში, სულიწმიდით აღვსება ხსნის მიღებისგან ცალკე ხდება და არა ხსნის მიღებისთანავე. მეორე, ისინი, რომელნიც იყვნენ სულით აღვსების მოწმენი, *ხედავდნენ* და *ისმენდნენ* სულიწმიდის შემოსვლის მოწმობას ახალმოქცეულ მორწმუნეებში.

ფილიპე და სამარიტელები

ამ ოთხიდან პირველს ვკითხულობთ საქმეების წიგნის მერვე თავში. ფილიპე წარგზავნილ იქნა ქალაქ სამარიაში, რათა მათთვის იესო ქრისტეს სახარება გაეზიარა. იქადაგა თუ არა მან სახარება, მთელი ქალაქი გამოღვიძებამ მოიცვა. კოჭლები იკურნებოდნენ, არაწმიდა სულები გარბოდნენ და მრავალმა მიიღო ხსნის კეთილი უწყება:

> „როცა ერწმუნენ ფილიპეს, რომელიც ახარებდა ღვთის სასუფეველსა და იესო ქრისტეს სახელს, ინათლებოდნენ მამაკაცებიც და დედაკაცებიც. თვითონ სიმონმაც ირწმუნა და მოინათლა, აღარ შორდებოდა ფილიპეს და, მოხდენილ დიდ სასწაულებსა და ნიშნებს რომ ხედავდა, გაოგნებული იყო“ (საქმე.8:12-13;)

როცა სამარიტელებმა ირწმუნეს იესო ქრისტეს სახარება, განიცადეს მათ ხელახლა შობა? რა თქმა უნდა. როცა პიროვნება ირწმუნებს სახარებას, ის ღებულობს იესო ქრისტეს და ხდება ღვთის შვილი. შემდეგ ეს ახალმოქცეულები ქრისტეს რწმენის ნიშნად მოინათლნენ წყალში. მაგრამ, როგორც მომდევნო მუხლებშიც ვხედავთ, პირველი ეკლესიის ხელმძღვანელებმა იცოდნენ, რომ კიდევ რაღაც იყო საჭირო — მოქცევისა და წყლით ნათლობის გარდა, ახალმოქცეულ მორწმუნეებს სულიწმიდით ნათლობა უნდა მიეღოთ:

> „გაიგეს იერუსალიმში მყოფმა მოციქულებმა, რომ სამარიამ მიიღო ღვთის სიტყვა [*ხსნა*] და გაგზავნეს მათთან პეტრე და იოანე. როცა ისინი ჩავიდნენ, ილოცეს იქ მყოფი ახალმოქცეულებისთვის, რათა მათაც *მიეღოთ სულიწმიდა*, ვინაიდან მანამდე არცერთ მათგანზე არ იყო გადმოსული; მხოლოდ მონათლულები იყვნენ უფალ იესოს სახელით [*წყლით ნათლობა*]“ (საქმ.8:14-16; NIV)

შეიტყვეს რა, რომ სამარიამ მიიღო სახარება, მოციქულებმა ახლად შემატებულ მორწმუნეებთან პეტრეს და იოანეს გაგზავნა გადაწყვიტეს. რატომ გაგზავნეს მოციქულებმა მათ შორის ორი ყველაზე დიდი მსახური სამარიტელებთან ერთად სალოცავად? სამარიტელებს ხომ უკვე მიღებული ჰქონდათ ხსნაც და წყალში ნათლობაც? პეტრე და იოანე წარგზავნილნი იყვნენ კონკრეტული ლოცვისთვის, „რათა მათაც მიეღოთ სულიწმიდა“ (მუხ. 15). მით უმეტეს, იერუსალიმს სამარიამდე დაახლოებით 56 კილომეტრი აშორებდა.[3] ეს მანძილი შესაძლოა დღეს არ მოგეჩვენოთ დიდ დისტანციად, მაგრამ მოციქულებს არც ავტომანქანები გააჩნდათ და არც გადაადგილების სხვა თანამედროვე საშუალებები. მათ ეს 56 კილომეტრი ფეხით უნდა გაევლოთ, ან სახედარზე შემჯდარს, რასაც სულ მცირე ერთი ან ორი დღე დასჭირდებოდა. ეს არ იყო გვერდით ქუჩაზე გადარბენის მსგავსი.

კვლავ ვიმეორებ, მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ახალმოქცეული მორწმუნეები მოინათლნენ უფალ იესოს სახელით. ისინი უკვე ღვთის შვილები იყვნენ. მაგრამ მაინც, რჩებოდა ხსნის ჯილდოს ერთი ელემენტი, რომელიც მათ ჯერ არ განეცადათ. შესაძლოა, ფიქრობთ, *მოიცადე ჯონ, მე მეგონა, რომ იესო ქრისტეს სული, როგორც კი გადარჩენას ვღებულობთ, მაშინვე შემოდის ჩვენს გულში დასამკვიდრებლად*. ნამდვილად ასეა. პირველ კორ. 12:3; გასაგებად გვაუწყებს: „არავის შეუძლია უფალი უწოდოს იესოს, თუ არა სულიწმიდით“. ჩვენ არ შეგვიძლია ვაღიაროთ იესო ქრისტეს უფლობა სულიწმიდის ზემოქმედებისგან დამოუკიდებლად, მაგრამ ეს არ გახლავთ სულიწმიდით *აღვსება*.

ბიბლია ნათლად გვამცნობს, რომ ყველანი, ქრისტეში მყოფნი, არიან სულიწმიდის მიერ განწმენდილნი და დაბეჭდილნი (იხ. 1 პეტრ.1:2; ეფეს. 1:13;). ამგვარად, ეჭვგარეშეა, რომ სულიწმიდის მკვიდრი *თანდასწრების* მიღება ხსნის ნაწილს წარმოადგენს. როცა ღმერთი გიყურებთ, ის ხედავს მისი ძის სულს. გახსოვდეთ, როცა ხსნა მიიღეთ, თქვენი მდგომარეობა შეიცვალა ქრისტეში — თქვენ გახდით მისი მემკვიდრეობის და მისი სამეფოს თანამოზიარე. მაგრამ, თქვენ არ აღივსებით სულის ძალით მანამ, სანამ ამას არ სთხოვთ მამას. იესომ თქვა:

> „თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, მეტადრე თქვენი ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, *ვინც სთხოვს*“ (ლუკ.11:13;)

იესომ ამ შემთხვევაში, ღმერთი მოიხსენია სიტყვებით: „თქვენი ზეციერი მამა“. ამგვარად აშკარაა, რომ ის მორწმუნეებზე საუბრობდა. ჩვენ ვიცით ეს, რადგან იოანეს სახარებაში იესო ამბობს: „ჭეშმარიტების სულს, *რომლის მიღებაც არ შეუძლია სოფელს*, რადგან ვერ ხედავს და არ იცნობს მას“ (იოან. 14:17;). „სოფელი“ წარმოადგენს მათ, რომლებიც ღმერთის სამეფოს გარეთ იმყოფებიან. რასაკვირველია, მას, ვინც არ დაუმორჩილებს თავს იესოს უფლობას, არ შეუძლია მიიღოს სულიწმიდა. ამგვარად, მითითება, რომ სულიწმიდა უნდა სთხოვოთ „თქვენს მამას“, ხსნის შესახებ თხოვნას არ მიანიშნებს. არამედ ეს ეხება შემდგომ აღვსებას, რომლის მიღებაც მხოლოდ დახსნილებს შეუძლიათ.

ახლა, მოდით, დავუბრუნდეთ მოციქულთა საქმეების მე-8 თავს:

> „მაშინ პეტრემ და იოანემ დაასხეს ხელები ამ მორწმუნეებს და მათაც მიიღეს სულიწმიდა. როცა *დაინახა* სიმონმა, რომ მოციქულთა ხელების დასხმით ეძლეოდათ სულიწმიდა, ფული მიუტანა მათ, რომ ეყიდა ეს ძალაუფლება. თქვა: „მეც მომეცით ხელმწიფება, რომ ჩემგან ხელდასხმულმაც მიიღოს სულიწმიდა“ (საქმ.8:17-19; NLT)

პეტრემ და იოანემ დაასხეს ხელები მორწმუნეებს და მათ მიიღეს სულიწმიდა. სულიწმიდისგან ეს აღვსება აშკარა შესამჩნევი იყო ადამიანის ფიზიკური გრძნობებისთვის, რადგან ბიბლია ამბობს, რომ „სიმონმა *დაინახა*, რომ მოციქულთა ხელების დასხმით ეძლეოდათ სულიწმიდა“. სიმონი, რომელიც ასევე გახლდათ მორწმუნე, იმდენად გაოცდა სულიწმიდის *ძალის* გამოვლინებით მორწმუნეებში, რომ მოციქულებს თანხაც კი შესთავაზა სანაცვლოდ, რათა მისთვისაც ესწავლებინათ, როგორ გამოეყო, როგორ გამოეთავისუფლებინა ეს ძალა (ეს არასწორი რეაქცია იყო და პეტრემ მაშინვე უსაყვედურა მას).

მთელს საქმეების წიგნში სულიწმიდისგან აღვსებას ყოველთვის თან ახლდა გარეგნული გამოვლინება, რომელსაც *ხედავდნენ* და *ესმოდათ* — უმეტესწილად ენების ან წინასწარმეტყველების სახით. სამარიაში მომხდარის მონათხრობი, ერთ-ერთია იმ რამდენიმე შემთხვევათაგან, სადაც ბიბლია განსაკუთრებულად არ აღნიშნავს, რომ სულიწმიდით აღვსებას თან მოჰყვა ენები და წინასწარმეტყველება. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარ გამოვლინებას სამარიის შემთხვევაშიც ჰქონდა ადგილი; სხვაგვარად, სიმონი, ერთი ჩვეულებრივი

გრძნეული, ვერ შეძლებდა დაენახა მორწმუნეებში სულიწმიდის არსებობის მოწმობა.

დღე 3

ტარსუსელი სავლე

სავლეს მოქცევის ამბავი ახალ აღთქმაში ერთ-ერთი ყველაზე განთქმული ადგილია. მაგრამ ახლა მინდა ყურადღება გავამახვილო ამ გასაოცარი შეხვედრის ნაკლებად ცნობილ მხარეზე. მოციქულთა საქმეების მე-9 თავში ვკითხულობთ, რომ სავლე დამასკოში მიემართება იქ მყოფ მორწმუნეთა დასაპატიმრებლად:

> „გზად მიმავალს, როცა დამასკოს უახლოვდებოდა, უეცრად მოეფინა ნათელი ციდან. და დაეცა მიწაზე და მოესმა ხმა, რომელიც ეუბნებოდა: 'სავლე, სავლე, რად მდევნი მე?'. თქვა: 'ვინ ხარ შენ, უფალო?'. მან კი: 'მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი...'. შეძრწუნებულმა და გაოგნებულმა უთხრა: 'რა გსურს უფალო, რომ გავაკეთო?'. და უთხრა მას უფალმა: 'ადექი და შედი ქალაქში და გეტყვიან, რაც უნდა გააკეთო'" (საქმ.9:3-6;)

დააკვირდით, სავლემ იესოს „უფალი" უწოდა. როცა იესო ხდება ჩვენი ცხოვრების უფალი, ჩვენ მაშინვე ხელახლა ვიშვებით. მე მჯერა, სავლე იმ წამსვე მორწმუნე გახდა, როგორც კი იესოს უფლობა სცნო.

უფალთან ამ შეხვედრის შემდეგ, მომდევნო სამი დღე სავლე მარხულობდა და შემდგომ მითითებებს ელოდებოდა. ამის შემდეგ უფალმა, ერთ-ერთ მოწაფეს, სახელად ანანიას, უთხრა მისულიყო სავლესთან. ანანია შეაშფოთა ამ მითითებამ, რადგან მან ბევრი იცოდა იმაზე, თუ როგორ გულმოდგინედ სდევნიდა სავლე მორწმუნეებს. მაგრამ უფალმა უთხრა: „წადი, ვინაიდან ის [სავლე] არის ჩემი რჩეული ჭურჭელი, რათა ატაროს ჩემი სახელი" (საქმ.9:15;). მივიდა რა ანანია სახლში, სადაც პავლე იმყოფებოდა, დაასხა მას ხელები და უთხრა: „ძმაო სავლე, უფალმა გამომგზავნა მე, იესომ, რომელიც გეჩვენა გზაზე, სადაც მიდიოდი, რომ თვალი აგეხილოს და *აღივსო სულიწმიდით*" (საქმ.9:17;). ანანიამ აშკარად იცოდა, რომ სავლე უკვე დახსნილი იყო, რადგნა მას „ძმაო სავლე" უწოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სავლე უკვე მორწმუნე იყო, ღმერთმა ანანია წარგზავნა, რათა განსაკუთრებულად ელოცა სავლესთვის განკურნებისა და სულიწმიდის მისაღებად.

კვლავ, ამ შემთხვევაშიც ვხედავთ, რომ სულიწმიდით აღვსება მოხდა მას შემდეგ, რაც ხსნა უკვე მიღებული ჰქონდა პიროვნებას. საქმეების მე-9 თავში, არცერთგან არ არის ნახსენები, რომ სავლე, იგივე პავლე, ენებით ამეტყველდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პავლე ლაპარაკობდა ენებით, რადგან მოგვიანებით იგი წერს: „ვმადლობ ღმერთს, რომ ყველა თქვენგანზე მეტს ვლაპარაკობ ენებით“ (1 კორ.14:18;). პირადად მე მჯერა, რომ პავლე მაშინ ამეტყველდა ენებით, როცა ანანიამ ილოცა მისთვის. პავლეს უნდა განეცადა ეს აღვსება, რადგან სულიწმიდის ძალით შემოსვა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პავლეს ძალისხმევისთვის, ექადაგა იესო წარმართთა, მეფეთა და ისრაელის შვილთა წინაშე (იხ. საქმე.9:15;).

<u>პეტრე და კორნელიოსი</u>

საქმეების მე-10 თავში ჩვენ გვაქვს წამიერი შეხება ღმერთის იუმორის გრძნობასთან. პირველ მუხლში ჩვენ ვეცნობით კორნელიოსს, რომაელ ასისთავს. ბიბლია ამბობს, რომ ის გახლდათ ერთგული და უფლის მოშიში კაცი, რომელიც ბევრ მოწყალებას გასცემდა ღარიბთათვის და ყოველთვის ლოცულობდა ღვთის წინაშე. ამ მომენტისთვის, ხსნის სახარება ჯერ არ მიეტანათ წარმართთათვის, ამგვარად ღმერთმა ანგელოზი გაგზავნა კორნელიოსთან. ანგელოზს არ უცნობებია კორნელიოსისთვის ღმერთის გეგმა მისი დახსნის შესახებ; არამედ მან უთხრა ასისთავს ხალხი გაეგზავნა პეტრეს მოსაყვანად. აღელვებულმა კორნელიოსმა, მყისვე გაგზავნა კაცები პეტრესთან, ანგელოზის მიერ მითითებულ ადგილზე.

შემდეგ რასაც ვგებულობთ არის, რომ იაფოში მყოფი პეტრე მოიცვა გარინდებამ და ამ დროს ის ღებულობს ხილვას ზეციდან. ამ ხილვაში, ღმერთმა გამოიყენა სხავადასხვა ფორმის გამოსახულებები, რათა პეტრესთვის ეცნობებინა, რომ მას არ უნდა შეერაცხა არაწმიდად ის, რაც ღმერთმა გაწმიდა (იხ. საქმე.10:9-15;). აშკარაა, ღმერთმა იცოდა, რომ პეტრეს გაუჭირდებოდა ნანახის მნიშვნელობის გაგება, რადგან მან ეს ერთი და იგივე ჩვენება პეტრეს სამჯერ გაუმეორა. გააცნობიერა რა პეტრემ ხილვის მნიშვნელობა, კორნელიოსის მიერ გამოგზავნილი კაცებიც მოვიდნენ. სულიწმიდამ უთხრა პეტრეს გაჰყოლოდა მათ. ღმერთს არ უთქვია პეტრესთვის, რატომ გზავნიდა კორნელიოსის სანახავად, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის იუდეველ კაცს ეკრძალებოდა წარმართებთან ურთიერთობა. კორნელიოსის სახლში მისვლის შემდეგ, პეტრემ წარ-

მოთქვა შემდეგი სიტყვები:

> „თქვენ უწყით, რომ იუდეველ კაცს ეკრძალება ურთიერთობა და დაახლოება უცხოტომელთან. მაგრამ მე მიჩვენა ღმერთმა, რომ არცერთი ადამიანისთვის არ მეწოდებინა შებილწული ან უწმიდური. ამიტომ, როცა მომიხმეს უყოყმანოდ მოვედი. ახლა გეკითხებით: რა საქმეზე მომიხმეთ?“ (საქმ.10:28-29;)

პეტრე თანდათან იწყებდა ნანახ ხილვასა და ამ ერთგულ წარმართ კაცთან შეხვედრას შორის კავშირის დანახვას. ამრიგად, ის შეუდგა სახარების ქადაგებას კორნელიოსისთვის. მოულოდნელად, პეტრეს სიტყვის დროს, ღვთის სული გამოვლინდა და წარმართებმა იწყეს ენებით ლაპარაკი. ამ ფაქტმა პეტრე სრულიად გააოგნა, რადგან მსგავსი რამ მანამდე არასდროს მომხდარიყო.

ღმერთმა იცოდა, რომ პეტრესა და მის თანმხლებ იუდეველებს გაუჭირდებოდათ იმ ფაქტის მიღება, რომ ხსნის ჯილდო წარმართთათვისაც იყო განსაზღვრული. ამიტომ ღმერთმა *მანამდე* გადმოღვარა წარმართებზე თავისი სული, ვიდრე პეტრე ილოცებდა მათთვის ან მონათლავდა წყლით. ეს იყო მტკიცებულება იმისა, რომ ისრაელიანებთან ერთად დანარჩენი ერებიც შედიოდნენ ხსნის გეგმაში.

> „მორწმუნენი წინადაცვეთილთაგან, რომლებიც პეტრეს მოჰყვნენ, გაოცდნენ, რომ სულიწმიდის ნიჭი წარმართებსაც მოეფინათ, რადგან *ესმოდათ*, რომ ლაპარაკობდნენ ენებზე და ადიდებდნენ ღმერთს. მაშინ მიუგო პეტრემ: „ვის შეუძლია წყლით ნათლისღება დაუკავოს იმათ, ვინც ჩვენსავით მიიღეს სულიწმიდა?“. უბრძანა მათ მონათლულიყვნენ იესო ქრისტეს სახელით“ (საქმე.10:45-48;)

იუდეველებს არ შეეძლოთ წარმართთა შორის ღვთისმიერი ხსნის მონმობის უარყოფა, ვინაიდან *ესმოდათ* და *ხედავდნენ* ღვთის ძალის გამოვლინებას მათგან (სულიწმიდით აღვსებას). იუდეველი მორწმუნენი შოკირებულნი იყვნენ. ღმერთმა არა მხოლოდ ხელმისაწვდომი გახადა ხსნა წარმართთათვის, არამედ მან ისინი იქამდე აღავსო სულიწმიდით, ვიდრე ჩვეული თანმიმდევრობით აღსრულდებოდა ქრისტეს რწმენის გარეგნული აღიარება და წყლით ნათლობა. ეს არის ერთადერთი შემთხვევა წმიდა წერილში, როცა ღმერთმა ამგვარად იმოქმედა. ყველა

დანარჩენ შემთხვევაში, სულიწმიდის გადმოღვრა მოქცევის *შემდეგ* ხდება. მჯერა, ღმერთმა ეს გააკეთა იმის გამო, რომ სხვაგვარად იუდეველები აუცილებლად მოითხოვდნენ განსაკუთრებულ ნიშანს იმის დასამტკიცებლად, რომ მან ხსნა წარმართებსაც მოუვლინა.

ეფესელები

მეოთხე შემთხვევას, რომელიც მსურს განვიხილოთ, საქმეების მე-19 თავში ვკითხულობთ. თავისი ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, პავლე ჩავიდა ეფესოში. ბიბლია გვამცნობს, რომ იქ ყოფნისას, მას შეხვდა იოანე ნათლისმცემლის რამდენიმე მოწაფე. პირველი შეკითხვა, რომლითაც პავლემ მიმართა მათ, იყო: „თუ მიიღეთ სულიწმიდა, როცა ირწმუნეთ?“ (საქმ.19:2;). თუ ეს იყო პირველი, რაც შეხვედრისთანავე ჰკითხა პავლემ ამ ეფესელებს, მაშინ ეს ჩვენთვისაც უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ პირველ შეკითხვას, რომელსაც დავუსვამთ ნებიემიერ ახალმოქცეულს.

და მაინც, რატომ იყო ეს საკითხი ასეთი მნიშვნელოვანი პირველი ეკლესიის ხელმძღვანელთათვის? იმის გამო, რომ ქრისტეში ჩვენი მისიის შესასრულებლად სულიწმიდის ძალით შემოსვას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. რატომ უნდა უნდოდეს რომელიმე ჩვენგანს ერთი საათი მაინც იცოცხლოს ოდესმე ამ მისიის აღსასრულებლად საჭირო ძალის გარეშე (იხ. საქმე.1:8;)? იმისათვის, რომ ვიყოთ ნაყოფიერები მამის სამეფოსთვის, ჩვენ უნდა დავმკვიდრდეთ ქრისტესში (ხსნა) და სულიწმიდის ძალით შემოსილნი (სულიწმიდით აღვსება).

პავლემ შეიტყო, რომ თუმცა ეს ეფესელები იოანე ნათლისმცემლის მოწაფენი იყვნენ, მათ მოსმენილიც არ ჰქონდათ იესო ქრისტეს ხსნის კეთილი უწყება, ამიტომ პავლემ მათ სახარება უქადაგა.

როგორც უკვე ვახსენე, ქრისტეში ჩვენი ადგილის დაკავება ყოველთვის წინ უსწრებს სულიწმიდის ძალით შემოსვას. თუმცა, კორნელიოსის შემთხვევაში, ძალის გარეგნულმა გამოვლინებამ (სულიწმიდით აღვსება) დაასწრო ხსნის გარეგნულ აღიარებას (წყლით ნათლობის ფორმით), ხსნა ყოველთვის წინ უსწრებს ძალით შემოსვას.

ამიტომ, მოისმინეს რა პავლეს სიტყვები, ეფესელები „მოინათლნენ უფალ იესოს სახელით“ (საქმე.19:5;). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ მიიღეს ხსნა, რომელიც არის მხოლოდ იესო ქრისტეში და მხოლოდ მისი მეშვეობით. მაგრამ ეს შეხვედრა

ამით არ დასრულებულა: „როდესაც პავლემ დაასხა მათ ხელი, გადმოვიდა მათზე სულიწმიდა და იწყეს ენებით ლაპარაკი და აწინასწარმეტყველდნენ“ (საქმე.19:6;).

სულიწმიდით აღვსებას მხოლოდ მას შემდეგ ჰქონდა ადგილი, რაც ახალმოქცეულები მოინათლნენ უფალ იესოს სახელით. პავლესთან შეხვედრამდე, ამ ადამიანებმა მხოლოდ მცირედი იცოდნენ იესოს შესახებ. მაგრამ როცა სულიწმიდით აღივსნენ, ისინი *აწინასწარმეტყველდნენ*, რაც ნიშნავს, რომ ისინი წარმოთქვამდნენ იესო ქრისტეს უწყებას. ძალით შემოსვა იმ წინასწარმეტყველების წარმოსათქმელად, რომელიც ერთი წუთით ადრე მათ არც იცოდნენ, შესაძლებელი გახდა მხოლოდ სულიწმიდის მეშვეობით. მორწმუნისთვის შეუძლებელია ძალაუფლებით წარმოთქვას ღვთის საიდუმლოებანი, თუ ის ჯერ არ იცნობს ღვთის სულს (იხ. 1 კორ.2;).

მადლიერი ვარ, რომ არასდროს ვყოფილვარ იძულებული მექადაგა სულიწმიდის ძალის გარეშე. ჩემი საკუთარი ძალებით, მე არ ვარ კარგი მოლაპარაკე. ისევე, როგორც არ ვარ კარგი მწერალი. ინგლისურ ენაში იმდენად მიჭირდა, რომ გამოცდაზე ჩავიჭერი. 800-დან მხოლოდ 370 ქულა ავიღე. არავინ იცის ჩემზე უკეთ, რომ რაც ვარ, მხოლოდ ღვთის წყალობით და სულიწმიდის ძალით ვარ. სულიწმიდის ძალით შემოსვის გარეშე, მე ვერც ამ წიგნს დავწერდი. ის გახლავთ ჩემი შესაძლებლობებისა და ძალის წყარო. მის გარეშე სასუფევლისთვის ჩემზე დაკისრებული დავალების შესრულება შეუძლებელი იქნებოდა ჩემთვის. სულიწმიდა წარმოადგენს ჩემს მიმართ ღმერთის მადლის „გამომვლინებელს“.

დღე 4

შეწყდა ენები?

> „სიყვარული არასოდეს მთავრდება. წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება. ვინაიდან ნაწილობრივი ვიცით და ნაწილობრივს ვწინასწარმეტყველებთ. და როცა სრულყოფილი მოვა, ნაწილობრივი განქარდება. (1კორ.13:8-10;)

ახლა, როცა უკვე განვიხილეთ საქმეების წიგნში აღწერილი სულიწმიდით აღვსების მაგალითები, მინდა შევეხო კითხვას, რომელიც მრავალ თქვენგანს გააჩნია. ხშირად მსმენია, ზოგიერთები ამბობენ, რომ ენები შეწყდა. ეს ადამიანები ძირითადად ხელმძღვანელობენ მუხლით, რომელიც ახლა წავიკითხეთ

1 კორ. მე-13 თავიდან. მათ, რომლებიც აღნიშნულ მოსაზრებას ემხრობიან, სჯერათ, რომ პავლე ამ სიტყვების დაწერისას, „როცა სრულყოფილი მოვა, ნაწილობრივი განქარდება“, „სრულყოფილში“ გულისხმობდა ბიბლიას. აქედან გამომდინარე კი ასკვნიან, რომ *ახლა როცა სრულყოფილი (ბიბლია) მოვიდა, ენები შეწყდა*.

მნიშვნელოვანია, ყურადღებით გამოვიკვლიოთ მოცემული მუხლები, რათა განვსაზღვროთ რას გულისხმობდა პავლე. როცა კონტექსტში განვიხილავთ ამ მუხლებს, ნათელია, რომ ამგვარი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. თუ ენები შეწყდა, მაშინ ცოდნა და წინასწარმეტყველებაც შეწყდა. მაგრამ შეწყდა კი ცოდნა და წინასწარმეტყველება? რა თქმა უნდა, არა. მაშინ, რას გულისხმობს პავლე „სრულყოფილში“?

პასუხი მოცემულია მეთორმეტე მუხლში:

> „ვინაიდან ახლა ჩვენ ვხედავთ სარკით, ბუნდოვნად, მაშინ კი [როცა სრულყოფილი მოვა] პირისპირ. ახლა ვიცი მცირეოდენი; ხოლო მაშინ მეცოდინება სრულად, ისე, როგორც მე ვარ შეცნობილი სრულად“ (1 კორ.13:12; ESV)

პავლე აღწერს იესო ქრისტესთან პირისპირ შეხვედრას. ეს არის, რასაც ის გულისხმობს „სრულყოფილში“ — იესოს შეცნობა სრულად მის დიდებაში. განვიცდით ამჟამად იესოსთან ამ სახის შეხვედრას? ვხედავთ მას მის დიდებაში? დედამიწაზე ცხოვრების განმავლობაში, ჩვენ მას ვხედავთ, როგორც ანარეკლს ბუნდოვან სარკეში, მაგრამ მომავალში, ჩვენც ისევე შევიცნობთ იესოს, როგროც *ის გვიცნობს ჩვენ*. იესოსთან ამგვარი სიახლოვის განცდა იქნება ნიშანი იმისა, რომ „სრულყოფილი“ მოვიდა. თუმცა ეს მოგზაურობა დედამიწაზე იწყება, ის არ დასრულდება, სანამ პირისპირ არ ვიხილავთ მას მარადისობაში.

ოთხი სახის ენა

შემდეგი კითხვა, რომლითაც ხშირად მომმართავენ, გახლავთ: „ჯონ, რატომ წერია 1 კორ. 12:30-ში: „ყველანი ლაპარაკობენ ენებით?“? განა არ ნიშნავს ეს იმას, რომ ყველანი არ ლაპარაკობენ ენებით?“. დიახ, ასეა. აქ პავლე საუბრობს განსაკუთრებული სახის ენაზე; ამ სახის ენა ყველა მორწმუნეს არ გააჩნია. იმისათვის, რომ გავიგოთ რაზეა საუბარი, უნდა გამოვიკვლიოთ ის ოთხი სხვადასხვა სახის ენა, რომელიც ახალ აღთქმაშია ნახსენები.

განხილვის დროს, ენებს დავყოფთ ორ კატეგორიად: პირადული და საჯარო გამოყენების. ორი ენა განკუთვნილია საჯარო მსახურებისთვის. „საჯაროში“ ვგულისხმობ, რომ ამ ენებით მოქმედების დროს, ერთი ადამიანი სულიწმიდისგან ემსახურება მეორე ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს. ხოლო „პირადული“ ენები პირიქით, ღმერთთან პირდაპირ გვაკავშირებს, როგორც ცალკეულ ინდივიდებს — ის ან ზრდის მასთან ჩვენს სიახლოვეს ან უნარს გვაძლევს ვიშუამდგომლოთ მისი სრულყოფილი ნების თანახმად. მოდით, განვიხილოთ თითოეული.

პირველი: ენები, როგორც ნიშანი ურწმუნოთათვის

პირველი სახის ენა განკუთვნილია საჯარო გამოვლინებისთვის.

> „ამიტომ ენა მორწმუნეთათვის კი არ არის ნიშანი, არამედ ურწმუნოთათვის“ (1 კორ.14:22;)

ეს ენები ვლინდება მაშინ, როცა სულიწმიდა მოიცავს ჩვენს ინტელექტს და გვანიჭებს უნარს ვილაპარაკოთ ამ დედამიწაზე არსებულ ერთ-ერთ უცხო ენაზე. ენა, რომელიც არასოდეს გვისწავლია და არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენი პირადი გამოცდილებით ან მიღებული განათლებით. ეს გახლავთ ენების ის სახეობა, რომელიც მოწაფეების მეშვეობით მოქმედებდა ორმოცდამეათე დღეს.

> „ხოლო იერუსალიმში ცხოვრობდნენ იუდეველნი, ღვთის მოშიში კაცები, ყველა ხალხთაგან, რომელნიც კი ცისქვეშეთში არიან. როცა ეს ხმაური მოხდა, ბევრმა მოიყარა თავი და შეშფოთდა, ვინაიდან თითოეული ისმენდა, როგორ მეტყველებდნენ მის საკუთარ ენაზე. ყველანი გაოგნებულნი იყვნენ და უკვირდათ, ამბობდნენ: „განა ყველა ესენი, ვინც ლაპარაკობენ, გალილეველები არ არიან? როგორ გვესმის თითოეულ ჩვენგანს საკუთარ ენაზე, რომელშიც ვიშვით? პართნი და მიდიელნი, ყელამელნი და მკვიდრნი შუამდინარეთისა, იუდეისა, კაბადუკიისა, პონტოსი და აზიისა, ფრიგიისა და პამფილიისა, ეგვიპტისა და კვირინეის მხარეს მდებარე ლიბიის ოლქებისა და რომიდან ამოსულნი, იუდეველნი და რჯულშეცვლილნი, კრეტელნი და არაბები, ვუსმენთ მათ, ჩვენ-ჩვენი ენებით, რომ ლაპარაკობენ ღვთის დიად საქმეებზე!“(საქმე.2:5-11;)

ეს იუდეველები ისმენდნენ, როგორ ლაპარაკობდნენ მორწმუნენი თითოეული მათგანის მშობლიურ ენაზე. ამგვარი გამოვლინება იყო ნიშანი, რომ იესოს სახარების მორწმუნეებში ღმერთი მოქმედებდა, ვინაიდან სხვაგვარად შეუძლებელი იყო უსწავლელ გალილეველებს ასე შესანიშნავად შეძლებოდათ ღმერთის სასწაულების გაცხადება ამდენ სხვადასხვა ენაზე. მრავალმა იწამა იესო სულიწმიდის ძალის ამ გამოვლინების გამო.

რამდენიმე წლის წინ, კოლორადო სფრინგსში ერთ ეკლესიაში ვქადაგებდი. მსახურების დროს, ჩემი გუნდის ერთ-ერთი წევრი უკანა რიგებში იჯდა. მთელი ჩემი ქადაგების განმავლობაში, ის გრძნობდა ენებზე ხმადაბლა ლოცვის აუცილებლობას. მსახურების დასასრულს, მამაკაცი, რომელიც მის წინ იჯდა მივიდა მასთან და უთხრა: „თქვენ არაჩვეულებრივად საუბრობთ ფრანგულად, თან ძველი ფრანგული დიალექტის შესანიშნავი აქცენტით. მე გახლავართ ფრანგული ენის სპეციალისტი და ჩემს პრაქტიკაში არასდროს შემხვედრია ადამიანი, რომელიც თქვენსავით კარგად ილაპარაკებდა ფრანგულად“.

ჩემი გუნდის წევრმა უპასუხა: „მე არ ვსაუბრობ ფრანგულად“. მამაკაცი შოკირებული დარჩა!

მან თქვა: „თქვენ არა მხოლოდ შესანიშნავად საუბრობდით ფრანგულად, არამედ წმიდა წერილის მუხლების ციტირებასაც ახდენდით ფრანგულ ენაზე და შემდეგ ჯონი ზუსტად ამ მუხლებს ახსენებდა ქადაგებაში. მაგრამ თქვენ იქამდე ამბობდით მუხლს, სანამ ჯონი წაიკითხავდა“. ეს გამოვლინება იყო ნიშანი ამ მამაკაცისთვის იმ უწყების დასამოწმებლად, რომელიც ღმერთმა გამოანთავისუფლა ჩემი ქადაგების მეშვეობით. ენების, როგორც ნიშნის, ძირითადი მიზანი გახლავთ, მიიქციოს კონკრეტული პიროვნების ყურადღება, რომელიც ჯერ არ არის მორწმუნე.

მეორე: განსამარტი ენა

ენის მეორე სახეობა ასევე საჯარო მსახურებისთვის გახლავთ განკუთვნილი. განსხვავებით იმ ენისაგან, რომელიც ურწმონოთათვის წარმოადგენს ნიშანს, ეს ენები ზეციურია, რომელზეც არსად დედამიწაზე არ ლაპარაკობენ. სწორედ განსამარტ ენებზე საუბრობდა პავლე, როგორც სულიერ ნიჭზე, როცა ამბობდა: „...ზოგს — *სხვადასხვა ენები*, ზოგს — *ენების განმარტება*“ (1 კორ.12:10;). ვინაიდან, ეს ენები არამიწიური ენებია, მათ განმარტება ესაჭიროებათ.

ერთხელ, წლების წინ, სინგაპურის ერთ-ერთ ეკლესიაში ვიყავი სტუმრად და საქადაგებლად ვემზადებოდი, როცა მოულოდნელად, მსახურებაზე ერთმა მამაკაცმა უცნობ ენაზე დაიწყო ლაპარაკი. მაშინვე მივხვდი, რომ ეს არ იყო მიწიური ენა, არამედ ზეციური. ყველა გააოცა სულიწმიდის ამ გამოვლინებამ. როცა დაასრულა ზეციურ ენაზე ლაპარაკი, შემდეგ კაცმა იწყო განმარტება. მისი განმარტება ზუსტი მოხაზულობა იყო იმ უწყებისა, რომელიც ღმერთმა ამ ეკლესიაში საქადაგებლად მომცა. ვიფიქრე, *მადლობა უფალო ამ გასაოცარი დამოწმებისთვის!* ღმერთმა გამოიყენა ენების ეს ნიჭი იმ სიტყვის გასამყარებლად, რომელიც ჩემს გულში ჩადო. ეს გახლდათ ნიშანი როგორც ჩემთვის, ასევე ყველა იქ მყოფისთვის.

ყურადღება გაამახვილეთ, რომ აღნიშნული სახის ენასთან მიმართებაში, მე გამოვიყენე სიტყვა *განმარტება* და არა *თარგმნა*. ზეციური ენები (რომელიც ახალი აღთქმის ოთხი სახეობის ენიდან, სამს მოიცავს) შეუძლებელია ითარგმნოს, რადგან ისინი ჩვენს ადამიანურ გაგებას აღემატება — მაგრამ შესაძლებელია მათი განმარტება.

ენების ნებისმიერი გამოვლინება, რომელიც მოექცევა ჯგუფში *განსამარტი ენები*, ყოველთვის უნდა მოდიოდეს განმარტებასთან ერთად. განმარტების გარეშე, ეკლესია ვერ აღშენდება, ხოლო ეს ენა კონკრეტულად ეკლესიის აღსაშენებლად არის მოცემული (იხ. 1 კორ.14;).

ამ სახის ენაზე ეკითხებოდა პავლე: „ყველანი ლაპარაკობენ ენებით?“. ახლა, მოდით კონტექსტში განვიხილოთ ეს მუხლი:

> „დააყენა ღმერთმა ეკლესიაში პირველად მოციქულები, მეორედ მქადაგებელნი, მესამედ მოძღვარნი, მერე კურნებათა ნიჭები, შეწევნანი, მართვანი, სხვადასხვა ენები. ყველა მოციქულია? ყველა მქადაგებელია? ყველა მოძღვარია? ყველას სასწაულთმოქმედება აქვს? ყველას აქვს განკურნებათა ნიჭი? ყველანი ლაპარაკობენ ენებით? ყველანი განმარტავენ?“ (1 კორ.12:28-30;)

პავლე საუბრობს საჯარო ნიჭებზე, რომელიც ღმერთმა ეკლესიაში მსახურებისთვის დაადგინა. ყველა მოციქულია? არა. ყველა წინასწამეტყველია? არა. ყველა მოძღვარია? არა. ანალოგიურად, ყველა ლაპარაკობს ან განმარტავს ენებს *საჯარო მსახურებისთვის*? არა. პავლე აქ გამოკვეთს, რომ ჩვენ იმ კონკრეტულ ნიჭში უნდა ვიზრდებოდეთ, რომელიც ღმერთმა ჩვენში ჩადო. ამიტომ, ქრისტეში ყველა არ იმოქმედებს საჯარო მსახურების ენების ნიჭით.

სხვაობა ორ საჯარო ენას შორის

მოგვიანებით, კორინთელთა მიმართ წერილში პავლე განმარტავს განსხვავებას ორ საჯარო ენას შორის:

> „ამიტომ ენა [*ენა, როგორც ნიშანი*] მორწმუნეთათვის კი არ არის ნიშანი, არამედ ურწმუნოსათვის... და აი, თუ მთელი ეკლესია, ერთად შეიკრიბება და ყველანი ილაპარაკებენ ენებით [*განსამარტი ენები*], და შემოვლენ უმეცარნი ან ურწმუნონი, განა არ იტყვიან, შეშლილები ხართო?“ (1 კორ.14:22-23;)

თუ ვერ მიხვდებით, რომ სხვადასხვა სახის ენები არსებობს, შესაძლოა, იფიქროთ, პავლე აქ თვითონვე სრულიად ეწინააღმდეგება თავის სიტყვებს. თავიდან ამბობს: „ენა ნიშანია ურწმუნოთათვის“. შემდეგ კი, მომდევნო მუხლშივე ვკითხულობთ: „თუ ყველანი ილაპარაკებენ ენებით და შემოვლენ უმეცარნი ან ურწმუნონი, განა არ იტყვიან, შეშლილები ხართო?“. მაგრამ, როცა უკეთესად გავერკვევით ამ ოთხ განსხვავებულ ენათა არსებობაში, დავინახავთ, რომ პავლე აქ ორი სხვადასხვა სახის ენაზე წერდა.

პირველი სახის ენა, რომელსაც პავლე ახსენებს (ენა, როგორც ნიშანი), გახლავთ ენა, რომელიც გამიზნულია ურწმუნოთა მოსაზიდად, რადგან ის მათ ემსახურება, როგორც ნიშანი. მეორე სახის ენა (განსამარტი ენა), კი განკუთვნილია მხოლოდ ეკლესიის აღსაშენებლად; ეს ენა არ წარმოადგენს ნიშანს ურწმუნოთათვის. პირიქით, ფაქტობრივად, პავლე ამბობს, რომ განმარტების გარეშე მეორე სახის ენაზე ლაპარაკი ურწმუნოს აფიქრებინებს, რომ შეშლილები ვართ!

წარმოგიდგენიათ, კვირა დილის მსახურება, სადაც ყველა ერთდროულად ქადაგებს, ასწავლის ან წინასწამეტყველებს? ეს უცნაური და უშედეგო იქნებოდა. ანალოგიურად, პავლემ მითითება მისცა ეკლესიას, რათა განსამარტი ენების არამართებულად გამოყენებით ნიადაგი არ შევქმნათ გაუგებრობისთვის. არასწორ გარემოებაში ენების ეს გამოვლინება გახლავთ ქაოსური და უმიზნო. ამავე თავში, ცოტა ადრე პავლე ნათლად ამბობს, რომ ენებმა არ უნდა წარმოშვას გაუგებრობა, არამედ პირიქით, უნდა მოიტანოს შემეცნება და გამოცხადება.

> „ვმადლობ ჩემს ღმერთს, რომ ყველა თქვენგანზე მეტს ვლაპარაკობ ენებით. მაგრამ მირჩევნია ეკლესიაში ხუთი

სიტყვა ვთქვა ჩემი გონებით, ვიდრე ათი ათასი სიტყვა — ენებით“ (1 კორ.14:18-19;)

ძალზედ მარტივია: თუ ვიყენებთ საჯარო ენას, ის უნდა განვმარტოთ, რათა იქ მყოფებს სარგებელი მოუტანოს. სხვაგვარად, უკეთესია ვილაპარაკოთ ჩვენთვის ნაცნობ ენაზე.

დღე 5

მესამე: ენა პირადი ლოცვისთვის

„ვინაიდან, როცა ენით ვლოცულობ, ჩემი სული ლოცულობს, ჩემი გონება კი უნაყოფოა. მაშ, რა ვქნათ? ვილოცებ სულით და გონებითაც ვილოცებ. ვიგალობებ სულით და გონებითაც ვიგალობებ“ (1კორ.14:14-15;)

ენების პირველი ორი სახეობა, რომელიც უკვე განვიხილეთ, განკუთვნილია საჯარო მსახურებისთვის და ადამიანებისთვის ღმერთის სიტყვის გადასაცემად: ენები, როგორც ნიშანი, გამიზნულია, რათა მიწვდეს და მოემსახუროს ურწმუნოს; განსამარტი ენები გამიზნულია, რათა მოემსახუროს მორწმუნეს. ზემოთ მოცემულ მუხლებში პავლე მესამე სახის ენებს წარმოგვიდგენს: ენები პირადი ლოცვისთვის. ის აღარ საუბრობს საჯარო მსახურებაზე, არამედ ასწავლის ენების შესახებ, რომელიც პირადი მიზნისთვის უნდა გამოვიყენოთ. ამ სახის ენა განკუთვნილია პირადი აღშენებისთვის და ლოცვისთვის. პავლე ადასტურებს, რომ ჩვენ შეგვიძლია „ვილოცოთ გონებით“, რაც ჩემთვის ნიშნავს ინგლისურ ენაზე ლოცვას და ასევე შეგვიძლია „ვილოცოთ სულით“, რაც ნიშნავს უცნობ ენებზე ლოცვას — ზეციურ ენაზე. ის ასევე აცხადებს, რომ ჩვენ ორივენაირად შეგვიძლია გალობაც (თაყვანისცემა).

ოდნავ მაღლა, 1 კორ. მე-14 თავის დასაწყისში ვკითხულობთ: „ვინც ენით ლაპარაკობს, ის ადამიანებს კი არ ელაპარაკება, არამედ ღმერთს“ (მუხ. 2). ვხედავთ, რომ სულის ეს გამოვლინება, არ შეიძლება გულისხმობდეს ენებს, როგორც ნიშანს, რადგან ორმოცდამეათე დღეს, მოწაფეები ადამიანებს ელაპარაკებოდნენ — აუწყებდნენ რა მათ უცხო ენებით ღმერთის დიად საქმეებზე. რა საკვირველია, პავლე აქ არც განსამარტ ენებზე მიანიშნებს, ვინაიდან ამ ნიჭით მორწმუნე ეკლესიას ელაპარაკება უცნობ, ზეციურ ენაზე, რომელიც უნდა განიმარტოს. აღნიშნულ მუხლში, მოციქული კონკრეტულად საუბრობს პიროვნება-

ზე, რომელიც სულით „ადამიანებს კი არ ელაპარაკება, არამედ ღმერთს“.

პირადი ლოცვისთვის განკუთვნილი ენებით ლაპარაკი წარმოადგენს პირად ურთიერთობას ღმერთსა და მლოცველს შორის. მისი დანიშნულებაა განამტკიცოს ეს უკანასკნელი. „ხოლო თქვენ, საყვარელნო, აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე და ილოცეთ სულიწმიდით, დაიცავით თქვენი თავი ღვთის სიყვარულში“ (იუდ.20-21;). ყურადღება მიაქციეთ, იუდა ამბობს, რომ როცა ვლოცულობთ სულიწმიდით (ენებით) ჩვენ ვაშენებთ საკუთარ თავს; ხოლო როდესაც განსამარტი ენებით ველაპარაკებით ეკლესიაში მყოფ მორწმუნეებს, ჩვენ ვაშენებთ ეკლესიას (იხ. 1 კორ.14:5;). ღმერთს ორივე სურს, რადგან ორივე მნიშვნელოვანია.

მრავალ მორწმუნეს აინტერესებს: *„შესაძლებელია აღივსო სულიწმიდით და არ ლოცულობდე ენებით?“.* დიახ, მე მჯერა ადამიანი შესაძლოა აღივსოს სულით და არ ლაპარაკობდეს ენებით. მაგრამ მე ასევე დავამატებდი, რომ თითოეულ ადამიანს, რომელიც სულიწმიდით აღივსო, *გააჩნია* ენებზე ლოცვის *უნარი*. მრავალი მორწმუნე უმოქმედოა ამ ნიჭში იმის გამო, რომ ისინი ჯერ არ მიჰყოლიან მას რწმენით. ღმერთისგან ბოძებული ყოველი ნიჭი მიიღება და მოქმედებს რწმენით.

იფიქრეთ ამაზე ამგვარად. ორი კაცი შევიდა მდინარეში. ერთმა ამჯობინა, რომ ძლიერად მდგარიყო და წყლის ნაკადს მის ირგვლივ ედინა; მეორემ კი, არჩია მოდუნებულიყო და მდინარის დინებას მიჰყოლოდა. ორივე წყალში იმყოფებოდა, პირველიც, რომელიც მდინარეში იდგა და მეორეც, რომელიც ნაკადს მიჰყვა, მაგრამ მხოლოდ მეორეს შეეძლო გაჰყოლოდა დინების მიმართულებას. ის, ვინც ენებით ლოცულობს, შეგვიძლია შევადაროთ მას, რომელიც მიჰყვა მდინარის დინებას; ხოლო მორწმუნე, რომელიც არ ლოცულობს ენებით, მდინარეშია, მაგრამ ის დინებას ჯერ არ გაჰყოლია (თუ გსურთ იცოდეთ, როგორ მიჰყვეთ სულს, ამაზე მომდევნო თავში ვიმსჯელებთ).

სულიწმიდასთან თანაზიარება ერთ-ერთი იმ კურთხევათაგანია, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ჩვენთვის იესო ქრისტეს სიკვდილითა და მკვდრეთით აღდგომით. მაგრამ ამ თანაზიარების სრული საწყაოთი განცდა თავისთავად ხსნის მიღებასთან ერთად არ მოდის. უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ვესწრაფვოთ *ყოველივეს*, რაც ღმერთს ჩვენთვის აქვს. აღმოვაჩინოთ ის ყველაფერი, რისთვისაც იესო მოკვდა – ქრისტეში ჩვენი მოგზაურობის ძირითადი ნაწილია. როგორც უკვე

განვიხილეთ, სულიწმიდა გვაძლევს ძალას და უნარს, ღვთის სამეფოსთვის ჩვენი დავალების აღსასრულებლად. თუ ჩვენ უყურადღებოდ ვტოვებთ იმ ნიჭებს, რომელიც სულიწმიდის მეშვეობით უნდა ამოქმედდეს, ამით უარს ვამბობთ, როგორც ღმერთთან ღრმა სიახლოვეზე, ასევე იმ ძალაზე, რომელიც მისი ნების აღსასრულებლად გვესაჭიროება.

მეოთხე: ენები შუამდგომლობისთვის

> „ასევე სულიც ეხმარება ჩვენს უძლურებას. ვიანაიდან, არ ვიცით, როგორ უნდა ვილოცოთ, არამედ *თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით*. ხოლო გულთამხილავმა იცის, რა არის სულის ზრახვა, იმიტომ, რომ იგი ღვთის ნებით შუამდგომლობს წმიდათათვის“ (რომ. 8:26-27;)

პავლე ამ სწავლებას იწყებს სიტყვებით: „ასევე სულიც ეხმარება ჩვენს *უძლურებას*“. რომელ უძლურებას გულისხმობს ის? პასუხია: „ვიანაიდან, არ ვიცით, როგორ უნდა ვილოცოთ, არამედ თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით“. განვმარტოთ: ჩვენი უძლურება გახლავთ ის, რომ ჩვენ შეზღუდული ცოდნა გაგვაჩნია იმისა, თუ რა ხდება ჩვენს სამყაროში. ამიტომ, არის დრო, როცა არ ვიცით, როგორ ვილოცოთ. მაგრამ, როდესაც ვენდობით და ვშუამდგომლობთ სულით (რომელმაც ყველაფერი იცის), ის ჩვენი მეშვეობით ღმერთის სრულყოფილი ნების შესაბამისად ლოცულობს.

კოლეჯში სწავლის პერიოდში, მე ბიბლიის შემსწავლელ ჯგუფს ვუძღვებოდი, რომელიც კოლეჯის სტუდენტებს ემსახურებოდა. მას დაახლოებით სამოცი სტუდენტი ესწრებოდა, რომელთაგან ზოგიერთს საერთოდ არ ჰქონდა შეხება ეკლესიასთან, დანარჩენები კი სხვადასხვა დენომინაციური ეკლესიებიდან იყვნენ. ერთი გოგონა, რომელიც ასევე ჩვენ შეკრებებს ესწრებოდა, იზრდებოდა დენომინაციაში, სადაც სჯეროდათ, რომ ენები შეწყდა. ერთ საღამოს, მომისმინა რა, როგორ ვასწავლიდი სულიწმიდის შესახებ, მან გააცნობიერა, *ენები დღევანდელი დღისთვისაც არის! ეს დაწერილია ბიბლიაში!* იმავე ღამეს ის აღივსო სულიწმიდით.

მომდევნო დღეს, ზარმა დილის 6:30-ზე გამაღვიძა — იმაზე ბევრად ადრე, ვიდრე კოლეჯის სტუდენტი ისურვებდა გაღვიძებას! დამიძახეს და შემატყობინეს, რომ ჰოლში მელოდებოდა გოგონა ბიბლიის შემსწავლელი ჯგუფიდან, რომელიც ბიჭთა საცხოვრებელი კორპუსის მოპირდაპირედ გოგონათა

საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრობდა, ქუჩის გადაღმა. ავდექი საწოლიდან და გავედი გარეთ, სადაც ის იცდიდა.

მე, ნახევრად მძინარე და ცოტა არ იყოს გაღიზიანებულიც კი ვიყავი ასე ადრიანად გაღვიძების გამო, ის კი, აღფრთოვანებული ჩანდა. ვკითხე: „რა ხდება?“.

მან მიპასუხა: „ღმერთმა დილის ხუთ საათზე გამაღვიძა. ენებზე ლოცვის ძლიერ საჭიროებას ვგრძნობდი და მეც დავიწყე ლოცვა. აშკარად ვიგრძენი, რომ თითქოს ვშუამდგომლობდი. ვთხოვე უფალს ეჩვენებინა, რატომ ვლოცულობდი ენებით ასე მხურვალედ. უფალმა მიპასუხა: „შენ ახლა ლოცულობ და შუამდგომლობ ერთი ასაკიანი მამაკაცის სიცოცხლისთვის“. ასე, რომ ენებით ლოცვა განვაგრძე.

შემდეგ კი, ექვს საათზე ჩემს ოთახში მცხოვრებ მეორე გოგონას დაურეკეს და შეატყობინეს, რომ მის ბაბუას ძლიერი გულის შეტევა ჰქონდა და ის სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში. ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს“.

გოგონა განაგრძობდა: „სულიწმიდა დამელაპარაკა და მითხრა: ‘შენ მისთვის ლოცულობდი’“. ეს შესანიშნავი მაგალითია ენებისა, რომლითაც შუამდგომლობის დროს ვლოცულობთ. მან არც კი იცოდა, რომ ამ მამაკაცის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ სულიწმიდამ იცოდა. თუ ის მხოლოდ გონებით ილოცებდა, მისთვის შუამდგომლობას ვერ შეძლებდა.

დედაჩემი ფლორიდაში ცხოვრობს, ამიტომ მე არ ვიცი რა ხდება ახლა მის ცხოვრებაში. ასევე, არ ვიცი რა ხდება ჩემი დის ირგვლივ, რომელიც კალიფორნიაში ცხოვრობს. მაგრამ სულიწმიდამ იცის ღმერთის სრულყოფილი ნება მათთვის და ის იშუამდგომლებს ჩემი მეშვეობით, თუ მე მივჰყვები მასთან ლოცვაში თანამშრომლობას. სული ყოველივეს იკვლევს და მან ყველაფერი იცის. უდიდესი სიმშვიდე ახლავს თან ამ ცოდნას, რომ ჩვენ საშუალებას ვაძლევთ სულიწმიდას ჩვენი მეშვეობით ილოცოს!

განმარტება პირადი ენების ირგვლივ

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ ორი სახის ენასთან მიმართებაში, რომელთაც ვუწოდე „პირადი“. როცა მორწმუნეები, რომელთაგან ყველა აღვსილია სულიწმიდით, ერთად ლოცულობენ, ასეთ დროს მართებულია, რომ ყველამ ერთად ილოცოს ენებით. მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, არის დრო, როცა მორწმუნეებმა თავი უნდა შეიკავონ ამ ენებით საჯაროდ ლოცვისგან. პავლემ

ამგვარი განცხადება გააკეთა:

> „თუ მთელი ეკლესია, ერთად შეიკრიბება და ყველანი ილაპარაკებენ ენებით, და შემოვლენ *უმეცარნი* ან *ურწმუნონი*, განა არ იტყვიან, შეშლილები ხართო?“ (1 კორ.14:23;)

ამ განაცხადში ადამიანთა ორი ჯგუფია გამოკვეთილი. პირველი, პავლე ახსენებს *ურწმუნოებს*. აქ იგულისხმებიან ისინი, რომელთაც არ მიუღიათ იესო ქრისტე თავიანთ უფლად — ისინი, რომლებიც არ არიან რწმენაში. მეორე ჯგუფია *უმეცარნი*. ამ ხალხს სწამს იესო, მაგრამ მათთვის არ უსწავლებიათ სულიწმიდის ენების შესახებ. პიროვნება, რომელიც ამ ორიდან ერთ რომელიმე ჯგუფს მიეკუთვნება, უსიამოვნებას განიცდის გარემოში, სადაც სხვები ერთად ლოცულობენ ენებით. მათ სრულიად იოლად შეიძლება იფიქრონ ამ მლოცველებზე: *„თქვენ რა, შეიშალეთ?“*.

სამწუხაროდ, ვყოფილვარ მოწმე, როცა კვირის მსახურებაზე განდიდების დროს, მრავალი ადამიანი ხმამაღლა ერთად ლოცულობდა ენებით — და ამგვარი ლოცვისკენ მათ ხელმძღვანელები მოუწოდებდნენ. სინამდვილეში, წარსულში მე თავადაც ვუძღვებოდი ხალხს აქეთკენ, რადგან არ გამაჩნდა საკმარისი ცოდნა. ამ მსახურებებზე, როგორც ტიპიური კვირის მსახურებაზე, რა თქმა უნდა, იქნებოდნენ სტუმრები, რომლებიც გადიან კატეგორიაში *„უმეცარნი* ან *ურწმუნონი“*. ისინი, ალბათ, გულში იფიქრებდნენ: *„ეს ხალხი სრულ ჭკუაზეა?“*. დავაკვირდი, რომ ასეთ ეკლესიებს უჭირს გაზრდა და მათ ირგვლივ მყოფი ხალხის უფალთან მოყვანა. ამის მიზეზი კი შესაძლოა 1 კორ. 14:23-ში მოცემული სიბრძნის გაუთვალისწინებლობა იყოს. მჯერა, რომ თუ ისინი ამ პრაქტიკას გააგრძელებენ, *უმეცარნი* ან *ურწმუნონი* იქ აღარ დაბრუნდებიან.

მეორეს მხრივ, არის დრო, როცა ეკლესია მორწმუნეებს ლოცვით მსახურებაზე იხმობს (მაგალითად, შაბათს - დილით ან ორშაბათს – საღამოს). ამ მსახურებებზე, ყველა არის ინფორმირებული და მორწმუნე. სრულიად მისაღები და მშვენიერია ამ დროს ყველამ ერთად ილოცოს ენებით, როგორც ჯგუფმა, რომელიც უფლის მსახურებისთვის ან შუამდგომლობისთვის შეიკრიბა.

მარტივად რომ ვთქვათ, პავლე არ ამბობს, რომ არასდროს არ არის მართებული დრო ან ადგილი იმისათვის, რომ მორწმუნეებმა ერთად ილოცონ ენებით, რომელსაც „პირადი ენები“ ვუწოდეთ. ის მხოლოდ განასხვავებს, რომ „საჯაროდ“, როცა ჩვენ შორის *უმეცარნი* ან *ურწმუნონი* იმყოფებიან, ენების გამოხატულებაც უნდა იყოს შესაბამისი.

ღვთის სურვილი თქვენთვის

„მაშ, ასე, ძმანო, ეშურეთ, რომ იწინასწარმეტყველოთ, მაგრამ *ენებზე ლაპარაკს ნუ აკრძალავთ.* ყველაფერი შესაფერისად და წესიერად ხდებოდეს“ (1 კორ.14:39-40;)

პავლემ იცოდა, რომ ეკლესია არასწორად მოეპყრობოდა ენების ამ გასაოცარ ნიჭს. ამიტომ, ის შეგვაგონებს: „გამოიყენეთ მართებული სახეობის ენა მართებულ ვითარებაში და ნუ აკრძალავთ ენებზე ლოცვას იმის გამო, რომ ზოგიერთი მორწმუნე არასწორად ეპყრობა სულის ამ არაჩვეულებრივ ნიჭს“. საუბედუროდ, ეკლესია უმეცარია სულიწმიდის შესახებ მრავალი ჭეშმარიტების მიმართ. ეს ტრაგედიაა, რადგან სწორედ სულიწმიდაა წარმოგზავნილი ეკლესიის გასაძლიერებლად. ღმერთმა ეკლესია აირჩია, როგორც საშუალება მისი სასუფევლის გასაფართოვებლად. თუ არ გამოვფხიზლდებით იმ ძალის მისაღებად, რომელიც თან ახლავს ქრისტეში ჩვენს პოზიციას, მაშინ არაფრით განვსხვავდებით მეფისგან, რომელიც უარს ამბობს მეფობისთვის საჭირო ძალაუფლებაზე.

რამდენი მორწმუნე უშვებს ხელიდან სულის ამ გასაოცარ ნიჭს იმის გამო, რომ სჯერათ თითქოს ენები შეწყდა? ღმერთის სურვილი ნათელია: „მე მსურს, რომ თქვენ ყველანი ლაპარაკობდეთ ენებით“ (1 კორ.14:5;). ვიღაცამ შესაძლოა იდავოს, რომ ამას პავლე წერდა და არა ღმერთი. მაგრამ მთელი წერილი დაწერილია ღვთის შთაგონებით და ეს მუხლი გამონაკლისი არ გახლავთ (იხ. 2 ტიმ.3:16;).

არასდროს დაგავიწყდეთ, რომ ენების ნიჭი სულიწმიდის ძალით აღვსების უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტია — ისევე, როგორც ღმერთთან ახლო ურთიერთობისა. ამგვარად, ჩემი სურვილიც იგივეა თქვენს მიმართ: ვლოცულობ, რომ მიიღოთ ეს განსაკუთრებული ნიჭი და გაიზარდოთ სულის ძალასა და თანდასწრებაში ყოველდღიურად.

სულს მოაქვს მოქმედება!

„ღმერთმა დაამოწმა ეს წერილი ნიშნებით და სასწაულებით და სხვადასხვა ძალთა მოქმედებით და სულიწმიდის ნიჭებით, თავისი სურვილისამებრ“

– ებრაელთა 2:4; NLT

სულიწმიდა წარმოადგენს „მოქმედების აგენტს“, რომელიც მრავალი გასაოცარი გზით ავლენს თავს. წმინდა წერილში ის სიმბოლურად წარმოდგენილია მტრედის, ცეცხლის, ქარისა და ღვინის სახით. ჩამოთვლილ გამოვლინებათა შესწავლა დაგვეხმარება გავიგოთ მისი ხასიათი და ის, თუ რა ფორმით სურს მას იმოქმედოს ჩვენს ცხოვრებაში თუ ჩვენი მეშვეობით.

სულიწმიდა – მტრედის სახით. ოთხივე სახარებაში სულიწმიდა აღწერილია იესოზე გარდმომავალი მტრედის სახით. მტრედი ბუნებით ნაზი და მოსიყვარულე ფრინველია. ის ადვილად ფრთხება. მხოლოდ იქ მივა მოსასვენებლად, სადაც უსაფრთხოდ და მშვიდად იგრძნობს თავს. როცა მტრედი წყვილს ირჩევს, ისინი სიცოცხლის ბოლომდე ერთად რჩებიან. როგორ გეხმარებათ ეს ფაქტები, რომ უკეთესად გაუგოთ და დაუახლოვდეთ სულიწმიდას?

წაიკითხეთ: მათ.3:16-17; მარკ.1:9-11; ლუკ.3:21-22; იოან.1:32-33;

სულიწმიდა – ცეცხლის სახით. ის მოსეს ცეცხლოვან ბუჩქად გამოეცხადა, ისრაელს კი — ცეცხლის სვეტად.[1] ორმოცდამეათე დღეს, სულიწმიდა მორწმუნეებს ეჩვენა, როგორც „გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი“ (საქმ.2:3;). ის არის ცეცხლი, რომელიც იესომ მოიტანა დედამიწაზე და ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ ჩავაქროთ. იფიქრეთ ცეცხლის მახასიათებლებზე: ის წმენდს, იძლევა სინათლეს, გამოყოფს სითბოს/სიცხეს და შთანთქავს. როგორ გეხმარებათ ეს ინფორმაცია იმის გაცნობიერებაში, თუ რას ნიშნავს ღვთის სულის ცეცხლის არსებობა თქვენს ცხოვრებაში? რა ეხმარება ცეცხლის გაღვივებას და გაძლიერებას?

წაიკითხეთ: საქმე.2:3-4; ლუკ.12:49; 1 თეს.5:19-21; მათ.3:11-12; ლუკ.3:16-17; იერ.20:9; 23:29; ებრ.12:29;

სულიწმიდა – ქარის სახით. ორმოცდამეათე დღეს ის გამოჩნდა როგორც ცეცხლის, ასევე ქარის სახით. ქარს შეუძლია ნაზი სიოდან უძლიერეს ქარიშხლამდე შეიცვალოს. იფიქრეთ რას აკეთებს ქარი. როგორ შეუძლია სულიწმიდის ქარს მოიტანოს მოქმედება თქვენი ცხოვრების სხვადასხვა სეზონზე? რა შეიძლება გამოიწვიოს მან?

წაიკითხეთ: იოან.3:5-8;

სულიწმიდა – ღვინის სახით. ორმოცდამეათე დღეს მოწაფეები ლაპარაკობდნენ ენებით და იუწყებოდნენ ღვთის სასწაულებს. ეს გამოვლინება იმდენად საკვირველი გახლდათ, რომ ზოგიერთნი ამბობდნენ, ალბათ ბევრი ღვინო დალიესო, პეტრემ კი უპასუხა, რომ ეს ღვთის სული იყო. შეჩერდით და დაფიქრდით. ღვინით დათრობა ჩვეულებრივ როგორ ზემოქმედებს ადამიანის ემოციებზე? სულიწმიდის ახალი ღვინით დათრობამ, როგორ შეიძლება იმოქმედოს თქვენზე?

წაიკითხეთ: საქმე.2:13-18; ლუკ.5:37-38 (ასევე მარკ.2:22-ში და მათ.9:17-ში); ეფეს.5:18-19; ესთ.1:10; იერ.31:11-13;

„ზეცას არ ძალუძს დაიტიოს სულიწმიდა, მაგრამ ის თავის მსახურთა გულის სიღრმეში პოულობს ბინას. ჩვენ მისი ტაძარი ვართ. მისი ყოველი მოქმედება ჩვენში მადლიერებით აღსავსე განდიდებას უნდა იწვევდეს. თუ ის ჰგავს ქარს, ჩვენ უნდა ვიყოთ, როგორც ქარის ზარები; თუ ის ჰგავს მტრედს, ჩვენ ყვავილივით უნდა გავიფურჩქნოთ, თუ ის ცეცხლია, ჩვენ უნდა ვენთოთ მისით. რა გზითაც არ უნდა იმოქმედოს მან ჩვენში, ჩვენ მის ხმას უნდა გამოვეპასუხოთ“

– ჩარლს სპერჯენი[2]

მის თანდასწრებას ახლავს გამოვლინება

„სულის თანდასწრების გამოვლინება თითოეულს ეძლევა ყველას საერთო სიკეთისთვის“

– 1კორინთელთა 12:7; GW

სადაც ღვთის სულის თანდასწრებაა, იქ გამოვლინებაც არის! მდინარეებსა და ზღვებში ხმელეთი ჩნდება გასავლელად; ბრმა თვალები და დახშული ყურები იხსნება; კოჭლები სიარულს იწყებენ და მუნჯები – ლაპარაკს; შიში მარცხდება და იმედი ახლდება! სხვადასხვა ნიშნებით და სასწაულებით მოიფინება ჩვენი ცხოვრება, თუ ღვთის სულთან ურთიერთობაზე ვიქნებით ორიენტირებულნი.

კვლავ და კვლავ, საქმეების წიგნში აღწერილი შემთხვევები ადასტურებს, რომ სადაც სულიწმიდის თანდასწრება იყო იქ ადამიანებს *ესმოდათ და ხედავდნენ* სულის გამოვლინებას. გადახედეთ საკუთარ ცხოვრებას. სულიწმიდის თანდასწრების რა სახის გამოვლინება შეგიძლიათ გაიხსენოთ? ერთი ან ორი წინადადებით აღწერეთ სიტუაციები, რომელშიც სულიწმიდა გამოჩნდა და რადიკალურად შეცვალა თქვენი ცხოვრება.

მახსოვს, როცა... _____

_____

_____

მახსოვს, როცა... _____

_____

_____

მახსოვს, როცა... _____

_____

_____

ნუ იჩქარებთ. იფიქრეთ უფლის სიკეთეზე. მიეცით სულიწმიდას საშუალება გაგაძლიეროთ ახალი სიცოცხლით, გაიხსენებთ რა მის ერთგულებას!

„კიდევ ერთხელ გავიხსენებ, რაც უფალმა მოიმოქმედა, გადმოვალაგებ ძველ სასწაულებს; ჩავუკვირდები ყველა შენს ნამოქმედარს და ხანგრძლივი, სიყვარულით სავსე მზერით ვუყურებ შენს საქმეებს“

ღმერთო! წმიდაა შენი გზა! რომელი ღმერთია შენსავით დიდი! შენა ხარ ღმერთი სასწაულების მოქმედი; ყველას აჩვენე, რა შეგიძლია“

– ფსალმუნი 76:12-15; The Message

სულიწმიდა წარსულშიც დაგხმარებიათ და მას სურს ეს კვლავაც გააკეთოს! რითი გინდათ, რომ დაგეხმაროთ ის ახლა? დამშვიდდით მის წინაშე და მოიპატიჟეთ ის, რათა კვლავაც შეგეწიოთ! თხოვეთ თავისი გამოვლინებით დაგიდასტუროთ, რომ ის რეალურია და ნამდვილად ზრუნავს თქვენზე და თქვენს ირგვლივ მყოფებზე. გაჩუმდით. რას გეუბნებათ?

შეჩერდით და ლოცვა აღავლინეთ უფლის წინაშე. დაწერეთ ქება-დიდებისა და მადლიერების ლოცვა მისთვის. ის ღირსია!

აღვსება უწყვეტი განცდაა

„ნუ დათვრებით ღვინით, რადგან ეს ცხოვრებას დაგინგრევთ. ნაცვლად ამისა, აღივსენით სულიწმიდით“

– ეფესელთა 5:18; NLT

პავლეს მიერ ღვთისაგან დაწერილი ბრძანება, რომ *აღვივსოთ სულიწმიდით*, არსებითი მნიშვნელობისაა. ბერძნული სიტყვა *აღვსებისთვის* გახლავთ *pleroo* (“play-ro-o”). ის ნიშნავს „აღავსოს და გავრცელდეს ვინმეს შინაგანში“.[3] კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამ ზმნის დრო და ფორმაა: ვნებითი გვარი, ბრძანებითი კილო, აწმყო დრო. **ვნებითი გვარი** მიანიშნებს, რომ „პიროვნებაზე“, როგორც ობიექტზე *ხორციელდება მოქმედება*; **ბრძანებითი კილო** გამოკვეთს, რომ ეს არის *ბრძანება* და არა შეთავაზება; **აწმყო დროის** ასპექტი კი გულისხმობს *დაუსრულებელ (განგრძობით) მოქმედებას*.

ეფეს.5:18-ის *Amplified Bible*-ის ვერსია ამ ჭეშმარიტების მნიშვნელობას ამგვარად განმარტავს: „ნუ დათვრებით ღვინით, რადგან ეს თავაშვებულებაა; არამედ **ყოველთვის იყავით აღვსილნი** და წახალისებულნი სულიწმიდით“. სულით ავსების უწყვეტი პროცესი ყოველივე აუცილებლით გვამარაგებს, რათა ქრისტეს მსგავსად ვიცხოვროთ და მოვიტანოთ ღმერთის ნება დედამიწაზე ისევე *„ვითარცა ცათა შინა“*. მახარებელი **სმიტ ვიგლსვორსმა** თქვა:

> „ვერასოდეს შევაფასებ სრულად, თუ რას ნიშნავს ჩემთვის სულიწმიდით ნათლობა... იყო სულიწმიდით აღვსილი, ეს ფუფუნებაა, და ამავდროულად, ღვთაებრივი დავალება ჩვენთვის... ვეთანხმები, რომ მუდმივად აღვსების დროს ენებით ილაპარაკებ დილითაც, შუადღითაც და ღამითაც. იცხოვრებ რა სულში, როცა სახლის კიბეებზე დაეშვები, ეშმაკი უკან არ აგედევნება, მას შენს წინ მოუწევს გაქცევა. გამარჯვებულზე მეტი იქნები ეშმაკისთვის.
> ...როცა სულში ცხოვრობ, მოძრაობ, მოქმედებ, ჭამ, სვამ,

ყოველივეს ღვთის სადიდებლად აკეთებ. ჩვენი უწყება ყოველთვის არის „აღივსენით სულიწმიდით“. ეს პოზიცია აქვს უფალს თქვენთვის და ეს იმდენად მაღლაა ჩვეულებრივ ცხოვრებაზე, როგორც ზეცაა ამაღლებული დედამიწაზე. დაანებეთ უფალს საკუთარი თავი, რათა აგავსოთ“.[4]

პეტრე, იოანე და სხვა მოწაფეები – ყველანი ორმოცდამეათე დღეს მოინათლნენ სულიწმიდით. ნათლობიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ, ისინი კვლავ აღივსნენ სულით ლოცვის დროს. ყურადღებით წაიკითხეთ ამის შესახებ საქმეების 4:23-31-ში. რა ისწავლეთ აქედან, რაც დაგეხმარებათ იდგეთ ისეთ პოზიციაზე, როცა ყოველთვის აივსებით სულიწმიდით?

ღმერთი პავლეს მეშვეობით ამბობს: „ნუ უგულებელყოფ ნიჭს [სულიწმიდის]“, არამედ „გააღვივე ის შინაგანი ცეცხლი, რომელიც ღმერთმა მოგცა” (1 ტიმ.4:14; 2 ტიმ.1:6; Phillips). სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, იყავით შეუწყვეტლივ აღვსილნი სულიწმიდით. ყურადღებით წაიკითხეთ ეფეს.5:18-19; 6:18; და იუდ.20. ამ მუხლების დახმარებით რას გიჩვენებთ სული თქვენში მისი ცეცხლის მუდმივად გაღვივების თაობაზე?

„ამრიგად, ეს არის, რაც მსურს, რომ გააკეთოთ, ღვთის წყალობით: აიღეთ თქვენი ყოველდღიური, ჩვეული ცხოვრება — თქვენი ძილი, ჭამა, შრომა, ცხოვრების წრეზე სიარული — და დადეთ ის ღვთის წინაშე, როგორც მსხვერპლი. მიიღეთ, რომ ის, რასაც ღმერთი აკეთებს თქვენთვის, საუკეთესოა, რისი გაკეთებაც თქვენ შეგიძლიათ მისთვის. ნუ გათანაბრდებით თქვენს გარემოსთან იმდენად კარგად, რომ არც კი დაფიქრდეთ, ისე მოერგოთ მას. არამედ თქვენი ყურადღება ღმერთზე შეაჩერეთ. და მაშინ, თქვენ შეიცვლებით შიგნიდან გარეთ “.

– რომაელთა 12:1-2; The Message

მან ნიჭები მიზნისთვის გიბოძათ

„თითოეულ ადამიანს რაღაც მიენიჭა საკეთებლად, რათა აჩვენოს როგორია ღმერთი: ამაში ყველა ჩაბმულია და ყველას სასიკეთოდაა“

– 1 კორინთელთა 12:7;

სულიწმიდამ თითოეულს გვიბოძა ნიჭები იესოს მიერ დაწყებული საქმის გასაგრძელებლად. თუმცა ნიჭები სხვადასხვაგვარია: „ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც ანაწილებს ყველა ამ ნიჭს. ის ერთადერთი წყვეტს, რომელ ნიჭში უნდა მოქმედებდეს ესა თუ ის პიროვნება“ (1 კორ.12:11; NLT).

ეს ნიჭები დღევანდელი დღისთვისაც არის განკუთვნილი? ჩვენც უნდა ვაკეთოთ საქმენი, რომელთაც იესო აკეთებდა? რა თქმა უნდა! მახარობელი **რეინჰარდ ბონკე**, რომლის თვალწინ მთელი აფრიკის კონტინენტის მასშტაბით მილიონები მოვიდნენ ქრისტესთან, აცხადებს:

> „მტკიცედ მჯერა, რომ ღმერთი თავისი ხალხისთვის სასწაულების მოქმედი ღმერთია. მჯერა, რომ ნიშნები, რომელიც თან სდევდა იესოს, ამ დედამიწაზე სიარულის დროს, შესაძლებელია — და დღეს ჩვენს ცხოვრებაშიც უნდა იყოს. იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: *„ის, ვისაც ვწამვარ მე, საქმეებს, რომელსაც მე ვაკეთებ, ისიც გააკეთებს; და ამაზე დიდ საქმეებსაც გააკეთებს; რადგან მე მივდივარ მამასთან“.*[5]

დაკვირვებით წაიკითხეთ **რომაელთა 12:3-8** და ჩამოთვალეთ დასახელებული ნიჭები. როგორ აღწერდით მათ (მათი მიზანი და ფუნქცია)?

_____

_____

_____

ახლა წაიკითხეთ **1 კორინთელთა 12:4-11** და ამოწერეთ 9 ნიჭი. ზოგადად, როგორ აღწერდით მათ (მათი მიზანი და ფუნქცია)?

_____

_____

_____

გადახედეთ ორივე ამონარიდში დასახელებულ ნიჭებს. მოქმედებს თქვენში რომელიმე მათგანი? თუ არის, რომელი (რომლები)?

_____

_____

_____

დარწმუნებული არ ხართ? არსებული ნიჭებიდან რომელი გიზიდავთ ან აღგაფრთოვანებთ? თხოვეთ სულიწმიდას დაგანახოთ, რა ნიჭებით დაგაჯილდოვათ მან.

თქვენი დამოკიდებულება სხვების მიმართ მნიშვნელოვანია ნიჭებთან მიმართებაში, რომლითაც სულიწმიდამ დაგაჯილდოვათ. ღმერთი ამბობს: „დაე თავად ქრისტე იყოს მაგალითი თქვენთვის, თუ როგორი უნდა იყოს თქვენი დამოკიდებულებანი“(ფილ.2:5; Phillips). რეინჰარდი შემდეგი სიტყვებით ადასტურებს ამას:

> „ღვთის საქმის წარმატება არ არის დამოკიდებული რომელიმე ჩვენგანზე... ეს ყოველივე მასზე დამოკიდებულების შედეგად მოდის სისრულეში. ...მე არარაობა ვარ, მაგრამ ღმერთს შეუძლია გამომიყენოს მხოლოდ იმის გამო, რომ ყველა არსებულ ხმაზე მეტად, მე მის ხმას ვაფასებ. ...არასდროს უნდა ვხედავდე საკუთარ თავს, როგორც სხვა ღვთის მსახურზე აღმატებულს“.[6]

ყურადღებით წაიკითხეთ, 1 კორ. 12:12-26; და რომ; 12:3-5. რას გაჩვენებთ სულიწმიდა თქვენს დამოკიდებულებებთან დაკავშირებით? რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ნიჭი — თქვენი ჩათვლით? რა ხდება ქრისტეს სხეულში, როცა უარს ამბობთ თქვენი ნიჭით მოქმედებაზე?

საფუძვლიანი შესწავლისთვის...

სწორი დამოკიდებულება: ფილ.2:1-8; 2კორ.8:9; მათ.23:11-12;
სული სხვადასხვა მსახურებაში აყენებს მორწმუნეებს მიზნისთვის: 1 კორ.12:28-31; ეფეს.4:11-14;

დაე, ილოცოს მან თქვენგან ღვთის სრულყოფილი ნება

„ღვთის სული ჩვენთან ერთადაა და გვეხმარება. თუ არ ვიცით როგორ ვილოცოთ ან რა ვილოცოთ, ის ილოცებს ჩვენს ლოცვას ჩვენში და ჩვენთვის. სულიწმიდა ჩვენს გამოუთქმელ ოხვრასა და ტკივილს ლოცვად გადააქცევს.

– რომაელთა 8:26; The Message

ყოფილხართ გარემოებებისგან იმდენად განადგურებული და მოტეხილი, რომ აღარც კი გცოდნიათ, რა გელოცათ? თქვენ მარტო არ ხართ. უამრავ წმიდანს გამოუცდია ეს. ასეთ მომენტებში, ღმერთს სურს, რომ გაქცევის ნაცვლად მასთან მიირბინოთ; დადუმების ნაცვლად, მასთან გაიხსნათ. როცა არ იცით, რა თქვათ ან როგორ ილოცოთ, ქრისტეს სულმა, რომელიც თქვენში მკვიდრობს, იცის ეს.

უაღრესად მნიშვნელოვანია, გულში იცოდეთ და არა მხოლოდ გონებით, რომ ღვთის სული თქვენში ცხოვრობს. გამოყავით დრო და დაფიქრდით ქვემომოყვანილ მუხლებზე. რა ჭეშმარიტებებს გიცხადებთ სულიწმიდა?

ჩაუფიქრდით: გალ.4:6; რომ.8:16; 1 კორ.6:19; იოან.14:23; 1 იოან.3:24; 4:12-13. თხოვეთ სულს რეალური გახდეს თქვენთვის.

ღმერთს სურს, რომ „ვილოცოთ სულით ყოველჟამს და ყოველ ვითარებაში“ (ეფეს.6:18; NLT). **ვოჩმან ნიმ**, ძვირფასმა მსახურმა, რომელმაც გაუძლო უამრავ ფიზიკურ სიძნელეს და პატიმრობის წლებს, თქვა:

„მადლობა უფალს, რომ გვყავს ყოვლისშემძლე სულიწმიდა, რათა დაგვეხმაროს. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ჩვენში მყოფ ღვთის სულს, რომელიც თავისი ძლიერებით მოქმედებს ჩვენში, რადგან ის არის შველა ჩვენი, როცა

> უძლურები ვართ. თუმცა არ ვიცით, როგორ ვილოცოთ, ჩვენში მყოფი სულიწმიდა, რომელმაც უწყის ღვთის ნება, გვასწავლის ღვთის განზრახვის შესაბამისად ლოცვას".[7]

შეჩერდით და დაფიქრდით. რამდენად ხშირად იცით ნამდვილად როგორ ილოცოთ საკუთარი თავისთვის, სხვებისთვის ან თქვენს გარშემო არსებული სიტუაციებისთვის? როგორი უნდა იყოს ღმერთისადმი ჩვენი მიდგომა და დამოკიდებულება ყოველ ლოცვაში, რომელსაც ვლოცულობთ?

წაიკითხეთ იგავები 3:5-8; 28:26; ლუკ.18:9-14; იაკ.4:6-10;

გსურთ, ღვთის სრულყოფილ ნებაში სიარული? სულიწმიდა დაგეხმარებათ შეძლოთ ეს თქვენი მეშვეობით გამოთავისუფლებული ვედრებით, ოხვრითა და ზეციურ ენებზე ლოცვით. „და მამა, რომელმაც იცის ყველას გული, უწყის რას ამბობს სული, რადგან სული ჩვენთვის, მორწმუნეთათვის თხოვს, თვით ღვთის ნებასთან ჰარმონიაში" (რომ.8:27; NLT). დაკვირვებით წაიკითხეთ ეს ამონარიდი. რას გეუბნებათ სული აქედან?

> „ვინაიდან, თუ ენებით ლოცულობ, შენი ლაპარაკი მხოლოდ უფალს ესმის... სულიწმიდის ძალით ილაპარაკებ, მაგრამ ეს ყოველივე საიდუმლოება იქნება. ადამიანი, რომელიც ენებით ლაპარაკობს, პირადად ძლიერდება... როცა ენებით ვლოცულობ, ჩემი სული ლოცულობს, მაგრამ მე თავად არ მესმის რას ვამბობ. მაშ, რა გავაკეთო? ვილოცებ სულით და ვილოცებ სიტყვებით, რომელიც მესმის. ვიგალობებ სულით და ვიგალობებ სიტყვებით, რომელიც ვიცი"
>
> -1 კორინთელთა 14:2, 4, 14-15; NLT

„როცა სულიწმიდას გადასცემ საკუთარ თავს, ის შენ და შენს საჭიროებებს მამის ტახტის წინაშე წარადგენს. სულიწმიდამ იცის ღვთის სრულყოფილი გონება და მისი სრულყოფილი ნება. ის, რომელიც იკვლევს შენს გულს და იმაზე უკეთ გიცნობს, ვიდრე თავად შენ იცნობ საკუთარ თავს, შენს საჭიროებას ღმერთის ტახტის წინაშე მიიტანს. შეუძლებელია მარცხი განიცადო, როდესაც სულიწმიდა შენი მეშვეობით ლოცულობს"

-კეტრინ კულმანი[8]

სადისკუსიო საკითხები

1 | მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ სხვადასხვა რამ არის, როცა სულიწმიდა მოდის, რათა ბინა დაიდოს ჩვენში ხსნის მიღების დროს და როცა სულიწმიდით ვივსებით. როგორ აღწერდით ამ ორ სრულიად განსხვავებულ განცდას?

2 | თქვენი აზრით, რატომ უბრძანა იესომ მოწაფეებს დალოდებოდნენ სულიწმიდით აღვსებას, ვიდრე რაიმეს გააკეთებდნენ მისი სამეფოსთვის (იხ. საქმე.1:4-5;)? რა შეიძლება ვისწავლოთ „მაღლიდან ძალის მიღების დალოდების“ პრინციპიდან და როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს ჩვენს ცხოვრებაში?

3 | სულიწმიდით აღვსება გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ სხვა ენებით, რომელიც უცნობია ჩვენი გონებისთვის. წარმოიდგინეთ, ორმოცდამეათე დღეა და თქვენ ხართ ერთი მოშურნე იუდეველი იერუსალიმში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული. როგორ ფიქრობთ, რა რეაქცია გექნებოდათ, როცა მოისმენდით, რომ მორწმუნეები თქვენს მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ ქრისტესმიერი ხსნის შესახებ?

4 | სულიწმიდით აღვსების დროს, რომელი ორი დინამიკა იკვეთება თითქმის ყველა შემთხვევაში? სავარაუდოდ, რა მიზეზით მოიტანა ღმერთმა *ერთდროულად* ხსნა და სულიწმიდით აღვსება კორნელიოსის და მისი ოჯახისთვის? გაუზიარეთ დანარჩენებს შემთხვევა, როცა ღმერთმა გამოამტვრია ის „რელიგიური ყუთი“, რომელშიც თქვენ მოათავსეთ ის და გააფართოვა თქვენი შემეცნება, რათა უწყოდეთ ვინ არის ის;

5 | თუ ვეთანხმებით, რომ ენებით წინასწარმეტყველება და ლაპარაკი დღევანდელი მორწმუნეებისთვისაც არის, მაშინ რას გულისხმობდა პავლე, როცა დაწერა, რომ *„ყველანი არ ლაპარაკობენ ენებით“* (იხ. 1 კორ.12:27-30;) და რომ, *ენები შეწყდება*(იხ. 1 კორ.13:8-12;)? ყურადღებით წაიკითხეთ ეს მუხლები და განმარტეთ;

6 | ბიბლია ოთხი სახის ენაზე ლაპარაკობს. წაიკითხეთ წარმოდგენილი მუხლები და დაასახელეთ ენის ოთხი კატეგორია. თან განმარტეთ, რატომ მისცა ღმერთმა თავის ეკლესიას სულიწმიდის ეს განსხვავებული გამოვლინებანი:

1 კორ. 14:22;
1 კორ. 12:10;
1 კორ. 14:14-15;
რომ. 8:26-28;

რატომ არის მნიშვნელოვანი გვესმოდეს განსხვავება ენათა ამ სახეობებს შორის?

7 | შესაძლებელია მორწმუნე აღივსოს სულიწმიდით და არ ლაპარაკობდეს ენებით? რატომ არის ან არ არის შესაძლებელი? ძირითადად რა მიზეზების გამო ხდება ეს?

შენიშვნები

მეოთხე თავის შეჯამება:

- სულიწმიდის ძალით შემოსვა უაღრესად მნიშვნელოვანია სასუფევლის ყოველი საქმისთვის;
- სულიწმიდით აღვსება ცალკე განცდაა და ის ხსნის მიღების შემდგომი მოვლენაა;
- ხსნის მეშვეობით ჩვენ ვმკვიდრდებით ქრისტეში; ხოლო სულით აღვსება გვმოსავს ძალით, რათა მის მსგავსად ვიცხოვროთ;
- ენები არ შემწყდარა; ისინი იქამდე იქნება, ვიდრე პირისპირ არ ვიხილავთ იესოს;
- არსებობს ოთხი სახის ენა: ენები, როგორც ნიშანი ურწმუნოთათვის, განსამარტი ენები, ენები პარადი ლოცვისთვის და ენები შუამდგომლობისთვის. პირველი ორი ენა საჯარო გამოყენებისთვის არის განკუთვნილი, ხოლო დანარჩენი ორი - პირადი გამოყენებისთვის.

5

სულის ენა

„თუ ენების ნიჭის პირადული ენით ადიდებ მას, ღმერთს ესმის შენი... რადგან საიდუმლოებებს უზიარებ, რომელიც მხოლოდ შენსა და ღმერთს შორისაა“

– 1 კორინთელთა 14:2; The Message

დღე 1

ამ ომწონს როგორ აღწერს ბიბლიის ეს თარგმანი ღმერთთან ამ პირად შეხვედრას. უცხო *ენები წარმოადგენს* ძლიერი ურთიერთქმედების გამოხატულებას, რომელიც მხოლოდ თქვენსა და ღმერთს შორის მიმდინარეობს.

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ ახალ აღთქმაში ნახსენები ოთხი სახეობის ენა: ენები, როგორც ნიშანი ურწმუნოთათვის განსამარტი ენები, რომელიც ეკლესიისთვის არის ენები პირადი ლოცვებისთვის და შუამდგომლობითი ენები. ენების პირველი ორი სახეობა განკუთვნილია საჯარო მსახურებისთვის (ორ ან მეტ ადამიანს შორის), მაშინ როცა ბოლო ორი, პირადულია. ამ თავში განვაგრძობთ, ღმერთის სულთან ჩვენი *პირადი* ურთიერთქმედების ფუნქციისა და ბუნების შესწავლას, რომელიც მოიცავს, როგორც ენებით ლაპარაკს, ასევე გონებით ლოცვას. ერთად ეს გამოვლინებები *სულის ენას* წარმოადგენენ.

კვლავ ვიმეორებ, თუმცა ამ ენებს ვუწოდებ „პირადს“, მე არ ვგულისხმობ, რომ ადამიანმა ისინი მხოლოდ განმარტოებით ყოფნის დროს უნდა გამოიყენოს. მაგრამ ზეციური ენების პირადული გამოხატულებანი იმ ადამიანთა მიმართ სიფრთხილით უნდა იქნას გამოვლენილი, ვისაც ბიბლია „უმეცარს“ ან „ურწმუნოს“ უწოდებს. პირადული ენებით ლოცვა შეიძლება მაშინ, როცა პიროვნება იმყოფება განცალკევებით ან იმ მორწმუნეთა გარემოცვაში, ვისთვისაც სულიწმიდის ამ სახის გამოვლინება ცნობილია. ეს დაახლოებით ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მე ჩემს ოჯახის წევრებთან მქონდა გარკვეული პირადი საუბარი, მაგრამ არა ახალ გაცნობილ ადამიანთა თანდასწრებით, რადგან უცხო ვერ შეძლებდა გაეგო რას ველაპარაკებოდი მე ჩემს ოჯახს (დამატებით იხ. 1 კორ.14:22-25;).

დააკვირდით, რომ 1 კორ. 14:2-ში, პავლე პირადი ლოცვისთვის განკუთვნილი ენების გამოყენებაზე საუბრობს. სამწუხაროდ, მრავალმა ეკლესიამ არასწორად გაიგო ან სრულიად უარყო პირადი ენების ეს გასაოცარი ნიჭი, რადგან ვერ გააცნობიერა, რომ პირადული საუბარი და სიახლოვე შესაფერის *დროს* და *ადგილს* საჭიროებს.

იმისათვის, რომ წყვილი დატკბეს ფიზიკური სიახლოვით, არსებობს გარკვეული დრო და ადგილი. არის ეს დრო მათ ქორწინებამდე? არა. არის ამის ადგილი საჯაროდ? რა თქმა უნდა, არა. ის, რაც მშვენიერი და ღვთისგან დადგენილია ერთ გარემოებაში, შესაძლოა შეუფერებელი და უმართებულო იყოს მეორეში. ღმერთმა დაადგინა, რომ სქესობრივ სიახლოვეს ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ განმარტოებით და საქორწინო ფიცის გაცვლის შემდეგ. მსგავსად ამისა, ზგიერთი სახის ენები მხოლოდ განმარტოებით უნდა გამოვლინდეს, რადგან ისინი სიახლოვისთვისაა გამიზნული. სულიერი სიახლოვის გამოხატულება, ფიზიკური სიახლოვის მსგავსად, განსაზღვრული დროით და ადგილით შემოიფარგლება. განა ქრისტიანმა თავი უნდა შეიკავოს მეუღლესთან სქესობრივი ურთიერთობისგან იმის გამო, რომ კაცობრიობამ ამ ურთიერთობისთვის ღვთისგან დადგენილი თავდაპირველი განზრახვა და მიზანი წარყვნა? რა თქმა უნდა, არა! იგივენაირად, არ უნდა უარვყოთ ან შევიძულოთ ენების ნიჭი.

ვიცი, ბევრს უნახავს ეკლესიაში ენების ნიჭის არასწორად ან უფრო მეტიც, ცუდად გამოყენების ასპექტები. მაგრამ, ჩვენ არ უნდა შევწყვიტოთ ქრისტეს სხეულისთვის ენების ნიჭის შესახებ განათლების მიცემა მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაცამ არასწორად გაიგო ან გამოიყენა ის. ამ მიზეზით, მსურს მოცემულ თავში გამოვიკვლიოთ ზეციური ენების ინტიმური ბუნება, რათა დაგეხმაროთ უკეთესად გააცნობიეროთ მისი მიზანი და მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში.

გახსოვდეთ, სულიწმიდა ჭეშმარიტების სულია. თუ ესწრაფვით ღვთის სიტყვის სიბრძნეს, სულიწმიდა გაგიცხადებთ *მთელს* ჭეშმარიტებას. შეჩერდით და მოიწვიეთ ის ახლა, ამ სწავლის დროს. თხოვეთ მას, მოგაშოროთ გონებიდან ყოველგვარი წინასწარ აკვიატებული შეხედულებები და ცრუ რწმენები, რომელიც მის სიტყვას არ ეთანხმება. ვერასოდეს განიცდით ღვთის სისავსეს, თუ თქვენს შემოსაზღვრულ აზროვნებას უფლებას მისცემთ განსაზღვროს და შეზღუდოს მისი უსაზღვრო დიდებულება.

პრეზიდენტი და მეფე

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქისთვის, ჩემთვის დიდი პატივი იქნება ჩვენს პრეზიდენტთან ერთად სადილზე მოსაწვევის მიღება. ჩვენი პრეზიდენტი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ძლიერი ფიგურაა დედამიწის ზურგზე. თუ გავითვალისწინებთ მის სამსახურში მყოფ უამრავ აგენტთა რიცხვს, ძალიან ცოტა რამ არის, რის შესახებაც შეიძლება მას არ გააჩნდეს ინფორმაცია. პრეზიდენტის ცოდნა ჩვენი სახელმწიფოს საქმეთა ვითარების შესახებ, გაცილებით აღემატება ჩემსას; ის მთავარსარდალია, მე კი მხოლოდ რიგითი მოქალაქე. ამიტომ, თუ განვიხილავდით ჩვენი ერის საქმეებს, პრეზიდენტს მოუწევდა ჩემი ცოდნის შესაბამის დონეზე საუბარი. თუ არა, მაშინ მე ვერ შევძლებდი საუბარში აყოლას, რადგან წარმატებული კომუნიკაცია საერთო საწყისს მოითხოვს.

მსგავსად, როდესაც ურთიერთობა მაქვს სამყაროს მეფესთან, ჩემთვის შეუძლებელია მის დონეზე კომუნიკაცია. აშშ-ს პრეზიდენტმა შესაძლოა ბევრი რამ იცის ჩვენი ქვეყნის საქმეებისა და არსებული ვითარების შესახებ, მაგრამ ღმერთმა ყველაფერი იცის. არაფერია მისგან დაფარული. როცა ღმერთის წინაშე ჩემი საკუთარი გაგებით ვლოცულობ, მე შეზღუდული ვარ ჩემს ხედვასა და ცოდნაში. თავის შვილებთან ასეთი შეზღუდული დონის სიახლოვე, ღმერთისთვის არადამაკმაყოფილებელი იყო. ამიტომ, მან შესაძლებელი გახადა ჩვენთვის, რომ მასთან ურთიერთობა *მისსავე დონეზე* გვქონოდა. მან ეს თავისი სულის ნიჭის მეშვეობით გააკეთა. თითქოს ღმერთმა თქვა: „არ მსურს საკუთარ შვილებთან კომუნიკაცია მხოლოდ იმ დონეზე, რომელიც გაცილებით დაბალია, ვიდრე ჩემი ცოდნა, გაგება და სიბრძნე. მინდა, რომ მათ ჩემთან სიღრმისეულ ურთიერთობაში შემოსვლის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამიტომ მოვუვლენ ჩემს შვილებს დამხმარეს: ჩემს სულს“. სულიწმიდის თანდასწრება და მასთან ურთიერთობა შესაძლებელს ხდის ჩვენთვის განვიცადოთ ღრმა ინტიმური ურთიერთობა შემოქმედთან.

ღმერთის ნება და გზები ჩვენი შეზღუდული აღქმის უნარს ბევრად აჭარბებს — მაგრამ როცა სულით ვლოცულობთ, ჩვენ უკვე აღარ ვლოცულობთ საკუთარი ცოდნის შესაბამისად. არამედ, ვლოცულობთ მისი სულის ნების თანახმად. ხვდებით? როცა სულით ვლოცულობთ, *ჩვენ ღმერთის სრულყოფილი ნების მიხედვით ვლოცულობთ!*

ენა ბრძოლისთვის

„რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულიერი ძალების წინააღმდეგ“ (ეფეს. 6:12; ESV)

ზოგჯერ იოლია დავივიწყოთ, რომ სატანამ საყოველთაო ომი გამოუცხადა კაცობრიობას. მისი სტრატეგიაა გამოგვთიშოს ჩვენს შემოქმედს, მას, რომელიც არის სიცოცხლის ერთადერთი წყარო. მაგრამ ღმერთისთვის ცნობილია მტრის ხრიკები. თავისი განუზომელი სიბრძნით, ღმერთმა სატანის გეგმების ჩასაშლელად ფარული სტრატეგია შეიმუშავა. პავლე ამას აღწერს 1 კორ. 2:7-8-ში: „სიბრძნე, რომელსაც ვლაპარაკობთ ღვთის *საიდუმლოა* — მისი გეგმა, რომელიც მანამდე დაფარულ იყო, თუმცა წინასწარ განსაზღვრა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისთვის. მაგრამ სოფლის მთავართაგან ვერავინ შეიცნო ეს; რადგან რომ შეეცნოთ, ჯვარს არ აცვამდნენ დიდების უფალს“ (NLT). პავლე ჯვრის ძალას აღწერს, როგორც საიდუმლოს, რომელიც „მანამდე დაფარული იყო“, მაგრამ იესოს ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ გაცხადდა. იესოს მიერ ჯვარზე მოტანილმა მსხვერპლმა, შესაძლებელი გახადა ჩვენთვის ღმერთთან ახლო ურთიერთობაში შესვლა, რაც ჩვენი მტრის უძველესი გეგმების ჩაშლას განაპირობებს.

ღვთის გეგმა ჯვრის თაობაზე, არ წარმოადგენდა ერთადერთ საიდუმლოს, რომელიც დაფარული იყო სოფლის მთავართაგან. არსებობს ღვთის სიბრძნის (მისი სიტყვის) მრავალი ასპექტი, რომელიც დაფარულია და მისი გაგება და წვდომა მხოლოდ სულიწმიდის მეშვეობითაა შესაძლებელი. როგორც მორწმუნეები, ჩვენ დაგვიშვეს ამ საიდუმლოებებთან სულიწმიდასთან თანაზიარების მეშვეობით. უკვე ვახსენე, რომ ღმერთს არ აკმაყოფილებდა ჩვენი მხოლოდ „გადარჩენა“. მან ასევე გვიბოძა პოზიცია *ქრისტეში* და მოგვანიჭა იმ მტერზე ძალაუფლება, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ტანჯავდა ჩვენს სულებს. ახლა ჩვენ ღმერთის სამეფოს მემკვიდრენი და მეომრები ვართ და ჩვენი მიზანი ქრისტეს საქმის გაგრძელებაა. თავისი სიბრძნით ღმერთმა შექმნა საშუალება, რათა ფარულად მოგვაწოდოს თავისი სრულყოფილი ნება – ჩვენ, რომელნიც მისი საქმისთვის ვიბრძვით.

სამხედროებს მთელი რიგი „ენები“ აქვთ შემუშავებული, რათა ომის დროს გეგმებისა და ინფორმაციის ფარული მიწოდება მოახდინონ. ხშირად ისინი ქმნიან რთულ კოდებს და დაცულ სიხშირეებზე ამყარებენ კავშირს. რატომ აკეთებენ ამას? ადამიანთა სიცოცხლის უსაფრთხოებისა და ოპერაციის წარმატებისათვის გასაიდუმლოება სავალდებულოა. თუ მტერი შეიტყობს მათ გეგმებს, მას კონტრიერიშის დაგეგმვა შეუძლია. წარმოვადგენთ რა ღვთის შვილებს, სულიწმიდის მეშვეობით დაგვიშვეს ზეცის საიდუმლო სიხშირესთან, რაც საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ ღვთის სტრატეგიის საიდუმლოებანი ისე, რომ არ მოხდეს ჩვენი მეთაურის გეგმების მტრისთვის გამჟღავნება. პავლე განაგრძობს:

> „ილოცეთ სულით ყოველ ჟამს და ყოველ ვითარებაში. მუდამ იფხიზლეთ ამაზე ყოველგვარი სიმედგრით და ლოცვით ყველა წმიდისათვის“ (ეფეს.6:18; NLT)

არსებობს მიზეზი, რის გამოც გვიბრძანა ღმერთმა ლოცვა. როგორც მისი მეომრები დედამიწაზე, ახლა ჩვენ გვმართებს შევებრძოლოთ სიბნელის ძალებს. ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღი, რომელიც გაგვაჩნია, სულით ლოცვაა. ამ დროს მტრისთვის უცნობი რჩება ღვთის მიზნები და გეგმები.

მაგალითად, ზოგჯერ ღმერთი აღძრავს დედის გულს, რომ დაიწყოს შვილისთვის შუამდგომლობა. დედას შესაძლოა წარმოდგენაც არ ჰქონდეს რა ხდება ამ დროს შვილის ცხოვრებაში, მაგრამ სულის დაჟინებით მან იცის, რომ უნდა ილოცოს. როცა იწყებს ზეციურ ენებზე შუამდგომლობას, ის ფაქტობრივად ბრძანებებს გასცემს სულიერ ბრძოლაში და თავის შვილზე ღმერთის სრულყოფილ ნებას ლოცულობს, რომელიც მტრისგან დაფარული რჩება და ამიტომ არ ძალუძს ხელი შეუშალოს მის აღსრულებას. ამის გამო გვითხრეს: „გონიერებით წარმართე ომი“ (იგავ.20:18;).

ჩვენი ზეციური ენა სცილდება ჩვენი გაგების საზღვრებს და არ არის შეზღუდული დროითა და სივრცით. როცა სულით ვლოცულობთ, ჩვენ აღარ ვეყრდნობით საკუთარ გონებას, არამედ ვენდობით მის უსაზღვრო სიბრძნეს. ეს წარმოადგენს მრავალთაგან იმ ერთ-ერთ მიზეზს, რის გამოც თქვა პავლემ, რომ „მსურს ყველანი ლოცულობდეთ ენებით“.

მტერს არ შეუძლია გაშიფროს ჩვენი ზეციური ენა, რადგან ეს არის საიდუმლო ენა ღმერთსა და მის შვილებს შორის; ამიტომ ის ძალზედ ეფექტურია ჩვენს წინააღმდეგ განზრახული მტრის სქემების ჩასაშლელად.

„აჰა, გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას...მტრის ყოველგვარ ძალაზე“ (ლუკ.10:19;)

მორწმუნენი სრულად ვართ აღჭურვილნი იმისათვის, რომ ღვთის სასუფეველი გავავრცელოთ (იხ. მათ.11:12;). ეკლესია არის ქრისტეს სხეული დედამიწაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იესო ფიზიკურად აქ არ იმყოფება. ჩვენ ვართ ღვთის სამეფოს წარმომადგენლები და მეომრები — ჩვენ უნდა მივუტანოთ მისი გარდამქმნელი ძალა მათ, რომელთაც სჭირდებათ განახლება, გათავისუფლება და დახსნა. მაგრამ ჩვენ ვერასდროს შევძლებთ ვიყოთ ქრისტეს სხეული დაღუპული ქვეყნიერებისთვის, მისი სულის ძალით შემოსვის გარეშე. სატანას და მის კოჰორტებს თქვენი არ ეშინიათ, მაგრამ მათ ეშინიათ მისი, ვინც ხარ ქრისტეში და იმ ძალის, რომელსაც ფლობთ, როგორც უზენაესის ძე და ასული.

დღე 2

ენა სიახლოვისთვის

ჩემი მეუღლე და მე უკვე საკმარისად დიდხანს ვართ ერთად იმისათვის, რომ ჩვენი საკუთარი პატარა ენა შეგვემუშავებინა. ვიტყვი კონკრეტულ სიტყვას და ჩემმა მეუღლემ იცის რა ვიგულისხმე ამაში. სხვამ, რომ მოგვისმინოს გაუკვირდება, რას ვლაპარაკობთ. შესაძლოა მისთვის სულელურადაც ჟღერდეს ეს სიტყვები, მაგრამ ეს არის ინტიმური ენა, რომელიც მხოლოდ მე და ლიზას გვესმის. ერთმანეთს შორის ინტიმური კომუნიკაციისთვის დროთა განმავლობაში ჩვენ უკვე მრავალი მეთოდი შევიმუშავეთ.

ანალოგიურად, ზეციურ ენაზე ლოცვა ღმერთთან ინტიმური კომუნიკაციის საშუალებას გვაძლევს. ვინმემ შესაძლოა თქვას: *„კი მაგრამ ჯონ, მე ხომ არ მესმის რას ვლოცულობ. თვით ბიბლიაც არ ამბობს, რომ თუ ენებით ვლოცულობ, ჩემი სული ლოცულობს, ჩემი გონება კი უნაყოფოა (1 კორ.14:14;)?* დიახ, ეს სიმართლეა. მაგრამ ამის გამო მანამდე წერია: „ილოცოს ენით მოლაპარაკემ, რათა განმარტოს კიდეც“ (მუხ. 13;). როცა ენებით ვლოცულობ მე ვთხოვ უფალს, რომ მომცეს ჩემი ლოცვების განმარტება. იცით რა ხდება? ჩემი სულიდან ამოტივტივდება აზრები, სიბრძნე და გამოცხადება, როგორც ზღვის ზედაპირზე ამოცვივდება მისი სიღრმეებიდან გამოთავისუფლებული ჰაერის ბუშტები. ისინი ჩემი შინაგანი კაცის სიღრმიდან თავისუფლდებიან და ჩემი გონების ზედაპირზე ამოტივტივდებიან.

მოდით, განვიხილოთ მაგალითი. წმიდა წერილის კითხვისას, როცა ჩემთვის გაუგებარია რომელიმე ადგილი, მე ვამბობ: „სულიწმიდა მასწავლე“. შემდეგ ენებით ლოცვას ვიწყებ. შეიძლება გამოცხადება მომენტალურად არ მოვიდეს; უმეტეს შემთხვევაში ის მოგვიანებით მოდის, როცა მარტო მივდივარ მანქანით, შხაპს ვიღებ, ვისვენებ ან გოლფს ვთამაშობ. მოულოდნელად, ნათდება! მიღებული გამოცხადებები სულიწმიდასთან სიახლოვის შედეგია — მე ვითხოვე მისი დახმარება. ღმერთი თავის საიდუმლოებებს თავმდაბალთ უცხადებს; თუ დავიმდაბლებთ თავს (ვითხოვთ სულის მართველობას), განვიცდით მასთან ღრმა სიახლოვეს და დიდ სულიერ გამოცხადებებს მივიღებთ.

ანალოგიურადაა სულიერ ძალასთან მიმართებაშიც. პავლემ დაწერა ეს სიტყვები, რომელიც უშუალოდ უფლის სულის მიერ გაუცხადდა:

> „გეყოფა ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა [მადლი]. ამიტომ უფრო ხალისით დავიკვეხნი ჩემი უძლურებებით, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში“ (2 კორ.12:9;)

ღვთის მადლი, რომელიც მისი ძალაა, ასევე ენიჭებათ თავმდაბლებს (რაზეც მიუთითებს პავლე, როცა თავის „უძლურებებს“ აღიარებს). ღვთის ძალა უხვად დამკვიდრდება თქვენში, თუ დაიმდაბლებთ თავს და მისი სულის განუზომელ სიბრძნეს მიჰყვებით. და რა თქმა უნდა, ესეც სულიწმიდასთან სიახლოვის ნაყოფს წარმოადგენს.

დასავლური საზოგადოება გახლავთ მიზანზე ორიენტირებული. ხშირად, როცა მალევე ვერ ვხედავთ საკუთარი შრომისა და ინვესტიციების შედეგს, ჩვენ ვკარგავთ სიმტკიცეს. აუცილებელია გვესმოდეს, რომ როცა სულით ვლოცულობთ, ჩვენ მომავალში ვახდენთ დაბანდებას. ზოგჯერ დროა საჭირო, სანამ გამოცხადება ჩვენი გონების ზედაპირზე ამოტივტივდება. სულით ლოცვა რწმენას მოითხოვს, რადგან ის იქ იწყება, სადაც ჩვენი ბუნებრივი გაგება წყდება. ის გვიმატებს რწმენას და ზრდის ჩვენს უნარს ჩავწვდეთ ღვთის სიბრძნეს.

გონებით ლოცვა

მოცემული თავი სულით ლოცვაზეა ფოკუსირებული; მაგრამ, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა გონებით ლოცვა. პავლემ გარკვევით განაცხადა, რომ ჩვენ გონებითაც უნდა ვილოცოთ და სულითაც.

„ვილოცებ სულით და გონებითაც ვილოცებ. ვიგალობებ სულით და გონებითაც ვიგალობებ“ (1 კორ.14:15;)

როცა გონებით ვლოცულობ, გონება განისწავლება. გონებით ლოცვა დიდ ემოციებს და გრძნობებს იწვევს. ის მაკავშირებს მასთან, ვისთვისაც ვლოცულობ: ლიზა, ჩემი შვილები, მეგობრები, თანამშრომლები და ა.შ. ანალოგიურად, როცა გონებით ლოცვას ვიწყებ, რათა ჩემი ზეციერი მამის დიდებულება განვაცხადო, მადლიერების გრძნობით ვიმსჭვალები.

ზოგჯერ, ვლოცულობ გონებით, მაგრამ სულის მართველობას მივყვები. ეს ფაქტობრივად, სულით ლოცვის კიდევ ერთი ფორმაა. ყველაზე ხშირად კი, ჯერ ვლოცულობ სულით, შემდეგ ღმერთი მაძლევს გაგებას, რაზე ვილოცე. განმარტების სიტყვები მდინარის მსგავსად მოედინება ბაგეებიდან.

როცა ვწერ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სულით ლოცვა, ამით მე არ ვამცირებ გონებით ლოცვის აუცილებლობას. პირიქით, ვცდილობ გადმოგცეთ, რომ ჯანსაღი ლოცვითი ცხოვრება გულისხმობს, როგორც სულით, ასე გონებით ლოცვას. ღმერთში ცხოვრებისთვის ორივე უაღრესად მნიშვნელოვანია.

ჩვენი სიცოცხლის წყარო

იგავები 20:27 ამბობს: „უფლის სანთელია ადამიანის სული, მისი წიაღის იდუმალებათა გამომკვლეველი“. ღვთის სულის საიდუმლოებებს ნათელი ეფინებათ და ცხადდებიან თავდაპირველად ჩვენს სულში და არა გობენაში. ამიტომ არის, რომ როცა სულით ვლოცულობთ, ჩვენ ასევე უნდა გვჯეროდეს და ვითხოვდეთ განმარტებას. გამოცხადება, რომელსაც სულიწმიდა აძლევს ჩვენს სულს, შემდეგ თავისუფლდება და გონების ზედაპირზე ამოდის.

იგავები 20:5-ში წერია: „ზრახვა [რჩევა, სიბრძნე, მიმართულება, მიზანი] კაცის გულში ღრმა წყალია, მაგრამ გონიერი კაცი [ან ქალი] ამოხაპავს მას“. ჯვრის ძალის მეშვეობით, ღმერთმა ახალი გული მოგვცა (იხ. ეზეკ.36:26;). ახლა ჩვენ შეგვიძლია

ამოვხაპოთ ზრახვანი [უფლის აზრი, რჩევა] ჩვენი განახლებული გულის სიღრმეებიდან. იესოს სიტყვები იოანეს 7:38-39-ში ადასტურებს ამას:

„ვისაც ჩემი სწამს, მოვიდეს და შესვას! რადგან წერილი ამბობს: „ცოცხალი წყლის მდინარეები იდინებენ *მისი გულიდან*“ (როცა თქვა: „ცოცხალი წყალი“, ის ლაპარაკობდა *სულზე*, რომელიც მიეცემოდა ყველა მის მორწმუნეს. რადგან ჯერ კიდევ არ იყო მოცემული სული, რაკი იესო ჯერ განდიდებული არ იყო) (NLT)

ასევე მახსენდება ესაია 12:3:

„სიხარულით ამოხაპავთ წყალს ხსნის წყაროებიდან [ცოცხალი წყლის]!“

იოანე გარკვევით ამბობს: „ცოცხალი წყალი“, რომელზეც იესომ თქვა, რომ იდინებს ჩვენი გულებიდან „სულიწმიდაა“. რატომ მოიხსენია იესომ სული როგორც წყალი? წყალს მოაქვს სიცოცხლე; მის გარეშე, დედამიწაზე სიცოცხლე, არსებობა შეწყდებოდა. ამ შედარებით ამბობს იესო, რომ სულიწმიდა სიცოცხლის არსია.

ღმერთი გვაუწყებს: „უცოდინრობით იღუპება ჩემი ერი“(ოს.4:6;). რის უცოდინრობას გულისხმობდა ღმერთი? უფალი განსაკუთრებულად ლაპარაკობს მისი გზებისა და მიზნების ცოდნაზე. გასაოცარი სიახლე კი ის გახლავთ, რომ ღმერთმა თავისი სული წარმოგზავნა ჩვენთან, რათა ვიცხოვროთ მისი სიცოცხლის სისრულეში, რომელიც მისი გულის შეცნობით მოდის.

შეუძლებელია ემსახურო ღმერთს ისე, რომ არ გესმოდეს, ვინ არის ის. ჩემი გუნდის წევრებსაც კი არ შეუძლიათ მემსახურონ კარგად, თუ ჯერ პირადად მე არ გამიცნობენ სათანადოდ. როცა ღვთის სიტყვას ვკითხულობთ და ლოცვას დროს ვუთმობთ, სული გვიცხადებს ღმერთის გულს. ეს წარმოადგენს ხალისიანი სიცოცხლისთვის საჭირო ძალას. ნეემია 8:10; ამბობს: „სიხარული უფლის წინაშე სიმტკიცეა თქვენი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა მასში და მისით ვხარობთ (განვიცდით მისი სულისგან განახლებას), ჩვენ გვენიჭება ძალა იმის გადასალახად, რაც ჩვენს წინ დევს. არ ვიცი თქვენ რას ფიქრობთ, მაგრამ არ მსურს ოდესმე, თუნდაც ერთი დღე მაინც ვიცოცხლო მისგან მომავალი სიხარულის გარეშე.

ღვთის საიდუმლოებანი

იგავების წიგნიდან და იოანეს სახარებიდან მოყვანილი მუხლებით, შეგვიძლია დავინახოთ, რომ ჩვენი გულიდან მომდინარე წყაროები ღვთის საიდუმლოებებს ანუ მის დაფარულ სიბრძნეს შეიცავს. ასევე ვიცით, რომ უფალი ამ დაფარულს თავისი სულით გვიცხადებს. ამიტომ, მოდით, ხელახლა წავიკითხოთ პავლეს სიტყვები 1 კორ. 2:7-დან: „ვლაპარაკობთ ღვთის სიბრძნეს *საიდუმლოებაში*".

ბერძნული სიტყვა, ნათარგმნი, როგორც „*საიდუმლოება*", არ ნიშნავს რაღაც „იდუმალს" ან „ბუნდოვანს". ფაქტობრივად, ის გულისხმობს „დაფარულს, რაც სრულად არ ჩანს".[1]

წარმოიდგინეთ: თქვენ უმაღლესი კლასის რესტორანში იმყოფებით. შეფ-მზარეული მოდის თქვენს მაგიდასთან, რათა გაარკვიოს როგორ კერძებს ანიჭებთ უპირატესობას. შემდეგ ამზადებს კერძს, უშუალოდ თქვენი გემოვნებით. როცა ყველაფერი მზადაა, მოდის მიმტანი და კერძს თქვენს წინ დებს. იმის გამო, რომ ეს გახლავთ მაღალი კლასის რესტორანი, კერძი თავდახურულ მდგომარეობაში მოაქვთ და დრომდე ასე რჩება. იცით, რომ თქვენს წინ თქვენთვის მომზადებული კერძი დევს, მაგრამ ის ჯერ ისევ საიდუმლოებითაა მოცული.

როცა დრო დგება, მიმტანი ამბობს: „მიირთვით!" და ხდის თავსახურს. ახლა უკვე შეგიძლიათ დაინახოთ კერძი, რომელიც მზარეულმა თქვენთვის მოამზადა. ვერ ვიტყვით, რომ კერძი თავსახურის მოხდამდე არ არსებობდა; ის მანამდეც იყო თეფშზე, სანამ თქვენ შეიტყობდით, რა მოგიმზადეს, მაგრამ მიმტანმა გააცხადა თქვენი სადილის *საიდუმლოება*. შეფ-მზარეულმა თავიდანვე იცოდა რა კერძი მოგართვათ მიმტანმა, მაგრამ თავსახურის ახდამდე ეს თქვენთვის დაფარული იყო.

სულიწმიდით ღმერთი ფარდას ხდის თავის დაფარულ გეგმებს — *საიდუმლოებებს*. სულიწმიდასთან თანამშრომლობით ჩვენ ახლა შეგვიძლია:

> „...ვილაპარაკოთ ღვთის სიბრძნე [განზრახვა] *საიდუმლოებაში*...რათა ვიცოდეთ ღვთისაგან ჩვენთვის მონიჭებული. და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმიდისაგან შესწავლილით. სულიერს სულიერით განვმარტავთ" (1 კორ.2:7, 12-13;)

ცოტა მოგვიანებით, ამავე წერილში პავლემ დაწერა: „ვინაიდან, ვინც სულით ლაპარაკობს, ის ადამიანებს კი არ ელაპარაკება, არამედ ღმერთს, რადგან არავის ესმის; რადგან სულით ლაპარაკობს იგი *საიდუმლოებებს*“ (1 კორ.14:2;). ხედავთ კორელაციას? როცა ენებით ვლოცულობთ, ღვთის *საიდუმლოებებს* ვლაპარაკობთ. როგორც უკვე ვთქვით, ეს საიდუმლოებანი ჩვენი გულის სიღრმეებშია დაფარული (იხ. იგავ.20:5;) და ზედაპირზე მაშინ ამოდის, როცა სულიწმიდის სიბრძნის ცოცხალი წყლის წყაროები მოედინება ჩვენში (იხ. იოან.7:38-39;). ამიტომ, ენებით ლოცვის დროს ჩვენი გონება განისწავლება, რადგან ამ დროს მოედინება „ცოცხალი წყალი“, თვით არსი სიცოცხლისა, რათა გავიგოთ ღვთის სულის ყველაზე ღრმად დაფარული ზრახვანი!

როგორც უკვე აღვნიშნე, წმიდა წერილში ხშირად მხვდება ადგილი, რომელიც ჩემს გაგებას აღემატება. ასეთ დროს, ვიწყებ ენებით ლოცვას და ამის შემდეგ უკვე შემეცნებაც მოდის. არაერთხელ ყოფილა, როცა წიგნის წერის დროს მოულოდნელად თითქოს კედელს ვაწყდები. აღარ ვიცი რა დავწერო. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შემიძლია; ვშორდები კომპიუტერს და ვიწყებ ენებით ლოცვას. ამგვარად მოქმედს კი მრავალჯერ აღმომიჩენია საკუთარი თავი ახალი გამოცხადებით ზეშთაგონებული. რა ხდება ასეთ მომენტებში? ღვთის სულის ცოცხალი წყალი მოედინება ჩემი გულიდან!

თუ არ იმყოფებით ღმერთთან თანამოზიარეობაში, გარკვეული საიდუმლოებანი კვლავ დაფარული დარჩება თქვენი გონებისთვის. ეს საიდუმლოებანი კი შესაძლოა ეხებოდეს იმას, თუ რომელ ეკლესიაში იაროთ; ვისთან ერთად შექმნათ ოჯახი; სად დაიწყოთ მუშაობა; რომელი სახლი შეიძინოთ; როგორ ილოცოთ თქვენი ხელმძღვანელებისთვის; როგორ იყოთ უკეთესი მეუღლე; როგორ მოაგვაროთ თქვენს შვილთან მიმართებაში წარმოქმნილი სირთულეები; როგორ მიაღწიოთ წარმატებას საქმეში და სხვა მრავალი. არ გახარებთ, რომ ღმერთი არ გვტოვებს მარტოებს თავდასხმების და განსაცდელების პირისპირ მხოლოდ საკუთარი ძალების ანაბარა? მისი სულის მეშვეობით შეგვიძლია აღმოვაჩინოთ მისი გეგმები (რა არის უკეთესი) ჩვენი ცხოვრებისთვის, და მაშინ შევძლებთ ვისიამოვნოთ მისგან აღთქმული მშვიდობით.

მშვიდობა: სიახლოვის ნიჭი

გალატელთა მიმართ წერილის მე-5 თავი გვაუწყებს, რომ მშვიდობა და თანხმობა ჩვენს ცხოვრებაში სულის თანდასწრების მოწმობაა. ეს გახლავთ გასაოცარი კურთხევა მრავალი პრაქტიკული გამოყენებით ყოველდღიურ ცხოვრებაში.

როცა ჯერ კიდევ საქორწინო ვიყავი, მომავალი მეუღლის ამოცნობა ჩემთვის საიდუმლოს წარმოადგენდა. იმ დროისთვის, ვხვდებოდი ქალს სახელად, ლიზა ტოსკანა. ვიცოდი, რომ ძალიან მომწონდა. შეყვარებული ვიყავი მის პიროვნებაზე. მაგრამ მე მხოლოდ ღმერთის მიერ შერჩეულ მანდილოსანზე მსურდა დაქორწინება. ლიზა არიზონაში ცხოვრობდა, მე კი ტეხასში ვიყავი. ორივეს გვინდოდა გაგვეგო ღმერთის ნება ჩვენი ურთიერთობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ასე რომ, ლიზას ვუთხარი: „მოდი, მომდევნო ოცდაათი დღის განმავლობაში ყოველდღიურად ოცდაათი წუთი ვილოცოთ სულით. მოუსმინე საკუთარ გულს. თუ სიმძიმის ან მოუსვენრობის განცდა დაგეუფლება, ესე იგი ღმერთი გვატყობინებს, რომ ჩვენი ურთიერთობა არ უნდა გავაღრმავოთ. ხოლო თუ მშვიდობა გარემოგვიცავს, მაშინ სულიწმიდა მოგვიწოდებს გადავდგათ მომდევნო ნაბიჯი ჩვენს ურთიერთობაში“. როცა ვლოცულობდით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ორივეს მოზღვავებული მშვიდობა გვავსებდა, თანმხლები სიხარულითა და სასიკეთო მოლოდინის განცდით. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ, გულახდილად გავუზიარეთ ერთმანეთს რასაც ლოცვის დროს ვგრძნობდით და აღმოვაჩინეთ, რომ ორივე ერთსა და იმავეს განვიცდიდით. ასე რომ, გავაგრძელეთ ურთიერთობა და გარკვეული დროის შემდეგ დავქორწინდით. ოცდაათი წელი გავიდა უკვე და დღესაც უზომოდ მადლიერი ვარ, რომ მაშინ ჩვენ ორივემ განვიცადეთ ის მშვიდობა!

რომ. 8:14; ამბობს: „რადგან ისინი, ვინც ღვთის სულით წარიმართებიან, ღვთის შვილები არიან“. წერილი გრძელდება განმარტებით, თუ რა სახით წარმართავს სული ღვთის შვილებს: “სწორედ ეს სული *ემოწმება* ჩვენს სულს“ (მუხ. 16). აი, ეს გახლავთ გზა, რომლითაც ძირითადად წარგვმართავს სული — თავისი მშვიდობით ანუ *დადასტურებით*.

გქონიათ შემთხვევა, როცა გსურდათ რაღაცის გაკეთება, რაც თითქოს მართებული და ლოგიკურიც ჩანდა, მაგრამ რამდენჯერაც იწყებდით ამ საკითხზე ფიქრს, უსიამოვნო, შემაწუხებე-

ლი განცდა გეუფლებოდათ? შესაძლოა ფიქრობდით: „*რა ხდება? რატომ ვგრძნობ თავს ამგვარად? ყველაფერი ამ საკითხის ირგვლივ მისაღებია.* თუ ამ დროს, სულიწმიდასთან თანაზიარებაში იმყოფებოდით, ეს არასასიამოვნო განცდა გახლდათ მისი სიტყვები: „ნუ წახვალ ამ მიმართულებით“. მრავალჯერ განმიცდია ეს. ზოგჯერ ჩემი გადაწყვეტილება, გავყოლოდი სულის კარნახს, წლების შემდეგ იძენდა მნიშვნელობას. ასეთ დროს, მე ვისწავლე მასზე მინდობა ყველაფრის მიუხედავად. გახსოვდეთ, მისი სიბრძნე არ იზღუდება დროით ან სივრცით, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ყოველთვის ითვალისწინებს თქვენს მომავალს, როცა წარმართავს თქვენს აწმყოს.

მაგრამ ყოფილა სხვა შემთხვევები, როცა უდიდეს სიმშვიდეს განვიცდიდი საკითხის ირგვლივ, რომელიც თითქოს დიდ რისკს შეიცავდა. ეს ქრისტეს მიერი მშვიდობა განაგებდა ჩემს გულს. მოისმინეთ პავლე მოციქულის სიტყვები:

> „ბატონობდეს (განუწყვეტლივ მოქმედებდეს, როგორც მსაჯი) თქვენს გულებში ღვთის მშვიდობა (ჰარმონია, რომელიც შინაგანში მოდის) [თქვენს გონებაში წამოჭრილი ყოველი საკითხი განსაჯეთ და გადაწყვიტეთ საბოლოოდ ამ მშვიდობიან მდგომარეობაში], რომლისკენაც მოწოდებულნი ხართ [რომ იცხოვროთ] ერთ სხეულად [როგორც ქრისტეს ასოები]“ (კოლ.3:15; AMP)

მომწონს ბიბლიის მოცემული თარგმანი სულიწმიდას როგორ ადარებს მსაჯს. კარგი მსაჯი წამიერი დაფიქრების გარეშე ღებულობს სწორ გადაწყვეტილებას. ასევე, სულიწმიდა გადაჭრით წყვეტს ჩვენს გონებში წამოჭრილ ყველა საკითხს (საფიქრალს, საქმეს და ა.შ.). ის თავის სიბრძნეს გაგიზიარებთ თუ საშუალებას მისცემთ, რომ გადაწყვეტილებები მან მიიღოს. ხშირად, სულიწმიდა თავის „გადაწყვეტილებას“ გვამცნობს იმ მშვიდობის სახით, რომელიც ადამიანურ გაგებას აღემატება; ეს გახლავთ სულის მოწმობა. წმინდა წერილი ამბობს:

> „და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში“ (ფილ.4:7;)

ჩვენ მოთავსებულნი ვართ ქრისტე იესოში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომია მშვიდობა, რომელიც თითქმის მიუწვდომელია ჩვენს დროში და საუკუნეში. იესო მშ-

ვიდობის მეფეა და მასში მყოფებს აღეთქვათ მშვიდობა. როცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სულიწმიდას მოვუხმობთ, ის ყოველთვის დაგვიმოწმებს იესო ქრისტეს მშვიდობით.

მშვიდობა და გადაწყვეტილების მიღება

როგორც Messenger International-ის ხელმძღვანელს, უამრავი გადაწყვეტილება მიმიღია, რომლებიც მისი მშვიდობით იყო დამოწმებული. თუმცა დასახული მიზანი ხშირად მიუწვდომელი ჩანდა, ღვთის მშვიდობა მიცავდა, რომ პირადი შეხედულების მიხედვით არ შემეზღუდა Messenger International-ის პოტენციალი.

ყოფილა, როცა მკაფიოდ მესმოდა რას მეუბნებოდა სულიწმიდა. მაგალითად, როცა ამ წიგნის დასაწერად ვემზადებოდი, თავდაპირველად, ფაქტობრივად, სრულიად სხვა საკითხი მქონდა გონებაში. მაგრამ ლოცვისა და მარხვის შემდეგ, სულიწმიდამ მომცა მითითება, დამეწერა საოცრებაზე, თუ ვინ არის სულიწმიდა.

მაგრამ ჩემს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უმეტესობა წარმართულია უფლის მშვიდობით (ყოველთვის მის სიტყვასთან თანხმობაში), და არა ამგვარი მკაფიო, პირდაპირი მითითებებით. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, არის გარკვეული შემთხვევები, როცა უფლის სული უშუალოდ მელაპარაკება. როგორც დავაკვირდი, ეს ძირითადად მაშინ ხდება, როცა ღმერთი სრულიად ახალ მიმართულებას მაძლევს. ნება მომეცით, მაგალითი მოვიყვანო.

Messenger International-ის უპირველესი მიზანია აღაშენოს ადგილობრივი ეკლესია. ჩვენ გვჯერა, რომ ღმერთისთვის ყველაზე სტრატეგიულ საშუალებას დაღუპულთა გადასარჩენად, საჭიროებაში მყოფთათვის იმედისა და ხედვის მისაცემად, ერების დასამოწაფებლად ადგილობრივი ეკლესია წარმოადგენს. ჩრდილოეთ ამერიკაში 20 000-ზე მეტი ეკლესია სარგებლობს ჩვენი სასწავლო მასალით. მრავალი წლის მანძილზე ჩვენი მთავარი მიზანი გახლდათ მივწვდომოდით ეკლესიებს შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში და გაერთიანებულ სამეფოში.

2010 წლის 31 მაისს, დანიელის წიგნის კითხვის დროს, ღმერთი დამელაპარაკა: „შენ ერთგულად მემსახურები, რათა მიწვდე ინგლისურენოვან სამყაროში არსებულ ადგილობრივ ეკლესიებს. ახლა გგზავნი მთელს დედამიწაზე — მსოფლიოს ერებში“. ეს იყო გაოცების მომენტი. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა

განმეხორციელებინა ეს. ამგვარად, მოვიწვიე ჩვენი მსახურების დირექტორთა სხდომა. გავუზიარე ხედვა, რომელიც მომცა უფალმა და ვუთხარი, რომ მსურდა 2011 წლის განმავლობაში 250 000 წიგნი მიგვეწოდებინა განვითარებად ქვეყნებში არსებული ეკლესიების მსახურთათვის. ყველა შოკირებული იყო. ამ რიცხვთან მიახლოებული რაოდენობის წიგნებიც კი არასდროს დაგვერიგებინა ერთ წელიწადში. მართვის მთავარი ოფიცერი და სხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელები მთხოვდნენ მიღებული გადაწყვეტილება ხელახლა გადამეხედა. ბოლოს მთხოვეს, ლოცვით მაინც მიმეტანა აღნიშნული საკითხი უფლის წინაშე.

მე მკაფიოდ მოვისმინე უფლისგან, რომ ჩვენ უნდა მიგვეწვდინა ჩვენი მსახურება ხელმძღვანელთა და მწყემსთათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ უფალს არ დაუკონკრეტებია, რომ ამ მიზნის მისაღწევად პირველი ნაბიჯი 250 000 წიგნის დარიგება იყო მომდევნო წლის განმავლობაში. ასე რომ, ეს გადაწყვეტილება ღმერთს მივუტანე ლოცვაში. მართლაც, უფლისაგან მშვიდობა მქონდა. საჭირო აღარ იყო კვლავ მკაფიოდ დამლაპარაკებოდა სულიწმიდა, რადგან უკვე ვიცოდი, რომ დასახული მიზანი მის თავდაპირველ მითითებასთან თანხმობაში მოდიოდა. გულში არსებული მშვიდობის სახით, ვიგრძენი მისი მოწმობა ამ საკითხში. როცა ამის შესახებ გუნდს ვაუწყე, ისინი მყისიერად დაირაზმნენ დასახული მიზნის შესასრულებლად. მართლაც, ღმერთმა სასწაულებრივად იმოქმედა და იმ წელს ჩვენ შევძელით 270 000-ზე მეტი წიგნის დარიგება მწყემსთა და ხელმძღვანელთათვის 47 ერში.

2011 წელს, ბეირუთში ერთ ერაყელ მწყემსს შევხვდი, ლებანონს (შუა აღმოსავლეთში ჩატარდა შეკრება, სადაც 2 500 მწყემსისა და ხელმძღვანელის წინაშე გამოვედი სიტყვით). ის თავის ქალაქში ყველაზე დიდი ეკლესიის მწყემსი გახლდათ, ოცდათექვსმეტი წლის ახალგაზრდა კაცი. მან მითხრა: „ბატონო ბევირ, თქვენ მამასავით ხართ ჩემთვის. თქვენი ყველა წიგნი მაქვს წაკითხული, რომელიც ხელში ჩამივარდა. ჩემს საკრედიტო ბარათსაც კი ვიყენებდი თქვენი ვებ-გვერდიდან მასალის გადმოსატვირთად“.

როცა მან ეს სიტყვები მითხრა, მინდოდა სადმე სოროში ჩავმძვრალიყავი და დავმალულიყავი. ჩემს წინ იდგა კაცი, ომის შედეგად გახლეჩილი ერიდან, რომელიც თავისი მწირი ფინანსებით ყველაფერს ცდილობდა, რათა Messenger International-ის სასწავლო მასალა მოეპოვებიან. ამან სურვილი აღძრა ჩემში, კიდევ ერთხელ შევვედრებოდი უფალს სიბრძნისთვის, როგორ დავხმარებოდი ადგილობრივ ეკლესიებს მათი ხელმძღვანელების

გაძლიერების გზით. სულით ლოცვის დროს, გაჩნდა იდეა, თუ რა გზით შეგვეძლო მიგვეწოდებინა არა მხოლოდ წიგნები, არამედ მთლიანი სასწავლო პროგრამები განვითარებად ქვეყნებში არსებული ეკლესიის მწყემსებისთვის. მომდევნო წელს, ჩვენ 1.3 მილიონი სასწავლო მასალა და პროგრამა მივაწოდეთ ამ მწყემსებს და ხელმძღვანელებს. მას მერე ეს ციფრი ისევ იზრდება.

თავსატეხის ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც სულით ლოცვის დროს მივიღე, გახლდათ CloudLibrary.org, ვებ-გვერდი, რომელიც საშუალებას აძლევს ამ მწყემსებს და ხელმძღვანელებს, მათ მრევლთან ერთად, თავიანთ საკუთარ ენებზე გადმოტვირთონ ჩვენი მასალა სრულიად უფასოდ. ასე რომ, თუ 2011 წელს 270 000-ზე მეტი წიგნი დავარიგეთ, ახლა ეს რიცხვი უკვე ყოველთვიურად იზრდება! ამგვარი საქმეები შეუძლია აკეთოს უფალს ჩვენში და ჩვენგან, როცა სულიწმიდის ხმას მივყვებით, რომელიც მშვიდობით მოწმობს ჩვენში!

დღე 4

მიმართულების მიღება

სფერო, რომელიც აწუხებს მორწმუნეთა უმრავლესობას, გახლავთ ღმერთისგან მიმართულების გარკვევა. ხშირად მესმის ადამიანები ამბობენ: „არ ვიცი, რა სურს ღმერთს, რომ გავაკეთო ცხოვრებაში!“. იაკობი ამბობს, რა უნდა გავაკეთოთ, როცა მიმართულება გვჭირდება: „თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს“ (1:5;). ბერძნული სიტყვა *სიბრძნისთვის* არის *sophia*, რომელიც უფრო სრულად განიმარტება, როგორც „უნარი, რათა გაიგო და შედეგად ბრძნულად იმოქმედო“.[2] ასე იფიქრეთ ამაზე: ღვთის სიბრძნის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ და *შემდეგ* ვიმოქმედოთ.

ვინ გვაძლევს უნარს, რათა გავიგოთ ღვთის სიბრძნე და მოქმედებაში მოვიყვანოთ? რა თქმა უნდა, სულიწმიდა. ვყოფილვარ სიტუაციებში, რომელშიც მართლა მჭირდებოდა მიმართულება. როცა ენებით ლოცვას ვიწყებდი, ღმერთის სიბრძნე და მიმართულება ამოდიოდა ჩემი სულიდან და შემოდიოდა ჩემს გონებაში. ენებით ლოცვა ნათელს ხდის ღმერთის მიმართულებას ჩვენი ცხოვრებისთვის.

მოდით, ხელახლა წავიკითხოთ იგავების 20:5: „ზრახვა კაცის გულში ღრმა წყალია, ხოლო გონიერი კაცი [ან ქალი] ამოხაპავს მას“. სხვა ინგლისური თარგმანი სიტყვა „*ზრახვის*“ ნაცვლად იყენებს სიტყვას „დანიშნულება“. ქრისტეში, თქვენ მოგენიჭათ დანიშნულება ანუ მიზანი, რომელიც განუმეორებელია. ეს დან-

იშნულება განსაზღვრავს თქვენს მიმართულებას და ის თქვენს გულში ღრმადაა დაფარული. როცა სულით ლოცულობთ და ღვთის ზრახვებს იკვლევთ, ის გაგიცხადებთ თქვენს მიზანს. ეს არ მოხდება ერთ ღამეში, მომთმენნი იყავით. გამოყოფთ რა დროს უფლის სიტყვის კითხვისა და ლოცვისთვის, ის გაგიმჟღავნებთ თქვენს დანიშნულებას. ჩემი ერთ-ერთი ვაჟი ამას ამგვარად ამბობს: „ბიბლია ჩვენი რუქაა, ხოლო სულიწმიდა — გიდი“.

ღმერთისგან მიმართულების მიღება საჩუქარია ჩვენი ცხოვრების ყოველი სფეროსთვის. თუ თქვენს რომელიმე შვილთან მიმართებაში რთულ პერიოდს გადიხართ, გადადგით ნაბიჯი უკან და ამ საკითხისთვის სულით ილოცეთ. ის გაჩვენებთ, როგორ მოიქცეთ. თუ გაყიდვების სფეროში საქმიანობთ და არ იცით რა გააკეთოთ, მიიხურეთ ოფისის კარი და ითხოვეთ სიბრძნე მისგან, ვინც ყოველივე იცის. ის უკვე თქვენში მკვიდრობს; ახლა უბრალოდ უნდა ამოიტანოთ ზედაპირზე ის, რაც ჯერ არ გამჟღავნებულა თქვენთვის. მისი სურვილია, მოგცეთ მიმართულება! ესაია 48:17; ამბობს: „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელიც გასწავლის სარგებლობას, რომელიც მიგიძღვის იმ გზაზე, რომელზეც უნდა იარო“. ღმერთს სურს აღასრულოთ თქვენი დანიშნულება სასუფევლისთვის და მისი სურვილია, წარმართოს თქვენი ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე.

ზოგჯერ ადამიანებისგან მესმის: „ჯონ, ეს ძალიან სულიერია და რაღაც თითქოს საეჭვოც“ ან „ჩვენ არ შეგვიძლია ამ სახის თხოვნები მივიტანოთ ღმერთის წინაშე“ ან „ღმერთს მხოლოდ ის აინტერესებს, რაც მსახურებას უკავშირდება“. პირველ რიგში, ღმერთში არაფერია საეჭვო და შესაბამისად არაფერია საეჭვო მისი ჩართულობის შესახებ ჩვენი ცხოვრების რომელიმე და ყოველ სფეროში. ადამიანი შესაძლოა იყოს საეჭვო, მაგრამ ღმერთი - არასოდეს. და არც იმის გამო არ უნდა უგულებელვყოთ ღვთისგან აღთქმული, რომ ვიღაცამ უფლის სულის ნათქვამი დაამახინჯა ან არასწორად გამოიყენა.

მეორე, ბიბლია გვაძლევს მითითებას: „ილოცეთ განუწყვეტლივ“ (1 თეს.5:17;). მრავალ ქრისტიანს არასდროს შეუსწავლია მოცემული მუხლის კონტექსტი, რათა გაეგო მისი მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, პავლე არ ამბობს, რომ „მთელი დღის განმავლობაში ყოველ წუთს ამოძრავეთ ტუჩები და ილოცეთ“. სხვა თუ არაფერი, ბიბლია გვეუბნება, რომ ვაუწყოთ სახარება ყველას და გავამხნევოთ ერთმანეთი. მაშინ, ვერცერთ ამ დავალებას ვერ შევასრულებთ, თუ ჩვენი ბაგეები გამუდმებით ლოცვით იქნება დაკავებული.

სინამდვილეში, ის, რასაც პავლე ამ მუხლში გულისხმობს, არის *უწყვეტი თანაზიარება ღვთის სულთან.* როგორ განვიცადოთ ეს? პავლე პასუხსაც გვაძლევს, რადგან ის შემდეგი სიტყვებით აგრძელებს: „სულს ნუ ჩააქრობთ“ (მუხ. 19;). განუწყვეტლივ ლოცვა ნიშნავს, არასდროს ჩავაქროთ სულიწმიდის თანდასწრება ჩვენში. ეს კი გულისხმობს, რომ აცნობიერებდეთ მის თანდასწრებას თქვენში და მგრძნობიარე იყოთ მისი ხმის მიმართ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვა, ნუ აკრძალავთ მის მონაწილეობას თქვენს ცხოვრებაში. სულიწმიდას სურს, რომ თქვენი ცხოვრების ყველა სფეროში ჩარიოთ. მას სურს დაგარიგოთ. მისი წადილია თქვენთან მუდმივი თანაზიარება. ეს უწყვეტი ურთიერთობა კი მოიტანს მის მშვიდობას, ძალას და მიმართულებას თქვენს ცხოვრებაში.

მე არ ვარ მოწოდებული ვიყო ბიზნესმენი, მაგრამ რომ ვყოფილიყავი, საკმაოდ ბევრს ვილოცებდი სულით ჩემი ბიზნესისთვის. გადაწყვეტილებებს კი ჩემს გულში არსებული მშვიდობის მიხედვით მივიღებდი. არასდროს შეიტანოთ ეჭვი თქვენს შესაძლებლობაში, რომ მიიღოთ მიმართულება თქვენი შემოქმედისგან და არც იმის გამო არ უგულებელყოთ ეს უნარი, რომ თქვენ არ ხართ „სრული დროით მსახური“. ის ისევე წარმართავს თქვენს ნაბიჯებს, როგორც ჩემსას.

პირადი ლოცვის დრო

დავაკვირდი, რომ ჩემი ლოცვები გაცილებით ეფექტურია, როცა წმიდა წერილის კითხვით ვიწყებ ლოცვის საათს. ღვთის სიტყვა ასუფთავებს გონებას და თითქოს ხსნის სულიდან გონებამდე მიმდინარე არხს. კითხვის დასრულების შემდეგ, უფრო ძლიერად ვარ შეერთებული სულიწმიდასთან და ლოცვის დროც მისი აშკარა თანდასწრებით არის გამდიდრებული.

ასევე აღმოვაჩინე, რომ ღმერთი სწრაფადვე მიცხადებს საკუთარ თავს, როცა მე გააზრებულად მივაგებ პატივს მის თანდასწრებას ჩემს ცხოვრებაში. როცა ვიწყებ ფიქრს მის დიდებულებასა და სიკეთეზე, მოულოდნელად სულიწმიდა ავლენს თავს. რატომ? მეფსალმუნე გვაძლევს პასუხს ამაზე: „...მოიშიშეთ ყველამ მის ირგვლივ“ (ფსალმ.88:8;). თუ გწადია განიცადო უფლის თანდასწრება, მოწიწებით უნდა მიეახლო მას. უსწრაფესი გზა, ღვთის თანდასწრების შესაწყვეტად, გახლავთ მისი შეურაცხყოფა სულიწმიდის მიმართ უპატივცემულობის გამოჩენით.

როცა იესო ასწავლიდა ლოცვას თავის მოწაფეებს (ჩვენი ჩათვლით), მან დაიწყო სიტყვებით: „მამაო ჩვენო, რომელიც

ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი“ (მათ.6:9;). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა მამას მივეახლებით, პირველ რიგში მის თანდასწრებაში უნდა შევიდეთ წმიდა მოწიწებით. როცა ამგვარად მოვიქცევით, სულიწმიდა გამოავლენს მის თანდასწრებას, რადგან ის ხედავს, რომ ჩვენ მოშიშებით ვდგებით მის წინაშე. მისი თანდასწრება უზრუნველგვყოფს ხედვით, სიბრძნით, ცოდნით და ძალით. ის ჭეშმარიტად სიცოცხლის წყაროა ჩვენთვის! რატომ უნდა გვინდოდეს მისგან შორს ყოფნა?

სულით შუამდგომლობა

მე რეგულარულად ვლოცულობ ერთ ჩემს მეგობარ მწყემსთან ერთად. ლოცვის დროს ჩვენ ხშირად ვშუამდგომლობთ ენებით. ერთ-ერთი ლოცვისას ჩვენ ვიცოდით, რომ ენებით ვლაპარაკობდით და მითითებებს ვიძლეოდით რომელიღაც სფეროში, შუა აღმოსავლეთში. მომდევნო დღეს შევიტყვეთ, რომ თურქეთში ძლიერი მიწისძვრა ყოფილა. მჯერა, რომ მე და ჩემი მეგობარი ამ ერისთვის ვშუამდგომლობდით. ჩვენ სულის მეშვეობით შევუერთდით მათ, რადგან ერთი და იგივე სული მკვიდრობს ყველა ჩვენგანში. ღმერთი ჩვენი მეშვეობით აცხადებდა თავის ნებას მათ მიმართ, რომლებიც თურქეთში იმყოფებოდნენ.

სულიერი შუამდგომლობის ლოცვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დედამიწაზე ღვთის სასუფევლის გავრცელებისთვის. მტერს სძულს ჩვენი შესაძლებლობა, როცა ღმერთის ნებას ვაცხადებთ ჩვენს დებსა და ძმებზე. მისი მიზანია დაყოს და დააცალკევოს ეკლესია და მისი ნატვრაა შეზღუდოს ჩვენი შუამდგომლობა და დაიყვანოს მხოლოდ იმ ზღვრამდე, რაც ჩვენი გონებით ვიცით.

ალბათ, არასდროს გაგიცნობიერებიათ რამდენად მჭიდროდ ხართ დაკავშირებული მთელი მსოფლიოს მასშტაბით მყოფ სხვა მორწმუნეებთან. სავსებით შესაძლებელია, სიზუსტით იშუამდგომლოთ მორწმუნეთათვის, რომლებიც სხვა კონტინენტზე იმყოფებიან, თუნდ არანაირი ბუნებრივი კავშირი არ გაგაჩნდეთ მათთან.

ერთხელ, კენიაში სტუმრობის დროს, შევხვდი კაცს მასაის ტომიდან. მოგვიანებით, ის შტატებში გვეწვია და ჩემს მეგობრებთან დარჩა პენსილვანიაში. მამაკაცი დაახლოებით ერთი თვე ცხოვრობდა მათთან. მან რამდენჯერმე გადადო გამგზავრება იმ მიზეზით, რომ მისი ოჯახი ჯერ არ დაბრუნებულიყო აფრიკიდან. ბოლოს, მასპინძელმა ჰკითხა: „საიდან იცი რა ხდება შენს ოჯახში, მათ ხომ შენთან დაკავშირების არანაირი

საშუალება არ გააჩნიათ იქ?“. მან უპასუხა: „პავლემ იცოდა რა ხდებოდა კოლასელთა და კორინთელთა ეკლესიებში მაშინ, როცა ის მათგან საკმაოდ შორს იმყოფებოდა. სულით ლოცვის დროს უფალი მაჩვენებს რა მდგომარეობაში იმყოფებიან ჩემი ოჯახის წევრები“. მუხლები, რომელსაც ის ეყრდნობოდა, იყო კოლ. 2:5; და 1კორ.5:3. „ვინაიდან, თუმცა ხორციელად შორს ვარ თქვენგან, სულით თქვენთან ვიმყოფები და მიხარია, რომ ვხედავ თქვენს წესიერებას“(კოლ.2:5;), „თუმცა სხეულით არა ვარ თქვენთან, სულით თქვენთან ვიმყოფები“(1კორ.5:3;). პავლე სულით იყო დაკავშირებული ამ ეკლესიების მორწმუნეებთან და იცოდა მათი საქმეებისა და მდგომარეობის შესახებ ფიზიკურად მათთან ყოფნის გარეშე.

მრავალჯერ მიგრძვნია, რომ ჩემი გუნდის წევრი ან პარტნიორი ლოცულობდა ჩემთვის. როცა მწუხარებაში ან სახიფათო გარემოებაში მოულოდნელად სასწაულებრივად ერევა ღმერთი, ასეთ დროს ვხვდები, რომ ვიღაც სულით ლოცულობდა და შუამავლობდა ჩემს დასაცავად.

მოსვენება

> „ძმანო! ნუ იქნებით ბავშვები გონებით. მხოლოდ ბოროტებისათვის გახდით ბავშვები, გონებისთვის კი სრულწლოვანნი იყავით. რჯულში სწერია: „სხვა ენებით და სხვათა ბაგეებით დაველაპარაკები ამ ხალხს’“ (1 კორ.14:20-21;)

ალბათ, უკვე შენიშნეთ, რომ პავლე საკმაოდ ბევრს წერს ენების შესახებ კორინთელთა მიმართ წერილის მე-14 თავში. ზემომოყვანილ მუხლებში პავლე ფაქტობრივად, ესაიას სიტყვებს იმეორებს, ვინაიდან ესაიას 28:11-12-ში ვკითხულობთ:

> „რომ ბორძიკა ბაგეებით და უცხო ენაზე ილაპარაკოს ამ ხალხთან, რომელსაც უთხრა: ‘აჰა, ეს არის *დასვენება*, რომლითაც დაისვენებს დაღლილი და ეს არის *შვება*’“.

ღმერთი ესაიას ბაგეებით წინასწარმეტყველებდა, რომ ენებით ლოცვა მოიტანდა დასვენებას და შვებას. ერთხელ, ერთი ჩემი მეგობარი, რომელიც საკმაოდ დიდი ეკლესიის მწყემსია, სხვა დიდი ეკლესიის მწყემს ესაუბრებოდა. მეორე ეკლესიის მწყემსმა მას უთხრა: „მზად ვარ მივატოვო მსახურება, ძალიან დავიღალე. ძალ-ღონე გამომელია. დავიქანცე“.

ჩემმა მეგობარმა უპასუხა: „სულიწმიდით აღარ ლოცულობ, ხომ ასეა?“

მეორე მწყემსი დაიბნა: „მე...“

ჩემმა მეგობარმა განაგრძო: „რამდენ ხანს ლოცულობ სულით?“

მეორე მწყემსი კვლავ ყოყმანობდა, მერე კი უპასუხა: „მე განუწყვეტლივ ვამზადებ სიტყვას საქადაგებლად, ჩემი ეკლესიის 15 000 წევრსაც გამუდმებით, რაღაც სჭირდება, სულ რაღაც ხდება და...“

ჩემმა მეგობარმა კვლავ გაუმეორა შეკითხვა: „სულით ლოცულობ?“

საბოლოოდ, მეორე მწყემსმა აღიარა: „არა, გულახდილად რომ გიპასუხო, არა, არ ვლოცულობ“.

ჩემმა მეგობარმა უთხრა მას: „დაიწყე სულით ლოცვა“.

საკმაოდ მოკლე ხანში, ერთ დროს ძალ-ღონე გამოლეულ მწყემსს აღარ სურდა მსახურებისთვის თავის დანებება. დღეს, ისიც და მისი ეკლესიაც ისევ აღმავლობას განიცდის!

რატომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი ამ მწყემსისთვის ენებით ლოცვა? როცა სულით ვლოცულობთ, ჩვენ ვღებულობთ ზებუნებრივ მოსვენებას და განახლებას.

როგორ ახერხებს დოქტორი ჩო უხელმძღვანელოს 800 000 კაციან ეკლესიას და არასდროს არ დაიღალოს? ის ლოცულობს სულით. მე არ ვიცნობ სხვა მწყემსს, რომელიც უფრო დიდ ზეწოლასა და პასუხისმგებლობას განიცდის, ვიდრე დოქტორი ჩო. მისმა ეკლესიამ სრულიად გარდაქმნა სამხრეთ კორეა და ის ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული მწყემსია მთელს მსოფლიოში. ნებისმიერი ადამიანისთვის, კაცისა თუ ქალისთვის, შეუძლებელი იქნებოდა ამხელა ტვირთის ზიდვა საკუთარი ძალებით. მაგრამ მე ვიცი, რომ დოქტორი ჩო არ ემყარება საკუთარ გონებას. ის პირველ ადგილზე აყენებს ლოცვის საათებს და ყოველდღე ოთხ საათს ლოცულობს სულით. ლოცვის ეს საათები უზრუნველყოფს მას უდიდესი ძალით და მოსვენებით.

ლესტერ სამრალი ღმერთის ძლიერი მამაკაცი იყო. რამდენჯერმე მქონდა პრივილეგია ვყოფილიყავი მის გვერდით. დოქტორ სამრალს მხოლოდ ოთხი საათი ეძინა ღამეში და შეეძლო ოთხი წიგნი ეწერა ერთდროულად! მას გაცილებით მეტი ენერგია გააჩნდა, ვიდრე მის თანამშრომლებს (რომელნიც ასაკით მასზე ორჯერ ახალგაზრდები იყვნენ) და მასზე ბევრად ახალგაზრდა მქადაგებლებს. საიდან ღებულობდა ძალას? ის ძალიან დიდ დროს უთმობდა სულით ლოცვას.

გთხოვთ, სწორად გაიგეთ, ჩვენ არასდროს არ უნდა მოვეპყრათ ცუდად საკუთარ სხეულებს. ღმერთი გასაგებად გვი-

ბრძანებს, რომ დავიცვათ *შაბათი*. ჩვენ უნდა ვასვენებდეთ სხეულს. მე გოლფს ვთამაშობ, რადგან ეს ჩემთვის განტვირთვას წარმოადგენს და ასვენებს ჩემს გონებას და სხეულს. ის ჩემთვის დასვენების საშუალებაა. მაგრამ შაბათის მოსვენებასთან ერთად, სულით ლოცვა განაახლებს ჩვენს სხეულს და სამშვინველს. საუბედუროდ, მრავალ ადამიანს დაუკარგავს ძალ-ღონე ნაადრევად იმის გამო, რომ სულიწმიდაში არ ეძებდა მოსვენებას.

დღე 5

ჩვენი შინაგანი კაცი

„ვინც ენებით ლაპარაკობს, საკუთარ თავს აშენებს. (1 კორ.14:4)

ამ მუხლში გამოყენებული ბერძნული სიტყვა *აშენებისთვის,* გახლავთ *oikodomeo*. მისი პირდაპირი მნიშვნელობაა „აგება ან აშენება“.[3] სულით ლოცვის დროს ჩვენ ვიძენთ ღვთიური თანდასწრების და ძალის მიღების უნარს. იესომ იგივე ბერძნული სიტყვა გამოიყენა, როცა თქვა: „ყველას, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც სახლი კლდეზე ააშენა [*oikodomeo*]“ (მათ.7:24;);

ანალოგიურს გვეუბნება ღმერთი იუდას წერილიდან:

„ხოლო თქვენ, საყვარელნო, აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე, ილოცეთ სულიწმიდით“ (იუდ.20;)

მახსოვს, როცა ჩემს ერთ მეგობარს ვაჟი ძალზედ ავად ჰყავდა. ექიმები ვერ არკვევდნენ, რა სჭირდა ბიჭს, ამიტომ ჩემმა მეგობარმა არ იცოდა რა გაეკეთებინა. ბოლოს, ის წავიდა თავის ოფისში და ხუთი საათის განმავლობაში ლოცულობდა სულით. ოფისიდან წამოსული მივიდა სახლში და პირდაპირ ბიჭის საწოლ ოთახში შევიდა. მან შვილს ძალაუფლებით აღსავსე სიტყვებით მიმართა, რომ ამდგარიყო საწოლიდან. იმ წუთიდან ბიჭი სრულიად განიკურნა. რა მოხდა? სულით ლოცვის საათებმა გაზარდა ჩემი მეგობრის უნარი, რომ ეშუამდგომლა და მომსახურებოდა თავის შვილს. ყოველივეს, რასაც ღმერთისგან ვღებულობთ, ვიღებთ რწმენით. სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს. სულიწმიდასთან მოზიარეობაში გატარებული დრო ზრდის ჩვენს უნარს მივიღოთ აღთქმები და ვიხილოთ ღვთის თანდასწრების გამოვლინება, რადგან ის აშენებს ჩვენს შინაგან კაცს.

ღრმა თაყვანისცემა

ზეციური ენებით ლოცვა გვანიჭებს უნარს განვადიდოთ და თაყვანი ვცეთ ღმერთს უფრო სიღრმისეულად. პავლემ თქვა:

„ვინაიდან, თუ სულით აკურთხებ, როგორ იტყვის ამინს შენს მადლობაზე უმეცართაგანი ვინმე, თუ არ ესმის, რას ამბობ შენ? ვინაიდან, *შენ მართლაც კეთილად სწირავ მადლს*, მაგრამ სხვა არ შენდება“ (1 კორ.14:16-17;)

პავლე საუბრობს ღმერთის ერთობლივად განდიდებაზე და მიუთითებს, რომ როცა ჩვენ „სულით ვაკურთხებთ“ (ვადიდებთ უფალს ენებით), ამით არაფერს ვმატებთ ჩვენს გვერდით მდგომთ. ვინაიდან ენებით განდიდება პირადი გამოხატულებაა, მას მოაქვს პირადი აღშენება და არა ჯგუფური. პავლე არ ამცირებს ღმერთის ენებით განდიდების პრაქტიკას. ის მხოლოდ განმარტავს, რომ ამისთვის არსებობს განსაზღვრული დრო და ადგილი.

დააკვირდით, როგორ ასრულებს პავლე სათქმელს: „შენ მართლაც კეთილად სწირავ მადლს“. როცა ენებით ვადიდებთ ღმერთს, ჩვენ საშუალებას ვაძლევთ სულიწმიდას, ჩვენი მხრიდან მთელი სიმშვენიერით შეასხას ხოტბა ღმერთს თავისი საოცრებებისა და სასწაულებისთვის. ზეციური ენებით განდიდების დროს შევდივართ უფრო ღრმა თაყვანისცემაში. სწორედ ამიტომ გალობდა პავლე სულითაც და გონებითაც (იხ. 1 კორ.14:15;).

ყველას შეუძლია აღივსოს სულით

ნაღველი მივსებს გულს, როცა ვხედავ, ქრისტიანები როგორ უყურებენ ზემოდან სხვა მორწმუნეებს იმის გამო, რომ ისინი არ ლოცულობენ ენებით. ამ დებს და ძმებს ქრისტეში, უბრალოდ არ განუცდიათ სულიწმიდის ეს გასაოცარი ნიჭი. არ შეგვშვენის შევარცხვინოთ ან დავამცირეთ ისინი ამის გამო, ვინაიდან ჩვენ ყველანი ერთნი ვართ ქრისტეში.

როგორც უკვე განვიხილეთ ბოლო თავში, ენებით ლოცვის ნიჭი თითოეული მორწმუნისთვის ხელმისაწვდომია; ისინი, რომლებიც ჯერაც არ ლაპარაკობენ ენებით, უფალს არ გამოუთიშია ამ აღთქმიდან. იესომ თქვა: „ეს სასწაულები იქნება მორწმუნეთა თანმხლები: ...ახალი ენებით ილაპარაკებენ“ (მარკ.16:17;). პავლემ თქვა: „მე მსურს, რომ თქვენ *ყველანი* ლაპარაკობდეთ ენებით: (1 კორ.14:5;). ღმერთს ყველა მისი შვილისთვის სურს, რომ გაიხაროს ზეციური ენების გასაოცარი სიკეთეებით.

როგორ ღებულობს პიროვნება სულიწმიდას?

ვიდრე განვაგრძობდე, ნება მომეცით აღვნიშნო, რომ მრავალი ჩემი მეგობარი სულიწმიდით აღივსო ავტომანქანაში, სახლში, ოფისშიც კი. ერთადერთი, რაც ჩვენ გვევალება, ეს არის, რომ ვითხოვოთ და ჩვენი ზეციერი მამა მოგვცემს თავის სულს. თუ უკვე ითხოვე, მაშინ უბრალოდ უნდა ისწავლო, როგორ მიჰყვე მას.

უწინარეს ყოვლისა, სანამ სულიწმიდით აღივსებოდეთ, ჯერ იესო ქრისტე თქვენს პირად უფლად და მხსნელად უნდა მიიღოთ. იესომ თქვა, რომ წუთისოფელს (მათ, ვისაც არ მიუღიათ ხსნა) არ შეუძლია მიიღოს სულიწმიდა (იხ. იოან.14:17;). თუ იესო ქრისტე ჯერ არ მიგიღიათ თქვენი ცხოვრების უფლად, თქვენ ახლაც შეგიძლიათ დაუმორჩილოთ საკუთარი თავი მის უფლობას (ხსნის მიღების შესახებ უფრო მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი).

შესაძლოა, უკვე ხართ ღვთის შვილი, მაგრამ თქვენს ცხოვრებაში არსებობს განზრახ ურჩობის გამოვლინება, ეს დაგაბრკოლებთ სულით აღვსების სიამოვნების განცდისგან. ღმერთი სულიწმიდას „თავის მორჩილთ აძლევს“ (საქმე.5:32;). ეს არ ნიშნავს, რომ ამისთვის თქვენ სრულყოფილი უნდა იყოთ, მაგრამ თქვენ თავი უნდა დაიმდაბლოთ მის წინაშე. ეს გახლავთ ნიშანი, რომ თქვენ დამორჩილდით მის ნებას. როცა თავს დაიმდაბლებთ, ღმერთი მოგანიჭებთ მადლს ცოდვის მახეებისგან თავის დასაღწევად და თქვენ ისევ მზად იქნებით აღივსოთ სულიწმიდით.

ღმერთისადმი ურჩობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მახე მრავალ მორწმუნეთა ცხოვრებაში გახლავთ წყენა. თქვენ მზად უნდა იყოთ აპატიოთ მათ, ვინც თქვენს მიმართ არასწორად იქცევა. ამას ვმოწმობ გამონაკლისის გარეშე, რომ როგორც კი განაწყენებული მორწმუნე, რომელსაც სულიწმიდით აღვსება სურს, აპატიებს, სულიწმიდა გამოვლინდება. რამდენიმე წუთით დაფიქრდით იმ ადამიანებზე, რომლებმაც გაწყენინეს და სთხოვეთ ღმერთს მოგცეთ მპატიებელი გული მათ მიმართ(წყენის საკითხის გაცილებით დეტალურად განვიხილავ წიგნში *„სატანის სატყუარა“, The Bait of Satan*).

ითხოვეთ რწმენით...

„რომელი მამა იქნება თქვენში, რომ შვილმა პური სთხოვოს და ქვა მისცეს? ანდა თევზი სთხოვოს და თევზის წილ

> გველი მისცეს? ანდა კვერცხი, რომ სთხოვოს, მორიელი მისცეს? ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, მეტადრე ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს“ (ლუკ.11:11-13;)

ზოგი ასწავლის, თითქოს როცა სულიწმიდას ითხოვთ, ამ დროს შეიძლება მის ნაცვლად ბოროტი სული მიიღოთ. იესოს ამ სიტყვებმა სრულიად უნდა გააქარწყლოს ამგვარი შიში. ღმერთი არის ყველა *კეთილი* საბოძვარის და *სრულყოფილი* ნიჭის მომცემი (იხ. იაკ.1:17;). თუ მამას სულიწმიდას სთხოვ, ის დემონს არ გამოგიგზავნით. ის თავის სულს მოგცემთ. ამიტომ, ნუ შეგეშინდებათ გაიხსნათ სულიწმიდით აღვსებისთვის.

როცა უკვე გაიხსნებით სულიწმიდისთვის, ნუ დაელოდებით, რომ ის წაგართმევთ ენას და გაიძულებთ უცხო ენებით ლაპარაკს. მან თავისუფალი ნება გიბოძათ. სულიწმიდა არასოდეს დაგაძალებთ. სატანა გაიძულებთ; მაგრამ სულიწმიდა წაგიძღვებათ, წარგმართავთ. სული მოგცემთ სიტყვებს (ეს შესაძლოა დაიწყოს ბგერებით, მარცვლებით ან თითქოს სიტყვის ფრაგმენტთა ბორძიკით), მაგრამ თქვენ უნდა მიჰყვეთ მას; თქვენი ბაგეები, ენა და ხმის იოგები სულიწმიდას უნდა დაუთმოთ. როცა ამგვარად მოიქცევით, ზეციური ენა თითქოს წამოდუღდება თქვენი სულიდან, როგორც ყავა წამოდუღდება ყავადნიდან. დასაწყისში შეიძლება მხოლოდ ერთი მარცვალი იყოს. მაგრამ, როცა რწმენით ილაპარაკებთ ამ ერთ მარცვალს და არ შეეწინააღმდეგებით, უფრო მეტი მოგეცემათ. კვლავ ვიმეორებ, ღმერთისგან ყოველივე რწმენით მიიღება. ენების ნიჭი გამონაკლისს არ წარმოადგენს. უბრალოდ რწმენით ილაპარაკეთ ის, რასაც სული გაძლევთ და თუნდ თავდაპირველად მხოლოდ ენის ბორძიკით დაიწყოთ, საბოლოოდ ის სრულად ჩამოყალიბებულ ენად გადაიქცევა.

უფრო მეტი სიმაღლეები

მიზეზი, თუ რატომ დავუთმე ბოლო ორი თავის უმეტესი ნაწილი ენების ნიჭის განხილვას, გახლავთ ის, რომ მე მჯერა ღმერთს სურს ყველანი ვფლობდეთ იმ ზეციურ ენებს, რომლებიც უფრო მჭიდროდ გვაკავშირებს მასთან და გვაერთიანებს მის ხალხს სასუფევლის მიზნებისთვის. სულიწმიდის სურვილია, რომ თითოეული მამაკაცი და ქალი იცნობდეს იესოს. როცა ვიხვეწებით მასთან სიახლოვესა და თანამშრომლობაში,

ის თვალს აგვიხელს და სრულიად ახლებურად დაგვანახვებს მსოფლიოს; დავინახავთ ქვეყნიერებას, რომელსაც უიმედოდ სჭირდება ქრისტე, მაგრამ მისი სულით, ჩვენ ასევე დავინახავთ და გვეცოდინება, როგორ შევასრულოთ ჩვენი მისია და როგორ გავაცნოთ ქრისტე ადამიანებს.

იმედი მაქვს სიამოვნებით კითხულობდით ღვთის სულის გასაცნობად მიძღვნილ ამ წიგნს. ის, რაც მოცემული წიგნიდან შეიტყვეთ სინამდვილეში მხოლოდ პატარა ნაჭერია მისი განუსაზღვრელი, მარადიული, შეუდარებელი საოცრებებისა — და მას სწადია, რომ თქვენი სიცოცხლის ყოველ დღეს, სულ უფრო და უფრო მაღალ საფეხურებზე აგიყვანოთ. მოგიწოდებთ, დრო და დრო, კვლავ ხელახლა გადაიკითხოთ ეს წიგნი, რათა სულიწმიდამ აღძრას თქვენი გული, რომ განახლებული და კიდევ უფრო მეტად სიღრმისეული გზებით განაგრძოთ მისი შეცნობა.

სულიწმიდის სიამოვნებაა, გაგიცხადოთ იესო. პატივი მიაგეთ მის თანდასწრებას და მიიწვიეთ ის თქვენი ცხოვრების ყოველ სფეროში, და არა მხოლოდ „სულიერში“. მან მოგცათ პირობა, რომ არასოდეს მიგატოვებთ — ისიამოვნეთ ამ არაჩვეულებრივი აღთქმით ყოველი დღის ყოველ წუთს. თუ ღვთის სიტყვას კითხულობთ და მის თანდასწრებაში დაყოფთ დროს, სულ უფრო ახლოს გაიცნობთ სულიწმიდას. აღმაფრთოვანებელი სიახლე კი ის გახლავთ, რომ ეს დაუსრულებელი მოგზაურობაა. ყოველთვის არის უფრო მეტი, რისი გაცხადებაც სურს მას თქვენთვის. ნუ დაჯერდებით იმას, რაც უკვე მოისმინეთ, იხილეთ ან ისწავლეთ. მიეცით იესო ქრისტეს სულს საშუალება მართოს თქვენი ცხოვრება და ამით თქვენი გონების და ხედვის საზღვრებს გააფართოვებთ. და მაშინ, მჯერა, თქვენ იხილავთ ღმერთის დიდებასა და ბრწყინვალებას, გამოვლენილს თქვენს ცხოვრებაში ისე, როგორც არასდროს.

სულით ლოცვა...
ხსნის კარს უფრო ინტიმური ურთიერთობისთვის

„რადგან თუ ენების ნიჭის პირადული ენით ადიდებ მას, ღმერთს ესმის შენი... რადგან საიდუმლოებებს უზიარებ, რომელიც მხოლოდ შენსა და ღმერთს შორისაა“

–1 კორინთელთა 14:2;

სულიწმიდის ენებით ლოცვის ყველაზე დიდ კურთხევას ღმერთთან უფრო მეტად დაახლოება წარმოადგენს. სამყაროს უფალს იმდენად ძლიერ სწადია ჩვენთან ურთიერთობა და სიახლოვე, რომ მან საკუთარი სული ჩადო ჩვენს სულებში, რათა კომუნიკაციის შესაძლებლობა მოეცა მისივე დონეზე. რა საოცარია! მწყემა, **კენეტ ჰეიგანმა** ამგვარად ჩამოაყალიბა:

> „ღმერთი სულია. როცა ენებით ვლოცულობთ, ჩვენი სული პირდაპირ უერთდება ღმერთს, რომელიც არის სული. ჩვენ მას ვესაუბრებით ზებუნებრივი ღვთიური საშუალებებით. ...უცხო ენებით ლაპარაკი არ გახლავთ სულიწმიდით აღვსების *საწყისი* ნიშანი მხოლოდ, არამედ ეს წარმოადგენს *უწყვეტ* განცდას, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. რა მიზნით? რათა შეგვეწიოს ღმერთის თაყვანისცემაში.
>
> განვაგრძობთ რა, ენებით ლოცვასა და ღმერთის თაყვანისცემას, ეს გვეხმარება მუდმივად შევიგრძნობდეთ მის მკვიდრ თანდასწრებას. თუ მე შევძლებ, რომ ვგრძნობდე სულიწმიდის მკვიდრ თანდასწრებას ყოველდღე, ეს ზეგავლენას იქონიებს მთელს ჩემს ცხოვრების წესზე“.[1]

როცა სულით ვლოცულობთ, ჩვენ საკუთარი გონებით კი აღარ ვლოცულობთ, არამედ ღმერთის გონებით. მისი სული ლოცულობს ჩვენგან მის სრულყოფილ ნებას!

მნიშვნელოვანია ყოველდღიურად ვლოცულობდეთ სულით და ვიკვებებოდეთ ღვთის სიტყვით, რადგან სწორედ ეს გვაკავშირებს ღმერთთან ასე ინტიმურად. რა დრო და ადგილი გაქვთ განკუთვნილი ღმერთთან ყოველდღიური მოზიარეობისთვის? რა სახით დაგანახათ სულიწმიდამ თქვენდამი ღრმა სიყვარული?

თუ არ გაქვთ განსაზღვრული დრო და ადგილი ლოცვისთვის, ილოცეთ და ჰკითხეთ სულიწმიდას როდის და სად სურს, რომ შეხვდეთ მას, რათა დაგანახოთ თვისი ღრმა სიყვარული თქვენს მიმართ.

როდესმე უპატიოდ გიხსენებიათ ენებით ლაპარაკის ნიჭი ან მოგიხდენიათ მისი უგულვებელყოფა? თუ ყოფილა ასეთი შემთხვევა, რატომ? რამდენად გეხმარებათ ეს სწავლება, რომ ენების ნიჭი დაინახოთ პოზიტიურ შუქზე ძლიერებით შემკობილი?

თუ გიხსენებიათ ენებით ლაპარაკის ნიჭი უპატიოდ ან მოგიხდენიათ მისი უგულვებელყოფა, სთხოვეთ უფალს, რომ გაპატიოთ და ხელახლა აღგავსოთ სულიწმიდით.

ზოგიერთი თავს არიდებს ლოცვითი ენების გამოყენებას იმ მიზეზით, რომ მხოლოდ ერთი ან ორი სიტყვა გააჩნია. თქვენც გეხებათ ეს? თუ ასეა, წარმოიდგინეთ სულიწმიდა ფაქიზად მოგმართავთ შემდეგი სიტყვებით: „მე შენ მიყვარხარ. გამოიყენებ იმას, რაც მე გიბოძე? გამოხატავ ჩემდამი სიყვარულსა და პატივისცემას იმ სიტყვების წარმოთქმით, რომელიც ახლა გაგაჩნია? თუმცა ბევრი არ არის, მაგრამ ისინი განსაკუთრებულია შენსა და ჩემს შორის“. შეჩერდით რამდენიმე წუთით და უპასუხეთ.

ნუ შეადარებთ თქვენს პირად ლოცვით ენას სხვებისას. როგორც კარგი მნე, გაუფრთხილდით იმას, რაც სულმა მოგანდოთ. მცირედზე ერთგულს კი დიდზე დაგაყენებთ! წაკითხეთ მათ. 25:14-23; განსაკუთრებით ჩაუკვირდით 20-23 მუხლებს.

სულით ლოცვა...

გვიცხადებს ღვთის საიდუმლოებებს

„თქვენ მოცემული გაქვთ ცოდნა ცათა სასუფევლის საიდუმლოებათა. ...ვინც იგებს ამ საიდუმლოებებს, მას უფრო მეტი ცოდნა მიეცემა, და ისინი იუხვებენ მათ შემეცნებაში...“

– მათე 13:11-12; GW

იესომ თქვა, რომ თქვენ მოგეცათ შესაძლებლობა გაიგოთ მისი სამეფოს საიდუმლოებანი. როგორ შეგვიძლია მივიღოთ და გავიგოთ ეს საიდუმლოებანი? მის სულთან მუდმივ ურთიერთობაში ყოფნით. ღვთის დაფარული ცხადდება, როცა სულით ლოცულობთ და მის თანდასწრებაში ატარებთ დროს.

ოსვალდ ჩამბერსი გახლდათ მწერალი, მქადაგებელი და ღმერთისადმი ერთგულების ჩემპიონი. მის ფართოდ ცნობილ წიგნში „*My Utmost for His Highest*“ ის ამბობს:

> „რა არის მეგობრის ნიშანი? ის, რომ თავის საიდუმლო მწუხარებას გაგიმხელს? არა, ეს არა. არამედ გაზიარება საიდუმლოსი, თუ რა ახარებს მის გულს. მრავალი გაგანდობს თავის დაფარულ მწუხარებას, მაგრამ სიახლოვის საბოლოო მაჩვენებელი დაფარულ *სიხარულთა* განდობაა“.[2]

სულიწმიდის მიერ თქვენთვის გაცხადებულ ღმერთის საიდუმლოთაგან რომელია ყველაზე გასაოცარი? რითია ის განსაკუთრებული?

_____

_____

_____

უზიარებთ სულიწმიდას თქვენს პირად ფიქრებს, გრძნობებს და სურვილებს? ოდესმე გისაუბრიათ მასთან თქვენს ყველაზე დიდ ოცნებებსა და ყველაზე დიდ შიშებზე? მეგობარს ეუბნებიან. შეჩერდით და გაუზიარეთ მას რაიმე პირადული — თქვენთვის ძალიან ძვირფასი, რაც მანამდე არ გიხსენებიათ.

_____

_____

თუ არ ესაუბრებით სულიწმიდას თქვენი პირადული დაფარული თემების ირგვლივ, რატომ? სთხოვეთ მას დაგანახოთ რა გაბრკოლებთ და დაგეხმაროთ, რათა სრულად და თავისუფლად გადაუშალოთ მას თქვენი გული.

ღმერთთან მოზიარეობაში ყოფნა არ ნიშნავს მხოლოდ ლაპარაკს; ეს ასევე გულისხმობს მოსმენას. ამ ორის დაბალანსება აუცილებელია. თუ არ ვუთმობთ დროს მოსმენას, ჩვენ ვერ გავიგებთ, რას გვეუბნება სული. ჩამბერსი განაგრძობს:

> „ოდესმე, ვაძლევთ ღმერთს საშუალებას გაგვიზიაროს თავისი სიხარული, თუ იმდენად შეუჩერებლად ველაპარაკებით ჩვენს საიდუმლოებებზე, რომ მას აღარ ვუტოვებთ ადგილს, რათა დაგველაპარაკოს? ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისში ჩვენ სავსენი ვართ ღმერთის მიმართ თხოვნებით, შემდეგ კი, ვგებულობთ, რომ ღმერთს სურს ურთიერთობაში შევიდეთ მასთან, შევეხოთ მის მიზნებს. გვაქვს კი იმდენად მტკიცედ შესისხლხორცებული იესო ქრისტეს ლოცვის აზრი — „იყოს ნება შენი“ — რომ შეგვიძლია ღმერთის საიდუმლოებებს ჩავწვდეთ?“.[3]

ღმერთი ამბობს, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს, ეს კი ნიშნავს, რომ ლოცვაშიც არის დრო ლაპარაკის და დრო ჩუმად ყოფნის (იხ. ეკლ.3:1-7;). ჰკითხეთ სულიწმიდას: „ყოველთვის მე ვლაპარაკობ ლოცვისას? გითმობ დროს, რათა გამიცხადო შენი საიდუმლოებები? ცდილობდი გეთქვა რაღაც ჩემთვის, მაგრამ მე არ ვიყავი საკმარისად წყნარად, რათა გამეგო? თუ ასეა, რისი თქმა გსურდა?“. გაჩუმდით და მოუსმინეთ. რას გეუბნება სულიწმიდა?

„ეს არის ჩემი ლოცვა, რათა მოგცეთ თქვენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სულიერი სიბრძნე და გამოცხადება მის შესაცნობად: რათა მიიღოთ სულის შინაგანი განათლება, რაც დაგეხმარებათ შეიცნოთ რამდენად დიდია იმედი, რომლისკენაც მან მოგიწოდათ — ბრწყინვალება და სიმდიდრე ქრისტიანთათვის აღთქმული მემკვიდრეობისა — და რა განუზომელია მისი ძალა ჩვენში, რომელთაც გვწამს ღმერთი“

– ეფესელთა 1:17-19; Phillips

სულით ლოცვა...

წარმოქმნის შინაგან სიმშვიდეს

„ხოლო სული ამ სახის ნაყოფებს წარმოქმნის
ჩვენს ცხოვრებაში: ... მშვიდობა...“

– გალატელთა 5:22;

რა არის მშვიდობა? ზოგჯერ იმის ცოდნა, თუ რა არ არის, გვეხმარება გავიგოთ რა არის ის სინამდვილეში. ჭეშმარიტი მშვიდობა ანუ მშვიდობა, რომელსაც იესო გვაძლევს თავისი სულით, არ არის საბანკო ანგარიშზე უზარმაზარი თანხის ქონა, უნაკლო ჯანმრთელობა, მშვენიერი სახლი და ექსტრავაგანტური ქონება ან უკომფლიქტო ურთიერთობები.

ჭეშმარიტი მშვიდობა — ღმერთის მშვიდობა — არ არის განპირობებული გარეშე გარემოებებით ან პირობებით. ეს გახლავთ სტაბილურობა სიძნელეებში. ეს არის უნარი შეინარჩუნო გონებრივი, ემოციური, ფიზიკური და სულიერი სიმშვიდე და თავშეკავება პრობლემათა შუაგულში.

შეჩერდით და საკუთარ თავს ჰკითხეთ, როგორ მესმის მე მშვიდობა? რას ემყარება ჩემი მშვიდობა? რითი განსხვავდება ჩემეული გაგება მშვიდობისა სულიწმიდის ჭეშმარიტი მშვიდობისგან? რისი შეცვლაა საჭირო?

იესო ქრისტეს მსხვერპლის მეშვეობით, ჩვენ მოგვეცა მშვიდობა *ღმერთთან*. ხოლო, სულიწმიდით აღვსების მეშვეობით მოგვეცა *ღმერთის* მშვიდობა. იესომ თავად თქვა:

> „მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, **ჩემს საკუთარ მშვიდობას** გაძლევთ თქვენ და ჩემი მშვიდობა არ არის წუთისოფლის მშვიდობის მსგავსი. თქვენ არ უნდა დამწუხრდეთ და არ უნდა შეშინდეთ“
>
> – იოანე 14:27; Phillips

როგორ უნდა მოვიქცეთ მშვიდობის მეფის მიერ ბოძებული მშვიდობით?

> „ბატონობდეს (**განუწყვეტლივ მოქმედებდეს, როგორც მსაჯი**) თქვენს გულებში ღვთის მშვიდობა (ჰარმონია, რომელიც შინაგანში მოდის) [თქვენს გონებაში წამოჭრილი ყოველი საკითხი, განსაჯეთ და გადაწყვიტეთ საბოლოოდ ამ მშვიდობიან მდგომარეობაში], რომლისკენაც მოწოდებულნი ხართ [რომ იცხოვროთ] ერთ სხეულად [როგორც ქრისტეს ასოები]“
>
> – კოლასელთა 3:15; AMP

წარმოიდგინეთ ბეისბოლის თამაში; თქვენ ხართ უკუმგდებელი (ბეთერი), თქვენს უკან ჩაცუცქულია *მშვიდობის მსაჯი* და ყოველი ბურთი, რომელსაც ბურთის მიმწოდებელი (პიჩერი) გესვრით არის გადაწყვეტილება, რომელიც თქვენ უნდა მიიღოთ. ახლა დაკვირვებით წაიკითხეთ კოლ. 3:15. რამდენად მნიშვნელოვანია მსაჯის გადაწყვეტილებები? რას გეუბნებათ სულიწმიდა იმის თაობაზე, რომ მისცეთ მას უფლება იყოს თქვენი მშვიდობის მსაჯი?

_____

_____

_____

ძირითადი საშუალება, რომლითაც სულიწმიდას მივყავართ ღმერთის სრულყოფილი ნებისკენ, მშვიდობის გრძნობაა ჩვენს შიგნით. ამას გულისხმობს წმიდა წერილი, როცა ამბობს: „სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს“ (რომ.8:16;). რა გადაწყვეტილებები გაქვთ მისაღები ამჟამად, რომელშიც სულიწმიდისგან მართველობას და დახმარებას საჭიროებთ? შეჩერდით და სულით ილოცეთ. შემდეგ დაელოდეთ მშვიდობის მოწმობას მისგან. რას გელაპარაკებათ ის?

_____

_____

_____

სულით ლოცვა...

გვიცხადებს სიბრძნესა და მიმართულებას

„თუ გწადია იცოდე რა სურს ღმერთს, რომ გააკეთო, სთხოვე მას, და ის სიხარულით გაუწყებს, რადგან ყოველთვის მზადაა უხვად აავსოს სიბრძნით ყველა, ვინც სთხოვს; ეს მას არ განარისხებს“

– იაკობი 1:5; TLB

ვინ არის სიბრძნისა და მიმართულების მომცემი? სულიწმიდა. ესაია მას უწოდებს სიბრძნისა და გონიერების სულს, ცოდნის სულს და რჩევის სულს. იესომ თქვა, რომ ის არის ჩვენი მასწავლებელი, რომელიც შეგვიძღვება ყოველგვარ ჭეშმარიტებაში. სად მკვიდრობს ჩვენი მასწავლებელი? ჩვენში — თავის ტაძარში. როცა კი გაკლია სიბრძნე და არ იცი რა გააკეთო, ილოცე გონებით და სულით და ის მოგცემს საჭირო მიმართულებას!

გამოყავი დრო და ღრმად ჩაუფიქრდი ამ დიდებულ აღთქმებს და გახსოვდეთ, რომ უფალი და სული ერთია.

„ასე ამბობს უფალი...'მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელიც გასწავლის რა არის კარგი შენთვის და მიგიძღვის იმ გზაზე, რომელზეც უნდა დადიოდე“

– ესაია 48:17; NLT

„როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევ, შენი ყურები მოისმენენ ხმას შენს ზურგს უკან, რომელიც გეუბნება: 'ეს არის გზა, მას გაჰყევი'“

– ესაია 30:21;NIV84

„მე [უფალი] მიგითითებ და გასწავლი გზას, რომლითაც უნდა იარო, დაგარიგებ შენ და თვალს დავიჭერ შენზე“

– ფსალმუნი 31:8; AMP

„ხოლო მეგობარი კი, სულიწმიდა, რომელსაც ჩემი თხოვნით მოავლინებს მამა, ყველაფერს განგიმარტავთ“

– იოანე 14:26; The Messenger

„როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ სრულ ჭეშმარიტებაში“

– იოანე 16:13; NLT

„მაჩვენე კვალი, საით უნდა წავიდე, უფალო; მიმითითე სწორი გზა, რათა ვიარო. წარმიძეხ, მასწავლე, რადგან შენ ხარ ღმერთი ჩემი ხსნისა. არ გამაჩნია იმედი შენს გარდა. ...ის ასწავლის სწორ და საუკეთესო გზას მათ, რომლებიც თავმდაბლობით მოტრიალდებიან მისკენ. ...ვინ არის კაცი, მოშიში ღვთისა? ღმერთი ასწავლის მას, როგორ აირჩიოს საუკეთესო“

– ფსალმუნი 24:4-5, 9, 12;

რომელ სფეროში გესაჭიროებათ სიბრძნე და მიმართულება? სამსახური? ჯანმრთელობა? ქორწინება? შვილები? ფინანსები? მეგობრები? რაც არ უნდა იყოს, ეცადეთ ამ საფეხურების გავლით იაროთ:

1. *სიბრძნის მისაღებად* კონკრეტულად აუწყეთ ღმერთს *თქვენი სათხოვარი*, და მადლობა შესწირეთ, წარსულში მის მიერ ნაჩვენები მამართულებებისთვის (ფილ.4:6-7;);

2. *ილოცეთ სულით*. გამოიყენეთ ენების ნიჭი, რათა იმდენ ხანს ილოცოთ და ისე მხურვალედ, როგორც სულიწმიდას სურს ილოცოს თქვენგან (იხ. ეფეს.6:18; რომ.8:26-27;);

3. *თხოვეთ სულიწმიდას განმარტება*. ის გაგიმჟღავნებთ თუ რა ილოცეთ (იხ. 1 კორ.14:13;);

4. *დაწერეთ, რაც სულმა გაგიცხადათ* (გააცნობიერეთ, რომ ეს შესაძლოა მყისიერად არ მოვიდეს, მაგრამ აუცილებლად მოვა);

5. *ითხოვეთ სულიწმიდისგან მადლი*, რათა მისგან მოცემული მიმართულებით იმოქმედოთ.

ყველაზე მეტად სიბრძნეს და მიმართულებას ვსაჭიროებ....

ეს გახლავთ სიბრძნე და მიმართულება, რომელსაც სულიწმიდა მაძლევს: ...

სულით ლოცვა...
გაძლიერებთ და გაშენებთ

„ის, ვინც ენით ლაპარაკობს, პირადად მტკიცდება...“

– 1 კორინთელთა 14:4; NLT

რატომ იბრძვის მტერი ასე გამალებით, რომ ხელი აგაღებინოთ ენებით ლოცვაზე? 1 კორ. 14:4; ამისთვის საკმაოდ დიდ მიზეზს იძლევა: მას არ სურს, რომ განმტკიცდეთ. რამდენადაც ძლიერი ხართ სულიერად, იმდენად ძლიერი ხართ ასევე ქრისტესთვის — და იმდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენთ სატანის სამეფოსთვის.

ისევე, როგორც ავტომანქანის დინამო გენერატორი მუხტავს აკუმულატორს, სულით ლოცვა მუხტავს თქვენს სულს. ის გამოდევნის შიშს, დეპრესიას და ყოველივე უარყოფითს. მისი მოქმედება თქვენს აღსაშენებლად შეუძლებელია სრულად აღიწეროს. როცა ენებით ლოცულობთ, თქვენ აფართოვებთ თქვენს შესაძლებლობებს, დაიტიოთ ღმერთის თანდასწრება და ძალა.

რეგულარულად ლოცულობთ სულით თუ *იშვიათად*? თუ რეგულარულად, *რა სიხშირით* და *რა ხანგრძლივობით*? თუ იშვიათად, რატომ?

რა ხდება თქვენს შიგნით, როცა ენებით ლოცვას უთმობთ დროს? სულის სხვა რომელ ნაყოფებს და გამოვლინებას ხედავთ თქვენში ენებით ლოცვის შედეგად? რამდენად აღგძრავთ ეს, რომ ილოცოთ?

ჩვეულებრივ, როგორია თქვენი რეაქცია სტრესულ, გამთანგველ სიტუაციებში? გიცდიათ ასეთ დროს ენებით ლოცვა? შეჩერდით და ილოცეთ: „სულიწმიდა, შეცვალე ჩემი ბუნებრივი,

უარყოფითი რეაქცია, ზებუნებრივი, დადებითი რეაგირებით, რაც ენებით ლოცვაა. ამავსე შენით ისე, როგორც არასდროს“.

რა ნაბიჯების გადადგმას გთხოვთ სულიწმიდა იმისათვის, რომ უფრო მეტად აავსოს თქვენი ყოველდღიური ცხოვრება? ჩამოწერეთ და შეასრულეთ.

ეჭვგარეშეა, მტერმა უკვე მოგიტანათ გონებაში ფიქრები და აღძრა თქვენი ხორციელი გრძნობები ენებით ლოცვის წინააღმდეგ. ამას ის ყველა მორწმუნის მიმართ ცდილობს. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე გავრცელებული მიზეზი და საბაბი, რომელსაც ის სთავაზობს ადამიანებს. გეცნობათ? დაწერეთ თუ კიდევ სხვა მიზეზებიც გახსენდებათ; შემდეგ ილოცეთ და სთხოვეთ სულიწმიდას მოგცეთ ღვთიური პასუხი მტრის მიერ მოტანილ ყოველ ტყუილზე.

ეს არ არის ღმერთისგან; შენ მოიგონე.

თავს ისე სულელურად ვგრძნობ.

შენ უბრალოდ იმეორებ სხვისგან მოსმენილს.

არანაირი სიკეთე არ მოაქვს ამას.

ვერ ვგრძნობ ჩემში ენებით ლოცვის სურვილს.

მხოლოდ ერთი თუ ორი სიტყვა მაქვს.

რას იფიქრებს ეს და ეს პიროვნება ჩემი ლოცვა რომ მოისმინოს?

მეგობარო, ნუ მოატყუებინებთ მტერს თავს ფიქრებით, რომ არ უნდა ილოცოთ ენებით. მოიშორეთ მისგან მოტანილი აზრები და გრძნობები. გახსენით თქვენი ბაგეები ყოველდღიურად და „აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე სულიწმიდით ლოცვის მეშვეობით“ (იუდ.20; The Message).

სადისკუსიო საკითხები

1 | ენებით ლოცვა (სულიწმიდის ენები) უაღრესად სასიკეთოა. ჩამოთვალეთ მისი ყოველი სარგებელი, რაც გახსენდებათ. ამათგან რომელია თქვენთვის ყველაზე ძვირფასი თქვენი ცხოვრების მოცემულ ეტაპზე? თუ შეგიძლიათ, განმარტეთ რატომ?

2 | ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ მოგვცა ღმერთმა ენების ნიჭი, გახლავთ ის, რომ ეშმაკს არ სცოდნოდა რა ხდება. ღმერთი ყოვლისმცოდნეა; სატანა - არა. სატანას არ ძალუძს გაიგოს სულიწმიდის ენები. გაუზიარეთ დანარჩენებს კონკრეტული შემთხვევა ან შემთხვევები, როცა ენებით ლოცვის (შუამდგომლობის) შედეგად, დაძლიეთ ეშმაკის ჩანაფიქრი საკუთარ ან სხვების ცხოვრებაში;

ხელმძღვანელებისთვის: განსახილველი მუხლები: ლუკ. 10:9; ეფეს. 6:10-18; 2 კორ. 10:3-5; მათ. 11:12; გამოცხ. 12:11.

„ილოცეთ სულით ყოველ ჟამს და ყოველ ვითარებაში. მუდამ იფხიზლეთ ამაზე ყოველგვარი სიმედგრით და ლოცვით ყველა წმიდისათვის“

– ეფესელთა 6:18; NLT

3 | როცა გვესაჭიროება სიბრძნე თუ როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში, სულიწმიდით ლოცვა მთავარი გასაღებია ღვთაებრივი მიმართულების მისაღებად. ყურადღებით წაიკითხეთ იგავ. 20:5; 1 კორ. 14:13; და იოან. 7:38-39. აღწერეთ, ენებით ლოცვის შედეგად, როგორ ხდება ღვთიური რჩევის გამოთავისუფლება, რომელიც ჩვენი გულის სიღრმეშია ჩადებული;

4 | სულიწმიდის პიროვნებასთან თანაზიარებაში მკვიდრობა ღვთის დაფარულ საიდუმლოებათა გამჟღავნების საშუალებას იძლევა. ეს საიდუმლოებანი ასევე მოიცავს საკითხებს, როგორიცაა: რომელ ეკლესიაში ვიაროთ,

ვისზე ვიქორწინოთ, სად ვიმუშაოთ, რომელი სახლი შევიძინოთ, როგორ ვილოცოთ სხვებისთვის, როგორ ვიყოთ უკეთესი მეუღლე ან მშობელი, როგორ გავუმკლავდეთ ცხოვრებაში წარმოქმნილ სხვადასხვა სახის სიძნელეებს. თუ გაქვთ ამის სურვილი, გაუზიარეთ თქვენს ჯგუფს ენებით ლოცვის შედეგად თქვენთვის როგორ გამოთავისუფლდა პასუხი ჩამოთვლილთაგან ერთ ან რამდენიმე სფეროში;

5 | 1 კორ. 14:15-ში ვხედავთ, რომ ორივე მნიშვნელოვანია, როგორც ენებით ლოცვა, ასე გონებით. გონებით ლოცვის სარგებელთაგან ჩამოთვალეთ რამდენიმე. როგორ გვეხმარება სულით ლოცვა, რომ გონებით ლოცვა უფრო ზუსტი იყოს?

6 | 1 თეს. 5:17; გვაძლევს მითითებას, რომ „ვილოცოთ განუწყვეტლივ“. ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ ოცდაოთხი საათის განმავლობაში მუდმივად უნდა ვლოცულობდეთ, თუ რაღაც სხვაზე მიუთითებს ეს? წაიკითხეთ 1 თეს. 5:16-19; და განიხილეთ, რას გვეუბნება ღმერთი;

7 | ზოგიერთი მორწმუნე, რომელნიც სულიწმიდით არიან აღვსებულნი, ზემოდან უყურებენ მათ, რომელთაც ეს საოცარი ნიჭი არ მიუღიათ — მათ თითქოს მეორეხარისხოვან ქრისტიანებად მიიჩნევენ. თქვენ ოდესმე მოგეპყროთ ვინმე ამგვარად? თუ ასეა, როგორ იმოქმედა ამან თქვენს ურთიერთობაზე ღმერთთან და სხვა მორწმუნეებთან? თქვენ თუ გამოგიჩენიათ ანალოგიური დამოკიდებულება სხვების მიმართ, შეგნებულად ან შეუგნებლად? როგორი უნდა იყოს ჩვენი შეხედულება სულიწმიდით აღვსების საკითხისადმი?

შენიშვნები

მეხუთე თავის შეჯამება:

- სულიწმიდასთან პირადი ინტიმური გამოხატულებებისთვის, ენებით ლოცვის ჩათვლით, საჭიროა სწორი დროისა და ადგილის შერჩევა;

- ნუ უგულვებელყოფთ, ნუ შეიძულებთ ან შეიკავებთ თავს ენებით ლოცვისგან იმის გამო, რომ ვიღაც ამ ნიჭს არასწორად იყენებს;

- ენებით ლოცვის დროს, თქვენ ღვთის საიდუმლოებებს ლაპარაკობთ და თქვენ შეგიძლიათ სთხოვოთ სულიწმიდას, მოგცეთ თქვენი ლოცვების განმარტებები;

- სულიწმიდის ძალა თავმდაბლებს ენიჭებათ. თავმდაბლობა ხსნის კარს ღვთის საიდუმლოებებისკენ;

- როცა გვესაჭიროება სიბრძნე, როცა ღმერთის ღრმად თაყვანისცემა გვსურს ან გვინდა ვიშუამდგომლოთ სხვებისთვის, ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ ენებით. სულიწმიდა აფართოვებს ჩვენს შესაძლებლობებს ყველა ზემოხსენებულ სფეროში;

- ღმერთისგან მიმართულება ხშირად მშვიდობის სახით მოდის; როცა სულით ვლოცულობთ და გვაქვს მშვიდობა კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, ამით სულიწმიდა ემოწმება ჩვენს სულს და გვეუბნება, რომ გავაგრძელოთ წინსვლა;

- ენებით ლოცვა ანახლებს და აშენებს მთელ ჩვენს არსებას. გამოყავით დრო ენებით ლოცვისთვის ყოველდღიურად!

ბონუს თავი

კითხვა-პასუხი

მოცემული ტექსტი აღებულია პირდაპირი ეთერიდან, სადაც ჯონ და ლიზა ბევირები პასუხობენ კითხვებს. ამ გადაცემის ნახვა შეიძლება აუდიო ან ვიდეო ფორმატში, როგორც სულიწმიდის შესახებ მასალის ნაწილი

„Messenger"-გან.

ლიზა: შენ საუბრობდი, რომ ზოგიერთი ეკლესია იმდენად არის ორიენტირებული სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნაზე, რომ ისინი ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას სულიწმიდის თანდასწრებაზე. მრავალ ეკლესიას სურს გაიგოს როგორ მოიწვიონ კვლავ სულიწმიდა — „უცნაური" და არაფრის მომცემი ხანგრძლივი მსახურებების უკან დაბრუნების გარეშე. როგორ შეიძლება მიაღწიონ ამას?

ჯონი: უბრალოდ უნდა ითხოვონ. როგორც უკვე აღვნიშნე, სულიწმიდა არ არის მოძალადე. ინიციატივის გამოჩენას ის ყოველთვის ჩვენ გვითმობს.

ხშირად, როცა ეკლესიებში მივდივარ საქადაგებლად და მსახურების ბოლოს ადამიანები წინ გამოდიან ხსნის მისაღებად, მე ვლოცულობ: „სულიწმიდა, გთხოვ შეეხე მათ". რამდენიმე წუთში მისი თანდასწრება ვლინდება და ადამიანები ტირიან. მე ეს მახარებს, რადგან ბიბლია ამბობს, რომ ადამიანებმა უნდა იგემონ ზეციური ნიჭი (იხ. ებრ.6:1-6;) და როგორც დავაკვირდი, გაცილებით უფრო ნაკლებია განდგომილების ფაქტები მათში, რომლებმაც იგემეს ზეციური ნიჭი — რაც არის სულიწმიდის თანდასწრების გამოვლინება.

ერთხელ, ერთ დიდ ეკლესიას ვსტუმრობდი, რომელმაც მიატოვა მსახურების გარკვეული ფორმები, რომლებიც ძველ ქარიზმატულ მსახურებებს მოგვაგონებდა. ერთ-ერთ მსახურებაზე, სულიწმიდამ თავისი თანდასწრება გამოავლინა. ყველანი ტიროდნენ; ღმერთის თანდასწრება ძლიერად იგრძნობოდა. უფალმა მითხრა: „ახლა დროა უთხრა მათ, რომ მადლობა და დიდება მიუძღვნან ღმერთს" ასეც გავაკეთე და მსახურება

დავასრულე. ცოტა ხანში მწყემსმა მითხრა: „ ვფიქრობდი, *რა კარგია, ახლა ალბათ, გავაგრძელებთ მსახურებას კიდევ ერთი საათით და უცნაური რაღაცეებიც მოხდება, როგორც იყო ხოლმე“.* მან განაგრძო: „მომწონს, უფალმა როგორც წარმართა მსახურება შენი მეშვეობით. როცა გამოაცხადე, რომ ღმერთმა დაასრულა მოქმედება, მე ეს ვიგრძენი. თითქოს მან აღასრულა თავისი მიზანი და ამ დროს მსახურებაც დაასრულე“. მინახავს ღმერთის თანდასწრების გამოვლინება, რომელიც გაგრძელებულა თუნდ ორიოდე წუთით, მაგრამ ამას სიღრმისეული ზეგავლენა მოუხდენია ადამიანებზე.

ლიზა: მე და ჯონმა ახლახანს ვისაუბრეთ ამ საკითხზე. ზოგჯერ, მსახურებაზე საქადაგებლად მხოლოდ ოცდათხუთმეტი წუთი გვაქვს, მაგრამ ეს ჩვენი ოცდათხუთმეტი წუთია. ამრიგად, ოცდათხუთმეტი წუთი ქადაგების ნაცვლად...

ჯონ: იქადაგე ოცდაათი.

ლიზა: იქადაგე ოცდაათი, ან შუალედში გააკეთე პაუზა სულიწმიდისთვის. დაუთმეთ სულიწმიდას დრო, რათა იმოქმედოს. ზოგჯერ მსახურები იმდენად დაკავებულნი არიან მცდელობით შეეხონ რაც შეიძლება მეტ საკითხს, რომ ავიწყდებათ სულიწმიდას მისცენ საშუალება მან გააჯეროს მათი ქადაგება.

ლიზა: რას იტყვი, როცა სულიწმიდა რაღაცას გვიკრძალავს, როგორ ხდება ეს და რას ვგრძნობთ ამ დროს?

ჯონი: კოლასელების მიმართ წერილი გვარიგებს: „ბატონობდეს თქვენს გულებში ღვთის მშვიდობა“ (იხ. კოლ.3:15;). შემდეგ რომაელთა მიმართ წერილის მე-8 თავი გვეუბნება: „რადგან ისინი, რომლებიც ღვთის სულით წარიმართებიან, ღვთის შვილები არიან“ (მუხ.14;). სიტყვა „შვილი“ ამ მუხლში არის ბერძნული სიტყვა *huios*, რაც ნიშნავს „მოწიფულ შვილს“.[1] ყველა ქრისტიანი არ გახლავთ სულით წარმართული. მრავალი მართულია ემოციებით, ინტელექტით ან სიტუაციებითა და გარემოებებით. ღმერთმა თქვა, რომ მოწიფული შვილები წარიმართებიან სულით. როგორ წარგვმართავს სული? მას მოაქვს მოწმობა ჩვენს სულში (მუხ. 16). ამგვარად, ვთქვათ მე მსურს რომელიმე ქალაქში გამგზავრება და ვგრძნობ რაღაც მღრღნის შინაგანად – თითქმის გამაღიზიანებელი შეგრძნება – თითქოს სულს მიფხაჭნის –

ლიზა: ყოფილა მართლაც, რომ სადმე გდომებია წასვლა, სადაც არ უნდა წასულიყავი?

ჯონი: დიახ.

ლიზა: შედეგი რა იყო?

ჯონი: შედეგი იყო ის, რომ მე ვთქვი: „ამას აღარასოდეს გავაკეთებ“. საშინელება იყო. მე ვისწავლე, რომ თუ ამგვარი გამაფრთხილებელი ნიშანი აინთო, უნდა გავჩერდე.

ერთხელ იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთ მსახურებაზე მისვლას დავთანხმდი, შემდეგ კი ვიგრძენი, რომ უფალს არ სურდა ჩემი იქ წასვლა. მაგრამ ვინაიდან უკვე სიტყვა მქონდა მიცემული, ვთქვი: „უფალო, შენ ამბობ, რომ ჩემს საზიანოდაც რომ დავიფიცო, მაინც აღარ უნდა შევცვალო სიტყვა. მე უნდა წავიდე, მაგრამ შენი დაცვა მჭირდება“. მას არ უსაყვედურია ჩემთვის ამის გამო. ჩემს გამგზავრებას წარმატებით არ ჩაუვლია, თუმცა მე აშკარად ვგრძნობდი მის მფარველობას.

ყოველთვის უკეთესია, თავიდანვე შევამჩნიოთ გამაფრთხილებელი ნიშანი*: ეს არ გააკეთო*. გასაოცარია — მაგრამ შენ შეგიძლია იცნო ეს სიგნალი. და რაც უფრო მეტ ხანს დადიხარ მასთან ერთად, მით უფრო მგრძნობიარე ხდები ამის მიმართ.

ლიზა: შენ საუბრობდი დოქტორი ჩოს შესახებ და თუ როგორ ივსებს ის თავს სულიწმიდით ლოცვის მეშვეობით. მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გასაღები, რასაც მრავალი ადამიანი ვერ ხვდება არის ის, რომ დოქტორი ჩო მრავალ რამეს ეუბნება „არა“-ს, რათა დაიცვას ის დრო, რომელსაც სულიწმიდასთან ერთად ატარებს. სულიწმიდა გვეტყვის, რომ უარი ვთქვათ რაღაცეებზე, რისი კეთებაც *შეგვიძლია*, რათა შემდეგ მან *შეუძლებელი* გააკეთოს ჩვენს ცხოვრებაში.

ჯონი: საქმეების წიგნში სულიწმიდით აღვსების ისტორია მეორე თავშია აღწერილი, მაგრამ შემდეგ 4:8-ში წერია, რომ პეტრე „აღივსო სულიწმიდით“ და მიმართა მთავრებს, ასევე 4:31-ში წერია, რომ მორწმუნეები „აღივსნენ სულიწმიდით“. სულიწმიდით აღვსება არ წარმოადგენს ერთჯერად მოვლენას. ღმერთი ამბობს: „ნუ დათვრებით ღვინით, არამედ განუწყვეტლივ იყავით აღვსილნი სულიწმიდით“ (იხ. ეფეს.5:18; AMP). უნდა ვივსებოდეთ, არ ნიშნავს, რომ იღვრება და უნდა შევავსოთ ისევ, არამედ ჩვენ უნდა გვსურდეს, რომ გამუდმებით ვიყოთ გაჟღენთილნი

სულიწმიდით. არის ჩვენს ქორწინებაში დრო, როცა ჩვენ გაჯერებულნი ვართ ერთმანეთისადმი სიყვარულით. მაგრამ არის მომენტები, როცა ახლოს არ ვიყავით ერთმანეთთან და კვლავ გვჭირდებოდა ერთმანეთის სიყვარულით გაჯერება.

ლიზა: ეს უნდა გსურდეს.

ჯონი: დიახ ასეა. იყო სულით აღვსილი, ეს გამუდმებული პროცესია. და, როცა სულით ხარ აღვსილი, ეს გამოიხატება ფსალმუნებით, საგალობლებით და სულიერი სიმღერებით (იხ. ეფეს.5:18-20;). აღმოაჩენ, რომ მღერი. ამ კვირის განმავლობაში განსაკუთრებულად ბევრს ვმღეროდი.

ლიზა: გამორთე ტელევიზორი.

ჯონი: დიახ, გათიშეთ ტელევიზორი.

ლიზა: შეზღუდეთ ყველაფერი, რასაც შეუძლია გამოგფიტოთ.

ლიზა: ყველა მორწმუნეს შეუძლია იმსახუროს სულიერი ნიჭებით, თუ მხოლოდ მსახურებს?

ჯონი: მე მჯერა, რომ თითოეულ მორწმუნეს აქვს შესაძლებლობა იმოქმედოს ნებისმიერ სულიერ ნიჭში. როცა ვიღაცას დიდი სასწაული ესაჭიროება, სასწაულთქმედების ნიჭი ნებისმიერ მორწმუნეს შეიძლება მიეცეს. ასევე, გარკვეული ადამიანების ცხოვრებაში ღმერთი დებს განსაზღვრულ ნიჭებს და ეს ნიჭები მათგან მოქმედებს ყველგან, სადაც არ უნდა წავიდნენ.

ლიზა და მე ვიცნობდით ერთ პიროვნებას განკურნების ნიჭით, რომელიც საშუალებას აძლევდა მას, კონკრეტულად გულის დაავადებების მქონეთ მომსახურებოდა. ადამიანები, გულის პრობლემებით, ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ მის მსახურებებზე დასასწრებად და ისინი იკურნებოდნენ. განკურნების ნიჭი, რომელიც მიეცა, დაეხმარა მას აღესრულებინა მსახურება, რომლისთვისაც იყო მოწოდებული.

მაგრამ, მე ასევე მახსენდება ჩემი მეგობარი, რომლის შვილიც აბაზანაში დაიხრჩო. მას დაუდასტურდა სიკვდილი. ის ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში იყო მკვდარი. ჩემი მეგობარი მიყვებოდა: „ჯონ, ოცდაათი წუთი ვლოცულობდი ისე, რომ არაფერი ხდებოდა, არაფერი იცვლებოდა. ექიმები ეჭვით მი-

ყურებდნენ. შემდეგ მოულოდნელად, თითქოს რაღაცამ დამ-
არტყა თავში. ვიღაც სხვამ გამოიხედა ჩემი თვალებიდან და
ჩემს შვილს ვუთხარი: 'შენ იცოცხლებ, არ მოკვდები'". და მისი
მკვდარი შვილი გაცოცხლდა. მას სჯერა, რომ ეს „რწმენის ნიჭი"
იყო, რაც მოულოდნელად მოვიდა მასზე. ეს ნიჭი იმ დროს იყო
საჭირო.

ლიზა: და ის არ გახლდათ მსახური.

ჯონი: ის პოლიციის ოფიცერი იყო და ზუსტად იმ დროს დაბ-
რუნდა მსახურებიდან, სადაც მან ცხოვრებაში პირველად იქა-
დაგა.

ლიზა: მინდა კიდევ ერთხელ მკაფიოდ დავამოწმო, რომ ნების-
მიერი მორწმუნისგან, რომელიც აღვსილია სულიწმიდით, მისი
ცხოვრების ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამოვლინდეს სუ-
ლის ნიჭი.

ჯონი: საჭირო არ არის დაელოდო, როდის მოგეცემა განკურ-
ნების ნიჭი. იესომ თქვა: „ეს სასწაულები იქნება მორწმუნეთა
თანმხლები: ჩემი სახელით ავადმყოფებს ხელებს დაასხამენ"
(იხ. მარკ.16:17-18;). აქ ლაპარაკია, როცა რწმენის ლოცვით
ლოცულობ ვინმეს განკურნებისთვის. ღმერთი დააფასებს ამას,
რადგან ის აფასებს თავის სიტყვას.

ლიზა: ასევე, საჭირო არ არის დაელოდოთ, როდის დაგაყენებთ
მწყემსი კათედრასთან. არც ის გჭირდებათ, რომ ეკლესიის
დერეფნის კუთხეში გამოიჭიროთ ვინმე. თქვენ ფაქტობრივად,
შეგიძლიათ მოუხმოთ ღმერთის ძალას და აღთქმებს თქვენს
ყოველდღიურ ცხოვრებაში, თქვენს ჩვეულ სამყაროში. თუ სუ-
ლიწმიდა განაწყობს თქვენს გულს, რომ დაელაპარაკოთ ვინმეს,
შეეხოთ ვინმეს, ილოცოთ ვინმესთვის ან იყოთ კეთილი ვინმეს
მიმართ — იქნებ უკეთესია დაიწყოთ იმით, რომ იყოთ კეთილი?
ეს შესანიშნავი იქნებოდა! ჩვენ ეს შეგვიძლია.

ჯონი: ესეც სულის ერთ-ერთი ნიჭია — მწყალობელი.

**ლიზა: ჩვენ ვიცით, რომ სულიწმიდა მოვიდა, რათა გააცხადოს
ქრისტე. ამიტომ, როცა ვსაუბრობთ სულის გამოვლინებებზე,
ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ჩვენ ვნახეთ როგორ ძა-**

გძაგებდნენ, იცინოდნენ, გორაობდნენ ან ეცემოდნენ ადამიანები იატაკზე — რა სახით ცხადდება იესო ამგვარი გამოვლინებების დროს?

ჯონი: ბიბლიაში საუბარია გარკვეულ უჩვეულო ნიშნებზე, მაგრამ ისინი მოკლე დროით გრძელდება. ზოგჯერ ხდება ისეთი ნიშნები და სასწაულები, რომლებიც იპყრობს ხალხის ყურადღებას, რათა იესოსკენ მიუთითოს მათ. პირადად მე, ძალზედ გაუკუღმართებულად მეჩვენება, როცა ადამიანები გამოვლინებებზე უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას, ვიდრე თავად „გამომვლინებელზე“.

ერთხელ, სინგაპურში ყოფნის დროს, იმ ეკლესიაში, რომელსაც მე ვსტუმრობდი, ჩამოვიდა ერთი ევანგელისტი, განკურნების ნიჭით. მას გააჩნდა ნიჭი, რომლის გამოვლინების დროსაც ადამიანებს ისტერიული სიცილი უვარდებოდათ. მსახურების დროს ვგრძნობდი, რომ ეს ეს იყო ღმერთის თანდასწრებას უნდა გარემოეცვა ეს უზარმაზარი ეკლესია, როცა მოულოდნელად ხალხმა სიცილი დაიწყო. შინაგანად ძალზედ არასასიამოვნო განცდა დამეუფლა.

ლიზა: ეს იყო კარგი გამოვლინება, მაგრამ შეუფერებელ დროს?

ჯონი: მე ვთქვი: „შეჩერდით, ეს სულიწმიდის გამოვლინების გამასხარავებაა. თქვენ არ მიჰყვებით ღვთის სულის მართველობას. ეს ის არ არის, რის გაკეთებასაც აპირებდა ახლა უფალი. მას სურდა ღრმად შეხებოდა ხალხის გულს და უფლის მოშიშებით განემსჭვალა ისინი. ახლა იმედი ვიქონიოთ, რომ უფლის სული ისევ დაბრუნდება და მოემსახურება ადამიანებს“. შემდეგ მოვუწოდე მათ ხელახლა ელოცათ. სულიწმიდა მოვიდა და ყველა ტიროდა.

იქ, სადაც გამოვლინებები გაუკუღმართებულია, ადამიანები თითქოს სანახაობას მართავენ. წყვილი ყველას დასანახად არ დაკავდება ინტიმური ურთიერთობით. იქ კი, ადამიანებს თითქოს სურთ აიღონ მასთან ინტიმური სიახლოვე და ის, რაც ამ ინტიმური სიახლოვისთვის მისცა მათ ღმერთმა და იტრაბახონ ამით; თითქოს ამბობენ: „შეხედეთ ამას! ჩვენ სულიერები ვართ! ჩვენთან ღმერთია!“. ეს კი სინამდვილეში, სულიწმიდის თანდასწრებით უნდა იგრძნობოდეს. მე აღმოვაჩინე, რომ რაც უფრო მეტად ვიცნობ სულიწმიდას, მით უფრო მეტად მინდა დავიცვა და გავუფრთხილდე მას (მის ნიჭებს, მის შესაძლებლობებს და მის ძალას) მოწიწებული მოპყრობით და პატივის

მიგებით - და არა მოქცევით, რომელიც ჩააქრობს მას. 1 თეს. 5:19-21-ში ბიბლია სულიწმიდის ჩაქრობაზე საუბრობს. სულის ჩაქრობა ხდება მაშინ, როცა თქვენ ახშობთ მის ძალას და ნიჭებს. ნუ გააკეთებთ ამას! არამედ პატივი მიაგეთ მას. ნუ წარმოაჩენთ სულს, როგორც რაღაც იაფფასიან სანახაობას ან ძალას.

ლიზა: მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ყოველთვის ვთხოვთ და ვეპატიჟებით ღმერთს, რომ მოიმოქმედოს ის, რაც მას სურს. დავაკვირდი, ზოგჯერ სულიწმიდა რაღაცას ისეთი ფორმით აკეთებს და ისეთ დროს, როცა თითქოს ეს მოუხერხებელი ან უხერხულია, მაგრამ ის არასდროს აკეთებს ამას ძალდატანებით ან გამაღიზიანებლად. ასევე, მინდა დავამატო, რომ სულიწმიდა ყოველთვის ღმერთისკენ მიმართავს ხალხის ყურადღებას და არა ადამიანისკენ.

ახლახანს ვიყავი შეხვედრაზე, სადაც ხალხი სხვადასხვა დენომინაციებიდან იყვნენ მოსულნი. ზოგი მათგანი იმეორებდა გამოვლინებებს, რომლებიც მჯერა ერთ დროს ნამდვილი იყო, შემდეგ კი ადამიანებმა მიმბაძველობით გააგრძელეს ამის კეთება იმედით, რომ ღმერთი კვლავაც აკურთხებდა ამას. მაგრამ გზადაგზა მისი დანიშნულება დაიკარგა, ფორმა კი დარჩა და ახლა ეს ადამიანები ამას იმეორებდნენ. ჩვენ არ ვბაძავთ სხვადასხვა გამოვლინებებს. ჩვენ გვსურს ყველაფერი, რაც სულიწმიდას აქვს, მაგრამ გვინდა, რომ ეს იყოს რწმენით. ჩვენ ეს შესაბამისი წესრიგით გვსურს და გვწადია, რომ ამ ყოველივეს თან ახლდეს ღმერთის თანდასწრება.

ლიზა: შესაძლებელია პიროვნება ნამდვილად გრძნობდეს მშვიდობას რაღაც საკითხის მიმართ, მაგრამ ეს არ იყოს ღმერთისგან?

ჯონი: დიახ, სრულიად შესაძლებელია. თუ წაიკითხავთ ეზეკიელის მეთოთხმეტე თავს, ღმერთი ლაპარაკობს ადამიანებზე, რომლებიც მასთან მიდიან კერპებით თავიანთ გულში. რა არის კერპი? ახალი აღთქმისეული კერპთმსახურება ანგარებაა (იხ. კოლ.3:5;), როცა არასწორად გსურს რაღაც. ხალხი, რომელთა გულებშიც არიან კერპები, წინასწარმეტყველთანაც რომ მივიდნენ და უთხრან: „გთხოვ ილოცე ჩემთვის და მითხარი სიტყვა უფლისგან“, ღმერთი ამბობს: „მათ გულებში არსებული კერპთა სიმრავლის შესაბამისად ვუპასუხებ მათ“ (იხ. ეზეკ.14:4;). როცა უფლის თანდასწრებაში შევდივარ და რაღაცას ვეკითხები, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩემი გული ნეიტრალურია. ყო-

ფილა შემთხვევები, როცა ეს არ გამიკეთებია და იმის გამო, რომ ჩემი გულის პოზიცია არ ყოფილა ნეიტრალური, მქონია მშვიდობა, რომელიც ღმერთისგან არ ყოფილა და ამას მრავალი მწუხარება მოუტანია.

ამ მიზეზით იყო, რომ დაქორწინებამდე, როცა მე და ლიზა ოცდაათი დღის განმავლობაში ვლოცულობდით გაგვეგრძელებინა თუ არა ჩვენი ურთიერთობა, მიხაროდა, რომ ამ დროს ჩვენ ორ სხვადასხვა ქალაქში ვიმყოფებოდით. მე იმდენად მოხიბლული ვიყავი მისით, რომ ალბათ ოცდახუთი დღე დამჭირდებოდა ჯერ მარტო იმისთვის, რომ ამ გრძნობებისთვის ჩემში დომინირების უფლება არ მიმეცა. მაგრამ ამ ოცდაათი დღის განმავლობაში საკუთარი თავი მოვიყვანე ისეთ მდგომარეობაში, როცა ვიცოდი, რომ თუ ღმერთი მეტყოდა: „არა“, მე დავთანხმდებოდი. ვაცნობიერებდი, თუ პასუხი უარყოფითი იქნებოდა ეს ნიშნავდა, რომ ღმერთს ვიღაც სხვა ჰყავდა ჩემთვის და ვიღაც სხვა - მისთვის. როცა მივაღწიე ამ ნეიტრალურ წერტილს, მე რეალურად დავიწყე მოსმენა.

თუ შევდივარ სალოცავად და ვგრძნობ, რომ არ ვარ ნეიტრალური, მე ამაზე უნდა ვიშრომო — ღვთის სიტყვით და ლოცვით — სანამ არ მივაღწევ ნეიტრალურ მდგომარეობას. აუცილებელია ვიყო უნარიანი მოვისმინო ის პასუხი, რომელიც ღმერთს აქვს, „ჰო“ იქნება ეს თუ „არა“, რადგან თუ რომელიმე მხარეს გადავიხრები, მე ცრუ მშვიდობას მივიღებ.

ლიზა: მრავალჯერ ყოფილა, ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, როცა ვფიქრობდით, *ეს ასე მოხდება, ეს ამ დროს იქნება, აქა და აქ იქნება* — და შემდეგ ვხედავდით, რომ საერთოდ სხვაგვარად ხდებოდა. ჩვენ სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ და ვთქვათ: „ღმერთო, რაც შენ სგურს“.

შენ საუბრობდი ცოდნაზე, რომელიც ღმერთისგან მოდის. როდესაც ვემზადებოდი წიგნისთვის *Nurture*, მე მოვძებნე სიტყვა „*ინტუიცია*“. ის მიღებულია ლათინური სიტყვებისგან *in* და *Tueor*, რაც ერთად ნიშნავს „შინაგანი დამრიგებელი“.[2] სულიწმიდა ჩვენი შინაგანი დამრიგებელია. ის გვაძლევს ახალ გულს (იხ. ეზეკ.36:26;) და იწყებს ჩვენს განსწავლას.

ლიზა: ცხოვრებაში გვხვდება შემთხვევები — ხალხთან ან სიტუაციებთან მიმართებაში — როცა ყველაფერი კარგად გამოიყურება, მაგრამ ცუდი გრძნობა გვაქვს. შეგიძლია ისაუბრო ამაზე?

ჯონი: ყოველთვის, როცა კი არ მომისმენია ამ შინაგანი დარიგებისთვის — როცა ჩემს შინაგანში ცუდს ვგრძნობდი, მა-

გრამ ზედაპირულად ყველაფერი სწორად ჩანდა — ეს ყოფილა მახე და სატყუარა ჩემთვის.

ლიზა: ეს ჩვეულებრივ მაშინ ხდება, როცა თავიდანვე გაქვს პასუხი, მაგრამ ჩვენი მოსაზრებების გამო მის იგნორირებას ვახდენთ?

ჯონი: დიახ. ძირითადად ეს თავდაპირველი პასუხი არის ღმერთის სულისგან. და იგივე ხდებოდა, როცა შენი რჩევების იგნორირებას ვახდენდი, ლიზა.

მინდა ვუთხრა ეს მეუღლეებს. როცა მე და ლიზა ახლადდაქორწინებულები ვიყავით, მე დაახლოებით საათნახევრი ვლოცულობდი ყოველდღიურად. ლიზა კი, როგორც ჩემი დაკვირვებიდან ვხედავდი, ათ წუთს ლოცულობდა და ისიც აბაზანაში.

ლიზა: მე მაშინ სრული განაკვეთით ვმუშაობდი!

ჯონი: უამრავი შემთხვევა იყო, როცა ვამბობდი: „ლიზა, მე ნამდვილად ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ. მე დანამდვილებით ვგრძნობ, რომ ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ“ ის კი მპასუხობდა: „მე არ ვგრძნობ ამას“ — თითქმის ნახევარზე მეტ შემთხვევებში, ის მართალი იყო! ეს მე მაღიზიანებდა.

ერთხელ ვთქვი: „ღმერთო, ყოველ დილით საათნახევარი ვლოცულობ. ლიზა კი სულ ათი წუთი ლოცულობს და ისიც შხაპის მიღებისას. მიუხედავად ამისა, ის მართალია თითქმის ყველა საკითხში.“

უფალმა მითხრა: „შემოხაზე წრე“. ავიღე ფურცელი და შემოვხაზე წრე. ღმერთმა მითხრა: „წრეში ჩაწერე X ყველგან“. მე დავიწყე წრის შიგნით X-ის ჩაწერა. მან მითხრა, „ახლა კი ზუსტად შუაში ჩამოუსვი ხაზი“. ასეც მოვიქეცი.



„ხედავ, X-ის დაახლოებით ნახევარი ერთ მხარეზეა და დაახლოებით ნახევარი მეორეზე? ჯონ, როცა მარტო იყავი, შენ სრულყოფილი იყავი ჩემში და საკუთარ თავში. მაგრამ შენ ერთი ხორცი გახდი ლიზასთან. ამგვარად ეს წრე თქვენ ორს განგასახიერებთ. შენ მარცხენა ნახევარი ხარ, ლიზა მარჯვენა ნახევარი“ – მითხრა უფალმა.

იგი განაგრძობდა: „იცი რას ნიშნავს X-ები? ისინი წარმოადგენენ ინფორმაციას, რომელიც შენ გჭირდება ჩემგან, რათა სწორი გადაწყვეტილებები მიიღო. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყვეტილებებს ნახევარ ინფორმაციაზე დაყრდნობით ღებულობ. უნდა ისწავლო, როგორ მიიღო შენი ცოლისგან ის, რაც მე მას ვაჩვენე, რათა შენ, როგორც ოჯახის თავმა, შეძლო გადაწყვეტილებების მიღება სრული ინფორმაციის გათვალისწინებით“.

ინტუიციასთან დაკავშირებით, ვიტყვი, რომ დიახ, როცა თავდაპირველად ვგრძნობ სიგნალს, რომ უნდა გავჩერდე, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ, ეს ჩემს საზიანოდ ბრუნდება. მაგრამ ყოფილა ასევე შემთხვევები, როცა ლიზას უთქვამს რაღაც და მე მისი ნათქვამის იგნორირება მომიხდენია მიუხედავად იმისა, რომ სულის სიღრმეში ვიცოდი, მისი სიტყვები სულიწმიდისგან იყო — რადგან როგორ მოქმედებს სული? ის ემოწმება ჩვენს სულს.

ასევე, არის შემთხვევები — მაგრამ ეს ხდება რამდენიმე წელიწადში ერთხელ - როცა ლიზა ისეთ რაღაცას ამბობს, რაზეც მე ვიცი, რომ *ეს არ არის რწმენით ნათქვამი, ამას ლაპარაკობს შიში, მე ამას არ დავეთანხმები.* მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, როცა ლიზა ამას ამბობს, სულის სიღრმეში ვგრძნობ, ის მართალია. თუ ამ მოწმობას უგულებელვყოფ, ამის გამო საფასურის გადახდა მომიწევს.

ლიზა: მინდა ადამიანებმა გაიგონ, რომ როცა ღმერთი მათ რაღაცას ელაპარაკება, მათ შეუძლიათ მისი ნდობა. მკვლევარები ამბობენ, რომ სული წინასწარ გრძნობს იმას, რასაც ჩვენ ჯერ ვერ ვხვდებით. როცა საკუთარი გონებით ავიტაცებთ რაღაცას და საკუთარი გამჭრიახობით ვიწყებთ გათვლას თუ როგორ იქნება, ამით ჩვენ ეჭვქვეშ ვაყენებთ ღმერთისადმი ნდობას. როცა ღმერთი რაღაცას გვეუბნება, ჩვენ უნდა დავეთანხმოთ მას.

ახლახანს ავტობუსით მომიწია მგზავრობა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფთან ერთად. ჩვენ საკმაოდ დიდი ხანი ველოდებოდით ავტობუსში ერთ ქალბატონს, რომელიც როგორც ჩანდა

ვერ აგნებდა ადგილს, სადაც ჩვენ შევიკრიბეთ, რათა ყველანი ერთად წავსულიყავით აეროპორტიდან და ვერც ჩვენ მივაკვლიეთ სად იყო ის.

ბოლოს, შევამჩნიე პიროვნება, რომელიც ხტუნაობდა და ხელებს გვიქნევდა ჩვენგან შორს ტაქსებთან და არა იქ, სადაც უნდა ვყოფილიყავით. მინდოდა გავბრაზებულიყავი მასზე. მაგრამ, როგორც კი ახლოდან შევხედე, ვიფიქრე, რა საყვარელია. ეს იყო გულთა მყისიერი შეკავშირება. მე მაშინვე სიყვარულის გრძნობით განვიმსჭვალე მის მიმართ და ძლიერ დავმეგობრდით.

ღმერთს მოაქვს ამგვარი კავშირები. გარემოებებიდან გამომდინარე, ბუნებრივად თუ ვიფიქრებ, *რატომ უნდა შემყვარებოდა ის?* მაგრამ მე მივყევი ამ განცდას. დღეს მისგან საკმაოდ გრძელი წერილი მივიღე. ის მწერდა: „შენ მე მაშინვე შემიყვარე და შენი მხრიდან ამ „მაშინვე შეყვარებამ“ მაგრძნობინა ღმერთის სიყვარული ჩემს ცხოვრებაში, მარტოობის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში“. ეს არის, რაც მოჰყვება ჩვენს ქმედებებს, თუ ვიქნებით ადამიანები, რომლებიც უბრალოდ მზად არიან გაჰყვნენ ღმერთისგან მოცემულ აზრს ან განცდას და უფლებას არ მივცემთ გარემოებებს გვმართონ.

ყოფილა შემთხვევები, როცა ჯონს უთქვამს: „ლიზა, ამ ადამიანის მიმართ არ მიგრძნობს გული კარგს“. მე მიპასუხია: „ძვირფასო, უბრალოდ შენ არ ხარ ქალი. შენ ისე ვერ ერკვევი ამ საკითხებში, როგორც მე“. სამჯერ თუ ოთხჯერ იყო, როცა მან ამგვარად გამაფრთხილა და რამდენჯერაც არ დავუჯერე, იმდენჯერ ეს ჩემს საზიანოდ შემობრუნდა.

ჯონი: საქმეების მე-15 თავში პავლეს და ბარნაბას იუდეიდან ჩამოსულებთან მოუხდათ დავა საკითხზე, უნდა აღესრულებინათ თუ არა მოსეს რჯული წარმართობიდან მოქცეულ მორწმუნეებს. ეკლესიამ ისინი გაგზავნა იერუსალიმში უხუცესებთან და მოციქულებთან შესახვედრად. რატომ არ გადაწყვიტეს ეს საკითხი თავად ბარნაბამ და პავლემ? რატომ უნდა წასულიყვნენ იესრუსალიმში, რათა ყველას ერთად განეხილა ხსენებული საკითხი? იმიტომ, რომ ძალა და მიმართულება ერთობაში მოდის. ამ მიზეზით, მეუღლეებმა თავიანთი ძალაუფლების ფარგლებში ყველაფერი ისე უნდა აკეთონ, რომ მათი ერთიანობა არ დაირღვეს. ერთობაში ყოფნა შესაძლებელს ხდის, რომ ღმერთისგან ზუსტი პასუხები მივიღოთ.

ლიზა: რა განსხვავებაა სულის ნიჭებსა და სულის ნაყოფებს შორის?

ჯონი: სულის ნიჭი გახლავთ რაღაც, რასაც ღმერთი დებს ადამიანის ცხოვრებაში. მას არ სჭირდება გამომუშავება ან განვითარება. ის ავტომატურად მოქმედებს. ერთადერთი, რაც ამ დროს უნდა განავითაროს ადამიანმა, ესაა როგორ იმოქმედოს მასში. სულის ნაყოფები კი, პირიქით, გამომუშავებულ უნდა იქნეს. ამგვარად, ნიჭები გვეძლევა, ნაყოფები კი უნდა გამოვიმუშავოთ.

სულის ნაყოფები სულიწმიდით წარმართული ცხოვრების შედეგია. ეს გახლავთ ნაყოფები, რომელთაც ადამიანი გამოიმუშავებს მაშინ, როცა სულში დადის; ის ხდება პიროვნება, რომელიც სავსეა სიხარულით, მშვიდობით, მოთმინებით, სიყვარულით და ა.შ. (იხ. გალ.5:22-23;). აღნიშნული თვისებები გამოასხივებს თქვენგან, ვინაიდან სულიწმიდასთან ერთად დადიხართ. ის თქვენს პირად ცხოვრებას ეხება, მაგრამ სულის ნაყოფი საფუძველია, რომელიც დაიცავს თქვენს უსაფრთხოებას მსახურების სფეროში. სულის ნიჭები კი პირიქით, თქვენს მსახურებას ეხება — თუმცა სამწუხაროდ, მრავალი ადამიანი სულის ნიჭებს უფრო ესწრაფვის, ვიდრე ნაყოფებს.

მე ასეთი ლოცვით ვილოცე: „ღმერთო, არ მსურს, რომ ნიჭებმა, რომელნიც შენ მომეცი ცხოვრებაში, ოდესმე გამოდევნოს ჩემგან ნაყოფები, რომლებიც შენ განავითარე ჩემში“. ამ ლოცვით ვილოცე იმისათვის, რათა კარგად დავასრულო, რადგან ხშირად ხდება, როცა ადამიანები იწყებენ ნიჭებზე გამოდევნებას. ბიბლია ამბობს: „ესწრაფეთ სიყვარულს, და ეშურეთ სულიერ ნიჭებს“ (1 კორ.14:1;). ხალხი ესწრაფვის ნიჭებს, მაგრამ ისინი უგულვებელყოფენ ნაყოფს (სიყვარულს).

ნიჭს არ გააჩნია თვისება, რომ დაიცვას ადამიანი დაცემისგან და საბოლოო ჯამში, შესაძლოა გაანადგუროს კიდეც ის. იუდა დემონებს დევნიდა, ავადმყოფებს კურნავდა, მაგრამ ის ჯოჯოხეთშია. იესომ თქვა: „მისთვის უმჯობესი იყო, რომ საერთოდ არ დაბადებულიყო“ (მათ.26:24; NET). იუდას ცხოვრებაში მოქმედებდა სულის ნიჭები, მაგრამ აშკარაა, მან არ გამოიმუშავა ნაყოფი.

ლიზა: ზოგიერთი ადამიანის მხრიდან ძლიერად მოქმედებს ნიჭები, მაგრამ მათი ცხოვრების ნაყოფები აშკარად მათი ნიჭების ძალის საპირისპიროა. როგორ ხდება მსგავსი რამ?

ჯონი: უბრალოდ, შეხედეთ ბალაამს. ბაალამს წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა. ფაქტობრივად, მისი წინასწარმეტყველებანი ბიბლიაშია შეტანილი! სიტყვები, რომელთაც იგი წარმოთქვამდა, ღმერთის სიტყვები იყო. მაგრამ ის იმდენად ბოროტი და ურჩი გახლდათ, რომ ღმერთმა მახვილით მოაკვლევინა. მეფე საული შეშლილი იყო. ის მოსაკლავად დასდევდა დავითს, ღმერთის ცხებულს. მაგრამ ამ ყველაფრის ფონზე, მან ერთ დღეს წინასწარმეტყველებთან ერთად იწინასწარმეტყველა (იხ. 1 მეფ.19;).

ფაქტი, რომ სულიერი ნიჭი მოქმედებს ადამიანის ცხოვრებაში, არ ნიშნავს უთუოდ იმას, რომ ღმერთი იწონებს მას. იესომ თქვა: „ბევრი მეტყვის იმ დღეს: 'უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს. განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს? განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით და ვქადაგებდით?'. ის კი ეტყვის მათ: „გამშორდით, მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ — ურჯულოების მოქმედნო! თქვენ არ განავითარეთ ნაყოფები თქვენს ცხოვრებაში" (იხ. მათ.7:22-23;). უფალი დამელაპარაკა ერთ დღეს და მითხრა: „ყურადღება მიაქციე, ისინი არ ამბობენ: 'ჩვენ ღარიბებს ვაპურებდით შენი სახელით. პატიმრებს ვნახულობდით შენი სახელით? ხალხი, რომელიც ამის მოქმედია, ანვითარებს ნაყოფს". სულიწმიდის ნაყოფების გამომუშავება არის დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს კეთილ დასასრულს.

პირველად ეს ვისწავლე ერთ დიდ ეკლესიაში მუშაობისას, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ეკლესიას წარმოადგენს. ამ ეკლესიაში ძირითადად ყველაზე ფართოდ აღიარებული მქადაგებლები ჩამოდიოდნენ და ასევე ზოგი შედარებით ნაკლებად ცნობილნი — ქრისტიან მსახურთა სრული გამა. ჩემი საქმე იყო მათი დახვედრა აეროპორტში და სტუმრობის პერიოდში გამასპინძლება. შევამჩნიე, რომ ზოგიერთი მსახურის შემთხვევაში ვგრძნობდი თითქოს იესო იჯდა ჩემს გვერდით. როცა საქადაგებლად დგებოდნენ, ვგრძნობდით, რომ თითქოს იესო ადგა და ქადაგებდა.

მაგრამ სხვები მოვიდოდნენ და იფიქრებდი, *რა მოხდა? რატომ ვგრძნობ უწმიდურებას? რატომ არის მათი საუბარი ასეთი უხამსი?* შემდეგ ისინი გამოვიდოდნენ კათედრასთან და ადამიანები ღებულობდნენ ხსნას, განკურნებას და ა.შ. ეს არ გახლდათ ყალბი ხსნა ან განკურნება; ის იყო სულიწმიდის ძალით. ვფიქრობდი, *ღმერთო ვერ ვხვდები! რა ხდება? როგორ შეუძლიათ მათ ჩემთან ასე იმოქმედონ და როგორც კი პლათფორმაზე ავლენ ხალხმა გადარჩენა და განკურნება მიიღოს მათი*

მხრიდან? მაშინ დამანახა უფალმა, რომ იუდა სასუფევლის შესახებ ქადაგებდა, დემონებს დევნიდა, სნეულთ კურნავდა და სასწაულებს ახდენდა – მაგრამ იუდა ჯოჯოხეთშია. ბალაამი წანასწარმეტყველებდა, მაგრამ ღმერთმა მახვილით მოკლა იგი. საულმაც იწინასწარმეტყველა, მაგრამ მას არ დაუსრულებია ცხოვრება კარგად. უფალმა მითხრა: „ცხებულება ღმერთისგან — ღმერთის ნიჭები მოქმედი ადამიანის ცხოვრებაში — არ წარმოადგენს ღმერთისგან მოწონების ნიშანს“. ნაყოფებით შეიცნობ მათ (იხ. მათ.7:16;).

ლიზა: ე.ი. ნიჭი არის რაღაც, რაც მოდის ადამიანთა ცხოვრებაზე და ნაყოფი არის ის, რაც ვითარდება მათ ცხოვრებაში, მათი შინაგანი თვისებები?

ჯონი: დიახ, სწორედ ასეა.

ლიზა: შენ საუბრობდი შინაგან მშვიდობაზე, რომელიც ღვთის შვილს წარმართავს და ასევე აღწერე მდგომარეობა, როცა ადამიანი გრძნობს შინაგან გამაფრთხილებელ სიგნალს — შემაწუხებელი, არასასიამოვნო ღრღნის განცდას, რომლითაც სული გვაფრთხილებს. მაგრამ ზოგიერთი ამბობს, რომ ღმერთი დღესაც გველაპარაკება. ზოგს შეიძლება სჯეროდეს, რომ ის ამას მხოლოდ წმიდა წერილის მეშვეობით აკეთებს. შენ გჯერა, რომ ღმერთი დღესაც ლაპარაკობს და მხოლოდ თავისი სიტყვის თანახმად?

ჯონი: უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ პავლემ კორინთოს ეკლესიას უთხრა: „თქვენ უტყვ კერპებთან დადიოდით“ (იხ. 1 კორ.12:2;). სიტყვა „უტყვი“ ნიშნავს, რომ ღმერთებს, რომელთაც კორინთელები ემსახურებოდნენ, არ შეეძლოთ ლაპარაკი. პავლემ თქვა: „განსხვავება იმაშია, რომ ჩვენი ღმერთი ლაპარაკობს“. და ის გასაგებად ლაპარაკობს.

როგორ გვესაუბრება ღმერთი? ახალ აღთქმაში სხვადასხვა გზებია ნაჩვენები, რომლითაც უფალი გველაპარაკება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის *შინაგანი მოწმობა*, მშვიდობის განცდა. ეს არის ნომერი პირველი.

ლიზა: თავის სიტყვაზე მეტადაც კი?

ჯონი: არა, ეს ყოველთვის თანხვედრაშია მის სიტყვასთან. თუ გაქვს მშვიდობა საკითხში, რომელიც არ ეთანხმება ღმერთის სიტყვას, არ მოუსმინო მას. ასეთ დროს, აშკარად არასწორი მო-

ტივები გაქვთ გულში; თქვენ ჯერ ნეიტრალურ მდგომარეობას უნდა დაუბრუნდეთ. ბოლო სიტყვა წმიდა წერილს ეკუთვნის.

ლიზა: ფუნდამენტი ყოველთვის ღვთის სიტყვაა.

ჯონი: დიახ, მართალია. ამგვარად, შინაგანი მოწმობა არის ნომერ პირველი. ნომერი ორი გახლავთ წყნარი, დაბალი ხმა, რომელზეც ბიბლია საუბრობს. იესომ თქვა: „ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ“ (იხ. იოან.10:27;). სულიწმიდა ამბობს იმას, რასაც იესოსგან ისმენს და ეს არის წყნარი, დაბალი ხმა.

ზოგიერთი ტყვეობაში მოექცა იმის გამო, რომ გაჰყვნენ ხმებს, რომელთა მიმართ არანაირი შინაგანი მოწმობა არ გააჩნდათ. ყოველთვის, როცა კი ღმერთის ხმა მომისმენია, მას თან ახლავს შინაგანი მოწმობა და ორივე ღმერთის სიტყვასთან თანხვედრაშია. ჩვენ ახლა ფუნდამენტს ვქმნით: სიტყვა, მოწმობა, ხმა. თუ გესმით ხმა, მაგრამ არ გაქვთ მოწმობა, ნუ მოუსმენთ ამ ხმას. ვყოფილვარ მსახურებებზე, სადაც ადამიანებს უწინასწარმეტყველიათ ჩემს მიმართ, მაგრამ მე არ განმიცდია ამ დროს ღმერთის თანდასწრება ან შინაგანი მოწმობა. ასეთ სიტყვებს ყურადღებას არ ვაქცევ.

სახარება გვეუბნება, რომ კიდევ ერთი გზა, რომლითაც ღმერთი გველაპარაკება, არის *სიზმრები*. საქმეები მე-16 თავი მოგვითხრობს ამბავს პავლეს მიერ ნანახი სიზმრის შესახებ. ამ სიზმარში, ერთი მაკედონელი კაცი მივიდა მასთან და უთხრა: „გთხოვ, მოდი დაგვეხმარე“. აქ სულიწმიდამ გამოიყენა სიზმარი, რათა პავლესთვის ეთქვა: „გაემგზავრე მაკედონიაში“. ღმერთი ზოგს უფრო მეტად ელაპარაკება სიზმრებით, ვიდრე სხვებს. ჩემს მეუღლეს ღმერთი ძლიერად ელაპარაკება სიზმრების მეშვეობით. მე კი, უმეტესად შინაგანი მოწმობითა და წყნარი, ჩუმი ხმით მესაუბრება.

მომდევნო გზა, ბიბლიის თანახმად, რომლის მეშვეობითაც მიმართავს ღმერთი თავის ხალხს, *ხილვებია*. პავლესაც ჰქონდა ხილვა. როდესაც აღწერს ამ ხილვას, ის ამბობს: „არ ვიცი სხეულში ვიყავი თუ სხეულის გარეთ“ (იხ. 2 კორ.12:2;). ხილვაში, არ იცი სხეულში იმყოფები თუ სხეულის გარეთ, მაგრამ ამ დროს თითქოს პირდაპირ სულიერ სამყაროში იყურები. როცა ჩემმა მწყემსა, 1989 წელს, მე და ლიზა მსახურებაში დაგვაყენა, ეს მან მიღებული ხილვის თანახმად გააკეთა. ის მოვიდა მსახურთა შეკრებაზე და განაცხადა: „წუხელ ხილვა მქონდა. თითქოს ტელევიზორის ეკრანზე ვუყურებდი მას. ერთ-ერთი თქვენგანი მალე ჩვენს შორის აღარ იქნება. ის იმოგზაურებს

ყველგან და კურთხევა იქნება ქრისტეს სხეულისთვის“. შემდეგ მან თქვა: „ეს შენ ხარ, ჯონ ბევირ“. რვა თვით ადრე, ღმერთმა იგივე მითხრა ლოცვაში, ამგვარად ეს იყო დამოწმება ჩემთვის.

ბოლო გზა ღმერთის ჩვენთან საუბრისა, რომელიც აღწერილია ბიბლიაში, არის *გარინდება*. საქმეების მე-10 თავში პეტრემ განიცადა გარინდება. გარინდება არის მდგომარეობა, როცა თქვენი შეგრძნებები შეჩერებულია. ის ხილვისგან განსხვავდება, რადგან ხილვაში, თქვენი შეგრძნებები ისევ მოქმედია — თქვენ იქ შეგიძლიათ იმოძრაოთ. როცა პავლე და იოანე ზეცაში იყვნენ, ისინი იქ დადიოდნენ. გარინდებისას, რაღაცას ხედავ და გესმის ღმერთის ხმა, მაგრამ ყველა დანარჩენი შეგრძნება უმოქმედოა.

ვიღაცამ შესაძლოა იკითხოს: „კი მაგრამ, საწმისის შესახებ რას იტყვი?“. ეს ძველი აღთქმისეული მეთოდია. ჩვენ უნდა ავიღოთ ყველაფერი, რაც ძველ აღთქმაშია და განვიხილოთ ჯვრის სინათლეზე. ჯვარი ან დატოვებს მას, ან შეასწორებს ან წაშლის. მე ვიღებ საწმისებს და ვატარებ მათ ჯვრის შუქზე და ვხედავ, რომ ჯვარი მათ შლის. ბიბლია ამბობს: „*რადგან ისინი, ვინც ღვთის სულით წარიმართებიან*“ და არა „ისინი, ვინც საწმისებით წარიმართებიან“ (რომ.8:14;). ძველი აღთქმის დროს სულიწმიდა არ იყო დამკვიდრებული ადამიანებში, ამიტომ ღმერთი მათ საწმისის მსგავსი საშუალებებით ელაპარაკებოდა. პირადად მე არ მოვუწოდებ ახალი აღთქმის მორწმუნეებს ამგვარი მოქმედებებისკენ. თუმცა მჯერა, რომ ესეც შეიძლება, მაგრამ დარწმუნებულნი უნდა იყოთ, რომ საბოლოოდ ღვთის სიტყვით და შინაგანი მოწმობით ხართ წარმართულნი. საწმისი ფიზიკურ სამყაროს ეკუთვნის. ჩვენ მოწოდებულნი ვართ, რომ სულში ვიცხოვროთ და სულით ვიაროთ.

ლიზა: მინდა შენს ნათქვამს დავუმატო. ჩვენ აგრეთვე ვკითხულობთ ძალზედ გასაგებ მითითებას, რომ თუ ძმას გაჭირვებაში ხედავ, არ უნდა დაკეტო მისგან შენი გული (იხ. 1 იოან.3:16-18;). ყოველთვის არ არის საჭირო ზეციდან მოისმინოთ ხმა. ზოგჯერ საკმარისია უბრალოდ მოისმინო ან დაინახო საჭიროება. როცა *მოვისმინეთ* რა ხდებოდა ჩვენს წიგნებთან დაკავშირებით — რომ ხალხი ფურცლებს ხევდნენ წიგნებიდან და სხვებს ურიგებდნენ, უგზავნიდნენ — ვთქვით: „ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ“.

ჯონი: როცა *მოვისმინე*, გოგონების შესახებ, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლნი გახდნენ, ღმერთი არ დამლაპარაკებია,

მაგრამ მე ვთქვი: „ლიზა, ჩვენ უნდა დავეხმაროთ“.

ლიზა: ზოგჯერ ყოფილა, რომ გაზეთში *წამიკითხავს* რომელიმე ფაქტის შესახებ ან უცხო ქვეყანაში ყოფნისას *დამინახავს*. ზოგიერთი ადამიანი ეძებს ნიშანს ან ხილვას ან სიზმარს მაშინ, როცა ბიბლია გარკვევით ამბობს: „თუ *ხედავ*“.

ჯონი: „თუ ხედავ შენს ძმას გაჭირვებაში“.

ლიზა: დიახ, ჩვენ ვიწყებთ გასაჭირში მყოფი დებითა და ძმებით. ვიწყებთ ქრისტიანებით, რომლებიც გაჭირვებაში იმყოფებიან. ფაქტობრივად, ვიწყებთ იმ ადამიანებით, ვისაც ვხედავთ, ვისაც ვეხებით, ვისი ხმაც გვესმის — და არ შეგვიძლია მათ არ ვუპასუხოთ. ყოველთვის, როცა ვრეაგირებთ იმაზე, რასაც ფიზიკურ სამყაროში ვხედავთ, ღმერთი უფრო მეტს გვანდობს სულიერ სამყაროში, რადგან ის ამბობს: „ვხედავ, ერთგული იყავი ამაში. ახლა ცოტა უფრო მეტი შემიძლია მოგანდო რწმენის სამყაროში“.

დამატებითი პასუხები ჯონისგან

კითხვა: როგორ შეიძლება ადამიანმა დაგმოს სულიწმიდა?

ჯონი: იესოს სიტყვები სულიწმიდის გმობასთან დაკავშირებით, შეგვიძლია წავიკითხოთ მათ. 12:22-32; მარკ. 3:22-30; და ლუკ. 12:10-ში. მათესა და მარკოზის სახარებებში უფრო სრულ სურათს ვხედავთ. რელიგიური ლიდერები იესოს ადანაშაულებენ, რომ თითქოს ის დემონებს ბელზებულის ძალით დევნის. იესო კი ამ დროს პასუხობს: „ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევებათ ადამიანებს, მაგრამ სულიწმიდის გმობა არ მიეტევებათ“ (მათ.12:31;). ამგვარად, სულიწმიდის გმობა მასზე ბოროტად ლაპარაკია, კერძოდ კი ის, რომ სულიწმიდის გამოვლინებები ეშმაკის ნამოქმედრად შერაცხო.

კითხვა: ბიბლიურია, რომ ისევე ილოცო და იგალობო სულიწმიდის მიმართ, როგორც მამისა და ძის მიმართ ვლოცულობთ და ვგალობთ?

ჯონი: დიახ, სრულიად. სულიწმიდა არის ღმერთი და შესაბამისად, ის განდიდებულ უნდა იქნას, როგროც ღმერთი. იოან. 4:24; ამბობს: „ღმერთი არის სული და მისი *თაყვანისმცემელნი* თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით“. მჯერა, ჩვენ იგივენაირად უნდა ვადიდებდეთ და თაყვანს ვცემდეთ სულიწმიდას, როგორც ვადიდებთ მამა ღმერთს და ძე ღმერთს.

კითხვა: როგორ გავარჩიოთ, რომელი ლოცვა ან სიმღერა უნდა იყოს მიმართული სულიწმიდისადმი?

ჯონი: იესომ უთხრა თავის მოწაფეებს:

> „კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ველარ იტვირთავთ. როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში; თავისით კი არ ილაპარაკებს, იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს, და მომავალს გაუწყებთ თქვენ. იგი განმადიდებს მე, რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ...
>
> ცოტაც და ველარ მიხილავთ; კიდევ ცოტაც და, მიხილავთ, რადგან მე მამასთან მივდივარ.

...იმ დღეს არაფერს მკითხავთ. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც სთხოვთ მამას ჩემი სახელით მოგცემთ თქვენ“ (იოან.16:12-14, 16, 23;)

ჩვენ თხოვნით მივმართავთ მამა ღმერთს იესოს სახელით (ძალაუფლებით). შემდეგ, მოზიარეობა გვაქვს (ეს ნიშნავს ურთიერთობას და საუბარს ან შეკითხვების დასმას) სულიწმიდასთან — რაც განხილულია მოცემულ წიგნში.

კითხვა: ბიბლიურია, როცა სულიწმიდას ვთხოვთ „მოსვლას“ მსახურებაზე ან შეკრებაზე მაშინ, როცა ის ყველგანმყოფელია?

ჯონი: დიახ. ბიბლია საუბრობს როგორც ღმერთის ყველგანმყოფელობაზე, ასევე მისი თანდასწრების გამოვლინებაზე. მისი ყველგანმყოფელობის შესახებ დავითის სიტყვებიდან ვგებულობთ:

„საით წაუვალ შენს სულს?
ან შენს თანდასწრებას სად გავექცევი?
ზეცაში რომ ავიდე, შენ იქა ხარ;
ქვესკნელში ჩავიდე - იქაც ხარ შენ!
ფრთანი გამოვისხა განთიადისა,
დავსახლდე ზღვის კიდეზე,
იქაც შენი ხელი წამიძღვება,
და შემივრდომებს მარჯვენა შენი“
(ფსალმ.138:7-10;)

ბიბლია ასევე ამბობს, რომ ღმერთი არასოდეს მიგვატოვებს ან დაგვაგდებს (იხ. ებრ.13:5). კვლავ, ეს მეტყველებს მის ყველგანმყოფელობაზე — მის თანდასწრებაზე, რომელიც ყოველთვის ყველგან არის.

მეორე მხრივ, არსებობს ღმერთის აშკარა თანდასწრება, მისი თანდასწრების გამოვლინება. *გამოვლენა* ნიშნავს, უხილავი გახადო ხილული, დაფარული გახადო ცხადი ან რაც არ სმენიათ - მოისმინონ. ღმერთი მის თანდასწრებას ავლენს, როცა ის ჩვენი ფიზიკური შეგრძნებებისთვის აღსაქმელად აცხადებს თავს (იხ. იოან.14:19-24;). მჯერა, ბიბლიურია, როცა ვითხოვთ ამას.

კითხვა: რატომ ვთხოვთ ღმერთს, რომ გადმოღვაროს სულიწმიდა? განა მან ეს უკვე არ გააკეთა?

ჯონი: ზაქარია 10:1 ამბობს: „შესთხოვეთ უფალს წვიმა გვიანი წვიმობის ჟამს“. წმიდა წერილში წვიმა ყოველთვის განასახიერებს სულიწმიდის გადმოღვრას. მჯერა, რომ როცა ღმერთს სულიწმიდის გადმოღვრას ვთხოვთ, ჩვენ ვითხოვთ განახლებულ გადმოღვრას საზოგადოებებზე, ქალაქებზე და ერებზე. ეს მისი თანდასწრების გამოვლინების უდიდესი გამოთავისუფლებაა, რომელიც გვმოსავს ძალით მისი საქმის აღსასრულებლად.

კითხვა: როგორ განვავითარო სულიწმიდასთან უფრო ღრმა ურთიერთობა? როგორ განვიცადო მისი ძალა და თანდასწრება უფრო მეტად?

ჯონი: ამისათვის აუცილებელია ღმერთის თანდასწრებაში და მისი სიტყვის კითხვაში დროის გატარება. სრული მიმოხილვა ღმერთთან ახლო ურთიერთობის შესაძლებლობაზე, შეგიძლიათ წაიკითხოთ მეორე და მესამე თავებში.

კითხვა: თუ კი სულიწმიდამ ყოველივე იცის, რატომ არის საჭირო ბიბლიის კითხვა?

ჯონი: ღმერთმა დაგვიტოვა თავისი ღვთივსულიერი წერილი, რადგან ის „სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და დასარიგებლად სიმართლეში, რათა სრულყოფილი იყოს ღვთის კაცი, ყოველი კეთილი საქმისთვის განმზადებული“ (2 ტიმ.3:16-17;). სულიწმიდა იყენებს დაწერილ სიტყვას (ბერძნული სიტყვა *logos*), რათა მოგვიტანოს წარმოთქმული სიტყვა (*rhema*). სულიწმიდა აცოცხლებს *logos*-ს და ის ხდება ჩვენს მიმართ თქმული rhema. თუ არ დავყოფთ დროს *logos*-ის კითხვაში — სულიწმიდისადმი გახსნილი გულით — მაშინ უფრო რთული გახდება *rhema*-ს ჩვენამდე მოსვლა. ჩინეთში ეკლესია, იატაკქვეშეთში განაგრძობდა არსებობას, სულიწმიდით აღვსილი იყო, მაგრამ წლების განმავლობაში ლოცულობდნენ, რომ ჰქონოდათ ბიბლიები. ისინი ნატრობდნენ წაეკითხათ ღმერთის სიტყვა, რათა სულიწმიდას შეძლებოდა სიტყვის მეშვეობით დალაპარაკებოდა მათ და გაეცოცხლებინა ის მათ გულებში. უაღრესად მნიშვნელოვანია ბიბლიის კითხვა. ღვთის სიტყვა და ღვთის სული ერთად მოქმედებენ, ერთად მუშაობენ.

გახსოვდეთ, ბიბლია ღვთის საიდუმლოებებს შეიცავს და სულიწმიდაა ის, ვინც ამ საიდუმლოებებს გვიცხადებს. თუ წმიდა წერილს კითხულობთ სულიწმიდის ზემოქმედების გარეშე, მხოლოდ იმას დაინახავთ, რასაც ეს ტექსტი ადამიანური ენით გადმოსცემს. მაგრამ სულის მეშვეობით, თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ მოცემული ტექსტის სულიერი მნიშვნელობა, რომელიც ადამიანურ გონებას აღემატება, ვინაიდან სულიწმიდაში ჩვენ ქრისტეს გონებას ვფლობთ:

„ვლაპარაკობთ ღვთის სიბრძნეს, საიდუმლოს, რომელიც დაფარული იყო და რომელიც წინასწარ განსაზღვრა ღმერთმა ჩვენი დიდებისთვის საუკუნეთა უწინარეს. რაც ვერავინ შეიცნო სოფლის მთავართაგან, რადგან რომ შეეცნოთ, ჯვარს არ აცვამდნენ დიდების უფალს. მაგრამ, როგორც სწერია: „რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია და კაცს გულში არ გაუვლია“ — ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს-

ეს არის ის, რაც ღმერთმა გაგვიმხილა ჩვენ თავისი სულით. ვინაიდან სული ჭვრეტს ყოველივეს, ღვთის სიღრმეებსაც.

ვინაიდან, რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისა არავინ არაფერი იცის, გარდა ღვთის სულისა. ხოლო ჩვენ მივიღეთ არა სოფლის სული, არამედ სული ღვთისაგან, რათა ვიცოდეთ ღვთისაგან ჩვენთვის მონიჭებული. და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმიდისაგან შესწავლილით, სულიერს სულიწმიდისგან შესწავლილით განვმარტავთ. ადამიანი, სულიწმიდის გარეშე, არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც ძალუძს შეცნობა, რადგან მხოლოდ სულიწმიდის მეშვეობით შეიცნობა ის. ხოლო სულიერი განსჯის ყოველივეს, თავად კი არავისგან არ განისჯება, რადგან ‘ვინ შეიცნო უფლის აზრი, რათა ასწავლოს მას?’ ჩვენ კი გვაქვს ქრისტეს აზრი“
(1 კორ.2:7-16; NIV)

კითხვა: ჩემი ეკლესია უსიცოცხლოა. პიროვნულად, როგორც მისმა ერთ-ერთმა წევრმა, რა შემიძლია გავაკეთო, რათა ჩვენს ეკლესიაში სულიწმიდის უფრო მეტი თანდასწრება მოვიდეს?

ჯონი: თუ ხელმძღვანელი არ ხართ, მაშინ ერთადერთი რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, ეს ლოცვაა. პირველ რიგში, მოიწვიეთ სულიწმიდა თქვენს ცხოვრებაში, რათა როცა ეკლესიაში მიხვალთ, თან გახლდეთ სულიწმიდის ცხადი თანდასწრება. მეორე, ლოცვაში ითხოვეთ, რომ ღმერთმა იმოქმედოს თქვენი ეკლესიის ხელმძღვანელთა გულებში, რათა უფრო მეტად გაიხსნან სულიწმიდის თანდასწრების გამოვლინებისთვის.

სადისკუსიო საკითხები

1 | ყოველ მორწმუნეს აქვს შესაძლებლობა იმოქმედოს სულიერ ნიჭებში. რას წარმოადგენს ამ ნიჭებში მოქმედება ოფიციალური „მსახურების“ კედლებს მიღმა?

2 | როცა რომელიღაც გადაწყვეტილების მიმართ გრძნობთ, რომ ღმერთი მშვიდობას გაძლევთ, რა განიჭებთ დამაჯერებლობას, რომ ეს მოწმობა ნამდვილად ღმერთისგან გაქვთ?

3 | ყოფილა შემთხვევა, როცა სულიწმიდა თქვენი მეუღლის მეშვეობით დაგლაპარაკებიათ, ნაცვლად იმისა, რომ პირადად თქვენ დაგლაპარაკებოდათ? როგორ ფიქრობთ, რატომ ირჩევს ის ამ გზით მოქმედებას, და როგორ ღებულობთ ამ მიმართულებას თქვენი ცხოვრებისთვის?

4 | როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გაქვთ მისაღები და ხედავთ, რომ მიმართულებას ვერ იკვლევთ, რა შეგიძლიათ მოიმოქმედოთ?

იხ. იგავ. 11:14; 15:22; 24:6; და რომ. 8:26-27;

5 | გჯერათ, რომ ღმერთი დღესაც ელაპარაკება ადამიანებს? თქვენ როგორ დაგლაპარაკებიათ?

შენიშვნები

დანართი

როგორ მივიღოთ ხსნა

„თუ შენი **ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები.** *ვინაიდან, გულით რწმენის მეშვეობით მართლდები ღმერთის წინაშე და ბაგეებით აღიარების მეშვეობით გადარჩები“*

– რომაელთა 10:9-10 NTL;

სულიწმიდას განუწყვეტლივ სწადია შენთან ურთიერთობა. მას სურს აღძრას შენში სურვილი და მოგამზადოს, რათა შეიცნო ღმერთი და განავრცო მისი სასუფეველი. მაგრამ ღვთის სულთან სიახლოვისკენ პირველი ნაბიჯის გადასადგმელად, აუცილებელია მიიღო ხსნა მისი ძის, იესო ქრისტეს მეშვეობით.

იესოს სიკვდილითა და მკვდრეთით აღდგომით, ღმერთმა გახსნა გზა შენთვის, რათა შეხვიდე მის სამეფოში, როგორც საყვარელი ძე ან ასული. იესოს მიერ ჯვარზე მოტანილი მსხვერპლის საშუალებით, შესაძლებელი გახდა უსასყიდლოდ მიგელო უხვი, მარადიული სიცოცხლე. ხსნა არის უფლის საჩუქარი შენთვის; შეუძლებელია გააკეთო რამე იმისათვის, რომ ის დაიმსახურო ან მოიპოვო.

ამ უძვირფასესი საჩუქრის მისაღებად, პირველ რიგში უნდა გააცნობიერო საკუთარი შემოქმედისგან დამოუკიდებლად ცხოვრების ცოდვა (ვინაიდან სწორედ ეს წარმოადგენს შენს მიერ ჩადენილი ყველა დანარჩენი ცოდვის ფესვს). მონანიება ხსნის მიღების უმთავრესი შემადგენელია. პეტრემ ეს კარგად თქვა იმ დღეს, როცა 5 000 კაცმა მიიღო გადარჩენა: „აბა, მოინანიეთ და მოიქეცით, რათა აღიხოცოს თქვენი ცოდვები“ (საქმე.3:19;). წმიდა წერილი გვამცნობს, რომ თითოეული ჩვენგანი ცოდვის მონად არის დაბადებული. ეს მონობა სათავეს იღებს ადამის ცოდვიდან, რომელიც განზრახ ურჩობის ნიმუშად იქცა. მონანიება წარმოადგენს გადაწყვეტილებას მიატოვო საკუთარი თავისა და სატანისადმი მორჩილება, რომელიც იწოდება სიცრუის მამად და დაემორჩილო შენს უფალს, იესო ქრისტეს — მას, ვინც საკუთარი სიცოცხლე გაიღო შენთვის.

საკუთარ ცხოვრებაზე უფლობა იესოს უნდა გადასცე. ეს

ნიშნავს, დააყენო იესო შენი სიცოცხლის მესაკუთრედ (სულის, სამშვინველის და სხეულის) — ყოველივესი, რაც ხარ და რაც გაგაჩნია. მისი უფლებამოსილება შენს ცხოვრებაზე უნდა იყოს აბსოლუტური. იმ წუთიდან, როცა ამას გააკეთებ, ღმერთი გიხსნის სიბნელისგან და გადმოგიყვანს მისი სასუფევლის სინათლესა და დიდებაში. შენ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადადიხარ — ამით შენ მისი შვილი ხდები!

თუ გსურს მიიღო გადარჩენა იესოს მეშვეობით, შემდეგი სიტყვებით ილოცე:

„ღმერთო ზეციერო, ვაღიარებ, რომ ცოდვილი ვარ და შორს ვიმყოფები შენი სიმართლის სტანდარტებისგან. ჩემი ცოდვებისთვის მარადიულ სასჯელს ვიმსახურებ. მადლობა, რომ არ დამტოვე ამ მდგომარეობაში, ვინაიდან მწამს, რომ შენ წარმოგზავნე იესო ქრისტე, შენი მხოლოდშობილი ძე, რომელიც იშვა ქალწულ მარიამისგან, რათა ჩემთვის მომკვდარიყო და ჩემი სასჯელი მას აეტანა ჯვარზე. მჯერა, რომ ის აღსდგა მკვდრეთით მესამე დღეს და ახლა შენს მარჯვნივ იმყოფება, როგორც უფალი და მხსნელი ჩემი. დღევანდელ დღეს, მე ვინანიებ შენს გარეშე გატარებულ ცხოვრებას და სრულად გადავცემ საკუთარ სიცოცხლეს იესო ქრისტეს უფლობას.

იესო, მე გაღიარებ შენ საკუთარ უფლად და მხსნელად. მოდი ჩემს ცხოვრებაში შენი სულით და მაქციე ღვთის შვილად. უარს ვამბობ სიბნელის საქმეებზე და ამ დღიდან დაწყებული, არასოდეს აღარ ვიცხოვრებ საკუთარი თავისთვის; არამედ შენი მადლით, მე ვიცხოვრებ შენთვის, რომელმაც საკუთარი თავი გაიღე ჩემთვის, რათა მე მეცოცხლა მარადიულად.

მადლობა, უფალო; ჩემი ცხოვრება ახლა შენს ხელთაა სრულად და შენი სიტყვის თანახმად, მჯერა, რომ არასოდეს შევრცხვები“.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ღმერთის ოჯახში! მე მოგიწოდებთ, რომ ეს შესანიშნავი სიახლე რომელიმე მორწმუნეს გაუზიაროთ. ახლა მნიშვნელოვანია, რომ შეუერთდეთ სახარების რწმენის ადგილობრივ ეკლესიას. ასევე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს მსახურებას, რათა დახმარება გაგიწიოთ თქვენს მხარეში არსებული ეკლესიის მოძებნაში (ეწვიეთ ვებგვერდს MessengerInternational.org).

სწორედ ახლა თქვენ შეუდექით ყველაზე გასაოცარ მოგზაურობას, რომელსაც ჰქვია, სიახლოვე უზენაეს ღმერთთან. დაე, ზრდა მასთან მეგობრობაში ყოველდღიური იყოს!

წიგნში გამოყენებული მასალა

თავი 1

1. James Strong, vol. 1, *A Concise Dictionary of the Words in the Greeek Testament and The Hebrew Bible*, 44 (Bellingham, WA: Logos Bible Software, 2009) (შემდგომში მოხსენიებული როგორც, Strong's Concise Dictionary).
2. W.E. Vine, Merrill F. Unger and William White, Jr., vol. 2, *Vine's Complete Expository Dictionary of Old and New Testament Words*, 29 (Nashville, TN:T. Nelson, 1996) (შემდგომში მოხსენიებული როგორც, Vine's Expository Dictionary).
3. Ibid., 111.
4. Rick Renner, *Sparkling Gems from the Greek* (Tulsa, OK: Teach All Nations, 2003), 737 (შემდგომში მოხსენიებული როგორც, Sparkling Gems).
5. Ibid., 26.

თავი 1 მასალა მოზიარეობისთვის

1. A.W. Tozer, *A Treasury of A.W. Tozer* (Harrisburg, PA: Christian Publications, Inc., 1980) pp.290-291.
2. Ibid, pp. 295-296.
3. Andrew Murray, "The Holy Spirit In The Family," *Herald of His Coming*, February 2013, p. 8.
4. Lester Sumrall, *Spirit, Soul and Body* (New Keinsington, PA: Whitaker House, 1995) p.113.
5. R.A.Torrey, "Thes Holy Spirit's Power in the Believer," see note 3, p.1

თავი 2

1. Spiros Zodhiates Th.D., ed., *The Complete Word Study Dictionary: New Testament* (Chattanooga, TN: AMG Publishers, 1992), s.v. "metochos."

თავი 2 მასალა მოზიარეობისთვის

1. Henry T. Blackaby & Clause V. King, *Experiencing God* (Nashville,

TN: Broadman & Holman Publishers, 1994) pp.86-87.
2. Ibid., pp.87.
3. Ibid., pp.87-88.
4. Brother Lawrence, *The Practice of the Presence of God* (New Kensington, PA: Whitaker House, 1982) pp.61,65.
5. Ibid., p. 37.
6. Ibid., pp. 41, 46, 47, 49.
7. Kathryn Kuhlman, *The Greatest Power in the World* (North Brunswick, NJ: Bridge-Logos Publishers, 1997) p. 122.
8. *Sparkling Gems*, p. 116.

თავი 3 მასალა მოზიარეობისთვის

1. Francis Frangipane, *Holiness, Truth and the Presence of God* (Cedar Rapids, IA: Arrow Publications, 1999) pp. 56-57.
2. Ibid., pp. 58-59.
3. იხ. რომ.1:17; 2 კორ.3:18.
4. C.H. Spurgeon, *All of Grace* (New Kensington, PA: Whitaker House, 1981) p. 115.
5. Jeanne Guyon, *Experiencing the Depths of Jesus Christ* (Jacksonville, FL: SeedSowers Publishing, 1975) p. 3.
6. Ibid., p. 11.

თავი 4

1. Rick Renner, *The Dynamic Duo: The Spirit and You*, 105 (Lake Mary, FL: Charisma House, 1994).
2. Joseph Henry Thayer, *A Greek-English Lexicon of the New Testament: Being Grimm's Wilke's Clavis Novi Testamenti*, 509 (New York: Harper & Brothers, 1889).
3. M. G. Easton, *Easton's Bible Dictionary* (New York: Harper & Brothers, 1893).

თავი 4 მასალა მოზიარეობისთვის

1. იხ. გამოს.3:2-4; 13:21; 14:24; ფს.77:14.
2. Charles Spurgeon, *The Power in Praising God* (New Kensington, PA: Whitaker House, 1998) p. 31.
3. Joseph Henry Thayer, D.D., *Thayer's Greek-English Lexicon of the New Testament* (Grand Rapids, MI: Baker Book House, 1977) p. 517, adapted.

4. Smith Wigglesworth, *Ever Increasing Faith* (Springfield, MO: Gospel Publishing House, 1971) pp. 96-97.
5. Reinhard Bonnke, *Living a Life of Fire* (Orlando, FL: E-R Produvtions LLC, 2009) p. 237.
6. Ibid., pp. 274, 369.
7. Watchman Nee, *Let Us Pray* (New York, NY: Christian Fellowship Publishers, Inc., 1977) p. 71.
8. Kathryn Kuhlman, *The Greatest Power in the World* (North Brunswick, NJ: Bridge-Logos Publishers, 1997) p. 79.

თავი 5

1. Spiros Zodhiates Th.D., ed., *The Complete Word Study Dictionary: New Testament* (Chattanooga, TN: AMG Publishers, 1992), s.v. "mysterion".
2. Johannes P. Louw and Eugene Albert Nida, vol. 1, *Greek-English Lexicon of the New Testament: Based on Semantic Domains*, electronic ed. of the 2nd edition., 383 (New York: United Bible Societies, 1996).
3. Strong's Concise Dictionary, 51.

თავი 5 მასალა მოზიარეობისთვის

1. Kenneth E. Hagin, *Why Tongues?* (Tulsa, OK: Rhema Bible Church, 1975) pp. 14-16.
2. Oswald Chambers, *My Utmost for His Highest* (Uhrichsville, OH: Barbour Publishing, Inc., 1997) p. 155.
3. Ibid.

თავი 6

1. *Vine's Expository Dictionary*, 585.
2. *Noah Webster's First Edition of an American Dictionary of the English Language* (San Francisco: Foundation for American Christian Education, 1967, 1995), 113.

სატანის სატყუარა

თავიდან ავიცილოთ მტრის მომაკვდინებელი ხაფანგი! „სატანის სატყუარა“ ნათელს ჰფენს ერთ-ერთ ყველაზე მზაკვრულ ფანდს, რომელსაც სატანა იყენებს, რათა მორწმუნეებს ღმერთის ნების შესრულებაში შეუშალოს ხელი. მოტყუებული ადამიანების უმრავლესობა არც კი ეჭვობს ამის შესახებ. ნუ მოტყუვდებით! თქვენ შეეჯახებით წყენას და მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გავლენას მოახდენს ეს ღმერთთან ურთიერთობაზე. თქვენი პასუხი განსაზღვრავს თქვენს მომავალს. თუ სწორად გაუმკლავდებით წყენას, გაძლიერდებით და არ გაღიზიანდებით.

თქვენ იპოვით პასუხებს ისეთ რთულ კითხვებზე, როგორიცაა:

- რატომ უნდა ვილაპარაკო „საკუთარი“ თავის შესახებ?
- რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ შევწყვიტო წარსულში განცდილი წყენის ისევ და ისევ გახსენება?
- როგორ ვებრძოლო ეჭვს და უნდობლობას?
- როგორ აღვადგინო ნდობა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ძალიან მაწყენინა?

ეს წიგნი დაგეხმარებათ თავიდან აიცილოთ „წყენის ხაფანგები“, რომელთა დაგებასაც მტერი ცდილობს, ასევე მოგცემთ ძალას გათავისუფლდეთ წყენისგან და გქონდეთ დაუბრკოლებელი ურთიერთობა ღმერთთან.



შეუპოვარი

თქვენ განსაზღვრული გაქვთ მეფობა ძალაში. წიგნი „შეუპოვარი“ ავლენს ჩემპიონის მიდგომას განსაცდელების მიმართ და გვასწავლის, როგორ გადავლახოთ ცხოვრების გზაზე წამოჭრილი სირთულეები.

- ჩაეჭიდეთ აღთქმებს და ძალას, რომელთაც ფლობთ ქრისტეში;
- დაადგინეთ თქვენი განსაცდელის წყარო;
- გამარჯვებით შეაბიჯეთ სულიერ მეფობაში.

გადმოტვირთეთ ეს და სხვა მასალები:

www.CloudLibrary.org

გინდათ უფრომეტი?
დაასკანირეთ

თქვენ იცით მის შესახებ, მაგრამ იცნობთ კი მას?

მოციქულები სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ იესოს გვერდით, მასთან ერთად დადიოდნენ და ისმენდნენ ყოველივეს, რისი თქმაც სურდა მათთვის იესოს. მაგრამ, ამის მიუხედავად იესომ მის უახლოეს მეგობრებს აუწყა, რომ ის უნდა წასულიყო, რათა სულიწმიდა მოსულიყო – და რომ ეს მათთვის უკეთესი იქნებოდა (იოან.16:7,13-14);. თუ ეს უკეთესი იყო მისი მოწაფეებისთვის, რომლებიც თითოეულ დღეს იესოსთან ერთად ატარებდნენ, დღეს ჩვენ რამდენად მეტად გვესაჭიროება, რომ საშუალება მივცეთ სულიწმიდას აქტიურად ჩაერთოს ჩვენს ცხოვრებაში?

სამწუხაროდ, სულიწმიდა ძალზედ ხშირად არასწორად არის აღქმული და მრავალ ადამიანს არ გააჩნია ცოდნა იმის შესახებ, თუ ვინ არის სულიწმიდა სინამდვილეში და როგორ გვიცხადებს ის საკუთარ თავს. სულიწმიდას ხშირად აღწერენ, როგორც რაღაც „უცნაურს“. მაგრამ ბიბლია ნათლად გადმოგვცემს, რომ სულიწმიდა არ არის „რა“, არამედ ის არის „ვინ“ – პიროვნება, რომელმაც აღგითქვათ, რომ ყოველთვის თქვენს გვერდით იქნება. ამ ინტერაქტიულ წიგნში ჯონ ბევირი გეპატიჟება სულიწმიდის გასაცნობად, პიროვნების, რომელიც არის ეკლესიაში ყველაზე მეტად იგნორირებული და არასწორად აღქმული.

ნუ გამოტოვებთ ამ გასაოცარ შეხვედრას.

წიგნში მოცემულია:

- ყოველდღიურად წასაკითხი მასალა მოზიარეობისთვის;
- სადისკუსიო საკითხები;
- ბონუს თავი სულიწმიდის შესახებ ყველაზე საკამათო კითხვებით
  და პასუხებით.

ჯონ ბევირი და მისი მეუღლე ლიზა არიან Messenger International-ის დამფუძნებლები. მსახური და ცნობილი წიგნების ავტორი, ჯონი გაბედულად და სიყვარულით გადმოგვცემს სიტყვას უკომპრომისო ჭეშმარიტების შესახებ. მისი სურვილია დაეხმაროს ადგილობრივ ეკლესიებს და მსახურებს, ადგილმდებარეობის, ენობრივი ბარიერის და ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად. ამ დროისთვის, მისი წიგნები 60 ენაზეა ნათარგმნი. თავისუფალ დროს ჯონი და ლიზა თავის ოთხ ვაჟთან, რძალთან და შვილიშვილებთან ერთად ატარებენ.

გადმოტვირთეთ ეს და სხვა მასალები: www.CloudLibrary.org

ამწყვეტილად ეკლესიებისთვის

Messenger International
MessengerInternational.org

წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება